ISSN 1512 - 4649

# ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№4, 2013 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

## ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირდება:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

## აღიარებულია რეფერირებულად:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ.ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**მისამართი:** 0105, საქართველო, თბილისი ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: economist_n@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

## The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) IS REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Iinstitute of Techinform

## IS KNOWN AS REVIEW BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade.

**ADDRES:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: economist_n@yahoo.com
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge

# ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №4(31), 2013

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი; ევგენი ბარათაშვილი; ელგერდ ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი,გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე; სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ალექსანდრე კუჭუხიძე (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ენვერ ლაგვილავა; ქაბილ მანაფოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი); თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა (ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს მთავარი რედაქტორი); გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეთიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ომარ შუდრა; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხადური (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია (ჟურნალ ,,საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი.

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2013წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 5 ლარი

# the new ECONOMIST

**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №4(31), 2013**

**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doctor of Busines Administration, Assosiated Professor,
Academic of the Georgian Academy of Business Sciences.
Academic of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

**EDITORIAL BOARD**

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ALEKSANDRE KUCHUKHIDZE (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences); ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Minister of Regional Development and Ifrastrusture of Georgia); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA (Corresponding-member of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia"); MICHAEL JIBUTI.

## მთავარი გვერდი

ინტერვიუ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან - ბატონ დავით ნარმანიასთან . . . 5

## ეკო-დაიჯესტი . . . 14

## მეცნიერება

რევაზ გველესიანი – რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა და მისი დაგეგმვის სტრუქტურა . . 16
ეთერ სარჯველაძე - სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებები . . . 23
სოლომონ პავლიაშვილი, ლევან ჯანბულაშვილი - ქართული ეკონომიკის ლაბირინთებში . . . 28
ლია პიტიურიშვილი, ამბროსი ბრიშიკაშვილი - მიწას თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება. . . 33
რევაზ ლორთქიფანიძე – ფილიფსის მრუდი და გლობალური აუდიტის აუცილებლობა ცხოვრების დონის არსებითი მატებისათვის . . . 40
ვასილ ხიზანიშვილი – გლობალიზაციის ეთიკური გამოწვევები დასაქმების სფეროში . . . 44
ზაირა დუდუშაური - CVP (დანახარჯი – მოცულობა – მოგების) ანალიზი . . . 47
იზოლდა პირტახია – საქართველოს ფირმებს განვითარების სტრატეგიის დახვეწა სჭირდებათ . . . 50
ბორის ჭიჭინაძე, ნიკო ჩიხლაძე – ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თანამედროვე პრობლემები საქართველოში . . . 53
შოთა ვეშაპიძე - ევროპული ღირებულებები საქართველოსთვის . . . 59
ცირა ჯაფიაშვილი - MS Access-ის მონაცემთა ბაზის მრავალმომხმარებლური გამოყენების საშუალებები . . . 70
როლანდ სარჩიმელია, რევაზ ლორთქიფანიძე - პოსტკომუნისტური ეპოქის სიძნელეები და მათი დაძლევის აუცილებლობა საქართველოს ეკონომიკისათვის . . . 77
**Ф. А. ШУЛЕНБАЕВА, З. Р. КАРБЕТОВА, Ш. Р. КАРБЕТОВА - СТРАТЕГИЯ РАЗРАБОТКИ И ФОРМИРОВАНИЯ РЫНКА СБЫТА ТОВАРОВ** . . . 80

## ახალი წიგნი

ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული სახელმძღვანელო . . . 86

## გამოხმაურება

ილია ჭავჭავაძე და „ველნესის“ იდეა (გამოხმაურება ბატონ თამაზ მჭედლიძის ერთ მეტად საინტერესო წამოწყებაზე) . . . 87

უცხოეთის ეკონომიკური სიახლენი . . . 88
ამაბი . . . 90
გამოსათხოვარი . . . 92

## CONTENTS

**MAIN PAGE**

Interview with the Minister of regional development and infrastructure of Georgia - with Mr. David Narmania ...... 5

**ECO-DIGEST** ........................................................................................ 14

**SCIENCE**

**Revaz Gvelesiani** - Rational Economic Policy and Planning Structure ............................................. 16

**Eter Sarjveladze** - Food Safety and Customer Rights ........................................................ 23

**Solomon Pavliashvili, Levan Jangulashvili** - In Georgian economy labyrinths ................................. 28

**Lia Pitiurashvili, Ambrosi Grishikashvil** - The land need to warning ........................................ 33

**Revaz Lordkipanidze** - Phillips curve and necessity of global audit for living level's essential growth ............. 40

**Vasil Khizanishvili** - The ethical challenges of globalization in the sphere of employment ...................... 44

**Zaira Gudushauri** - CVP (Cost-Volume-Profit) Analysis ........................................................ 47

**Izolda Pirtakhia** - Georgia Firms Need to Improve Development Strategy ...................................... 50

**Boris Chichinadze, Niko Chikhladze** - Modern Problems of Local Government Development in Georgia .......... 53

**Shota Veshavidze** - European values for Georgia ............................................................... 59

**Tsira Japiashvilio** – Means of multi-user database MS Access ................................................ 70

**Roland Sarchimelia, Revaz Lordkipanidze** - Difficulties of post-communist era and necessity of their overcoming for Georgia's economy ........................................ 77

**Shulenbayeva F.A., Karbetova Z.R. Rarbetova Sh.R** - Strategy development and formation of market goods ....... 80

**NEW BOOK** ........................................................................................ 86

**REVIEW** ........................................................................................ 87

**FOREING ECONOMIC NEWS** ........................................................................ 88

**HONORABLE** ........................................................................................ 90

Farewel ........................................................................................ 92



## ინტერვიუ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან ბატონ დავით ნარმანიასთან

*2012 წლის შემოდგომაზე, როცა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალი მთავრობა დაკომპლექტდა, ბატონი დავით ნარმანია დაინიშნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად და ოფიციალურად იყო გაცხადებული, რომ მას დროებით უნდა ეხელმძღვანელა სამინისტროსთვის, ხოლო რამდენიმე თვეში სამინისტრო უნდა დაშლილიყო. თუმცა მოხდა საპირისპიროდ - აღნიშნული სამინისტრო არა თუ დატოვეს სამთავრობო სტრუქტურაში, არამედ ერთ წელიწადში მოწინავეთა რიგში აღმოჩნდა. ნებისმიერი სახელმწიფო ორგანიზაციის წარმატება-წარუმატებლობა მისი ხელმძღვანელობის პროფესიონალიზმის, კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლიანობის პირდაპირპროპორციულია.*

*2013 წლის სექტემბერში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) სამინისტრო ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე უწყებად დაასახელა და ჯილდო „2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“ გადასცა. ხოლო დეკემბერში რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციაში შემავალ ტელეკომპანიებში ჩაატარებული გამოკითხვის შედეგად, თუ ვის თვლიდნენ წლის ყველაზე საჯარო და გამჭვირვალე სახელმწიფო უწყებად, გამოვლინდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელსაც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის შესაბამისი სიგელი გადაეცა.*

*2013 წლის 30 დეკემბერს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2013 წლის ანგარიში წარუდგინა საზოგადოებას. ჩვენ მთლიანად ვთავაზობთ მკითხველს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამინისტროს ანგარიშს, მანამდე კი რამდენიმე კითხვით მივმართეთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ბატონ დავით ნარმანიას:*

- ბატონო დავით, სანამ კონკრეტულ საკითხებზე გადავიდოდეთ მინდა მოგილოცოთ შობა-ახალი წელი და გისურვოთ 2014 წელი ბევრად უფრო წარმატებული იყოს ვიდრე 2013 წელი. უდავოდ შთამბეჭდავია თქვენი სამინისტროს მიღწევები, განსაკუთრებით იმ ფონზე, რაც თქვენ დაგხვდათ წინა ხელისუფლებისგან. გასული წელი წარმატებული იყო თქვენი სამინისტროსთვის, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამჭვირვალობის თვალსაზრისით პირველი ადგილი დაიკავეთ. ამ თემაზე რაიმე კომენტარს ხომ არ გააკეთებდით?

- გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურებისთვის იმიტომ, რომ სახელმწიფო სტრუქტურა ეს არის ხალხის დაკვეთის შემსრულებელი და ხალხმა, ამ შემთხვევაში ამომრჩეველმა და გადასახადის გადამხდელმა, კარგად უნდა იცოდეს, რას აკეთებს ის უწყება, რომელსაც ის ენდო თავის დროზე და რომელსაც, ასე ვთქვათ, ჩააბარა საჯარო ფუნქციების შესრულება. აქედან გამომდინარე, როგორც კი სამინისტროში მოვედით მე და ჩემი გუნდი, გადავწყვიტეთ, ეს სამინისტრო, როგორც გაუმჭვირვალე სამინისტრო, გვექცია აბსოლუტურად გამჭვირვალე სამინისტროდ, სადაც არ იარსებებდა დაფარული ინფორმაცია, თუ მას საიდუმლო გრიფი არ ადევს და არ იცავს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“. თუმცა გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ, საჯარო ობიექტების მშენებელი სახელმწიფო ვართ და ამის მენეჯმენტს ვახორციელებთ, ჩვენს სისტემაში დაფარული ინფორმა-

ცია პრაქტიკულად არ არსებობს და ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ჩვენ გაგვაჩნია და მაღალია საზოგადოების ინტერესი, ამასთან დაკავშირებით იდება ვებგვერდზე, ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ, როგორც ვებგვერდის, ასევე „ფეისბუქის" და საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით. ხშირად ვატარებთ პრეს-კონფერენციებს, შეხვედრებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ცალკე რეგიონულ მედიასთან და რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ. არც ერთი განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ, რეაგირების გარეშე არ რჩება. ინფორმაცია გაიცემა დაუყოვნებლივ, თუ ის დამუშავებას საჭიროებს, ასეთ შემთხვევაში, დაცულია 10 დღიანი ვადა, რაც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არის გათვალისწინებული. ამ ყველაფერმა ჯამში, კომპლექსურად მოგვცა, შესაძლებლობა იმისა, რომ სამინისტროს სისტემა გაგვეხადა გამჭვირვალე.

2012 წლის ბოლოს, როცა ჩვენ ვაკეთებდით 2013 წლის გეგმებს, იქ ერთ-ერთ პუნქტად ჩავდეთ სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობა, როგორც შესასრულებლად სავალდებულო ნორმა და ამას მივაღწიეთ კიდეც. აქედან გამომდინარე, როცა მოხდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეფასების გაკეთება, თუ რომელი სამინისტრო რა დონეზეა გამჭვირვალობის თვალსაზრისით, ჩვენს სამინისტროს ორივე შეფასების დროს მოწინავე პოზიცია ერგო და შესაბამისი დიპლომებიც გადმოგვეცა, რაც სტიმულია იმ ადამიანებსთვის, რომლებიც მუშაობენ გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ შემთხვევაში ჩვენი სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ვგულისხმობ ძირითადად, რომელსაც წამყვანი რგოლი აქვს. მას მიეცა მეტი სტიმული და შესაძლებლობა იმისა, რომ უფრო მეტი გააკეთოს. ახლა უკვე ინფორმაციის უფრო აქტიურ გამოქვეყნებაზე გადავედით, როცა ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საზოგადოდ მოთხოვნადი იყოს, ასეთ ინფორმაციას წინასწარ ვაქვეყნებთ, რომ დაინტერესებულ ორგანიზაციებს ჰქონდეთ ამ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა და არ მოუწიოთ მათ განცხადებით მომართვა, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით.

- **თქვენ, ასევე, საზოგადოება ჩართული გყავთ რიგი საკითხების განხილვაში სპეციალურ კომისიებში მონაწილეობის სახით.**

- ჩვენთან არის ორი კომისია, რომელიც საკონსულტაციო ხასიათს ატარებს. ეს არის ერთის მხრივ, რეგიონული განვითარების კომისია და მეორეს მხრივ, თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე კომისია. არის ასევე, ინფრასტრუქტურის მიმართულებით მომუშავე ცალკე ექსპერტებისგან და ჩვენი სამინისტროს თანამშრომელბისგან შემდგარი ტექნიკური საბჭო, რომელიც, ასევე, იღებს გადაწყვეტილებებს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. კონსულტაციები ჩვენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და თვითონ საზოგადოებასთან მუდმივად გვაქვს და ესეც, რა თქმა უნდა, გამჭვირვალობის ერთ-ერთი და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

- **თქვენი სამინისტროს 2013 წლის ანგარიშს მკითხველი ჩვენს ჟურნალშიც გაეცნობა, ამიტომ ჩვენ გვინდა იმაზე ვისაუბროთ, რაც ანგარიშში ვერ მოხვდა ან იქნებ რომელიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი გავშალოთ და უფრო ვრცლად წარუდგინოთ მკითხველს. რა იყო ასეთი და რას დაამატებდით?**

- გარდა ანგარიშისა და იმ საჯარო პრეზენტაციისა, რომელიც ჩვენ გავაკეთეთ, მე მაინც ინსტიტუციურ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხს გამოვყოფდი ცალკე. სამუშაოები, რომელსაც ჩვენ ვეწევით, ისედაც ჩანს ვიზუალურადაც და მეორეს მხრივ ანგარიშშიც არის, მაგრამ ინსტიტუციონალურ ვითარებასთან დაკავშირებული ნაწილი, რაც თვალით არ ჩანს, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით მე სამ მიმართულებას გამოვყოფდი: ერთი, ეს არის თვითონ მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა და სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა და დეცენტრალიზაცია, რაც საკვანძო საკითხია რეგიონული განვითარების თვალსაზრისით. მეორე, ცალკე გამოსაყოფია მარეგულირებელი სტანდარტების დაწესების შემუშავება. დღემდე ჩვენი სისტემა საბჭოთა, 1984-85 წლების სტანდარტებზე, - „სნიპებზე" და „გოსტებზე" იყო აგებული, ხოლო ჩვენ დავიწყეთ ამის მოწესრიგების სამუშაოები და უფრო თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა. რამდენიმე მათგანი მოვამზადეთ კიდევაც. ერთ-ერთი ამ ეტაპისთვის უკვე დამტკიცებულია მთავრობის მიერ, რომელიც გასულ წელს დამტკიცდა. ხოლო მესამე მიმართულება, ესაა ჩვენი თანამშრომლების გადამზადება თანამედროვე სასწავლო პროგრამების მიხედვით, რომლის საფუძველზეც ჩვენ

გვეძლევა შესაძლებლობა უფრო მომზადებული კადრების მეშვეობით უკეთესად ვმართოთ ჩვენი პროექტები და პროგრამები.

- ახლა სამომავლო გეგმებზეც გადავიდეთ. როგორია სამინისტროს გეგმები 2014 წლისთვის და რომელია პრიორიტეტული მიმართულება მათ შორის?

- 2014 წელი როგორც სამუშაოების, ასევე, რეფორმის განხორციელების თვალსაზრისით ძალიან დატვირთული წელი იქნება. ჩვენ ჯამში 900 მილიონ ლარზე მეტი გვექნება 2014 წელსაც სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესასრულებლად და პარალელურ რეჟიმში ქვეყანაში განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ის კომპონენტი, რომელიც ამ წლისთვის არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, ჩვენ წელსაც ვაგრძელებთ რეგიონული განვითარების ფონდის მართვის და ადმინისტრირების მიმართულების დაზღვევას, რომლის ფარგლებშიც თვითმმართველობებისთვის ფინანსდება სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები, ჯამში ეს 180 მილიონ ლარზე მეტს აღემატება 2014 წლისთვის და ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ადმინისტრირება ჩვენი სამინისტროს მხრიდან ხორციელდება და ეს წელსაც გაგრძელდება. სამუშაოების თვალსაზრისით გამოსაყოფი იქნება ავტომაგისტრალების მშენებლობის ტემპები. თუ 2013 წელს სამ პარალელურ მონაკვეთზე მიმდინარეობდა მუშაობა, 2014 წელს შვიდ მონაკვეთზე იქნება სამუშაოები, რომ უფრო სწრაფი ტემპებით წარიმართოს სამშენებლო სამუშაოები. წყალმომარაგების სისტემის თვალსაზრისით გაგრძელდება გარდამავალი პროექტები და 25 მუნიციპალიტეტში გამოცხადდება ასევე ტენდერები, დამატებით წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგებისასთან დაკავშირებით ევროპის საინვესტიციო ბანკი პროგრამის ფარგლებში. გაგრძელდება რეგიონული ნაგავსაყრელების მართვა და სხვადასხვა სახის რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ჯამში ჩვენი ბიუჯეტიდან დაახლოებით 500 მილიონი ლარი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მოხმარდება, როგორც ავტომაგისტრალების, ასევე, მეორადი კატეგორიის გზების მოწესრიგებაზე და ჯამში 250 მილიონი ლარით სხვადასხვა გზის მონაკვეთი უნდა გაკეთდეს. დანარჩენი დაფინანსება იქნება მიმართული წყალმომარაგებისა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე, მყარი ნარჩენების მართვაზე ანუ რეგიონული ნაგავსაყრელების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, დასრულდება დევნილთა საცხოვრებელი ობიექტების მშენებლობა ფოთსა და ზუგდიდში, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით ვახორციელებთ.

- თუ ბიუჯეტის გადანაწილების თვალსაზრისით მივუდგებით, უდიდესი ნაწილი (501 მილიონი ლარი) გზებზე მოდის. ე.ი. ეს პრიორიტეტულია.

- დიახ, გზები ჩვენი სამინისტროს სისტემაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და ერთ-ერთი ყველაზე ინვესტიციატევადი მიმართულებაა ამავდროულად.

- მეორე რომელია და მესამე . . .

- შემდეგ მოდის მუნიციპალური და რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რისთვისაც 2014 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 187 მილიონი ლარი, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის - 131 მილიონი ლარი, იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისთვის 50 მილიონი ლარი.

- რიგი პროექტების დასაფინანსებლად ალბათ, გამოყენებული იქნება საერთაშორისო იაფი და შეღავათიანი კრედიტები. ვისგან, რომელ სფეროში და რა მოცულობის კრედიტების აღებაა გათვალისწინებული 2014 წლისთვის?

- ჩვენი ბიუჯეტის დაახლოებით 2/3 დონორი ორგანიზაციების იაფი, შეღავათიანი კრედიტებით ფინანსდება. სახელმწიფოს მხრიდან მომლაპარაკებელი უწყება საქართველოს ფინანსთა სამინისტროა, რომელიც დონორ ორგანიზაციებთან ათანხმებს კრედიტის მოცულობას, საპროცენტო განაკვეთებს და სხვა პირობებს, ხოლო ჩვენ ფინანსთა სამინისტროს ვაწვდით საჭიროებებს. 2014 წლისთვის უკვე შეთანხმებები მიღწეულია ძირითად დონორ ორგანიზაციებთან. ესაა მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო. ეს არის ძირითადი დონორი ორგანიზაციები. შემდეგ მოდის გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი - ჭ და სხვა დონორი ორგანიზაციები.

- ბევრი ითქვა და დაიწერა თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით. ორიოდე სიტყვით იქნებ გვითხრათ, როგორი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობების და-

**- დამოუკიდებლობის ხარისხი და პრინციპები ბიუჯეტთან მიმართებაში?**

- თვითმმართველობის რეფორმა ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ჩვენი სამინისტროს მიერ წამოწყებულ რეფორმებს შორის. იმიტომ, რომ სისტემურ და ფუნდამენტურ ცვლილებებზეა საუბარი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ადგილობრივ მოსახლეობასთან მაქსიმალურად ახლოს იყოს და პირველი რიგის გადაუდებელი საკითხები ადგილზე იქნას გადაწყვეტილი. რა თქმა უნდა, ერთია რომ უფლებამოსილება მიეცამათ მათ, მაგრამ მეორეა ამ უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსებიც უნდა ჰქონდეთ თვითმმართველობებს და ეს ასეც იქნება. განსაზღვრულია, რომ 2014 წელს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მომზადდეს ფინანსური მოდელი, რომლის საფუძველზეც საშემოსავლო გადასახადის გარკვეული ნაწილი წავა თვითმმართველობების ბიუჯეტში, იმისათვის რომ ისინი ფინანსურად უფრო ძლიერი ინსტიტუციები იყვნენ და შესაბამისად, ადგილზე დააფინანსონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. თვითმმართველობებს, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი ბიოუჯეტი ექნებათ, მაგრამ ის ფინანსურად სუსტი თვითმმართველობები, რომელებიც ვერ შეძლებენ საკუთარი შემოსავლებით საკუთარი ვალდებულებების დაფინანსებას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებენ გათანაბრებულ ტრანსფერს. სესხის აღება მათ შეეძლებათ იმ შემთხვევაში, თუ ექნებათ მთავრობის თანხმობა. თუმცა ეს არის მხოლოდ რეეფორმის დასაწყისი ამ ეტაპზე. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით ეს რეფორმა რამდენიმე წლის განმავლობაში უნდა ტარდებოდეს და ხორციელდებოდეს, ამიტომ წლების განმავლობაში რამდენიმე კომპონენტი დაემატება თვითმმართველობებს იმისათვის, რომ ნელ-ნელა უფრო ცივილური და ევროპული თვითმმართველობისკენ წავიდეს ჩვენი ქვეყანა.

**- ესე იგი ჯერჯერობით ბიუჯეტთან მიმართებაში საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის რა დარჩება ადგილობრივ ბიუჯეტში?**

- ბიუჯეტთან მიმართებაში საგადასახადო კოდექსში ცვლილებები ინიცირებულია, თუმცა შემოსავლების განაწილებისათან დაკავშირებულ მოდელზე დამატებით 2014 წელს გაგრძელდება მუშაობა, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან შევიდეს ძალაში თვითმმართველობების ახალი საბიუჯეტო სისტემა.

**- დაბოლოს, ამდენი საუბრის მერე, რა არის ისეთი საკითხი, რომლის დამატებაც საინტერესო იქნება მკითხველისთვის?**

- ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მკითხველებმა აქტიური კომუნიკაცია იქონიონ ჩვენს სამინისტროსთან ინფრასტრუქტურის კომპონენტთან მიმართებაში. ხშირია კითხვები თუ სად და რას ვაკეთებთ. ამიტომ არის, რომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და ჯერ კიდევ წინა წელს წლის დასაწყისშივე გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ რეგიონში და რომელ მუნიციპალიტეტებში რა პროექტებს ვაკეთებთ. წელსაც ანალოგიურად გავაკეთოთ და ვებგვერდზე უახლოესი დღეების განმავლობაში დაიდება ინფორმაცია, მზად გვაქვს წლევანდელი პროექტები და პროგრამები. ყოველშემთხვევაში ჟურნალი როცა გამოვა ეს ინფორმაციები ყველა განთავსებული იქნება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად რას ვახორციელებთ და ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, მოქალაქეების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებულ ნაწილში. თვითმმართველობის საქმიანობაში, მეტად აქტიურად ჩართვა, რომ თვითმმართველობებს არ მივცეთ მოსვენების საშუალება. ჩვენ, მოქალაქეები თვითმმართველობას ვირჩევთ იმისთვის, რომ მან მოგვიგვაროს ჩვენი, ასე ვთქვათ, ყოველდღიური ყოფითი საჯარო პრობლემები და აქედან გამომდინარე უნდა შეგვეძლოს, რომ მოვთხოვოთ მას პასუხი. ამიტომ ამ კომპონენტსაც უნდა მიაქციოს მკითხველმა ძალიან აქტიური ყურადღება.

**- გმადლობთ, რომ დაგვითმეთ დრო და გვესაუბრეთ აქტუალურ საკითხებზე.**

ესაუბრა ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“
მთავარი რედაქტორი ლოიდ ქარჩავა
03.01.2014წ.

## საქართველოს რეგიონუ-ლი განვითარებისა და ინ-ფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წლის ანგარიში

2013 წლის ანგარიშის პრეზენტაციაზე თვალსაჩინოდ იყო გამოყოფილი სამინისტროს მიერ ბოლო ერთი წლის მანძილზე დანერგილი სიახლეები:

1. შეიცვალა მიდგომები პროექტების დაგეგმვისა და მათი განხორციელების კუთხით;

2. გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი გახდა ტენდერები;

3. მნიშვნელოვნად გაიზარდა ტენდერებში მონაწილეობით დაინტერესებულ კომპანიათა რიცხვი;

4. შემუშავდა ხარისხის სტანდარტები და გაიზარდა მისი კონტროლის მექანიზმები;

5. შეიქმნა პრიორიტეტების დადგენისა და პროექტების შერჩევის მეთოდოლოგია;

6. შეიქმნა ელექტრონული გეო-ინფორმაციული სისტემა (GIS);

7. სამინისტროს საქმიანობა გახდა ღია და გამჭვირვალე, ინფორმაცია - ხელმისაწვდომი.

2013 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი 901 მილიონ ლარს შეადგენდა, საიდანაც 501 მილიონი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებისთვის იყო გამოყოფილი, 182 მილიონამდე - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, 82 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისა და მათთვის ღირსეული საცხოვრისების შექმნისთვის, 130 მილიონი წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის, ხოლო რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და მართვისთვის - 4 მილიონზე მეტი.

2013 წლის ბოლოს სამინისტროს საკასო შესრულება 745 მილიონი ლარია, მაშინ როცა 2012 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 655 მილიონი ლარი იყო. როგორც ხედავთ,ამ ორი წლის მაჩვენებლებს შორის სხვაობა 90 მილიონი ლარია.

უფრო კონკრეტულად:

2013 წელს სამინისტრომ შეიმუშავა თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც სრულიად ცვლის 20 წლის განმავლობაში დამკვიდრებულ მანკიერ სისტემას. რეფორმის შედეგად, გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, ხოლო სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც ფორმირდება მუნიციპალიტეტები. მერებს და გამგებლებს პირდაპირი წესით აირჩევს ხალხი. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მიეცემა ფული და უფლებამოსილება, რათა საკუთარი პრობლემების გადაჭრა თვითონვე შეძლონ. გაიზრდება მოქალაქეთა ჩართულობის დონე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში; გაუმჯობესდება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი; გუბერნატორთან ჩამოყალიბდება ადგილობრივი მერების, გამგებლებისა და საკრებულოს თავმჯდომარეებისგან დაკომპლექტებული საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთან ერთად იზრუნებს თავისი რეგიონის განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის პროექტს გარკვეული ჯგუფების მხრიდან ვნებათაღელვა მოჰყვა, ცალსახად და მკაფიოდ მინდა განვაცხადო, რომ თვითმმართველობის კოდექსის არც ერთი მუხლი არ შეიცავდა და არ შეიცავს ქვეყნის ერთიანობისთვის საფრთხეებს. როგორც იცით, თვითმმართველობის კოდექსი საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო.

2013 წელს აქტიურად მიმდინარეობდა ცენტრალური ავტომაგისტრალის მშენებლობა. საავტომობილო გზების დეპარტამენტი სამშენებლო სამუშაოებს ერთდროულად ავტომაგისტრალის ხუთ მონაკვეთზე ახორციელებდა.

დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა ქობულეთის შემოვლითი გზის 12,4-კილომეტრიანი მონაკვეთი. მოეწყო 13 წყალგამტარი მილი, აშენდა 14 სახიდე გადასასვლელი და 3 მიწისქვეშა გასასვლელი; მოეწყო სადრენაჟე სისტემები.

დაიწყო ქობულეთის შემოვლითი გზის მომდევნო 19-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც 2016 წელს დასრულდება.

აქტიურად მიმდინარეობს ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის 15 კილომეტრიანი, ქუთაისის შემოვლითი გზის 17 კილომეტრიანი და ქუთაისი-სამტრედიის გზის 14 კილომეტრიანი მონაკვეთების მშენებლობა. მათი დასრულება 2014-2015 წლებში ეტაპობრივად მოხდება.

სამუშაოები მიმდინარეობს, ასევე, რუისი-აგარის 19 კილომეტრიან მონაკვეთზე, სადაც რამ-

შ ეღენიმე ღღის წინ 3 კოლომეტრი უკვე გავხსენით.

სატენდერო პროცედურები დასრულდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთზე - ესაა თბილისი-რუსთავის მონაკვეთი,აგრეთვე,აგარა-ზემო ოსიაურისა და სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთებზე, სადაც გამარჯვებული კომპანიები სამუშაოებს 2014 წლიდან დაიწყებენ.

მიმდინარეობს ჩუმათელეთი-ზესტაფონის, ანუ რიკოთის უღელტეხილის მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების დოკუმენტის შემუშავება.

მთლიანობაში, 2013 წელს სამშენებლო სამუშაოები ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 111 კილომეტრზე მიმდინარეობდა. გზის საფარი მოეწყო 28,4 კილომეტრზე, ხოლო მოძრაობა გაიხსნა 15,4 კილომეტრზე.

თუ ცენტრალურ ავტომაგისტრალზე მიმდინარე სამშენებლო აქტივობას წინა წლის მონაცემებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ წელს 34 კილომეტრით მეტ მონაკვეთზე გვქონდა აქტივობა, ვიდრე შარშან. წელს 15,4 კილომეტრი გზა გავხსენით, ეს მაშინ, როცა შარშან ცენტრალურ ავტომაგისტრალზე მხოლოდ კილომეტრნახევარი გზა გაიხსნა.

სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას.

გაიხსნა საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის კობი-გუდაურის 19-კილომეტრიანი მონაკვეთი, შეკეთდა იქ არსებული გვირაბები და გალერეა, გარკვეულ მონაკვეთებში გაფართოვდა გზა. აღსანიშნავია, რომ ამ გზას 1991 წლის შემდეგ რეაბილიტაცია არ ჩატარებია.

ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის განახლების შემდეგ რეაბილიტაცია ჩაუტარდა საქართველო-რუსეთის საზღვართან არსებული ნეიტრალური ტერიტორიის კილომეტრნახევრიან მონაკვეთს. შეკეთდა იქ არსებული ხიდი და გვირაბი;

აქტიურად მიმდინარეობდა წყალტუბო-ლენტეხის, დედოფილსყარო-ქვემო ქედის, ალპანა-უწერის, ალპანა-ორბელის, შუქრუთი-უსახელო-კორბოულის, წყალტუბო-ხონის, იგოეთი-ლამისყანის, ინგირი-შამგონის, მუხური-თაიას, საჯიჯაო-ლესიჭინეს, ჯვარი-ჩქვალერი-საჩინოს, მონგირი-ახუთის, თბილისი-თიანეთის, თიანეთი-ჟინვალის, ზარზმა-ადიგენისა და სხვა გზების რეაბილიტაცია.

მთლიანობაში, 2013 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 260 კილომეტრ გზას, ანუ 60 კილომეტრით მეტს, ვიდრე შარშან, 45 ხიდს (შარშან მათი რაოდენობა 28 იყო) და 5 გვირაბს, მაშინ, როცა შანშან მხოლოდ 2 გვირაბი რეაბილიტირდა.

სამინისტრო, ასევე, დიდ ყურადღებას უთმობდა სასოფლო გზებისა და სხვა შიდასახელმწიფოებრივი გზების რეაბილიტაციას. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წელს 21 ასეთი გზა შეკეთდა, რომელზეც 15 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. მიმდინარეობს, ასევე, 31 მილიონი ლარის სამუშაოები.

2013 წელს სამინისტრომ ერთ-ერთ პრიორიტეტად მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა გამოაცხადა. ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი 40 მილიონი ევროს ოდენობით სესხის ფარგლებში 17 ქალაქში მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია.

აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით დაიწყო ქუთაისის, ფოთისა და ანაკლიის წყალმომარაგების 60-მილიონიანი პროექტი; პროექტის შედეგად, ფოთსა და ანაკლიას მთლიანად, ასევე, ქუთაისის 75%-ს 24-საათიანი, ხოლო 25%-ს გაუმჯობესებული წყალმომარაგება ექნება;

დონორი ორგანიზაციებიდან 32 ქალაქის რეაბილიტაციისთვის მოზიდულ იქნა 300 მილიონ ლარამდე ინვესტიცია;

საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც 25 მუნიციპალიტეტსა და 3 დაბაში წყალმომარაგების სამუშაოებს ითვალისწინებს. ამისათვის საქართველო 40 მილიონი ევროს დაფინანსებას მიიღებს.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სახსრებით 16 ქალაქში დაიწყო და დამატებით 11 ქალაქში დაიწყება 6 400 000 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2013 წელს შეძენილ იქნა წყლის ხარისხის თანამედროვე მობილური ლაბორატორიები და ქუთაისი, წყალტუბო, ოზურგეთი, ფოთი, გორი, ახალციხე, ბოლნისი და თელავი მოძრავი ლაბორატორიებით აღიჭურვა. ქუთაისის სერვის ცენტრსა და მცხეთის ტრენინგ ცენტრში დამონტაჟდა მრიცხველის შესამოწმებელი ლაბორატორიები.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ 2013 წელს დამატებით 36 ათასი აბონენტი გაამრიცხველიანა. თუ შარშან

აბონენტებისგან მთელი წლის განმავლობაში შემოსავალი მხოლოდ 213 ათასი ლარი იყო, წელს ეს ციფრი მილიონ ოთხასი ათას ლარამდე გაიზარდა.

2013 წელს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და მუნიციპალური განვითარების ფონდი აქტიურად ახორციელებდნენ ნაპირდამცავ სამუშაოებს. განსაკუთრებით გამოსაყოფია სამი პროექტი: მდინარე ცხენისწყლის ნაპირდაცვა სოფელ ლასურიაში, რომელმაც ათამდე სოფელს ცენტრალურ გზასთან დაკავშირების პრობლემა მოუხსნა; დაიწყო ანაკლიის სანაპირო ზოლის ნაპირდამცავი სამუშაოები. აქ ნაპირგამაგრება ტეტრაპოდებით მიმდინარეობს; სატენდერო პროცედურების დასრულების შემდეგ ანალოგიური სამუშაოები ბათუმის სანაპირო ზოლზეც დაიწყება.

2013 წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განსაკუთრებით ზრუნავდა დევნილთათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნისთვის. ქუთაისში, თერჯოლაში, ვანში, წყალტუბოში, ზესტაფონში, ფოთში, ზუგდიდში, ქარელსა და მარნეულში რეაბილიტაცია ჩაუტარდა დევნილთა საცხოვრებელ კორპუსებს, რაზეც 12 მილიონამდე დაიხარჯა. ბინები 335 დევნილ ოჯახს უკვე გადაეცა. წელსვე დაიწყო 15 ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა ზუგდიდსა და ფოთში.

სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კონფლიქტისპირა სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. 2013 წლის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში რამდენიმე მასშტაბური პროექტი განხორციელდა. მოხდა სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია. სალთვისის სარწყავი არხით 16 სოფელს, ხოლო ტირიფონის სარწყავი არხით 23 სოფელს საირიგაციო წყლით მომარაგების პრობლემა მოეხსნა. ასევე, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, პატარა ლიახვის ხეობაში, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლების - ზარდიანთკარის, დიდი ხურვალეთის, გუგუთაანთკარისა და კოშკას მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, დამატებითი ჭაბურღილების ბურღვა განხორციელდა. პროექტის განხორციელების შედეგად, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებს წყალმომარაგების პრობლემა მოუგვარდა და მოსახლეობა წყალს ყოველდღიურად იღებს; კონფლიქტის ზონის სოფლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სადღოლაშენის, გორიჯვრის, ლამისყანა-ახმაჯი-თვაურების, კარალეთი-ქვეშის საავტომობილო გზებს;

2013 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მთელი ქვეყნის მასშტაბით 81 ახალი ამბულატორიის მშენებლობის თაობაზე. მშენებლობისთვის 2 მილიონ 400 ათასი ლარია გამოყოფილი და მას მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს.

საუკუნის პროექტები - ასე შეფასდა სამინისტროს მიერ წამოწყებული სამი პროექტი, რომელიც ქვეყნის სამ სხვადასხვა რეგიონში დაიწყო.

2013 წელს მდინარე ალაზანზე, კაკლისყურეში, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განახორციელა მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომელმაც საქართველოს 200 ჰექტრამდე მიწა შეუნარჩუნა. უკვე მრავალი წელია, აღნიშნულ მონაკვეთზე მდინარის ადიდების დროს საქართველო ტერიტორიებს კარგავს. ალაზნის სანაპირო ზოლის გაუმაგრებლობის შემთხვევაში, საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს ტერიტორიის 200 ჰექტარზე მეტ მიწას, რომელიც, წყლის მოვარდნის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიას მოწყდებოდა. კაკლისყურეში დასრულებული სამუშაოების შემდეგ დღის წესრიგში მდინარე ალაზნის სხვა ტერიტორიის ნაპირგამაგრებაა, რომელიც 2014 წლისთვის არის დაგეგმილი.

2013 წელსვე გადაწყდა ხევსურეთსა და რაჭაში სრულიად ახალი გზის გაჭრა. ამ ორი უმნიშვნელოვანესი პროექტის დაფინანსების წყაროები, პრაქტიკულად, მოძიებულია.

არხოტი-როშკის გზა პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთს ერთმანეთს დააკავშირებს. გზის მშენებლობა 2014 წლის გაზაფხულზე დაიწყება. ამ დრომდე იქ მხოლოდ საცალფეხო ბილიკი არსებობს და ადგილობრივებს, რომლებმაც მხარე უგზოობისა და პირობების არქონის გამო დატოვეს, საკუთარ სახლში მისვლა, პრაქტიკულად, არ შეუძლიათ. საავტომობილო გზის გაჭრის შემდეგ მშობლიურ მხარეში დაბრუნების მზაობა უკვე 32 ოჯახმა გამოთქვა.

ახალი გზის მშენებლობა დაიგეგმა რაჭაშიც. საჩხერე-შქმერი-ონის გზის მონაკვეთზე პირველმა ტრაქტორმა ოქტომბერში უკვე გაიარა. ინტენსიური სამუშაოების დაწყება კი 2014 წლისთვისაა დაგეგმილი. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, თბილისიდან ონამდე გზა ორსაათნახევარში დაიფარება. რაც მთავარია, სიცოცხლე დაუბრუნდება ზემო რაჭის პრაქტიკულად

დაცლილ ხეობას. ამ მონაკვეთზე გზის გაყვანა არაერთ ახალ სოციალურ და ეკონომიკურ პერსპექტივას გააჩენს.

2013 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ნაგავსაყრელების მოწესრიგების კუთხითაც. მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ ქვეყნის მასშტაბით 49 ნაგავსაყრელი აიღო მართვაში. 9 ქალაქში გაიხსნა კომპანიის ოფისები. მთლიანობაში, შესაბამისი მძიმე ტექნიკის გამოყენებით, წლის განმავლობაში მუდმივ რეჟიმში 49 პოლიგონის მოწესრიგება ხორციელდებოდა. კეთილმოეწყო და გამართულ საექსპლუატაციო რეჟიმში შევიდა რვა პრიორიტეტული ნაგავსაყრელი თელავში, გორში, მცხეთაში, ახალციხეში, ამბროლაურში, ქუთაისში, ოზურგეთსა და ზუგდიდში.

შემუშავდა იმერეთის რეგიონის ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც 2014 წელს დაიწყება იმერეთის ახალი, თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელის მშენებლობა, ხოლო ქუთაისის არსებული - ე.წ. ნიკეას ნაგავსაყრელი მომავალში დაიხურება და რეკრეაციულ ზონად გადაკეთდება. ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის დასრულება 2016 წლისთვისაა დაგეგმილი;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აქტიურად ზრუნავს საკურორტო ზონების განვითარებაზე. მესტიაში გრძელდება თეთნულდის სათხილამურო კურორტის განვითარების პროექტის განხორციელება. 2013 წელს 3,2 ჰექტარზე მოეწყო სასაწყობე მეურნეობა, სადაც საფრანგეთიდან მიღებული 170-მდე კონტეინერია დასაწყობებული, ხოლო 2014 წლიდან დაიწყება ახალი საბაგირო გზების დამონტაჟება.

2013 წელს დასრულდა ყვარლის რეაბილიტაცია, მოეწყო ილიას ტბასთან მისასვლელი გზა, ინტენსიურად გრძელდება წყალტუბოს რეაბილიტაციის პროექტი.

როგორც იცით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს წვევამდელთა გაწვევას. მიმდინარე წელს მთლიანობაში 10 ათასამდე წვევამდელის გაწვევა მოხდა. საგაზაფხულო გაწვევის დროს 2 300 წვევამდელი გავიწვიეთ, ხოლო საშემოდგომო გაწვევისას, რომელიც ახლახან დასრულდა, 7 300 წვევამდელი.

2013 წელი რეგიონებისთვის უპრეცედენტო მხარდაჭერის წლად იქცა. წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობდა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დამტკიცებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები. აღნიშნული პროგრამების საერთო ღირებულებამ 2013 წელს 270 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა,რაც,წინა წლებთან შედარებით, უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელია. აღნიშნული თანხების ფარგლებში, მოხდა მუნიციპალური გზების, წყალმომარაგების, ნაპირდაცვისა და სხვა პრობლემების მოწესრიგება. ორივე პროექტის ფარგლებში საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში 8 ათასამდე საშუალო და მცირე ზომის ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

მთლიანობაში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდითა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რეგიონების მიხედვით პროექტები ასე გადანაწილდა:

- აჭარა - 630 პროექტი; ჯამური ღირებულება - 4 890 032 ლარი;
- გურია - 635 პროექტი; ჯამური ღირებულება - 18 140 886 ლარი;
- იმერეთი - 1608 პროექტი, ჯამური ღირებულება - 61 693 407 ლარი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1249 პროექტი; ჯამური ღირებულება - 45 209 979 ლარი;
- რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი - 374 პროექტი; ჯამური ღირებულება - 10 112 137 ლარი;
- შიდა ქართლი - 533 პროექტი, ჯამური ღირებულებაა - 24 335 010 ლარი.
- მცხეთა-მთიანეთი - 603 პროექტი, ჯამური ღირებულება - 14 141 332 ლარი;
- სამცხე-ჯავახეთი - 481 პროექტი, ჯამური ღირებულება - 23 047 232 ლარი;
- ქვემო ქართლი - 512 პროექტი, ჯამური ღირებულება - 35 770 843 ლარი;
- კახეთი - 672 პროექტი, ჯამური ღირებულება - 35 724 750 ლარი.

სამინისტრო ხელმძღვანელობდა რამდენიმე სამთავრობო კომისიას. მათ შორის, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევასა და ადმინისტრირებას ახორციელებდა; აღწერის კომისიას. როგორც იცით, საყოველთაო

აღწერა საქართველოში 2014 წლის ნოემბერში უნდა ჩატარდეს. მოსამზადებელი სამუშაოები 2013 წელს დაიწყო. უკვე ჩატარდა აღწერის პირველი ეტაპიც.

სამინისტრო ხელმძღვანელობდა, ასევე, პრობლემური ინფრასტრუქტურული პროექტების შემსწავლელ სამთავრობო კომისიას, რომელმაც წლის განმავლობაში არაერთ პრობლემურ საკითხზე იმუშავა.

აქტიურად იმუშავა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითმა სამთავრობო კომისიამაც. კომისიამ ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრებას შეუმსუბუქებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, შეიქმნა მიუსაფართა პრობლემების მოგვარებაზე მომუშავე უწყებათშორისი კომისია. ზამთრის დადგომისთანავე მოსკოვის პროსპექტზე გაიხსნა მიუსაფართა თავშესაფარი, სადაც ამჟამად 200-ზე მეტი დამიანი ცხოვრობს, აქვს სითბო, საკვები, ტანსაცმელი, მედიკამენტები და ყველა პირობა, რომ მეტ-ნაკლებად ნორმალურად გამოიზამთროს. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ფიქრობს და განიხილავს პრობლემის მოგვარების გრძელვადიან გეგმებზეც.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მთელი წლის განმავლობაში ოპერატიულად ახდენდა რეაგირებას ქვეყნის მასშტაბით მომხდარ სტიქიებსა და მისით გამოწვეულ პრობლემებზე. 2011 წელს საქართველოში 48 სტიქიური მოვლენა მოხდა, 2012 წელს - 52, ხოლო 2013 წელს - 82. სტიქიისგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად წელს საქართველოს მთავრობამ 50 მილიონი ლარი დახარჯა. დაგეგმილია, ასევე, პრევენციული ღონისძიებები, რომელიც სტიქიისგან მიყენებულ ზიანს შეამცირებს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2013 წელს სხვადასხვა სოციალურ აქციაში აქტიურად იყო ჩართული. მთელი წლის განმავლობაში სამინისტრო და მისი ქვემდებარე სტრუქტურული ერთეულები, ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მხარდასაჭერად, ჩართული იყვნენ უანგარო დონაციის პროგრამაში - „გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე“.

2013 წელს სამინისტრომ რამდენიმე გარემოსდაცვით ღონისძიებაში მონაწილეობდა. მათ შორის იყო გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად გამართული დასუფთავებისა და გამწვანების აქციები მცხეთაში, რუსთავსა და სხვა ქალაქებში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ წლის დასაწყისში თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად უწყების გამჭვირვალობა და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულება დაისახა მიზნად. სამინისტრომ უარი თქვა ძველ, მანკიერ პრაქტიკაზე და ერთ-ერთი ყველაზე გაუმჭვირვალე უწყებიდან ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე სამინისტროდ ჩამოყალიბდა. 2013 წლის სექტემბერში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა სამინისტრო ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე უწყებად დაასახელა და ჯილდო „2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“ გადასცა. წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით უწყებაში შემოსული 85 განცხადებიდან რეაგირება ყველა მათგანზე მოხდა. შეიქმნა ახალი ვებ-გვერდი, რომელზეც საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება, ხოლო მოქალაქეს ინფორმაციის გამოთხოვა ელექტრონული ფორმით შეუძლია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, 2013 წლის მსგავსად, მომდევნო წელსაც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება აქვს დაგეგმილი. ყველა პროექტი მოქალაქეზე და მისი პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული.

# ეკო-დაიჯესტი

## ტექდათვალიერება გადავადდება

ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის მსუბუქი მანქანების ტექდათვალიერება დაახლოებით წელიწადნახევრით გადავადდება. ის 2014 წლის 1-ლი იანვრიდან კვლავ სავალდებულო უნდა გამხდარიყო, თუმცა მთავრობის ინციატივით პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი, რომელიც ზოგიერთი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების გარდა, სავალდებულო ტექდათვალიერების 2015 წლის 1-ელ მარტამდე გადაწევას ითვალისწინებს.

## დახმარებას 700 ათასზე მეტი ფერმერი მიიღებს

საგაზაფხულო სამუშაოების ხელშემწყობი პროექტი მთელი ქვეყნის მასშტაბით 2014 წლის თებერვალში დაიწყება. ის დაფინანსდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე არასაბიუჯეტო სახსრებით. პროექტის ფარგლებში დახმარებას 700 ათასზე მეტი ფერმერი მიიღებს. გათვალისწინებულია მცირემიწიან ფერმერთა დახმარება როგორც მექანიზაციის საშუალებებით, ასევე სასოფლო-სამეურნეო მასალით. ამასთან, კიდევ ერთი ახალი – გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფიანსების პროექტით, დაბალი ეკონომიკური აქტივობის რაიონებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება გადამამუშავებელი ახალი საწარმოების შექმნა ან მოხდება - ძველი, უმოქმედო საწარმოების აღდგენა.

## „ლარის კურსი ეკონომიკურ პროცესებს ასახავს"

„ლარის კურსი საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს ასახავს" - ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა განაცხადა. მისი თქმით, წლის დასაწყისიდან ლარი დოლარის მიმართ 4,5%-ით გაუფასურდა, თუმცა ეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება. „ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ დავუშვათ ინფლაციური წნეხის ასახვა ეკონომიკის ზრდასა და ფასების სტაბილურობაზე. თუ ასე მოხდა, შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას გავამკაცრებთ. ლარი ხან გამყარდება, ხან გაუფასურდება, თუმცა მოძრაობის ამპლიტუდა არ იქნება ისეთი, რომ ქვეყნის ეკონომიკა დააზიანოს. ფინანსური სტაბილურობა უზრუნველყოფილია, როგორც მიმდინარე, ისე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. ლარი კი მაშინ გამყარდება, როცა საქართველოს ეკონომიკა უფრო სწრაფი ტემპებით გაიზრდება, ვიდრე მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორებისა" - აცხადებს გიორგი ქადაგიძე.

## ბანკების მოგება ნოემბერში 80 მილიონია

2013 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 0,8 მილიარდი ლარით, ანუ 4,9%-ით გაიზარდა და 16,5 მილიარდი ლარი შეადგინა. შარშანდელთან შედარებით კი ზრდამ 15,6%-ს მიაღწია. ხუთი უმსხვილესი ბანკის წილმა სექტორის მთლიან აქტივებში 77,1% შეადგინა. გასული თვე საბანკო სექტორმა მოგებით დაამთავრა. ნოემბრის წმინდა მოგებამ 81,4 მილიონი ლარი შეადგინა.

## უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 50%-ს ჩამოსცილდა

2013 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ $9,681 მილიარდი შეადგინა, რაც შარშანდელზე 4%-ით მეტია; აქედან ექსპორტი 20%-ით გაიზარდა $2,618 მილიარდს მიაღწია, ხოლო იმპორტმა მხოლოდ 2%-ით მოიკლო, $7,64 მილიარდამდე. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა თერთმეტი თვის განმავლობაში $4,446 მილიარდი, ანუ საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46% შეადგინა. ეს შარშანდელ მაჩვენებელზე 7%-ით ნაკლებია. იმ ქვეყნების რიცხვი, ვისთანაც საქართველოს უარყოფითი ბალანსი აქვს, შარშანდელთან შედარებით ექვსი ერთეულით – 92-მდე შემცირდა. თუმცა, იმავე რაოდენობით შემცირდა სახელმწიფოთა რაოდენობა, სადაც მეტი პროდუქცია გადის და მან 41 შეადგინა.

## საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

კორუფციის აღქმის ინდექსი 2013-ის შესაბამისად, საქართველო 177 ქვეყანას შორის 55-ე ადგილზე გავიდა და წინა წელთან შედარებით 4 ერთეულით დაქვეითდა; კონკურენტუნარიანობის

ინდექსი 2014-ის შესაბამისად, საქართველო 148 ქვეყანას შორის 72-ე ადგილზე გავიდა და წინა წელთან შედარებით 5 ერთეულით დაწინაურდა; ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2013-ის შესაბამისად, საქართველო 152 ქვეყანას შორის 25-ე ადგილზე გავიდა და წინა წელთან შედარებით 17 ერთეულით დაწინაურდა; ბიზნესის დაწყების სიმარტივის ინდექსი 2014-ის შესაბამისად, საქართველო 189 ქვეყანას შორის მე-8 ადგილზე გავიდა და წინა წელთან შედაფრებით 1 ერთეულით დაწინაურდა.

## რკინიგზის მშენებლობა არ შეწყვეტილა

განცხადებას ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტის შეჩერების შესახებ პროექტში მონაწილე კომპანია კატეგორიულად უარყოფს. „მარაბდა-კარწახის რკინიგზაში" განმარტავენ, რომ შესრულებულია სამუშაოების 31%-ზე მეტი და მუშაობა 4500 მეტრიანი გვირაბის მშენებლობაზე მიმდინარეობს. რკინიგზაში აცხადებენ, რომ არც ერთ მონაკვეთზე მუშაობა შეჩერებული არ არის.

## 16 ახალი ჰესი მტკვარზე

მდინარე მტკვარზე 16 ახალი ჰესის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება იგეგმება. ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანია „მტკვარი ენერგიას" შორის მემორანდუმი გაფორმდა. სამინისტროს ინფორმაციით, კომპანიამ კვლევა 27 თვეში უნდა დაასრულოს. ჰესების ჯამური დადგმული სიმძლავრე 331,6 მგვტ-ია, ხოლო წლიური გამომუშავება 1,815 მლრდ კვტ.საათს მიაღწევს.

## იუნესკომ ღვინის ქვევრში დაყენების მეთოდი ძეგლად აღიარა

იუნესკომ ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ეს პირველი ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელიც იუნესკომ დაამტკიცა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის ამოქმედების შემდეგ. ეს ხელს შეუწყობს საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციას. იუნესკოს ნომინაციაზე წარსადგენი დოკუმენტაცია 2012 წლიდან კულტურის სამინისტროში შექმნილმა მრავალდისციპლინარულმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა. ზემოხსენებული კონვენცია იუნესკომ 2003 წელს მიიღო. არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად მიჩნეულია ზეპირი გადმოცემები, ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები, რიტუალები, ფესტივალები, ხალხური რეწვა და სხვ.

## უნებართვო SMS-რეკლამებზე უარი თქვეს

უნებართვო SMS-რეკლამებზე უარი პირველმა „ტექნობუმმა" თქვა. მან მომხმარებელს შეატყობინა, რომ თუ აბონენტს არ სურს სარეკლამო ინფორმაციის მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მიღება, შეუძლია უარი განაცხადოს. კომპანიები, რომლებიც მომხმარებლებს შეთავაზებებს SMS-რეკლამებით ახვევენ თავს, არაკეთილსინდისიერ ქცევაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" ამხილა. სხვადასხვა პროფილის ფირმებთან ერთად, სიაში ტექნიკის რეალიზატორი ყველა კომპანია აღმოჩნდა.

„ეკო-დაიჯესტი" ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა თამთა ფეტელავამ

# რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა და მისი დაგეგმვის სტრუქტურა



რევაზ გველესიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ–გერმანული ინსტიტუტის დირექტორი

*იდეალურად რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია მიზანთა გლობალური, კარგად მოფიქრებული და შინაგანად გაწონასწორებული სისტემის განხორციელებაზე, რომელიც წარმატების იმ უმაღლეს დონეს გვიჩვენებს, რისი მიღწევაც შესაძლებელია არსებულ გარემოებებში.*

*რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ელემენტებია:*

*• მიზანზე ორიენტირებული სიტუაციის აღწერა და ანალიზი: დიაგნოზი;*

*• სამომავლო განვითარების წინასწარმეტყველება უცვლელი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში: სტატუს-კვო პროგნოზი;*

*• შესაძლო ღონისძიებებისა და მათი კომბინაციების შემოწმება იმ მიზნით, რომ დადგინდეს, როგორც ძირითადი და გვერდითი მოვლენები, ისე მოკლე და გრძელვადიანი ზემოქმედებები მიზანთა სისტემის გათვალისწინებით: ზემოქმედებათა პროგნოზირება;*

*• გეგმების შედგენა, რომლებშიც მიზნები და საშუალებანი ერთმანეთთან განსაზღვრული წინასწარმეტყველების საფუძველზე არის დაკავშირებული: პროგრამის მონახაზი;*

*• წინასწარ შედგენილი და უკვე განხორციელებული პროგრამების შედარებითი ანალიზი იმ მიზნით, რომ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი მომავალში გაუმჯობესდეს.*

*რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ელემენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოქმედების მართვის ცოდნა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავარ როლს თამაშობს.*

მიზნის რაციონალურობა, როგორც მეთოდური ნორმა, როცა მას ეკონომიკურ პოლიტიკასთან ვიყენებთ, მოითხოვს, რომ კრიტიკულად გავიაზროთ, როგორც მიზნები, ისე მიზნებსა და საშუალებებს შორის არსებული სავარაუდო დამოკიდებულებაც. თუმცა კრიტიკული გააზრება ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ საბოლოო ჯამში საუბარია ნორმატიულობის პრობლემაზე. ეს ეხება, როგორც მიზნის, ისე მოქმედების განსაზღვრას (ინსტრუმენტების გამოყენება). ამიტომაც ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემათა მეცნიერული განხილვის საფუძველზე მიღებულ შედეგებს ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ აუვლის გვერდს (როგორც მიზნების ფორმირების, ასევე მათი მიღწევის თაობაზე გადაწყვეტილებათა მიღებისას).

ჰერბერტ გირშმა [1,გვ.22] იდეალურად რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა შემდეგნაირად დაახასიათა: „...პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია მიზანთა გლობალური, კარგად მოფიქრებული და შინაგანად გაწონასწორებული სისტემის განხორციელებაზე, რომელიც წარმატების იმ უმაღლეს დონეს გვიჩვენებს, რისი მიღწევაც შესაძლებელია არსებულ გარემოებებში.“

რაციონალურობის ჩვენს მიერ ციტირებული განსაზღვრებიდან გამომდინარე მიზანთა სისტემა „გლობალური“ უნდა იყოს. ეს ასეა რადგან ეკონომიკური პოლიტიკისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზნებს შორის უამრავი ვერტიკალური და ჰორიზონტალური დამოკიდებულება არსებობს. თუ ეს მოთხოვნა არ გავითვალისწინეთ, მაშინ წინასწარ იქნება დაპროგრამებული გაუაზრებელი მოქმედების შედეგებთან დაკავშირებული ცდომილებები. ამიტომაც რეალურ სიტუაციაში ყოველთვის არსებობს იმის რისკი, რომ მოქმედების გარკვეული შედეგები გაუთვალისწინებელი დარჩება. ამავე დროს იმის მცდელობა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ყველა ინდივიდუალური გადაწყვეტილება მიზანზე ყველასთვის მისაღები ზემოქმედებისკენ მივმართოთ – ძალზე ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცედურა იქნება. შესაძლოა, უფრო მისაღები და შემამსუბუქებელი საშუალება იყოს ის, რომ

გადაწყვეტილების პროცესი მრავალსაფეხურიანი გავხადოთ. ამისათვის კი აუცილებელია გრძელვადიანი კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოქმედების ესა თუ ის შესაძლებლობა წინასწარ ავირჩიოთ. სწორედ ამას ნიშნავს კონცეფციის მიმართ კონფორმულობა. იგი გულისხმობს, რომ ჩამოყალიბებულია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც გლობალურ საზოგადოებრივ მიზნებთან დამოკიდებულებაში ეკონომიკის, როგორც ქვესისტემის სტატუსისა და ფორმირების თაობაზე საკმაოდ გრძელვადიან პოლიტიკურ კონსენსუსს ემყარება. ამგვარი კონცეფციის განვითარება და მისთვის ხანგრძლივი არსებობის პირობების უზრუნველყოფა წესრიგის პოლიტიკის ამოცანაა. იგი აუცილებლად რაციონალურობის მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. რაკი განსაზღვრების ელემენტები „კარგად გააზრებული“ და „შინაგანად გაწონასწორებულია“ შესაძლებელი ხდება მიზნებს შორის დამოკიდებულებების სათანადოდ გათვალისწინება. კარგად გააზრებული (თანმიმდევრული) ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს, რომ სწორად შევაფასოთ მიზნებს შორის კონფლიქტები და ანტინომიები თავიდან ავიცილოთ. კონცეფცია შინაგანად გაწონასწოერებულია თუ ნაპოვნია ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებს შორის მაქსიმალურად შესაძლებელი კომპრომისი. ამისათვის კი საჭიროა, რომ ცალკეული მიზანი მხოლოდ გარკვეულ დონეზე იქნეს რეალიზებული. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ მიზანთან შემდგომი მიახლოვების დამატებითმა ხარჯებმა შესაძლო პოზიტიური გვერდითი მოვლენების ჩათვლით არ გადაფაროს მისი რეალიზებით მიღებული უკუგება.

ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება გულისხმობს, რომ იდეალურ შემთხვევაშიც კი უნდა ამოვიდეთ არა გარანტირებული, არამედ სავარაუდო პოლიტიკური შედეგებიდან. ასეთი ვარაუდი კი მიუხედავად მისი სუბიექტური ხასიათისა, არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემის შეუსაბამო გამარტივებას. სწორედ ეს არის ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების ხელოვნება. რაც შეეხება ეკონომიკური პოლიტიკის „რუტინას” და მასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, ეს უფრო შესაძლებელია. საქმე ის არის, რომ ზემოქმედების ანალიზის ეკონომეტრული შედეგები ხშირად განმეორებადსა და ანალოგიურ მოქმედებებს ეხება. ხელსაყრელ შემთხვევაში ისინი მართვის კვანტიფიცირებულ გამოცდილებას წარმოგვიდგენს.

ამრიგად, წარმატების ხარისხი დამოკიდებულია არა გამოყენებული თეორიების რაოდენობაზე, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული გამტარებლის სტრატეგიულ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე უნდა განვიხილოთ:

- ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების უამრავ გამტარებელს შორის კოორდინაციის პრობლემა;
- იმ ინდივიდებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ზეგავლენა, რომლებიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობენ;
- შესაძლებლობა იმისა, რომ ეკონომიკური სუბიექტები, რომელთა ქცევამაც ზეგავლენა უნდა განიცადოს, ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების მოლოდინის საფუძველზე მოღვაწეობენ.

მაქსიმალური წარმატების მიღწევის მოთხოვნა ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის გადაჭრის ორი პრინციპული შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთს წარმოგვიდგენს. საქმე ეხება პრეტენზიას იმაზე, რომ პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა მიზანთან მიახლოვების ხარისხის მიხედვით მოხდეს. მიზნის ოპტიმიზაცია თან რეალური შესაძლებლობების საფუძველზე რაციონა ლურობის პრინციპთან ჰარმონიზების საშუალებასაც გვაძლევს. თუ მიზნის ოპტიმიზაციისას პრობლემის საუკეთესოდ გადაწყვეტას ვცდილობთ, მაშინ არეალის სწორი ამორჩევის შემთხვევაში ითვლება, რომ პრობლემა დამაკმაყოფილებლადაა გადაჭრილი.

განსაზღვრის მნიშვნელოვანი ელემენტი – „დაგეგმვა“, როგორც სამომავლო მოქმედების წინასწარ განჭვრეტის ფორმა, შესაძლებელია დამოკიდებულებაში იყოს, როგორც მოქმედებასთან, ასევე მოქმედებისგან თავის შეკავებასთან. ამასთანავე, მიზანშეწონილია ერთმანეთისგან განვასხვავოთ დაგეგმვის პროცედურის შემდეგი ნაბიჯები:

- მიზანზე ორიენტირებული სიტუაციის აღწერა და ანალიზი: დიაგნოზი;
- სამომავლო განვითარების წინასწარმეტყველება უცვლელი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში: სტატუს- კვო პროგნოზი;
- შესაძლო ღონისძიებებისა და მათი კომბინაციების შემოწმება იმ მიზნით, რომ დადგინდეს, როგორც ძირითადი და გვერდითი მოვლენები, ისე მოკლე და გრძელვადიანი ზემოქმედებები მიზანთა სისტემის გათვალისწინებით: ზემოქმედებათა პროგნოზირება;
- გეგმების შედგენა, რომლებშიც მიზნები და საშუალებანი ერთმანეთთან განსაზღვრული წინასწარმეტყველების საფუძველზე არის დაკავ-

შირებული: პროგრამის მონახაზი;

- წინასწარ შედგენილი და უკვე განხორციელებული პროგრამების შედარებითი ანალიზი იმ მიზნით, რომ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი მომავალში გაუმჯობესდეს.

რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის ელემენტთა ანალიზმა კიდევ ერთხელ უნდა დაგვანახოს, რომ მოქმედების მართვის ცოდნა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავარ როლს თამაშობს. ამ მხრივ საქმე გვაქვს ორ სიძნელესთან:

- მართვისათვის აუცილებელი ცოდნა, რომელზეც ხელი მიგვიწვდება ძალზე შეზღუდულია და
- გადაწყვეტილების გამტარებლის მიერ ამგვარი ცოდნის შეძენა და შეფასება ისეთი პრობლემაა, რომელიც სუბიექტური რაციონალურობის საფუძველზე უნდა გადაიჭრას.

ამ გარემოებებიდან გამომდინარე და მეთოდოლოგიური მიზანი-საშუალება-პრობლემის გათვალისწინებით შესაძლებელია მსჯელობა ასე შევაჯამოთ: „როცა რაციონალური პოლიტიკა არ გულისხმობს არათავსებად მიზნებს (არსებული ინფორმაციით) და მათი მიღწევის საშუალებებიც (საკუთარი შეფასებითი პოზიციიდან) შეესაბამება მიზნების სათანადო კომბინაციებს, რაც მათი მაქსიმალური რეალიზების პერსპექტივას (ინფორმაციის იმ მდგომარეობით, რომელიც წინაპირობად არის აღებული) ქმნის,მაშინ ამგვარ პოლიტიკას წინაპირობად მხოლოდ ინფორმაციული სისტემა აქვს (მიზანი-საშუალება-სისტემების სახით). რაციონალური პოლიტიკა სწორედ ამდენად არის შესაძლებლობის ხელოვნება“ [2, გვ.226]. საზოგადოდ ეკონომიკური პოლიტიკის რაციონალურობა ინდივიდუალური ეკონომიკური რაციონალურობიდან არსებითად არ განსხვავდება. ერთიც და მეორეც ისეთ დამხმარე მეთოდურ საშუალებას წარმოადგენს, რომლებსაც სახელმწიფოსთვის გაურკვეველი სარგებლობა მოაქვს. ამავე დროს მისი ალტერნატივა მხოლოდ სისტემურობასა და რაციონალურ მოქმედებაზე უარის თქმაა.

ლინკოლნის გამონათქვამი მოკლედ და ზუსტად ახასიათებს დაგეგმვის პროცედურას: „თუ წინასწარ გვეცოდინება სად ვიმყოფებით და რას ვესწრაფვით,მაშინ უკეთ შევაფასებთ თუ რა გავაკეთოთ და როგორ გავაკეთოთ.“ ამ სიტყვებით არსებითად დახასიათებულია დაგეგმვის სამივე ელემენტი: დიაგნოზი („სად ვიმყოფებით“), სტატუს-კვო პროგნოზი („რას ვესწრაფვით“) და პროგრამის მონახაზი („რა გავაკეთოთ და როგორ გავაკეთოთ“).

დიაგნოზი, უპირველეს ყოვლსა, პასუხს იძლევა შემდეგ კითხვებზე:

- რამდენად დაშორდა ეკონომიკური სიტუაცია დასახულ მიზნებს?
- როგორ აიხსნება მიზნებიდან გადახვევა არსებული ეკონომიკური განვითარების საფუძველზე?
- შესაძლებელია თუ არა მიზნებიდან გადახვევა შევამციროთ ან თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების თუ ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების გზით?

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ შეკითხვაზე მოხდა თუ არა მიზნიდან გადახვევა,აუცილებელია კონკრეტულ ინფორმაციას ვფლობდეთ ,როგორც იმის შესახებ თუ რა უნდა იყოს (მიზანი),ასევე თუ რა არის(ეკონომიკური პოლიტიკის რეალობა). ამრიგად, ერთის მხრივ, საქმე ეხება მიზნების ოპერაციონალიზებულ განსაზღვრებას, მეორეს მხრივ, კი - რეალობაზე დაკვირვებას და მის სტატისტიკურ აღწერას. მაგრამ ეს ორი ამოცანა არ არის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი. პირიქით, საბოლოო ჯამში მიზნები და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების დანახარჯები განსაზღვრავს იმას, რაც წინასწარი დაკვირვებით მოვიპოვეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ დამკვირვებელი შეფასების საფუძველზე არჩევანს აკეთებს მათ შორის, რასაც აკვირდება. თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ დაკვირვებაში მოცემული რამ მეცნიერულ შეფასებას გამორჩება. ხშირად დიაგნოზში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია, ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტში, ერთი კონკრეტული საკითხის განხილვისათვის გამოკვლეული არ არის. ამიტომაც შესაძლებელია, რომ დაკვირვების ფაქტობრივად ხელმისაწვდომი მასალა არ ემთხვეოდეს იმას, რაც აუცილებელი იქნებოდა ემპირიული შემოწმებისათვის. იგი ყოველთვის იმაზეა ორიენტირებული, რომ განმარტოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოვლენები. აქედან გამომდინარეობს დამატებითი პრობლემები არა მარტო დიაგნოზთან, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვასთან დამოკი დებულებაშიც.

ეკონომიკური თეორიის ამოცანებში ისიც შედის, რომ ჩამოაყალიბოს მიზნიდან გადახვევის განსაზღვრისათვის აუცილებელი წინაპირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ მან შესაძლებელი უნდა გახადოს დიაგნოზთან დაკავშირებული მეორე კითხვის ფორმულირება. ეს ამოცანა მით უკეთ იქნება შესრულებული, რაც უფრო ნაკლები იქნება დროსა და სივრცეში (განსაზღვრული პერიოდის კონკრეტული ეკონომიკისათვის) შეზღუდული ეკონო-

მიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტების განმარტებები (რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენილია მიზნის ცვლადებით) და რაც უფრო ცხადად იქნება წარმოდგენილი მიზეზსა და შედეგს შორის დამოკიდებულება. მიზეზებად და შედეგებად დახასიათებულ მოვლენებს შორის დამოკიდებულებები შესაძლებელია ჰიპოთეზის სახით წარმოვადგინოთ. თუ ეს ჰიპოთეზა მიზნის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ცნების განმარტების საფუძველზე იქნა დასაბუთებული, მაშინ გამონაკლის შემთხვევებში მიზნიდან გადახვევის მიზეზებიც შესაძლებელია მკაფიოდ განვმარტოდ. განმარტება (ახსნა) დამაჯერებელი, რომ იყოს, ჰიპოთეზა ცალმხრივი (ერთი მიზეზით განპირობებული) დამოკიდებულების არსებობას უნდა გულისხმობდეს, განსხვავებით განმარტების იმ მცდელობებისგან, რომლებიც მრავალი მიზეზის მოქმედებას მოიცავს.

თუ განსაზღვრის მცდელობა წინასწარი მონახაზის მიხედვით წარიმართა, მაშინ მოცემული ეკონომიკური პოლიტიკის გარემოებებიდან გამომდინარე, ნათელი გახდება მესამე კითხვაზე რა პასუხი უნდა გავცეთ. ეს პასუხი განსაზღვრის მცდელობის ისეთ ტრანსფორმაციას მოთხოვს, რომ: (1) დაკვირვებაში ფაქტობრივად მოცემული ღირებულებები მიზნად დასახული ღირებულებებით უნდა შეიცვალოს და (2) ისეთი საშუალებები გამოიძებნოს, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს დასახული მიზნები სხვა თანაბარ პირობებში განვახორციელოთ. ამ თვალსაზრისით დიაგნოზის ეს ნაწილი დამატებითი თერაპიაა. იგი ინფორმაციას გვაწვდის სამომავლო ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების შესაძლებლობათა შესახებ.

დიაგნოზის გარდაქმნა დამატებით თერაპიად ერთობ პრობლემურია. იგი თითქმის არ არის ორიენტირებული იმ საშუალებებსა და საშუალებათა კომბინაციებზე, რომლებსაც განმარტების პრინციპი მოიცავს. ამის საპირისპიროდ რაციონალური დაგეგმვა სწორედ იმას გულისხმობს, რომ აქამდე შეუმოწმებელი პროგრამის შეფასება მოხდეს. საქმე ეხება იმ პროგრამას, რომელიც, როგორც ჩანს, დასახულ მიზნებს მიესადაგება. თუ ეს გარემოება არ იქნა გათვალისწინებული, მაშინ დამატებითი თერაპიის შედეგებზე ორიენტირება კონსერვატიული შეფასების სახეს მიიღებს. ამდენად იგი ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკასთან შესაბამისობაში აღარ იქნება.

ლინკოლნის შეკითხვით „რას ვესწრაფვით" გამოთქმულია სტატუს-კვო პროგნოზის არსი. საქმე ეხება წინასწარმეტყველებას იმის თაობაზე თუ როგორ წარიმართებოდა საერთო ეკონომიკური განვითარების პროცესი სტაბილურ ვითარებაში (პრობლემებზე ზემოქმედების გარეშე), როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები ისევე მოქმედებს, როგორც წარსულში (ან თავს იკავებს მოქმედებიდან, როგორც წარსულში). ფორმალურად ასეთი სტატუს-კვო პროგნოზი შემდეგს ნიშნავს: არ შევეცადოთ, რომ საშუალების ცვლადების ცვლილებებმა ზეგავლენა მოახდინოს მიზნის ცვლადებზე. შედეგმა - პროგნოზირების პერიოდში მიზნიდან მოსალოდნელმა გადახვევამ - უნდა მოგვაწოდოს წინასწარი ინფორმაცია ეკონომიკური პოლიტიკის გადასაჭრელი პრობლემის მასშტაბისა და სტრუქტურის შესახებ. ინფორმაციამ პასუხი უნდა გასცეს ორ შეკითხვაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია თერაპიის თვალსაზრისით:

- ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემა ახლო მომავალში თავისთავად მოგვარდეს?
- რამდენად მასშტაბური იქნება მიზნიდან გადახვევა იმ დროისათვის, როცა საშუალების გამოყენება (მასთან დაკავშირებული დაყოვნებების გათვალისწინებით) გარკვეულ ზემოქმედებას გამოიწვევს?

თუ გვსურს თავიდან ავიცილოთ არაზუსტი დოზირება, აუცილებელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. პროგრამის მონახაზიც ემყარება გარკვეულ პროგნოზებს, სადაც საქმე ეხება იმ ზემოქმედებათა შეფასებას, რომლებსაც ინსტრუმენტების ცვლილებები იწვევს. აქედან გამომდინარე სტატუს-კვო პროგნოზისგან განსხვავებით, მათ შეგვიძლია ზემოქმედებათა პროგნოზები ვუწოდოთ.

პროგნოზების ფუნქცია სწორედ იმ ბუნდოვანების გაფანტვაა, რომელშიც ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღება გვიხდება. მათი საშუალებით ჩვენ სუბიექტური ვარაუდების შესაძლებლობათა სპექტრს განსაზღვრულ ჩარჩოებში ვაქცევთ. ადამიანებს გარკვეული მოლოდინი აქვთ მომავლის მოვლენების მიმართ. ამ მხრივ მოლოდინს ახასიათებს პროგნოზის, როგორც ოპტიმისტური და პესიმისტური, ისე შუალედური ვარიაციები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირობები, რომლებიც მათ შეესაბამება.

პროგნოზური ხასიათისაა ის დებულებები, რომლებსაც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები ადგენენ იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვება მომავალში რომელიმე ინსტრუმენტის გამოყენებას. სტატუს-კვო პროგნოზებისგან განსხვავებით, ამ ტიპის პროგნოზები გვაუწყებენ რა

მოხდება, თუ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ინსტანციები შეცვლიან (ზემოქმედების პროგნოზები) თავიანთ ქცევას. აქ საქმე არ ეხება საკუთრივ მოქმედების თუ მოქმედებისგან თავის შეკავების პროგნოზირებას. პირიქით, ამგვარი დებულებები სწორედ იმას გვიჩვენებს, თუ როგორ მიიღწევა მიზანი ინსტრუმენტის გამოყენებით ან მისი შეცვლის გზით.

ზემოქმედების პროგნოზი პროგრამის მონახაზის შედგენას აადვილებს. შემდგომში იგი ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა საფუძველი უნდა გახდეს. მყარად დადგენილი წესების არსებობის პირობებში ეკონომიკურ პოლიტიკაში რაციონალურ და კომპეტენტურ გადაწყვეტილებებს მივიღებთ და ამ გადაწყვეტილებათა მომზადებასაც შევძლებთ.

როგორც სტატუს-კვო პროგნოზი, ისე ზემოქმედების პროგნოზიც იმ წანამძღვარს ემყარება, რომ მიზანდასახულობანი, სულ ცოტა, წინასწარ ცნობილი და ოპერაციონალიზებადია. მიზანდასახულობის გარეშე კი პროგნოზებზე ორიენტაციას აზრი დაეკარგებოდა. ყველა მიზანდასახულობა არის წინასწარი, ვინაიდან მან, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის შედეგმა, შესაძლოა ცვლილება განიცადოს. რამდენადაც დაგეგმვა ეკონომიკური პოლიტიკის რჩევის საგანია, მრჩეველსა და რჩევის ადრესატს შორის დამოკიდებულება ანგარიშგასაწევი ხდება.

სტატუს-კვო პროგნოზებისგან განსხვავებით პროგნოზის ის ტექნოლოგიები, რომლებსაც ზემოქმედების პროგნოზებში იყენებენ, მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. უარი უნდა ვთქვათ ექსტრაპოლაციურსა და ინდიკატორულ მეთოდებზე, ვინაიდან საქმე სწორედ იმის შემოწმებას ეხება საერთოდ თუ იცვლება და როგორ იცვლება შემეცნების ტენდენცია. ეს კი წინასწარ გულისხმობს ზემოქმედებებს შორის კავშირ-დამოკიდებულებებისა და კაუზალურ-ანალიტიკური პროცედურების შესახებ ცოდნას ანდა დასაბუთებულ ვარაუდებს მაინც. ამ შემთხვევაში არასაკმარისად კვანტიფიცირებადი ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებისა და ღონისძიებების სახით განსაკუთრებულ სიძნელეებს ვაწყდებით.

კიდევ ერთ პრობლემას ქმნის ზემოქმედების იმ ღონისძიებათა ანალიზი, რომელთა შემოწმება მანამდე არ მომხდარა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. მათი გათვალისწინება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ისეთი ვარაუდების შეფასება, რომლებიც ემპირიულ შემოწმებას არ ექვემდებარება.

ზემოქმედების პროგნოზების შედგენა კიდევ უფრო ძნელია. ეს იმიტომ, რომ კერძო ეკონომიკური სუბიექტებიც გადაწყვეტილებას იმის შესახებ თუ როგორ უნდა იმოქმედონ მომავალში – ინფორმაციაზე დამყარებული მოლოდინის საფუძველზე იღებენ. ეკონომიკურ სუბიექტთა მოლოდინზე დამყარებული მოქმედებები მით უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეკონომიკური პოლიტიკის მართვის მცდელობაზე მათ რეაქციებს ეხება. ამგვარი მცდელობა არის არაპირდაპირი ზემოქმედება, რასაც მიზნის მიმართ საშუალების გამოყენება იწვევს.

ზემოქმედების პროგნოზის შედგენისას შეზღუდვა, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია (ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის ჩარჩოებში) დამკვიდრებული მაკროეკონომიკური მოდელის გამოყენების წინააღმდეგ. ბოლო ათწლეულებში ამგვარი მცდელობები არსებითად ეკონომიკური პოლიტიკის „რუტინას" დაუახლოვდა. ამან საგრძნობლად გაზარდა კერძო ეკონომიკური სუბიექტების შანსი, რომ მათ პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკასა და მის შედეგებზე გამოცდილება დაეგროვებინათ. ამის საფუძველზე მათ ჰქონდათ შესაძლებლობა რაციონალური მოლოდინის ტენდენციები ჩამოეყალიბებინათ [3,გვ.435]. მაგ., მათ მიიღეს გამოცდილება იმის შესახებ, რომ ეკონომიკის (ბიზნეს აქტივობის) გაჯანსაღების ღონისძიებებს ინფლაციური შედეგები მოჰყვება. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ გააქტივებული მოთხოვნის ზრდა (თუ მისი ნაწილობრივი განეიტრალება არ მოხდა) როგორც წესი, უარყოფითად მოქმედებს, როგორც სასაქონლო, ისე შრომის ბაზარზე. ეკონომიკური პოლიტიკის აქტივობის დაქვეითება ინვესტორებს აფრთხობს, რაც დაქვეითებას კიდევ უფრო აჩქარებს. ამის დასტურია წესად ქცეული ინვესტიციების საგადასახადო სტიმულირება. ტენდენციურ რაციონალურ მოლოდინთა შემთხვევაში არსებობს იმის საფრთხე, რომ სტაბილიზაციის პოლიტიკამ ეფექტიანობა დაუკარგოს ხელშემწყობ გარემოებებს ანდა ისინი კონტრპროდუქტიული გახადოს.

ასე რომ, რაციონალური ჰიპოთეზების ანდა რაციონალური მოლოდინის ტენდენციათა ემპირიული მნიშვნელობა თუ აბსოლუტურად გაუგებარი არა, ძალზე საკამათო მაინც არის [4, გვ.210]. ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რომ ა)მართვის ცოდნა კერძო ეკონომიკურ სუბიქტებს შორისაც ვრცელდება; ბ) მათ უნარი შესწევთ შეაფასონ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესი და გ) აქედან გამომდინარე, შესაძლებლობებზე წინასწარ შემუშავებული პოზიციებით იმოქმე-

დონ. ამ პირობებს, რა თქმა უნდა, ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების ყველა სფერო ერთნაირად ვერ დააკმაყოფილებს. ამავე დროს, მოლოდინის ფორმირების პროცესს ერთჯერადი თუ ხელისუფლების მიერ პერიოდულად განხორციელებული ინტერვენციები აფერხებს. მიუხედავად ამისა, რაციონალური მოლოდინის არგუმენტი მნიშვნელობას ამ შემთხვევაშიც ინარჩუნებს. როგორც კი გავითვალისწინებთ, რომ კერძო ეკონომიკური სუბიექტები ცდილობენ წინასწარ განჭვრიტონ პოლიტიკური გადაწყვეტილებები და მათგან გამომდინარე შედეგები, მაშინვე ეჭვის ქვეშ დგება ის, თუ რამდენად სტაბილურია მათი ქცევა. ეკონომიკური პოლიტიკისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ საბაზისო ცოდნა (რომელიც „რუტინასთან" შედარებით ისედაც მწირია) მართვის ერთჯერადი თუ არარეგულარული მცდელობების შემთხვევაში კიდევ უფრო მცირდება.

მოქმედების შესაძლებლობათა ანალიზი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გვაწვდის ერთმანეთთან კარგად შეთანხმებულ ღონისძიებათა კომბინაციებს (პროგრამის მონახაზები). ამგვარი გამონაკლისები კი სხვა არაფერია თუ არა გადაწყვეტილების აბსოლუტურად კვანტიფიცირებული და ჩაკეტილი მოდელების გამოყენების შედეგი. რაციონალური მოლოდინი გასაკვირია, მაგრამ სწორედ მათ წინააღმდეგაა მიმართული. საზოგადოდ, პროგრამის მონახაზები მცდელობადაა მიჩნეული. აქ იგულისხმება, რომ ნაწილობრივ ემპირიული ანალიზი და შეუმოწმებელი თეორიების საფუძველზე მიღებული ზემოქმედების შესახებ ვარაუდები პროგრამის მონახაზებს ზეგავლენის არაკონტროლირებადი სიდიდეების საშუალებით მოქმედების შესაძლებლობად აქცევს.

პროგრამის მონახაზები, როგორც წესი, გულისხმობს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის შესაძლებლობათა იმ სპექტრიდან, რომელსაც ზემოქმედების პროგნოზები მოიცავს, შემფასებლურ არჩევანს წინასწარ ვაკეთებთ. შეფასებები აუცილებელია იმისთვის, რომ გამოვთვალოთ გააზრებულ ღონისძიებათა, როგორც ძირითადი და გვერდითი ზემოქმედების, ისე მათი მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზეგავლენის შედეგები. ამავე დროს, წინასწარ უნდა შევიქმნათ წარმოდგენა ეკონომიკური პოლიტიკის საერთო სარგებლის თაობაზე. ვინაიდან ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა გადაწყვეტილების გამტარებლის მიერ დელეგირებულია სხვა სუბიექტებსა და სტრუქტურებზე, ამიტომ ისიც უნდა ჩაერთოს ამ პროცესში კონსულტაციის თუ პროგნოზზე მსჯელობის საფუძველზე. სხვანაირად მის ადგილს მრჩევლის ზედაპირული მითითებები დაიკავებს. აქაც იკვეთება ეკონომიკურ–პოლიტიკური რჩევის პრობლემა. სხვა მხრივ, ამგვარი წინასწარი არჩევანის შესაძლებლობა შეზღუდულია, როცა ჩვენს წინაშეა ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატივების ვიწრო სპექტრი. თუმცა ასეთი რამ წესრიგის პოლიტიკის გადაწყვეტილებათა სფეროში იშვიათად ხდება.

ადამიანები საზოგადოდ თავიანთი წარმატებისა თუ წარუმატებლობის გამოცდილებაზე სწავლობენ. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვასთან დამოკიდებულებაშიც გონივრულია, რომ ახალი გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გამოცდილება გავითვალისწინოთ. ეს კი წინასწარ გულისხმობს იმას, რომ წარსულში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა კრიტიკულად არის გასაანალიზებელი. ეს არის ერთადერთი გზა იმის გასაგებად, თუ

- რამდენად მოხერხდა დასახული მიზნის მიღწევა;
- დაგვიანებით ხომ არ გაირკვა, რომ ამა თუ იმ მიზნის მიღწევა შეუძლებელია;
- პროგრამა ნაწილობრივ ანდა მთლიანად მცდარ საფუძველს ხომ არ ემყარებოდა;
- რა ფაქტობრივი პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები გამოიწვია პროგრამის რეალიზებამ;
- რატომ მოხდა პროგრამის მხოლოდ ნაწილობრივი რეალიზება;
- რამდენად დააზიანა კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკის გეგმები სხვა ინდივიდთა მოქმედებებმა და რეაქციებმა [5, გვ.195].

ყოველივე ეს სისტემურად და მიუკერძოებლად უნდა შეაფასონ დამოუკიდებელმა საექსპერტო ინსტანციებმა. განვითარებულ ქვეყნებში გადაწყვეტილებათა გამტარებლები, როგორც მათი პუბლიკაციებიდან ირკვევა ხოლმე, წარუმატებლობის პოლიტიკურ მიზეზებს არ ეხებიან. საპირისპირო მდგომარეობა გვაქვს განვითარებად ქვეყნებში. ამასთან, გადაწყვეტილების გამტარებელთა საპარლამენტო-დემოკრატიული ცვლა გამოცდილების პროცესის წყვეტას იწვევს. ჩვეულებრივ, არც იმის მოლოდინი უნდა გვქონდეს, რომ ოპოზიცია მოგვაწვდის სიტუაციის ობიექტურ ანალიზს, თუმცა კონტროლის ფუნქცია მას ეკისრება. მთავრობა ცდილობს ისეთ ორგანოდ წარმოგვიდგეს, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის შეცდომების ფორმირებაში არსებით მონაწილეობას არ ღებულობს. თვითკრიტიკისადმი მისი მოწოდება ამაში ვერაფერს ცვლის. პირიქით, წინა პლანზე იწევს

ინსტიტუციათა კრიტიკის საჭიროება, რომელიც პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკას მუდამ თან უნდა ახლდეს. აუცილებელია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის კონსულტაციები თავის ფუნქციას კარგად ასრულებდეს.

შედეგის კონტროლის ასპექტით ზემოთ ჩამოყალიბებული საკითხები ორ სფეროდ იყოფა:

- ეკონომიკურ–პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელების დამატებითი ანალიზი და
- ხარჯებისა და სარგებლის დამატებითი ეკონომიკურ–პოლიტიკური ანალიზი.

პირველი სფერო განიხილავს იმას თუ რა და როგორ იქნა მიღწეული. მეორე სფეროს ძირითადი საკითხია ამართლებს თუ არა მიღებული სარგებელი გაწეულ დანახარჯებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. GIERSCH, H. (1961), Allgemeine Wirtschaftspolitik (Erster Band: Grundlagen), unveraenderter Nachdr., Wiesbaden, 1990.
2. ALBERT, H. (1960), Wissenschaft und Plolitik – Zum Problem der Anwendbarkeit einer wertfreien Sozialwissenschaft; in E. TUCHTFELDT (Hrsg.): Probleme der Wissenschaftstheorie (Festschrift fuer Victor Kraft), Wien, S.201-232.
3. GAEFGEN, G. (1986), Komplexitaet und wirtschaftspolitisches Handeln – Anmerkungen zur Krise der theoretischen Wirtschaftspolitik; in R. KAPPEL. (Hrsg.): Im Spannungsfeld von Wirtschaft, Technik und Politik (Festschrift fuer Bruno Frisch), Muenchen, S.435-452.
4. KIRCHGAESSNER, G. (1985), Ist „rationale" Wirtschaftspolitik moeglich? – Zu den Auswirkungen der Theorie rationale Erwartungen und der oekonomischen Theorie der Politik auf die Theorie der Wirtschaftspolitik. Konjunkturpolitik 31, S.209-237.
5. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ–პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბ., 2012.


## Rational Economic Policy and Planning Structure


Revaz Gvelesiani
Full Professor of Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
Head of economic policy department,
Director of Economic policy Georgian-German Institute



Ideal rational economic is oriented on implementing global, well thought and balanced goal system which shows the highest level of success.

Defining elements of rational economic policy are:

- Description of goal-oriented situation; analysis; diagnosis
- Future development forecast in invariable policy: forecast of status quo
- Possible measure and combination check in order to set primary and lateral actions in short and long term system: Impact forecast
- Make plans where goals and means are connected with defined forecast
- Comparative analysis of planned and implemented programs in order to get a better result in future

Analysis of rational policy elements shows that knowledge of performance management is the most important while taking decision.

# სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებები



ეთერ სარჯველაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

*სასურსათო პროდუქტების უვნებლობა – თანამედროვეობის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. იგი წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ჯანმრთელობას. შესაბამისად, უნდა იყოს დაცული ადამიანების უფლება მიიღონ უვნებელი საკვები.*

*სასურსათო პროდუქტების უვნებლობის პრობლემის აქტუალურობას განაპირობებს სურსათით საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი გაფართოება.*

*ევროკავშირში მომხმარებელთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და ეკონომიკური ინტერესების ეფექტურ დაცვას ევროკავშირის ერთიანი კანონმდებლობა უზრუნველყოფს.*

*2005-2007 წლებში საქართველოს კანონში „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ"განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოს სასურსათო სფეროს საკანონმდებლო სივრცე და კანონგამოყენებითი პრაქტიკა დაშორდა ევრორეგულაციის მოთხოვნებს, რის შედეგადაც მივიღეთ:*

*- სამომხმარებლო ბაზარზე არც თუ იშვიათად, ხვდებოდა სასურსათო პროდუქტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა ადამიანის ჯანმრთელობას;*

*- ხელისუფლებამ, როგორც ადგილობრივ წარმოებებზე, ასევე იმპორტირებულ პროდუქციაზე ინსპექტირების შეჩერებით, საქართველო ადვილად შემოსაღწევ ბაზრად გახადა სხვა ქვეყნებში დაწუნებული და ფალსიფიცირებული, იაფი, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი პროდუქციისათვის, რამაც საბოლოო ჯამში დააზარალა მომხმარებელიც, მწარმოებელიც და საბოლოოდ, ქვეყნის ეკონომიკაც.*

*ვილნიუსის სამიტზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებით საქართველოს მთავრობამ დაადასტურა მზადყოფნა შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის სურსათის უვნებლობისა და მომხმარებელთა უფლებების სამართლებრივი დაცვის კუთხით.*

სასურსათო პროდუქტების უვნებლობა – თანამედროვეობის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომლის აქტუალობა წლითიწლობით იზრდება, რადგან სწორედ სასურსათო პროდუქტებისა და ნედლეულის უვნებლობა წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და გენოფონდის შენარჩუნებას.

სურსათით ვაჭრობის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამ პროდუქციას პირდაპირი და უშუალო გავლენა აქვს მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე. მავნე პროდუქტის მოხმარებამ შეიძლება სერიოზულად დააზარალოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და შესაბამისად მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაც.

ჩვენ დროში, განუწყვეტლივ ფართოვდება სასურსათო პროდუქტების ასორტიმენტი, იცვლება კვების ხასიათი, ხდება წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია გამოყენებული ქიმიური ნაერთების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან. სასურსათო პროდუქტებში, მავნე ადამიანის ორგანიზმისათვის საშიში ნაერთების მოხვედრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენებით დაბინძურებული გარემო.

სასურსათო პროდუქტების უვნებლობის ძირითადი გარანტია მათი სერტიფიცირების და სტანდარტიზაციის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემაა. კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ძირითადად ხდება საბოლოო პროდუქციის სერტიფიცირება. მომხმარებლის უფლებების დაცვისათვის აუცილებელია, მოხდეს არა მარტო საბოლოო პროდუქტის არამედ წარმოების სერტიფიცირება, რაც საშუალებას მის-

ცემს კომპეტენტურ ორგანოებს მკაცრად აკონტროლონ სასურსათო პროდუქციის ხარისხი, მისი წარმოების ყველა ეტაპზე, დაწყებული ნედლეულიდან – საბოლოო პროდუქტით დამთავრებული.

სასურსათო პროდუქტების უვნებლობის საკითხის გადაჭრისათვის, უპირველეს ყოვლისა უნდა გადაიჭრას ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის წარმოების საკითხი. ეს გლობალური ამოცანაა და მისი გადაჭრისათვის საჭიროა არა მარტო დრო, არამედ – ფინანსები.

უმრავლეს ქვეყნებში საკვებზე კონტროლის მოდელი ერთმანეთის ანალოგიური იყო. ადამიანისა და საქონლის საკვებზე კონტროლის განხორციელების პასუხისმგებლობა განაწილებული იყო სხვადასხვა სამინისტროებს შორის და მასში მონაწილეობდა მრავალი ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი სამსახური. საკვებთან ასოცირებული საფრთხეების (ძროხის ღრუბლისებრი ენცეფალოპატია და დიოქსინის არსებობა) განვითარების ქრონოლოგიამ ქვეყნები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ აუცილებელია ტრადიციული მიდგომების გადასინჯვა. იმ ფაქტმა, რომ უკანასკნელ პერიოდში საკვებთან დაკავშირებით წარმოქმნილი კრიზისის მიზეზი ცხოველთა საკვების სექტორის ჩავარდნა გახდა, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკვების წარმოებისა და მიწოდების მთლიანი ჯაჭვის – "ფერმერიდან ჩანგლამდე" - ყველა რგოლზე კონტროლის დაწესების აუცილებლობას. ამჟამად, ყველა ადიარებს რომ საკვების უსაფრთხოების სტრატეგიის წარმატებისათვის აუცილებელია ადამიანისა და ცხოველთა საკვებზე კონტროლის სისტემების ინტეგრაცია და სათანადო კოორდინაცია.

XX საუკუნის 70 წლებში შემუშავებულ იქნა "საშიში ფაქტორის ანალიზისას კრიტიკული საკონტროლო წერტილის გამოვლენის კონცეფცია" (HACCP - Hazard Analyses and Critical Control Point) (3).

ამ კონცეფციის მიხედვით სასურსათო პროდუქტების უვნებლობის უზრუნველსაყოფად არ არის საკმარისი საბოლოო პროდუქტის ხარისხისა და უვნებლობის კონტროლი, აუცილებელია ვაწარმოოთ "საშიში ფაქტორების" გამოვლენა და მათი "კრიტიკული წერტილების" მონიტორინგი პროდუქციის წარმოების მთელი პროცესის განმავლობაში, დაწყებული ნედლეულიდან – მზა პროდუქტემდე. ამ კონცეფციის მიხედვით სასურსათო პროდუქტების წარმოებისას საშიში ფაქტორების გამოვლენაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ მწარმოებლებს, რაც საშუალებას აძლევთ მათ აამაღლონ პროდუქციის უვნებლობის კონტროლის ეფექტურობა.

ვინაიდან სასურსათო პროდუქტების უვნებლობა ხარისხის შემადგენელი ნაწილია ამ პროექტის შესრულებაში ჩაერთო ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაცია. 1962 წელს შეიქმნა სასურსათო პროდუქტების სტანდარტებთან დაკავშირებული გაერთიანებული პროგრამა, რომლის შემსრულებელ ორგანოსაც ჩოდეხ ლიმენტარიუს კომისია წარმოადგენს (1).

ჩოდეხ ლიმენტარიუს კომისია მთავრობათაშორისი ორგანოა. ამჟამად მასში 163 სახელმწიფოა გაერთიანებული. გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებენ ყოველი წევრის ინტერესებს. მეცნიერულად დასაბუთებული სტანდარტები ხელს უწყობენ სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობაში დისკრიმინაციული, ხელოვნური და გაუმართლებელი ბარიერების გაუქმებას.

სასურსათო პროდუქტების უვნებლობის პრობლემის აქტუალურობას განაპირობებს სურსათით საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება. სურსათითა და მისი ნედლეულით მსოფლიო ვაჭრობის მოცულობამ 450 მლარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. მსოფლიო ვაჭრობის პრობლემების მოწესრიგების მიზნით 1995 წელს შეიქმნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. საქართველო ამ ორგანიზაციის წევრია 1999 წლიდან.

სურსათის ხარისხისა და უვნებლობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ხელშეკრულება:

- შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების შესახებ;
- შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ.

სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გასატარებელ შეთანხმებაში მითითებულია ჩოდეხ ლიმენტარიუს კომისიის სასურსათო პროდუქტები უვნებლობასთან დაკავშირებული სტანარტები.

ჩოდეხ ლიმენტარიუს კომისიის სტანდარტები, ტექნიკური ნორმები და წესები მიეწოდება სამთავრობო ორგანოებს რეკომენდაციების სახით. ხარისხის სხვა ასპექტებთან დაკავშირებული სტანდარტები წარმოადგენენ ნაციონალური ნორმატივების საფუძველს. მათი გამოყენება აძლევს საშუალებას ქვეყანას აწარმოოს უვნებელი, ხარისხიანი, სათანადოდ მარკირებული და შეფუთული სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა.

ჩოდეხ ლიმენტარიუს სტანდარტები შეიცავენ რეკომენდაციებს სასურსათო პროდუქტების ექსპერტიზისა და სერტიფიცირების სისტემის

შესახებ, ანალიზისა და სინჯის აღების მეთოდების შესახებ. ეს ყველაფერი წარმოადგენს საერთაშორისო მიმოქცევაში არსებული სასურსათო პროდუქტების სტანდარტების გამოყენების საფუძველს.

ჩოდეხ ლიმენტარიუს სტანდარტის ან რეკომენდაციის შემუშავებაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ხდება მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ ეს სტანდარტი ან რეკომენდაცია აუცილებელია მომხმარებელთა დაცვისათვის და იგი არ არის დანერგილი საერთაშორისო ვაჭრობაში. სტანდარტის შემუშავებაზე წინადადება შესაძლებელია შეიტანოს ჩოდეხ ლიმენტარიუს კომისიის ნებისმიერმა წევრმა ქვეყანამ საკუთარ კანონმდებლობაზე დაყრდნობით (სხვადასხვა ქვეყნებში შემუშავებული სასურსათო პროდუქტების უვნებლობის კრიტერიუმები ხშირად განსხვავდება ერთმანეთისაგან).

ახალი სტანდარტის შესამუშავებლად საჭირო რისკის შეფასებას ახდენენ ექსპერტთა დამოუკიდებელი ჯგუფები. ამ სამუშაოს ნაციონალურ დონეზე ჩატარების დროს სასურსათო პროდუქტების უვნებლობის შესახებ საწყის მონაცემებს ადგენს კვების ან ქიმიური საწარმო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ან უმაღლესი სასწავლებელი. მას შემდეგ რაც შესამუშავებელი სტანდარტის უვნებლობა მეცნიერულად დადგინდება იგი გადის 8-საფეხურიან პროცედურას –” ჩოდეხ ლიმენტარიუს სტანდარტებისა და განმარტებითი ტექსტების შემუშავების კომისიის პროცედურა”-ს.

ვინაიდან ჩოდეხ ლიმენტარიუს სტანდარტები ატარებენ რეკომენდაციის ხასიათს, მათი გამოყენების ან არ გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქვეყნის მთავრობა. მართალია საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები (შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ, შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების შესახებ) არ ავალდებულებენ სახელმწიფოს მთავრობას ჩოდეხ ლიმენტარიუს სტანდარტების გამოყენებას, მაგრამ ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია ზემოქმედების ზომები იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მთავრობის მიერ შემოღებული ნორმატივები უფრო მკაცრია ვიდრე ჩოდეხ ლიმენტარიუს სტანდარტები.

ამრიგად, საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები ქმნიან მთავრობების მიერ ჩოდეხ ლიმენტარიუს სტანდარტების გამოყენების სამართლებრივ ბაზას იმ შემთხვევაში როდესაც ეს სტანდარტები აკმაყოფილებენ მათ ნაციონალურ და იურიდიულ მოთხოვნებს.

სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი სისტემებისა და ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით ჩოდეხ ლიმენტარიუს სტანდარტები ნაციონალური ნორმატივების შემუშავების დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნან როგორც უშუალოდ, ასევე მინიშნების სახით.

კომისიამ თავისი არსებობის განმავლობაში მიიღო 200-მდე სტანდარტი ცალკეულ სასურსათო პროდუქტზე, საერთო სტანდარტები სასურსათო პროდუქტებისა და საკვები დანამატების მარკირების სფეროში, როგორც ზოგადი ასევე კონკრეტული ტექნოლოგიების ჰიგიენური ნორმები, დაადგინა სასურსათო პროდუქტებში არსებული 2800-მდე ქიმიური ნივთიერებების ზღვრული დასაშვები კონცენტრაციები.

1995 წელს ჩოდეხ ლიმენტარიუს კომისიამ მიიღო დეკლარაცია – Codex Alimentarius გადაწყვეტილებების პროცესში მეცნიერების როლის და სხვა ფაქტორების გავლენის ხარისხის შესახებ”. რომლის ძირითადი პრინციპებია:

- სტანდარტებისა და სხვა ტექსტების შემუშავება უნდა ეფუძნებოდეს მკაცრ მეცნიერულ ანალიზს და აუცილებელი ინფორმაციის შემცველ მონაცემებს. ეს უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობასა და ხარისხს;
- კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ეხება მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვასა და საერთაშორისო ვაჭრობის ხელისშეწყობას;
- დასახული მიზნების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასურსათო პროდუქტების მარკირება;
- თუ ჩოდეხ ლიმენტარიუს კომისიის წევრება შორის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის აუცილებელი დონის შესახებ შეთანხმების მიღწევისას ადგილი აქვს განსხვავებულ აზრს სხვა კანონიერი ფაქტორების შესახებ, მაშინ განსხვავებული აზრის მქონე წევრებს შეუძლიათ თავი შეიკავონ სტანდარტის მიღებისაგან.

როგორც განვითარებულმა, ასევე განვითარებადმა ქვეყნებმა იციან, რომ ჩოდეხ ლიმენტარიუს კომისიის სტანდარტების, ზოგადი პრინციპებისა და რეკომენდაციების გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასურსათო პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულებაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა:

- სასურსათო პროდუქტების კონტროლის ნაციონალური სისტემის გამართულობას;
- ნაციონალური ნორმატიული ბაზის საერ-

თაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;

- სასურსათო პროდუქტების იმპორტ/ექსპორტის შემოწმებისა და სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბებას.

ზემოდ აღნიშნულიდან გამომდინარე, FAO-ს სასურსათო პროდუქტების ხარისხისა და სტანდარტების სამსახური სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო დაწესებულებებსა და კვების საწარმოებს აძლევს ტექნიკურ კონსულტაციებს, ეხმარება შემოწმების, ნიმუშის აღების, ანალიზის და საერთო კონტროლის საკითხებში.

ევროკავშირში 500 მილიონზე მეტი მომხმარებელი ცხოვრობს. ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ თანამეგობრობის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია მომხმარებელი ევროკავშირის ბაზარს ენდობოდეს. ამიტომ ევროკავშირის ყველა ქვეყანაში მომხმარებლებს ერთნაირი უფლებები აქვთ. მომხმარებელთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და ეკონომიკური ინტერესების ეფექტურ დაცვას ევროკავშირის ერთიანი კანონმდებლობა უზრუნველყოფს.

ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზა სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისათვის, მაგრამ ის ასევე ეხება იმ ქვეყნებსაც, რომლებიც მიისწრაფვიან ევროკავშირისაკენ და აღიარებენ მათ საკანონმდებლო რეგულირებას. სურსათის სფეროში სამეზობლო პოლიტიკის ძირითად საკანონმდებლო აქტს, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო პროდუქტების მაქსიმალურ უვნებლობას, 2002 წელს მიღებული ჩ 178/2002 - „სურსათის შესახებ კანონის ზოგადი საფუძვლები და მოთხოვნები” წარმოადგენს (2). ამ რეგულაციის 49-ე მუხლის მიხედვით, ყველა ქვეყანა, რომელიც აღიარებს ევროპულ კანონმდებლობას და მონაწილეობს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში, თანაბარ პირობებში უნდა იყოს.

ვინაიდან საქართველომ აღიარა ევროპული კანონმდებლობა და მონაწილეობდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში, სურსათის უვნებლობის სფეროში აღებული ვალდებულების განხორციელების მიზნით, 2005 წელს მიიღო საქართველოს კანონი „ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ” (5) და კანონის აღსრულებისათვის აუცილებელი არაერთი ტექნიკური რეგლამენტი (რომელიც ძირითადად ევროპულ მიდგომებსა და პრინციპებზე იყო დაფუძნებული).

2006 წლის 29 დეკემბერს (კანონის სრულ ამოქმედებამდე 3 დღით ადრე) საქართველოს მთავრობისა და 2007 წლის 29 ივნისს პარლამენტართა ჯგუფის ინიციატივით კანონში შესული ცვლილებების შედეგად კანონის ძირითადი მუხლების მოქმედება შეჩერდა. შედეგად მივიღეთ, რომ 2005 წლიდან საქართველოში არ არსებობდა სურსათის უვნებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა და მომხმარებელი მხოლოდ მეწარმის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. ამ ცვლილებების შედეგად საქართველოს სასურსათო სფეროს საკანონმდებლო სივრცე და კანონგამოყენებითი პრაქტიკა დაშორდა ევრორეგულაციის მოთხოვნებს, რის შედეგადაც მივიღეთ:

-სამომხმარებლო ბაზარზე არც თუ იშვიათად, ხვდებოდა სასურსათო პროდუქტები, რომლებიც საფრთხე უქმნიდა ადამიანის ჯანმრთელობას;

- ხელისუფლებამ, როგორც ადგილობრივ წარმოებებზე, ასევე იმპორტირებულ პროდუქციაზე ინსპექტირების შეჩერებით ადვილად შემოსაღწევ ბაზრად გახადა სხვა ქვეყნებში დაწუნებული და ფალსიფიცირებული იაფი, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი პროდუქცია.

ასეთი სახის იმპორტირებული იაფი პროდუქცია კონკურენციას უწევს ადგილობრივ პროდუქციას და უკონტროლო კონკურენციის პირობებში სჯაბნის მას, შედეგად ზოგიერთი ადგილობრივი მეწარმე იძულებული გახდა შეეწყვიტა საქმიანობა ან უვნებლობისა და ხარისხის შემცირების ხარჯზე შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება, რამაც საბოლოო ჯამში დააზარალა მომხმარებელიც, მწარმოებელიც და საბოლოოდ, ქვეყნის ეკონომიკაც.

ევროკავშირში სასურსათო პროდუქტების ხარისხისა და უვნებლობის დადგენილი ნორმების დარღვევისათვის დამრღვევების მიმართ გათვალისწინებულია პასუხისმგებლობისა და დასჯის სისტემა, რომელიც გულისხმობს სამი სახის სანქციებს:

- პროდუქტების კონფისკაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- სისხლის სამართლის საქმის აღძრა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიმართ;
- სასამართლო ორგანოებისათვის საქმის გადაცემა საწარმოს დახურვის ან ცალკეული სახეობების პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვის თაობაზე.

აღნიშნული ღონისძიებები განაპირობებენ სასურსათო პროდუქტების უვნებლობის კონტროლის მკაფიო სისტემას საწარმოსა და სახელმწიფოს დონეზე.

ვილნიუსის სამიტამდე ორი დღით ადრე ევროკავშირის წარმომადგენლობამ სასტუმრო „ამბასადორში” ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუ-

ფალ სავაჭრო ზონასთან მიახლოების ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის და საკვების უვნებლობის საკითხებთან დაკავშირებით გამართა სემინარი. შეხვედრას ესწრებოდნენ ევროკავშირის წარმომადგენლები: რამუნას ფრეიგოფასი, მატი ლამპი, პროექტის ხელმძღვანელი ხუან ხოსე ეჩანოვი, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, ექსპერტები (მათ შორის მეც) და ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლები.

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილის, ბორის იაროშევიჩის განცხადებით, 2014 წლის შემოდგომაზე ხელი მოეწერება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას, ამოქმედდება ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულება ევროკავშირთან, ხოლო 2015 წლიდან ძალაში შევა რეგულაციები, რომლებიც ევროკავშირის დახმარებით სოფლის მეურნეობის სამინისტროში მზადდება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება დააკმაყოფილოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი დაცვისა და პოლიტიკის სფეროში; ჩამოაყალიბოს მომხმარებლის უფლებების დაცვის ორგანოები და შექმნას მათი ეფექტიანად ფუნქციონირების პირობები; ხელი შეუწყოს:

- საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელებას;
- მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის განვითარებას ;
- საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში საერთაშორისო და ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

ვილნიუსის სამიტზე ხელშეკრულების გაფორმებით, საქართველომ დაადასტურა, რომ იგი მზადაა უზრუნველყოფს აღებული ვალდებულებების შესრულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. CODEX GENERAL STANDARD FOR FOOD ADDITIVES CODEX STAN 192-1995 www.codexalimentarius.net/gsfaonline/docs/CXS_192e.pdf
2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია № 178/2002
3. რ. გრუიჩი, ვ.. სანჩისი, რ. რადოვანოვიჩი – ჩჩ -თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2005.
4. http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement-2013_en.htm
5. საქართველოს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე № 4 , 10.01. 2006
6. სურსათის ჰიგიენის ძირითადი ტექსტები (კოდექს ალიმენტარიუსი) გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. გამომცემლობა „მამუკა გელიაშვილი” თბ., 2004.
7. Питание и здаровье в Европе: новая основа для действий, ВОЗ , Коренгаген, 2003.

Food Safety and Customer Rights

Eter Sarjveladze
Doctor of Economics
Assistant Professor of Economics and Business Faculty,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Food safety is one of the most important problems of modern society. This is such factor that determines populatin’s health. So, people’s right to get safe food should be protected.

The reason of food and product safety problem actuality is considerable expansion of internatonal food trading.

In EU customer’s health, safety amd economical interests effective protecion is implemented by EU united legislation.

In 2005 -2007 according to the changes made in Georgian legislation “On food safety and quality”, Georgian legislation and practice seperated from EU requests and that’s why the situation was like this:

- Not infrequently such products were found in customer market, which were dangerous for people’s health;
- Government stopped ispection on local and imported products, so market became easily accessed for counterfeited, cheap, dangerous for health and rejected in other counties products. Finally, this situation damaged customer, supplier and economics.

In summit of Vilnius, by the assosiation contract between Georgia an EU Georgian government proved readiness for implementing commitments due to the contract, including food safety and customer rights protection.

# ქართული ეკონომიკის ლაბირინთებში





სოლომონ პავლიაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ლევან ჯანგულაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

*სტატიაში ნაჩვენებია, რომ ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის მაქსიმალიზაციისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური მართვის შესაბამისობის უზრუნველყოფას და მათ სინქრონიზაციას, რადგანაც მათი ურთიერთ საპირისპირო მოქმედება აუცილებლად გამოიწვევს თითოეული მათგანის დასუსტებას და საერთო სარგებლიანობის დაცემას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორი ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის არის განხორციელებული ინვესტიციები, როგორც ქვეყნის გარედან ასევე, საბიუჯეტო სტიმულები როგორც გამონაკლისი გარკვეულ ეტაპზე, რადგანაც ინვესტიციები არის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის, დასაქმების მაქსიმალური უზრუნველყოფისა და მყარი სოციალური დაცვის მთავარი ფაქტორი.*

*ავტორების აზრით, საქართველოსთვის ინფლაციური საფრთხე უფრო პრობლემურია ვიდრე დეფლაცია. რადგან დეფლაციას არ ჰქონდა სისტემური ხასიათი. იგი უფრო ფრაგმენტული იყო და არაეკონომიკური მიზეზებით იყო გამოწვეული, როგორიც იყო ადმინისტრაციული მექანიზმები. ამის საფუძველი კი იყო ის, რომ ზოგიერთმა მეწარმემ, იმპორტიორებმა გამოხატეს კეთილი ნება, კარგი ჟესტი ახალი ხელისუფლების მიმართ და ფასები დაწიეს. ეს, პირველ რიგში, ენერგომატარებლებს და ნავთობს ეხება, ასევე სხვა პროდუქტებსაც. ადმინისტრაციული წესით ფასების დაწევა მოხდა ენერგოტარიფებზე, დასუფთავებაზე. ამან გამოიწვია დეფლაცია. თავისთავად ეს არ იყო საგანგაშო და ეკონომიკურ პროცესებს არ აჩერებდა.*

ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის მაქსიმალიზაციისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური მართვის შესაბამისობის უზრუნველყოფას და მათ სინქრონიზაციას, რადგანაც მათი ურთიერთ საპირისპირო მოქმედება აუცილებლად გამოიწვევს თითოეული მათგანის დასუსტებას და საერთო სარგებლიანობის დაცემას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორი ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის არის განხორციელებული ინვესტიციები, როგორც ქვეყნის გარედან ასევე, საბიუჯეტო სტიმულები როგორც გამონაკლისი გარკვეულ ეტაპზე, რადგანაც ინვესტიციები არის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის, დასაქმების მაქსიმალური უზრუნველყოფისა და მყარი სოციალური დაცვის მთავარი ფაქტორი.

2013 წლის დასაწყისიდან, როდესაც საუბარი იყო ზოგიერთი ექსპერტის მიერ, რომ დეფლაციური პროცესები იყო საშიში, ჩვენს მიერ მაშინვე გავაკეთდა განცხადება, რომ ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, დეფლაცია საშიში არ არის. ჩვენი ქვეყნისთვის უფრო ინფლაციური საფრთხეა პრობლემური, ვიდრე დეფლაცია. დეფლაცია არ იყო სისტემური ხასიათის. ეს უფრო ფრაგმენტული იყო და ისეთი არაეკონომიკური მიზეზებით იყო გამოწვეული, როგორიც იყო ადმინისტრაციული მექანიზმები; ასევე ის, რომ ზოგიერთმა მეწარმემ, იმპორტიორებმა გამოხატეს კეთილი ნება, ასე ვთქვათ, კარგი ჟესტი ახალი ხელისუფლების მიმართ და ფასები დაწიეს. ეს, პირველ რიგში, ენერგომატარებლებს და ნავთობს ეხება, ასევე სხვა პროდუქტებსაც. ადმინისტრაციული წესით ფასების დაწევა მოხდა ენერგოტარიფებზე, დასუფთავებაზე. ამან გამოიწვია დეფლაცია. თავისთავად ეს არ იყო საგანგაშო და ეკონომიკურ პროცესებს არ აჩერებდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი კლასიკური ფორმები, როგორიც არის დეფლაცია, ინფლაცია

და უმუშევრობა, ეს მექანიზმები თეორიულად კლასიკური გაგებით, როგორც არსებობს, ხშირად ჩვენნაირ ქვეყანაში არ მუშაობს, რადგან აქ არ არის ინსტიტუციები გამართული. საქართველო არ არის ისეთი კლასიკური ქვეყანა, როგორიც ევროპის ქვეყნებია. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, მას არ აქვს ის ადექვატური ხასიათი, რაც უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივ კლასიკურ ქვეყანაში. შემდგომში ამ დეფლაციის გარკვეული პროვოცირება მოხდა. ის, რომ ლარი გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო მყარი დოლართან მიმართებაში, ეს ცალსახაა. ეროვნულმა ბანკმა გარკვეული პროვიცირება გააკეთა ლარის კურსთან მიმართებაში. მან ხელოვნურად შექმნა დოლარის დეფიციტი. როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკის მიერ 2013 წლის განმავლობაში 500 მლნ-მდე დოლარი იქნა შეძენილი. ეროვნული ბანკი ამას იმით ხსნიდა, რომ ეს იყო მისთვის მისაღები და ხდებოდა მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენება.

ხელოვნურად შექმნილმა დოლარის დეფიციტმა მოსახლეობა პანიკაში ჩააგდო. დოლარის დეფიციტი შესაძლებელია იყო გარკვეულად ინვესტიციების შენელების შედეგი, მაგრამ ამას დაემატა ეროვნული ბანკის ის ქმედებებიც, რაც მან განახორციელა დოლარის შესყიდვასთან დაკავშირებით. მოტივაცია იყო ალბათ მარაგების გაზრდა. შემდგომში მოახდინა ამ დოლარების ბაზარზე გამოტანა. მაგრამ ამან ადექვატური შედეგი აღარ გამოიწვია. მოსალოდნელი დეფიციტის გამო მოსახლეობამ მასობრივად დაიწყო დოლარის შესყიდვა. ამან უფრო გააძლიერა დოლარის ის დეფიციტი, რომელიც ეროვნულმა ბანკმა შექმნა. ამან, თავის მხრივ, ლარის დევალვაცია გამოწვია. დევალვაცია კი თავისთავად ინფლაციას გულისხმობს. როდესაც იმპორტირებულ საქონელზე ვახდენთ ლარის კონვერტაციას ადგილზე და ეს საქონელი დოლარით უნდა შემოვიტანოთ, ამ შემთხვევაში აუცილებელია მეტი ლარი გადაიხადო და დოლარი შეიძინო. შემოტანის დროს იძულებული ხარ ძვირად გაყიდო ისევ ლარში, ვიდრე იმას ყიდიდი წინა თვეში. ამას ემატება ის ინფლაციური მოლოდინიც, რომელიც ქვეყანაშია. ამიტომ მეწარმე ფიქრობს, დღეს თუ არა ხვალ შესაძლებელია შემოტანილი პროდუქცია უფრო გაუძვირდეს, რადგან ლარის დევალვაცია მიდის და უფრო ძვირად მომიწიოს გაყიდვაო. ამ მოლონიდის გამო მეწარმე ფასებს წინასწარ ზრდის, რომ ინფლაციური მოლოდინი შეიქმნას. ყოველივე ამან ის სიტუაცია გამოიწვია, რომელიც დღეს არის შექმნილი. ეროვნულმა ბანკმა 80 მლნ დოლარი გამოიტანა ცოტა ხნის წინ ბაზარზე და უნდა ამით დოლარის დეფიციტი გადაფაროს, მაგრამ ამ პროცესებს მაინც ველარ იჭერს.

მარტო ეროვნული ბანკის იმედად ვერ ვიქნებით. პირველ კვარტალში თუ არ დაემატა შემოსული ინვესტიციები, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია ლარის კურსის გამყარების, ეროვნულ ბანკს ძალიან გაუჭირდება ლარის დაცემა შეანელოს. მაშინ ეროვნული ბანკი იძულებული იქნება რეზერვების დიდი ნაწილი დახარჯოს ლარის კუსრსის გამაგრებისთვის, რაც ვფიქრობ, არასწორი იქნება. ამიტომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, პირველ კვარტალში, რომ რაც შეიძლება მეტი ინვესტიციები შემოვიდეს. რეგულაციებს უნდა მოვერიდოთ. მაკროეკონომიკური გარემო უფრო უნდა გავაჯანსაღოთ. ამ რეგულაციებით შეიძლება ინვესტორები დავაფრთხოთ – მორატორიუმი მიწაზე, რეგულაციები ფარმაციაზა და სხვ.

მნიშვნელოვანია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც ეროვნული ბანკი ახორციელებს. მეორე მხარეა ფისკალური პოლიტიკა, ბიუჯეტი და ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა ახორციელებს. ეს სხვადასხვა ინსტიტუციებია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა და იყო პოზიტიური ნაბიჯები – გარკვეულად ბიზნესმა ამოისუნთქა, აღარ ხორციელდება ბიზნესზე ზეწოლა. 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა ბრწყინვალედ. ასეთი არჩევნები მთელი 20 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა, არც პოლიცია მონაწილეობდა და არც ა.შ. ეს, ერთის მხრივ, უდაოდ დადებითია, მაგრამ რაც შეეხება ბიუჯეტს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვერ შესრულდა საშემოსვალო ნაწილი. გაუგებარია იმ ექსპერტების, ვინც ამბობს, რომ 600 მლნ-ის დანაკლისი ბიუჯეტისთვის არაფერია.

სამწუხაროა რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერ მოახდინა ეფექტიანი კოორდინაცია ადგილობრივ ხელისუფლებასთან. თუ თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოების მხრიდან საბოტაჟი ხორციელდებოდა, ეს ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის ბრალია და იმ მინისტრების სისუსტის ნიშანი, რომლებიც გარკვეულ სექტორებს მართავენ.

ბიუჯეტის საშემოსვალო ნაწილში თვეების მიხედვით რიტმულობა დარღვეული იყო, ანუ შემოსავლები არ შემოდიოდა პროპორციულად, ჩვენ ვერ შევძელით და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულება, ამ მაჩვენებელს დაახლოებით 700 მლნ დააკლდა ხარჯვით ნაწილში. ახლა თქმა

იმისა, რომ 2013 წლის ბიუჯეტი არასწორად იყო დაგეგმილი, არაფრის მომტანი არ არის. თქმა იმისა, რომ დღგ-ები იყო წინასწარ გადახდილი, ვითარებას არ ცვლის, მაშინ ეს უნდა გვეთქვა, პირველ სამ თვეში და არა ისე, როდესაც განცხადებები კეთდებოდა, რომ ბიუჯეტი სრულდება, პრობლემები ბიუჯეტის შესრულებას არ ექნება და ა.შ. მთავრობა აცხადებდა, რომ საგანგაშო არაფერია. ფინანსთა სამინისტრომ წლის ბოლოს კარგად იმუშავა და ბოლო დღეებში დიდი რაოდენობის თანხა ამოიღო. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, დანაკლისი მაინც 400-500 მლნ-ია და ეს ბიუჯეტისთვის ძალიან დიდი დანაკლისია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ეკონომიკური გუნდის შეცვლა არასწორი იქნება. სულ ორი-სამი თვეა გასული და ვფიქრობთ, მთავრობას ერთი კვარტალი მაინც უნდა ვაცადოთ, რათა კვარტლის შედეგებიდან ვიმსჯელოთ. პრობლემები არ ეხება მხოლოდ საშემოსავლო ნაწილს, როცა ვლაპარაკობთ ბიუჯეტზე და ეკონომიკურ პოლიტიკაზე, არ შეიძლება გავყოთ ეკონომიისა და ფინანსთა სამინისტროები და მათი პასუხისმგებლობები. მეტნაკლებად ყველა ინსტიტუცია მონაწილეობს. აქ არის მინიმუმ ოთხი-ხუთი სამინისტროს პასუხისმგებლობის საკითხი. ამ ეტაპზე მინისტრების გადაყენება-არგადაყენებაზე საუბარი ვფქირობ, ნადრევია. ამით შეიძლება უფრო დავაზარალოთ ქვეყნის ეკონომიკა, ისე პირდაპირი გაგებით ბიუჯეტიც. აქვე მინდა ვთქვა, რომ მუნიციპალიტეტებში შიდა სახელისუფლო დაპირისპირებას უდაოდ უარყოფითი გავლენა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკაზე.

გადაჭარბებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ თითქოსდა დაგეგმილი ეკონომიკური პარამეტრები არ შესრულება, იყოს ეკონომიკური კრიზისი. იგივე დაემართათ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, სომხეთს, უკრაინას, ბელორუსიას, გარდა აზერბაიჯანისა. ეს დაადასტურა მსოფლიო ბანკმა, სავალუტო ფონდმა. ასევე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა და ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის პარამეტრები დაუწია. შეიძლება ითქვას, ეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის რაღაც გამოძახილი იყო, ასე ვთქვათ, კუდი მოიქნია. ადრეა იმაზე საუბარი, რომ ანტიკრიზისული მთავრობის შექმნაზე ვილაპარაკოთ.

მთავრობის მიერ ხშირად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში არის სწორი, მოკლევადიან სტრატეგიაში შეიძლება ერთი შეხედვით საზოგადოებისთვის მისაღები არ იყოს. ამის სწორი პიარი მინისტრებს ევალებათ. პრემიერს კი ისეთი ვითარება უნდა შევუქმნათ, რომ ამ კუთხით თავისუფლად იმოქმედოს. ძალიან მნიშვნელოვანია პრემიერის და იმ ინსტიტუტების სინქრონული მუშაობა, რომლებიც დარიბაშვილთან ერთად მუშაობენ. ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველა მინისტრმა თავისი პასუხისმგებლობა თავის თავზე უნდა აიღოს და ყველა დარტყმა პირადად მიიღოს. არის საკითხები, რომელიც პირადად მინისტრებმა უნდა მოაგვარონ. არ შეიძლება ყველაფერზე პასუხისმგებელი პრემიერი იყოს.

სამართლიანობის აღდგენაზე ძალზე მნიშვნელოვანაი, მაგრამ ისე არ უნდა მოხდეს, რომ ამ თემამ სხვა პრობლემები გადაფაროს. ამაზე უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ მიმდინარე საკითხები არ უნდა დაგვავიწყდეს, იგივე მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, ინვესტიციების მოზიდვა, ლარის კურსი. საქართველოს თუ რამე ემუქრებამ, ეს არის ინფლაცია. საქართველოსთვის პრობლემური არ არის დეფლაცია, მტიკივნეულია ინფლაცია. ჩვენ ამის გამოცდილება გვაქვს, გასული საუკუნის 90-იან წლებში 30-35%-იანი თვიური ინფლაცია გვქონდა. 1994 წელს აქ წლიური ინფლაციის ტემპი 501.6% იყო, 1995 წელს კი მხოლოდ 57.4%, ანუ ყოველთვიური 41,8%-დან 4,8%-მდე შემცირდა, ხოლო 1996წ. წლიურმა ინფლაციამ შეადგინა მხოლოდ 13,8% და ყოველთვიურმა -1,1%, რაც უკვე აშკარად ფინანსურ სტაბილიზაციაზე მიუთითებს. 1997წ. ინფლაციის დონე მოსალოდნელია 10-12%-ის ფარგლებში, რაც რეალურია. 1996წ. მარტიდან 1997წ. მარტამდე ინფლაციამ 7,8% შეადგინა, ხოლო 1997წ. პირველ კვარტალში – 3,6%.1 "საქართველოს რომ ჰქონოდა ერთიანი ფულად-საკრედიტო სისტემა, რომ არ ყოფილიყო რუსეთის მიერ წახალისებული სეპარატიზმი და სამხედრო აგრესია, შიდა სამოქალაქო დაპირისპირება და ა.შ არ მოხდებოდა ისტორიულად ასეთი მასშტაბის ინფლაცია.2"

ეკონომიკური ზრდისათვის ინფლაციის არ დაშვების კარდინალური მნიშვნელობის გამო აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ, რა მიზეზებმა განაპირობეს ინფლაციის საქართველოში და რა უნდა გაკეთდეს, რომ მაღალი ინფლაცია მომავალში არ დავუშვათ. ი.ფიშერის მიხედვით:

MV=PQ ანუ P=MV/Q

სადაც P ფასების დონეა, M – ფულის მასა, V

1. S.Pavliashvili, Zigzags of Inflation in Post-Soviet Georgia, San Francisco CA USA, 2011, p.84
2. მ.ჯიბუტი. ინფლაციისა და უმუშევრობის ურთიერთობის პარადოქსი საქართველოში. ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნეს პროცესების მართვა. თბილისი 2011წ, გვ.23

- ფულის ბრუნვის სიჩქარე, Q - რეალური საქონლის და მომსახურეობის რაოდენობა. მაშასადამე, ფასების ინდექსის ფულის მიმოქცევის სიჩქარის ინდექსის ნამრავლი გაყოფილი მთლიანი შიდა პროდუქტის ინდექსზე. შესაბამისად, ინფლაციის დონის განმსაზღვრელი ფაქტორებია ფულის მასის ზრდის ტემპი, მისი მიმოქცევის სიჩქარის ცვლის ტემპი და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი. ინფლაციის მთავარი მიზეზი ყველგან და მათ შორის საქართველოში არის არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

ჩვენ გვაქვს ლარის დევალვაციის გამოცდილებაც, 1998 წელს რუსეთში განვითარებული მოვლენების შედეგად 60%-იანი დევალვაცია იყო. ეს ყველაფერი უნდა გავახსოვდეს, როგორც მაგალითი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო არის ინფლაციის საფრთხის შემცველი ქვეყანა.

დიდ გავლენას ახდენს ინფლაციის და ეკონომიკური ზრდის დინამიკაზე ინსტიტუციური გარდაქმნები ქვეყანაში. თუ ინსტიტუციური გარდაქმნების სიღრმის მაჩვენებლად ავიღებთ არა სახელმწიფო სექტორის ხვედრით წილს დასაქმებულთა რიცხოვნობას და მთლიან შიდა პროდუქტის წარმოებაში, მაშინ მივიღებთ შემდეგ დასკვნებს: ამ მაჩვენებლების მაღალი დონე, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ინფლაციის ტემპების შემცირებასა და მათ დაბალ დონეზე შენარჩუნებას, მაგრამ თავისთავად ეს არ არის რბილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკისაგან ხსნა, რომელიც იწვევს ინფლაციის დაჩქარებას, არ არის აუცილებელი და საკმარისი პირობა ფინანსური სტაბილიზაციის მისაღწევად. ინსტიტუციური გარდაქმნების დაბალი დონის პირობებშიც კი შესაძლებელია ინფლაციის მოთოკვა, თუ გატარდება მკაცრი ფულად-საკრედიტო და წარმოების მასტიმულირებელი პოლიტიკა .

ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს მკაცრი ფულად საკრედიტო პოლიტიკა, ძვირი ფულის პოლიტიკა, ფულის მიწოდება განხორციელდეს ეკონომიკური ზრდის ტემპების გათვალისწინებით. აუცილებელია მაქსიმალურად შეიზღუდოს მთავრობის ემისიური დაკრედიტება. განხორციელდეს ბიუჯეტის დეფიციტის მინიმიზაცია. საჭიროა ეროვნული ბანკის სარეზერვო მოთხოვნების მაღალი დონის შენარჩუნება. სავალუტო პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს თავისუფლად მცურავი კურსის რეჟიმს, რომელიც ქვეყნის გარედან შემოსული სავალუტო ნაკადების შესაბამისად განსაზღვრავს ლარის გაცვლითი კურსის წონასწორულ დინამიკას და შეასუსტებს საგარეო შოკების რეალურ სექტორზე გავლენას.

ასაკობრივი დისკრიმინაცია არის ამ ხელისუფლების ძალიან სერიოზული გამოწვევა. თუ წინა ხელისუფლება ამას ღიად და დეკლარირებულად აკეთებდა. ეს ტენდენცია ისევ გრძელდება. სულ ერთი თაობა მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში მაშინ, როდესაც უამრავი ადამიანია მაღალი პროფესიონალი, ვისაც შეუძლია დიდი როლი შეასრულოს სახელმწიფოს მართვაში. ვისაც მართვა შეუძლია, ეს ხალხი ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს. ვფიქრობ, წინა ხელისუფლება ერთ-ერთს, რასაც ნანობს, ის არის, რომ პროფესიონალები არ გამოიყენა, გარიყა, ზოგს „ჩარეცხილები“ დაარქვეს და ზოგს, რა. ჩვენ საქმე ისე არა გვაქვს, რომ არჩევა დავიწყოთ, ვინ როდის მუშაობდა. ჩვენ ყველა პროფესიონალი უნდა გამოვიყენოთ. მათ შორის იგივე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებიც, რომლებიც იყვნენ თანამდებობებზე და რომლებსაც დანაშაული არ აქვთ ჩადენილი და ა.შ.

ძალზე საინტერესოა, რომ 2014 წლის პირველ კვარტალში შეიქმნება სრულყოფილი ანტიმონოპოლიური სამსახური. კანონპროექტი მზად არის. შეჯერებულია არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მნიშვნელოვანია, როგორი პოლიტიკური ნება ექნება ამ სამსახურს. მთავარია, ვინ იქნება ამ სამსახურის ხელმძღვანელი და რამდენად არ მოექცევა ის პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენის ქვეშ. ამიტომ კარგი იქნება, თუ ამ სამსახურის ხელმძღვანელი არცერთი პოლიტიკური გუნდის წევრი არ იქნება.

ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია. ამ სამსახურის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობდა მსოფლიო ბანკი, ეს არის ევროკავშირის მოთხოვნაც. უნდა ვეცადოთ ყველა ინსტიტუცია დავუახლოვოთ ევროკავშირის მოთხოვნებს და რაც შეიძლება უფრო ლიბერალური ეკონომიკის კუთხით გადავდგათ ნაბიჯები.

ანტიმონოპოლიური სამსახური უნდა იყოს ძალიან დამოუკიდებელი და ნაკლებად უნდა გაუწიოს კოორდინაცია ეკონომიკის სამინისტრომაც. რა თქმა უნდა, ეს სამსახური არ არის პანაცეა და ეს სამსასახური არ უნდა იყოს დამსჯელი ორგანო. მისი შექმნა თავიდანვე არ გამოიწვევს ფასების დაწევას, მაგრამ ჩვენ ანტიმონოპოლიური სამასხურის შექმნით უკვე ვაცხადებთ, რომ ჩვენ გვაქვს სურვილი დავშალოთ მონოპოლიები, თუმცა აქცენტები უფრო პრევენციაზე უნდა გავაკეთოთ, რათა არც ბიზნესი დავაზარალოთ და არც მაკროეკონომიკური გარემო, არც უცხოელებს არ შევუშალოთ ხელი ქვეყანაში ინვეს-

ტიციების განხორციელებაში. ნებისმიერი ნაბიჯი, რასაც ვდგამთ, რა კანონებსაც ვიღებთ, უნდა ვიცოდეთ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მან ინვესტიციებზე და მაკროეკონომიკურ გარემოზე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მეორე – ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის და პრემირის გამოყენება. პიროვნებებმა უნდა აიღონ ვალდებულებები, რადგან ჩვენთან ინსტიტუციები არ არის გამართული,ჩვენ არ ვართ კლასიკური ქვეყანა. წინა მთავრობის დროს თუ ინვესტიციები შემოდიოდა, ეს იყო პრეზიდენტის გარკვეული ვოიაჟების შედეგი. მარტო 2007წელს ინვესტიციების სახით 2 მილიარდ 200 მილიონი მივიღეთ. სულ 8-9 მლრდ დოლარია შემოსული. პიროვნულ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა, რამდენად აქტიურად იქნება ჩართული პრემიერი ამ საკითხებში, თორემ მარტო მინისტრებს ძალიან გაუჭირდებათ. ასევე მნიშვნელოვანია ამ კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტისა და საელჩოების ჩართვა ადგილებზე.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ.პაპავა. არატრადიციული ეკონომიქსი. თბილისი 2011წ.
2. S.Pavliashvili, Zigzags of Inflation in Post-Soviet Georgia, San Francisco CA USA, 2011
3. მ.ჯიბუტი. ინფლაციისა და უმუშევრობის ურთიერთობის პარადოქსი საქართველოში. ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნეს პროცესების მართვა. თბილისი 2011წ
4. ს.პავლიაშვილი. ინფლაციის გაკვეთილები. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო. ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა”, სპეციალური ნომერი 1. თბილისი, 2011წ
5. ს.ფიშერი, რ.დორნბუში, რ.შმალენზი. ეკონომიკა, ტ4. თბილისი 1998წ.
6. რ.გოცირიძე. ლარის გაცვლის კურსი და ბიგ მაკის ინდექსი. ჟურნალი “ბანკი” 2000, №2.
7. ი.მანაგაძე. ინფლაციის რეგულირება, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საკვანძო პრობლემა. ჟურნალი “მაკრო მიკრო ეკონომიკა”. 2002, №7,8


## In Georgian economy labyrinths


Solomon Pavliashvili
Rector of Tbilisi education university, Professor
Levan Jangulashvili
Doctorate of Sukhumi state university



The article shows that ensurance of compliance of macroeconomic and microeconomic management and their synchronization are of vital importance for maximizing country’s economic efficiency because their conflicting action will inevitably lead to weakening each of them and falling of common benefits. Investments implemented outside the country as well as budget incentives as an exceptions on the certain stage are one of the important and necessary factors for the development of Georgian economy, because investments are the major factor for raising of GDP (Gross Domestic Product), ensuring employment maximally and solid social protection.

According to authors, inflationary threat is more problematic that disinflation for Georgia, because disinflation wasn’t systematic, it was fragmented and was caused by non-economic reasons, e.g. administrative mechanisms. The basis of this was that some entrepreneurs expressed a good will, good gesture to a new government and reduced the prices. Primarily, Price reduction was reflected on energy resources and oil, also on other products. Prices were reduced by the administrative rule on energy rates, cleaning. It caused disinflation. It was not alarming and was not hampering economic processes.

# მიწას თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება





ლია პიტიურიშვილი

ეკონომიკის დოქტორი

ამბროსი გრიშიკაშვილი

ეკონომიკის დოქტორი

სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უცხოელ კერძო პირებზე უაღრესად მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხია და მისადმი დამოკიდებულება დიდ დაკვირვებას მოითხოვს. ეს არ არის მანქანის ან სხვა რაიმე მოძრავი ქონების გაყიდვა. თუმცა რატომღაც ყველა პოლიტიკოსი, ექსპერტი თუ მეცნიერი-აგრარიკოსი როდი იჩენს ამ პრობლემისადმი სათანადო გულისხმიერებასა და პრინციპულობას. არადა, ჩვენი ღრმა რწმენით, ამ სფეროში დღეს დაშვებული შეცდომა შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს არამხოლოდ ჩვენ, არამედ ჩვენ შთამომავლობასაც.

ამასთან, მიწის უცხოელებზე გაყიდვისას უნდა გავარჩიოთ ორი ასპექტი:

პირველია, როდესაც ის უცხოელ სამეურნეო სუბიექტზე იყიდება. ამ შემთხვევაში ჩვენ რაიმე საწინააღმდეგო არ შეიძლება გვქონდეს: მიწას იღებს უცხოური ფირმა, გარკვეული ვადით ან მუდმივად, სდებს მის დამუშავებაში კაპიტალს, პროდუქციის საწარმოებლად ქირაობს ადგილობრივ მუშაკებს და ა. შ.

მაგრამ არის მეორე ასპექტიც: როდესაც მას უცხოელი კერძო პირი ყიდულობს. ამ შემთხვევაში ის ქვეყანაში შემოდის ოჯახით ან აქ ოჯახდება, მრავლდება და ამრიგად კიდევ უფრო რთულდება ქვეყანაში არსებული ისედაც რთული დემოგრაფიული სიტუაცია.

ამ გარემოების გათვალისწინებით, ჩვენ პრინციპულად წინააღმდეგი ვართ სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელ კერძო პირებზე გაყიდვისა.

კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში ხალხები სხვადასხვა მიზეზით გამუდმებით იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს. ეს ზოგჯერ ომების, ქვეყნების დაპყრობების გზით ხდებოდა, ზოგჯერაც მშვიდობიანად, ისე, რომ ეს ემიგრაცია მათთვისაც სასარგებლო იყო, ვინც სამშობლოს ტოვებდა და იმ ქვეყნისთვისაც, სადაც ისინი საცხოვრებლად და სამუშაოდ გადადიოდნენ. ზოგიერთი ქვეყანა მაგალითად, აშშ, კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალია ნამდვილად ვერ განვითარდებოდნენ ასე, რომ არა ემიგრანტები. აღსანიშნავია, რომ ამერიკელ ნობელიანტთა, განსაკუთრებით ეკონომიკის დარგში, დიდი ნაწილი სწორედ ამ ემიგრანტთა რიგებიდანაა. კარგი იქნება, თუ აქ ჯორჯ სოროსს, თავად უნგრელ ემიგრანტს, ამერიკელ მილიარდელს გავიხსენებთ, რომლის განცხადებითაც, რომ არა ემიგრანტები, შეერთებული შტატები არ იარსებებდა.

ადრეული საუკუნეების ხალხთა გადასახლებებზე, - როგორიც იყო ასურთა მიერ ებრაელთა აყრა-გადასახლება, არაბებისა და თურქების მიგრაციები და სხვ. რომ არაფერი ვთქვათ, ამ პროცესებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი XVII-XVIII საუკუნეებში მიიღო. სწორედ ამ დროს გადასახლდნენ ევროპიდან ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში კათოლიკეები, XIX საუკუნეში - ებრაელები, XX-ში - სომხები და ა. შ. განსაკუთრებით ბევრი ებრაელი გაექცა გერმანიიდან ფაშისტთა დევნას. ზემოთ აღნიშნული ქვეყნები დღესაც მრავალ ემიგრანტს იზიდავენ.

ქვეყნიდან გონიერი და ბეჯითი ადამიანების გასვლას „ტვინების გადინება" ეწოდება. ეს ტერმინი, თუ არ ვცდები, მეთექვსმეტე საუკუნეში წარმოიშვა, როდესაც კათოლიკეების მიერ დევნილი პროტესტანტები (გავიხსენოთ 1572 წლის ბართლომეს ღამე, როდესაც ერთი ღამის განმავლობაში პარიზის ქუჩებში 30,0 ათას პროტესტანტზე მეტი მოკლეს). ამ პერიოდის ფრანგი პროტესტანტები სხვა ქვეყნებში – აშშ, ინგლისი, სამხრეთ აფრიკასა და ნაწილობრივ გერმანიაში გადავიდნენ საცხოვრებლად და სამუშაოდ. ეს ჰუგენოტები (როგორც პროტესტანტებს საფრანგეთში ეძახდნენ) საზოგადოების ელიტას შეადგენდნენ და ცხადია, მათ მიერ ქვეყნის დატოვება დი-

დად საზარალო იყო საფრანგეთისთვის, ხოლო სასარგებლო - ყველა იმ ქვეყნისათვის, სადაც ისინი გადასახლდნენ. მაგალითად, ჰუგენოტებმა, განსაკუთრებით ბერლინში ამ ქალაქის მკვიდრთა 20% შეადგინეს და შემდგომ მათგან ბევრმა ადამიანმა გამოიჩინა თავი. გვარების მიხედვით გაგერმანელებულ ფრანგთა გამოცნობა დღესაც შეიძლება.

ასევე ძალიან ისახელეს თავი ჩინელებმა ინდონეზიაში. 1995 წლამდე ისინი აქაური მოსახლეობის ოდენ 3% შეადგენდნენ, მაგრამ ისე ენერგიულად და აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი სამეურნეო ცხოვრებაში, რომ ჯაკარტას საფონდო ბაზარზე კაპიტალის ბრუნვის 70%-ზე მეტი სწორედ ეთნიკურ ჩინელებზე მოდიოდა, 10-დან 9 კონგლომერატს სწორედ ისინი ფლობდნენ, სამასი მსხვილი კომპანიიდან 68% მათი საკუთრება იყო. ცნობილი ინდონეზიელი დიქტატორის სუხარტოს დროს ჩინელები დაარბიეს და ქვეყანა დაატოვებინეს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ემიგრანტებმა საქართველოშიც გამოიჩინეს თავი. განსაკუთრებით უნდა დასახელდნენ სომხები და ებრაელები.

როგორც ჩანს, საქართველოში კვლავ შეიქმნა მდგომარეობა, რომელმაც ქვეყანა მიმზიდველი გახადა უცხოელებისათვის. ესენი ნაწილობრივ არიან ახალგაზრდები, რომლებიც მათთვის მისაღებ ფასად ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში განათლებას ეზიარებიან. ამ მიზნით ჩამოდის ახალგაზრდობა ჩინეთიდან, აფრიკიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან, ინდოეთიდან და ა.შ. საკამათო არ უნდა იყოს, რომ განათლების მიღების შემდეგ ასეთი ხალხის საქართველოში საცხოვრებლად და სამუშაოდ დარჩენა მისასალმებელი იქნებოდა. ეს ნამდვილად წაადგებოდა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობას და სარგებლობას მოუტანდა ჩვენ საზოგადოებას.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის მისაღები და მისასალმებელი აგრეთვე, თუ საქართველოში შემოვიდოდა კვალიფიციური ხალხი, ჩაებმებოდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში და ამით ასარგებლებდა თავსაც და ქვეყანასაც.

მაგრამ ასეთ ხალხთან ერთად ბოლო წლებში ქვეყანაში ინტენსიურად შემოდიან აქ სამუშაოს მძებნელი უბრალო, კვალიფიკაციის არმქონე ადამიანები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც საქართველოში მიწის შეძენა და დასახლება სურს. აქ მათ ხიბლავთ გამარტივებული სავიზო რეჟიმი, კორუფციის დაბალი დონე, მინიმალური ბიუროკრატია, ბიზნესის წამოწყების სიადვილე, სწრაფი და გამჭვირვალე მომსახურება და ა.შ. ჩამოსულებს ზემოაღნიშნულის გარდა საქართველოში იზიდავთ ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა, გულითადობა, ზომიერი კლიმატი და სხვა.

სამწუხაროდ, ეს არის ძირითადად მოსახლეობის დაბალი კატეგორია, რომელთაც სამშობლოში 10 ათას დოლარამდე კაპიტალი დაუზოგავთ და სხვადასხვა კუთხეებში (ჯერ-ჯერობით ძირითადად ქართლსა და კახეთში) მრავალჯერ უფრო იაფად (350 დოლარადაც კი 1 ჰექტარი), ვიდრე ეს მათ საკუთარ ქვეყნაში შეეძლოთ, იძენენ მიწებს, საცხოვრებელს და ოჯახებთან ერთად აქ სახლდებიან. მაგალითად, ა.წ. 28 აპრილს, სატელევიზიო გადაცემაში, P. S. – მთავარი თემა - „იყიდება თუ არა საქართველო", წნორში ინდოეთიდან ჩამოსული პენჯაბელი ფერმერი გულღიად ამბობს: „ინდოეთში ერთი ჰექტარი რომ გავყიდო, საქართველოში ამ ფულით 100 ჰექტარს შევიძენ"-ო.

ერთი პერიოდი იყო საუბარი და პრაქტიკული მცდელობაც ბურების საქართველოში ჩამოსახლებაზე (ცნობისათვის: ბურები სამხრეთ აფრიკაში ჰოლანდიიდან ჩასული ფერმერები არიან). კერძოდ, 2010 წელს მოხდა კიდეც სამხრეთ აფრიკიდან მათი რამდენიმე ოჯახის საქართველოში ჩამოსახლება, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ მხოლოდ მათი მცირე ნაწილი გაჩერდა საცხოვრებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის. „სამწუხაროდ" იმიტომ ვამბობთ, რომ გამრჯე და ბეჯითი ბურების აქ დამკვიდრება გარკვეული მაგალითის მიმცემიც იქნებოდა ჩვენი გლეხებისათვის სამეურნეო აქტიურობის თვალსაზრისით და ვერც დემოგრაფიულ საფრთხეს გააჩენდა ქვეყნაში.

სამაგიეროდ, ჩვენს ქვეყანას ძალზე ეტანებიან ინდოეთის მკვიდრი (განსაკუთრებით პენჯაბელი) გლეხები, ასევე ჩინელები, არაბები ეგვიპტიდან, ალჟირიდან და ზოგიერთი სხვა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნიდან. არაბულ გაზაფხულს (სოციალურ რევოლუციებს) ხალხი გამოექცა ტუნეზიიდან, ლიბიიდან და იემენიდან, სამოქალაქო ომს სირიიდან (ერთ მილიონზე მეტი), მატერიალურ სიდუხჭირეს - ირანიდან, ბევრმა არაბმა დატოვა ერაყი და ა.შ. მათგან მრავალი ადამიანი სწორედ საქართველოში შემოვიდა. მათი წარმომადგენლის განცხადებით, 10 ათასი დოლარი საკმარისია აქ ბიზნესის წამოსაწყებად (პატარა კაფე, რესტორანი, სასტუმრო, ს/ს სავარგულის შეძენა), რაც სხვაგან შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებიდან ჩამოსულებს თავდაპირველად ისე მოეწონათ აქ ცხოვრება და მუშაობა, ჩვენი ს/ს სავარგულები, რომ დიდი რეკლამა გაუწიეს ყოველივე ამას, რის გამოც მათი ჩამოსვლა შემდგომ თვეებში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. მაგალითად, 2013 წლის თებერვალ-

ში ეგვიპტიდან დასასახლებლად და სამუშაოდ ჩამოვიდა ათჯერ მეტი არაბი, ვიდრე 2012 წლის შესაბამის თვეს. ჯერჯერობით მსგავსი ტენდენცია შეინიშნება სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულთა მიხედვითაც.

ისმება კითხვა: არის თუ არა სასარგებლო ქვეყნისათვის უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვა?! ჩვენ ხაზს ვუსვამთ, - „სასოფლო-სამეურნეო", იმიტომ, რომ მათზე არასასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვის ჩვენი ქვეყნისათვის სარგებლიანობა, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამ გზით შემოდის ინვესტორი, კაპიტალს დებს ამ მიწაზე სასტუმროს, რესტორნის, საწარმოს თუ სხვა სამეურნეო ობიექტის ასაშენებლად და ასამუშავებლად, რითიც სარგებლობს ორივე მხარე – ჩვენი ქვეყანაც და ინვესტორიც.

ახლა რაც შეეხება ს/ს მიწებს, აქაც, მე ვფიქრობ, უნდა განვასხვაოთ ორი ასპექტი: პირველი, როდესაც მიწის დიდ ფართობებს აუქციონის წესით ყიდულობს უცხოელი და მეორე, როდესაც პატარ-პატარა ფართობებს ყიდულობენ უცხოელი გლეხები აზია-აფრიკიდან (არა მგონია ევროპა-ამერიკიდან, მით უმეტეს, ავსტრალიიდან აქ ფერმერი ჩამოვიდეს მიწის შესასყიდად, ძალზე იშვიათი გამონაკლისის გარდა). ეს უკანასკნელნი აქ სახლდებიან, მრავლდებიან და ქვეყნის ისედაც მძიმე დემოგრაფიულ სურათს კიდევ უფრო ამძიმებენ (ამასთან დაკავშირებით მწერალი რევაზ ჯაფარიძე მახსენდება: კი თქვა მარქსმა პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით, მაგრამ ის ხომ არ უთქვამს, მაინც და მაინც საქართველოში შეერთდითო). ალბათ, ასეთ ლიბერალიზაციას ერი წინ უნდა აღუდგეს, უფრო სწორედ, მისი ლეგიტიმური ხელისუფლება, და არა ისე, როგორც ამას უკვე ადგილი ჰქონდა ქართლსა და კახეთში, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა სტიქიურად გამოვიდა თავისი მიწების გაყიდვის წინააღმდეგ. ეს ქვეყნის იმიჯს ლახავს და ცხადია, მას მსოფლიო საზოგადოება ქსენოფობიაში დაადანაშაულებს.

სხვათაშორის, მსგავსი პრობლემები ზოგიერთ სხვა ქვეყანასაც აქვს. მაგალითად, როგორც ამ ბოლოს დროს მოსახლეობასთან შეხვედრისას პოლონეთში თავისი გავლენითა და მნიშვნელობით მეორე პარტიის - „კანონი და სამართლიანობა" ლიდერმა, ამ ქვეყნის პრეზიდენტის, ტრაგიკულად დაღუპული ლეხ კაჩინსკის ძმამ – იაროსლავმა განაცხადა, პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ჩვენი ერთ-ერთი ღონისძიება მიწების უცხოელთათვის მიყიდვის აკრძალვა, ხოლო ცრუმაგიერ პირებზე გაყიდული მიწების უკან დაბრუნება იქნებაო (იხ. Gazeta Wyborcza, 2013 წლის 19 მაისი). მისივე განცხადებით, ამას ისინი გააკეთებენ ფრანგების მსგავსად, რომლებმაც უცხოელებზე მიწის გაყიდვა აკრძალეს.

ამდენად, მისასალმებელია, რომ ბოლო ხანებში ასეთი ხალხისათვის ვიზების გაცემის პროცედურა შედარებით გამკაცრდა. აღნიშნულმა ღონისძიებამ და აგრეთვე იმან, რომ ჩამოსულები მიხვდნენ, რომ არც ისე ადვილია საქართველოში მიწის მაღალეფექტური დამუშავება-გამოყენება, იმოქმედა უცხოელთა შემოყვანის ინტენსიობაზე და ის მკვეთრად შეამცირა. კერძოდ, როგორც უცხოელთა ამ მიზნით შემოყვანით დაკავებული ერთ-ერთი ფირმის (Groun lmmigration Consultancy Services) წარმომადგენელი აცხადებს, თუ ადრე მის ფირმას ერთი თვის განმავლობაში საქართველოში 400-700 გლეხი შემოჰყავდა, ძირითადად ინდოეთიდან, ახლა ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა.

ეს კი იმან გამოიწვია, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საქმეში ჩაბმული ფირმები მიწის მყიდველ გლეხებს ვარდისფრად უხატავდნენ საქართველოში მიწაზე მუშაობის პერსპექტივასა და აქედან მიღებულ სარგებელს. ამას მრავალი მათგანისათვის იმედის გაცრუება მოჰყვა. ინდოეთის ტელევიზიას ისიც კი გადაუცია, თუ როგორ მოიკლა თავი ერთმა გაკოტრებულმა ინდოელმა გლეხმა. სხვა გლეხის განცხადებით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ინდოელი გლეხი, რომელსაც რის ვაი-ვაგლახით მოუგროვებია 5-7 ათასი დოლარი, საქართველოში მიწა შეუძენია, მაგრამ ვერ მიუღია სათანადო შემოსავალი და უკან ცარიელი ხელებით გაბრუნებულა (აღნიშნული მაგალითები ამ ბოლო დროს გაზეთმა „The Georgia Times"-მა გამოაქვეყნა, წერილით: „ინდოელები საქართველოში: „ტრეფიკინგის მსხვერპლნი თუ იაფი მიწის მაძიებელნი" (იხ. GT, 2013 წლის 13 მაისი).

იმ მიზნით, რომ გამოგვერკვია, თუ რას ფიქრობენ შესაბამისი ქართველი სპეციალისტები მიწების უცხოელთათვის მიყიდვის თაობაზე, კითხვით რამდენიმე მათგანს მივმართეთ.

ეკონომიკის დოქტორის, პროფესორის, ყოფილი ფინანსთა მინისტრის დავით იაკობიძის განცხადებით: 1. მიწა უნდა დაიხნას და დაითესოს; 2. მიწას ფერმერმა, აგრიკულტურის მცოდნე კაცმა უნდა უპატრონოს; 3. ამის მისაღწევად უნდა ჩატარდეს აგრარული რეფორმა;

ახლა საკითხი უფრო გასაგები რომ გახდეს, ცოტა გავშალოთ მესამე პუნქტი: ა. ჩვენი მიწის სავარგულების მეპატრონე 700 ათასამდე კაცია,

რომლებიც 2,5 მილიონ მიწის ნაკვეთს განკარგავენ. შესაბამისად რეფორმა უნდა წარიმართოს ლოკაციური მეთოდით (развёртиваные земельных участок), რათა შევძლოთ ფერმერულ მეურნეობათა ფორმირება; ბ. რეფორმის საფუძველში უნდა ჩაიდოს კანონი ს/ს მიწის შესახებ (იხ. დანიის მაგალითი); გ; უნდა შეიქმნას სადაზღვევო მექანიზმი და ფერმერების დაკრედიტების სისტემა; დ; პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის კლასტერული სისტემა და მისი ფუნქციონირების მექანიზმი; ე. შემუშავდეს ფერმერების სწავლებისა და აგრარული (გლობალური დათბობა, თანამედროვე აგრიკულტურული მიღწევების დანერგვა და ა.შ.) კვლევების სისტემა;

აღნიშნულის განხორციელებისას უცხოელი მასობრივად ვერ ჩამოვა, ხოლო ვინც ჩამოვა, ჩვენ გამოგვადგება. ასევე სოფლის მეურნეობას და არა სოფელს, მოსცილდება ათასობით მიტმასნილი კაცი, ვისაც ვერ გაუგია, აქ არის თუ იქ. რაც შეეხება საქართველოში უცხოელთა ჩამოსახლებას, ამას სხვა მიზეზი აქვს, ლიბერალური (უაზრო) კანონები მხოლოდ აადვილებენ ამ საქმეს. მაგალითად, ჩინელებს სხვა ამოძრავებთ, პენჯაბელებს – სხვა.

ამ საქმეში ჩვენ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ სხვა ქვეყნების მაგალითებით. მაგალითად, ზემოთნახსენებ დანიაში ერთ პირს არა აქვს უფლება ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი, 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა ვინმეს ჰქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ ამ საკითხს უმაღლესი ხელისუფლება იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია ან აქვს სპეციალური განათლება. სხვათაშორის, აშშ-ს აგრარულ შტატებშიც (არსებობს ასეთი ცნება) ანალოგიური წესებია. შედარებით ლიბერალურია მიწის გასხვისების საკითხი ესპანეთში, მაგრამ იქაც ისეთი პირობებია, რომ მიწის ბაზარზე უცხოელი ვერ შევა. არის კიდევ ერთი პრობლემა: მცირე ნაკვეთები უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო საათების წლიური ოდენობის 75%-ს მაინც, რომ ადამიანი სოფლის მეურნეობის მუშაკად ჩაითვალოს. დასკვნა: მიწა უნდა მიეყიდოს ღირსეულ მიწათმოქმედს, მიუხედავად ეროვნებისა და ა. შ. მაშინ თავი ქუდში გვექნება...

- ბატონო დავით, პაკისტანელები, ინდოელები, ჩინელები, არაბები მოედვნენ ქართულ ველმინდვრებს, ამის შემხედვარეს თავი ქუდში როგორ უნდა გვქონდეს?!

- საჭიროა აგრარული რეფორმა. ჯერჯერობით ჩვენ აგრარიკოსებს კარგად არა აქვთ გარკვეული, რა გააკეთონ. მათი მრჩევლები კი საქართველოსათვის შეუფერებელ ვარიანტებს თავაზობენ, იმიტომ, რომ სხვა არ იციან.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ სრული პროფესორი პაატა კოღუაშვილი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს გააუქმა "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთ რე ბაში ქონაზე. ამით საქართველოს ს/ს მიწა – საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა – გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით არცერთი კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქე არ არის. ამის მიზანი იყო საქართველოს დემოგრა ფიული დექართველიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ.

საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ სასი-ცოცხ ლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს, და უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისად მკაცრი კონტროლი, მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გავლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუდინგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ფრთხილად ეკიდება ს/ს მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესად რეგულირდება. ისინი მიიჩნევენ, რომ მიწის განუსაზღვ რელი ოდენობით გასხვისება ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და ინტერესთან შეუთავსებელია.

საქართვე ლოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არაკონსტიტუციურად თვლის უცხო ელთათვის ს/ს მიწის საკუთრებაში ქონის ბლანკეტურ (სრულად) აკრძალვას და არა ამ უფლების შეზღუდვას.

ამიტომაც შესაძლოა ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებაში ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით. ასეთი შეზღუდვა შეიძლება უცხო ქვეყნების პრაქტი კიდან გავითვალისწინოთ როგორიცაა

მაგალითად, ავსტრიაში (უცხოელი 10 წელი მაინც უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაში, სადაც ის ს/ს დანიშნუ ლე ბის მიწას შეიძენს) ან კიდევ თურქეთში (მას მხოლოდ გარკვეული ოდენობა მიწისა შეუძლია ჰქონდეს საკუთრებაში) ასევე პოლონეთში (სანებართვო სისტემა ამუშავდეს), საინტერესოა გერმა ნიის მაგალითი (სადაც მყიდველმა მიწის დამუშავების კონკრეტულ გეგმა უნდა წარადგენოს და ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერე სის შესაბამისი. იგივეა ავსტრიაშიც). სასარგებლო იქნება არგენტინის მაგალითის გამოყენებაც, სადაც ს/ს მიწის მაქსიმუმ 20%-ის გასხვისება არის უცხოელებზე დაშვებული. შეზღუდვა ასევე შესაძლებელია ორი,ან რამდენიმე ელემენტის შერწყმით. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება ს/ს მიწის უცხო ქვეყ ნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. ამ საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულებაა შვეიცარიაში, საფრანგეთში, იაპონიაში, ისლანდიაში, დანიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში და ა.შ. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შეს ყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი მოთხოვნის შესრულებაზეა დამოკიდებული (ეს მოთხოვნები ეხება სპეციალურ ს/ს განათლე ბას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრე ბას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.).

საჭიროა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს რიგი ცვლილებები, რომელშიც თანამედროვეობასთან მორგებუ ლად აისახება ის რეგულაციები (შეზღუდვები), რომლებიც ეხება უცხოელებზე ს/ს მიწის გასხვისებას.

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, ე/მ დოქტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის აზრით, საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, მეტად გართულებული ტერიტორიული პრობლემებით. ამიტომ, ამ პირობების გათვალისწინებით მიწის ყიდვა-გაყიდვის კანონმდებლობა უნდა დაიხვეწოს. იგი უშუალოდ უკავშირდება საქართველოს არსებობა-არარსებობის სკითხს. ამ საკითხზე უნდა იმუშაონ შესაბამისი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებმა (ეკონომისტებმა, იურისტებმა, სოციოლოგებმა და ა. შ.) და მთავრობას თავიანთი მოსაზრება წარუდგინონ. საერთოდ, ალბათ, ს/ს მიწა არ უნდა მიეყიდოს ქვეყნის მოქალაქეობის არმქონე პირებს, ხოლო მოქალაქეობის მიღების პროცედურები უცხოელებისთვის უნდა გართულდეს.

ვანო ჩხაიძე, საინვესტიციო კომპანიის „ვანო და კომპანის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, 1993 წლიდან საქართველოში მასობრივი პრივატიზაციის პროცესის ადგილიდან დაძვრის ნორმატიული საფუძვლების შემქმნელი და პრაქტიკულად განმახორციელებელი, ეკონომისტი და მათემატიკოსი:

- შინაური თუ უცხოელი, ვერავინ მიიღებს ეფექტს იაფ მიწაზე!!!

ბატონი ვანო ერთადერთ სწორ და ყველა პრობლემის გადამწყვეტ, უმოკლეს გამოსავლად მიიჩნევს სახელმწიფო საკუთრებაში დატოვებული, 3 მილიარდ კვ. მეტრზე მეტი ს/ს მიწების პრივატიზაციის დასრულებას – ჩვენ მოქალაქეებზე მისი შეძლებისდაგვარად თანაბრად და აუცილებლად უფასოდ დარიგების გზით. მისი აზრით, მხოლოდ ამ გზით გაიზრდება მიწის ფასი, მოიზიდება საკმარისი ინვესტიციები და მიიღება სასურველი შედეგი. ჩვენი კანონით ს\ს მიწის ყიდვა ადრე მხოლოდ საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეეძლო, რაც პრივატიზაციის დასრულებამდე და მიწის ფასის შესაბამის გაზრდამდე, ალბათ, ჩვენი ქვეყნისათვის სასურველი იყო. თუ მიწა უფასოდ ვერ დავურიგეთ ჩვენს მოქალაქეებს, ასე ის მაინც ხერხდებოდა, რომ ვერც უცხოელი იყიდდა იაფად ჩვენს მიწას, თუმცა პრივატიზაციის დასრულებისათვის საჭირო მოკლე პერიოდში, ცხადია, ეს არაკონსტიტუციური გადაწყვეტილება იყო და გაუქმდა.

მოკლედ, ერთადერთი სწორი გზა იყო და რჩება, მოქალაქეებზე მიწების უფასოდ განსახელმწიფოებრიობის შემდეგ სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს რაიმე ჩარევა, მინიმუმ 3-5 წლით, კატეგორიულად შეწყდეს.

ქვეყნისათვის მთავარია ყოველ კვადრატულ მიწაზე მეტი დოვლათის მიღება და ეს მეტი კერძო კონკურენციით უფრო სწრაფად მიიღწევა. მთლიანი შიდა პროდუქტი, მოგება, შრომის ანაზღაურება და ა.შ., რაც მეტი იქნება ქვეყანაში, მით უკეთესი.

რაც შეეხება ცნობილ ფობიებს, შემდგომ ეტაპზე:

1. მიწას, როგორც სხვა უძრავ ფასეულობას, ვერავინ ვერსად წაიღებს; 2. რაც უფრო დივერსიფიცირებული იქნება გარე ინტერესი ჩვენი სახელმწიფოს კანონებით და საფუძვლებით, მით უფრო განვითარდება საერთაშორისო ტექნოლოგიებისა და განვითარების კონკურენცია და თან

უფრო დაცულიც იქნება ტერიტორია – მთავარია ფარულად და კომპაქტურად ხალხი არ ჩამოასახლოს ვინმემ და მერე სეპარატიზმი არ გააღვივოს, თორემ თითო-ოროლა ინვესტორი და ჩვენზე უკეთ რაიმე ჩვენი საქმის გამკეთებელი, პირიქით, კარგია; 3. რაც უფრო მომგებიანი გახდება მიწის ბიზნესი, ბოლოს, ასეთ საქმეში, უცხოელს აუცილებლად ისევ ადგილობრივები ჩაანაცვლებენ, ვინაიდან ადგილზე საქმე უფრო გულით და ადვილად კეთდება, ვიდრე შორიდან – გადახედეთ საქმეებს, რომლებიც უკვე განვითარდა და დარწმუნდებით... - გვითხრა ბატონმა ვანო ჩხაიძემ.

დემურ ბიორხელიძე, ექსპერტი:

ბატონო დემურ, როგორ უყურებთ ს/ს მიწის გაყიდვას...

ამ ეტაპზე ძალიან ცუდად! ღატაკ ქვეყანაში ეს საშიშია, ამასთან, ეს ნაცებს შეგნებულად ჰქონდათ ბლოკირებული, რომ ქართველებს არ ეყიდათ!

არანაირი გაყიდვა უცხოელებზე ... შეიძლება წინასწარ მოიზომოს რაღაც ადგილი, მაგალითად, 1-2 პროცენტი და მხოლოდ ის გაიყიდოს... სხვა გამორიცხულია. ქართველი ღატაკია, ვერაფერს იყიდის და ... მალე უმიწოდ დარჩება.

რევაზ ლორთქიფანიძე, - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

კითხვა: ბატონო რევაზ თქვენი აზრი მაინტერესებს ს\ს მიწის გაყიდვის თაობაზე...

რევაზ ლორთქიფანიძე: მიწის გაყიდვა რა პრობლემაა, ამას წინ არაფერი არ უნდა ედგას, მაგრამ, ამასთანავე, ზომიერი გადასახადი ისეთი უნდა იყოს, რომ აიძულებდეს მესაკუთრეს მიწის რაციონალურ გამოყენებას. მაშინ აზრს მოკლებული იქნება მიწის არასასოფლო დანიშნულებით შეძენა.

კითხვა: ბატონო რევაზ, მე აქ უფრო უცხოელისათვის მიყიდვას ვგულისხმობ...

რევაზ ლორთქიფანიძე: განსხვავებას ვერ ვხედავ, უცხოელი სხვას ამოეფარება, თუ მიწის შესყიდვა დასჭირდება. რაც შეეხება უცხოელების კომპაქტურად ჩასახლებას, განსაკუთრებით ქვეყნის სასაზღვრო რეგიონებში, მიწის დანიშნულების შეცვლას და სხვა, ეს აკრძალული უნდა იყოს და საგადასახადო კოდექსიც არ უნდა იძლეოდეს ამის საშუალებას.

ისე, ებრაელები არ ყიდიან მიწას სხვებზე, მაგრამ სამართავად რომ გადასცემ სხვას 2-3 თაობით და უფრო მეტად, ფაქტობრივად მაინც მისია. შესაძლებელია ეს ფორმაც გამოვიყენოთ. მაგრამ ეს მიწის ბაზარს უფრო მწირს გახდის ჩვენს პირობებში. ისე, დამატებით ამას დაკვირვება და შესწავლა უნდა შესაბამის სპეციალისტებთან ერთად.

კითხვა: საინტერესოა. ამას წინათ კახეთში ვიყავი და იქაურები ჩიოდნენ, მიწებს სპარსელები ყიდულობენ, არც თავად ამუშავებენ და არც ჩვენ საქონელს უშვებენ შიგ, რომ მოძოვონო...

რევაზ ლორთქიფანიძე: ეს საშინელებაა, ნამდვილად...

კითხვა: და რა უნდა ქნას ქვეყანამ ამის საწინააღმდეგოდ?

რევაზ ლორთქიფანიძე: გადასახადები. გადასახადებს ვერ გადაიხდიან და დაუყადაღებს.

გივი ბედიანაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკის ექსპერტი

„უცხოელებზე მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გავითვალისწინოთ, როგორც მინიმუმ, ორი ჯგუფის პრობლემის არსებობა – ეკონომიკური და სოციალური. ეკონომიკური პოზიციებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, შეზღუდვის არასასურველობა უცხოელების მიერ მიწის შეძენის პროცესისა ნაკლებად საკამათოა (თუმცა აქაც გასათვალისწინებელია ისეთი ასპექტები, როგორიცაა მიწის პირდაპირ სასპეკულაციოდ გამოყენების აკრძალვა, მისი დანიშნულების მიხედვით ექსპლოატაცია, მიწასთან დაკავშირებულ სამუშაოებში პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ა.შ.).

რაც შეეხება სოციალურ ფაქტორებს, საქართველოს დემოგრაფიული და ეროვნული თავისებურებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მიზანშეწონილი არაა მიწის, როგორც ობიექტის „თავისუფალ მიმოქცევაში" უკონტროლო გაშვება. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამან შესაძლოა გამოიწვიოს ქვეყანაში სხვადასხვა ხასიათის არასასურველი პრობლემები.

აღნიშნულთან მიმართებაში დამაბალანსებელი და მარეგულირებელი როლი უნდა შეასრულოს პირველ რიგში, მიგრაციის კანონმა, რისი შემუშავებაც, ჩემი აზრით, გაუმართლებლად ჭიანურდება. ამ კანონის საკანონმდებლო ორგანოებში მიღებამდე სასურველია მისი პროფესიული საზოგადოების მიერ განხილვა და შემდომ ყველა გამოთქმული პრინციპული შენიშვნის ასახვა-გათვალისწინება".

ამას წინათ, კერძოდ კი გაზეთ The Georgian Times-ის 27 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ეკონომიკურ ექსპერტ ირაკლი ლექვინაძესთან ჟურნალისტ ლიკა მოსიაშვილის ინტერვიუ. მასში კითხვაზე, თუ როგორ უნდა შეუთანხმოს ხელისუფლებამ ქვეყნის მოთხოვნილება უცხოურ ინვესიციებზე, განსაკუთრებით აგრარულ სფეროში,

მისი ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებთან, ინტერვიუერი შემდეგს აცხადებს:

„მე არაფერი მაქვს უცხოური ინვესტიციების საწინააღმდეგო. ვფიქრობ, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის კარგია თუ ისინი (იგულისხმება უცხოელი ინვესტორები) ქართულ მიწაზე ოჯახებსაც შექმნიან... მათ შემოაქვთ კაპიტალი, ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ძალზე სასარგებლოა ქართული სოფლისათვის. სხვა საკითხია მიწა გავყიდოთ, თუ გადავცეთ გრძელვადიანი სარგებლობისათვის. ადგილობრივ მკვიდრთა კონფლიქტები უცხოელ ინვესტორებთან ჩემთვის უსამართლო და მიუღებელია. ადგილობრივებს არ შეუძლიათ მიწების დამუშავება და არც იმაზე არიან თანახმა, რომ სხვამ გააკეთოს ეს. უფრო ხშირად ინვესტორები კერძო მესაკუთრეებისაგან ყიდულობენ მიწას, და არა სახელმწიფოსაგან. ეს არ უნდა იყოს აკრძალული არც ქართველი და არც უცხოელი ფერმერებისათვის. უფრო მეტიც: თუ არ გვინდა ამ სექტორის პოტენციალის დაკარგვა, უნდა დაიბეგროს მიწის ის მფლობელები, რომლებიც მიწას არ ამუშავებენ. ახლა ჩვენი მიწების ნახევარიც არ მუშავდება, და მიწის ყიდვა-გაყიდვაზე აკრძალვები კიდევ უფრო გააუარესებს მდგომარეობას".

კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ამ აზრის ავტორს, განსაკუთრებით ქართულ მიწაზე უცხოელების დასახლებისა და აქ ოჯახების მოწყობის თაობაზე. ეს ხომ ქვეყანაში შექმნილ მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა. კიდევ ერთხელ გვსურს გავიმეოროთ: სოფლის მეურნეობა სპეციფიკური დარგია და მას მხოლოდ ეფექტიანობის თვალსაზრისით არ უნდა ვუყურებდეთ.

ბოლო ხანებში ქვეყნის პარლამენტი ინტენსიურად მუშაობს მიწის კანონმდებლობის დასახვეწად. უკვე შეიძლება ახალი ხელისუფლების მიდგომებზეც ვისაუბროთ. როგორც უმრავლესების დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე აცხადებს, ახალი საკანონმდებლო წინადადების მიხედვით უცხოელზე შეიძლება გასხვისდეს ს/ს დანიშნულების მიწის ფონდის მხოლოდ ხუთი პროცენტი.

საკანონმდებლო წინადადება უცხოელზე მიწის გასხვისების კრიტერიუმსაც ადგენს. კერძოდ, მასზე მიწის გასხვისება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის 10 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობს. ასევე 2,5 ჰექტრის ოდენობითაა განსაზღვრული მიწის მაქსიმუმი, რომელიც უცხოელზე შეიძლება გასხვისდეს.

მიგვაჩნია, რომ მომავალი კანონმდებლობა გარკვეულად დაარეგულირებს ამ მეტად რთულ, ქვეყნისათვის არსებით საკითხს.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ბოლო წლებში ქართულ სოფელზე ისე მსჯელობენ, როგორც ფირმაზე, რომელიც აუცილებლად ეფექტიანად უნდა ფუნქციონირებდეს და მოგება უნდა მოჰქონდეს. ეს ნამდვილად ასე არ არის. სინგაპურად გადაქცეული საქართველო - საქართველო აღარ იქნება. ამიტომ, ვიდრე გვიან არაა, ყველანაირად უნდა ვეცადოთ იქ მცხოვრებ ხალხს ხელი შევუწყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი, რომელიც სოფელს რამდენიმე წლით მოსწყდება და ქალაქში ცხოვრებას გაუგებს გემო, ის შემდეგ უკან დამბრუნებელი აღარაა. შედეგად ჩვენ სოფლებს მოკლე ხანში გაუკაცრიელება ელის. მას კი არამხოლოდ დემოგრაფიული პრობლემები მოჰყვება (გამრავლების ტემპები, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი სოფელზე მდიდარია, სოფლად უფრო მაღალია), არამედ ქართული ტრადიციების დაკარგვაც. მოკლედ, საქართველო ის ქვეყანა აღარ იქნება, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ და გვიყვარს.

ამ ასპექტში მეტად დროული (იქნებ ცოტა დაგვიანებულიც) მეჩვენება „ქართული ოცნების" მიერ ქართული სოფლის აღორძინებისაკენ გადადგმული ნაბიჯები.

მსგავსი პრობლემების სიმძაფრე კარგად აქვთ გაცნობიერებული ევროპაში, სადაც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან სოფელს და არამხოლოდ კომერციული ინტერესების გამო – ევროპაში ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნება სურთ.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე, 2009 წ.
2. კოღუაშვილი პ. საქართველო და მსოფლიო, 2012 წლის მარტი.
3. The Georgia Times: „ინდოელები საქართველოში: „ტრეფიკინგის მსხვერპლნი თუ იაფი მიწის მაძიებელნი" 2013 წლის 13 მაისი.
4. The Georgian Times-ის 2013 წლის 27 მაისი, ეკონომიკურ ექსპერტ ირაკლი ლექვინაძესთან ჟურნალისტ ლიკა მოსიაშვილის ინტერვიუ.
5. პოლონური გაზეთი „Gazeta Wyborcza", 2013 წლის 19 მაისი.

# ფილიფსის მრუდი და გლობალური აუდიტის აუცილებლობა ცხოვრების დონის არსებითი მატებისათვის



რევაზ ლორთქიფანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი: ეკონომიქსი; მსოფლიო მეურნეობა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

*შრომის ავტორი იხილავს ფილიფსის მიერ დასმულ ინფლაციისა და უმუშევრობის დაძლევის აქტუალურ საკითხებს ევროკავშირის თანამედროვე მეთოდოლოგიის საკუთარი დაზუსტებით და ასკვნის, რომ საერთაშორისო აუდიტი წარმოადგენს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელ ფაქტორს გლობალიზების ეპოქაში.*

ტექნიკის დაწინაურებით, ინგლისის სამრეწველო რევოლუციამ ლოკალური საბაზრო ეკონომიკების გლობალიზების პროცესში ჩართვის წინაპირობები შექმნა, ხოლო ინტერნეტქსელის ორგანიზებამ ეს პროცესი საბოლოოდ შეუქცევადი გახადა [1].

არნახული მასშტაბების ტექნიკური ამოჩენების შედეგად, ადამიანების ცხოვრება (შემოსავლები, ხანგრძლივობა, ხარისხი) არსებითად უნდა უმჯობესდებოდეს, მაგრამ, ფარული არაკეთილსინდისიერი საერთაშორისო მონოპოლიებისა და ცალკეული დიქტატორულ-ტერორისტული რეჟიმების არსებობის გამო, შექმნილი დოვლათი უთანაბროდ ნაწილდება და, შედეგად, ხშირია ინფლაციური შოკები, რაც, ისევ და ისევ, მცირეშემოსავლიან მოსახლეობას აზარალებს ყველაზე მეტად და დროებითი უმუშევრობა და სიღარიბეც პარადოქსულად იზრდება და იზრდება.

ინფალციისა და უმუშევრობის დამოკიდებულების საკითხს ჯერ კიდევ ფილიფსი იკვლევდა, რომლის მრუდი გარკვეულ უკუპროპორციულ დამოკიდებულებას გამოხატავს უმუშევრობასა და ინფლაციას შორის [8, გვ. 616; 10], რაც სამრეწველო რევოლუციის შემდგომი ინგლისის 1861-1913 წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით გამოვლინდა [6, გვ. 629], 1958 წელს გამოქვეყნდა და კეინსიანიზმის მიმდევართა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მემკვიდრეობად იქცა. თუმცა, მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, ზოგიერთი ეკონომისტის მხრიდან, ფილიფსის ხსენებული ხედვა მწვავე კრიტიკას დაექვემდებარა მრუდის შესაძლო დეფორმაციებისა ან საერთოდ უსაფუძვლობის გამო, რასაც, თავად კეინსიანელები, დროებითი საფასო შოკებით ხნიან [9, გვ. 126-127].

ბუნებრივია, იბადება კითხვა, ვინ არის მართალი, ფილიფსი, თუ ამ საკითხში კეინსიანიზმის კრიტიკოსები? ჩემი აზრით, ფილიფსი, მისი ეპოქის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გენიოსია და ის, ინფლაციის განსაკუთრებული გამწვავების დროს, ჩემი "„დედუქციური" ლოგიკით", არაკვალიფიციური კადრების დათხოვნასა და უმუშევრობის ამ გარკვეული ზრდისა და ხელფასებზე ხარჯების შემცირების საშუალებით ინფლაციის უმძიმესი სენის მკურნალობას გვთავაზობს. მაგრამ ეს, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთჯერად ღონისძიებად ან უმცირეს მოკლევადიან პერიოდში შეიძლება გამოვიყენოთ და, ვფიქრობ, ეკონომიკური მიზანშეწონილობა მიგვანიშნებს გარემოებაზე, რომ ბატონი ფილიფსის ლოგიკას გრძელვადიან სტრატეგიაშიც რომ მივყვეთ და, ინფლაციის ჩასაქრობად, უმუშევრობის ზრდა გავაგრძელოთ, უმუშევრობის მუდმივი ზრდა საბოლოოდ ინფლაციას მინიმუმამდე კი არ შეამცირებს, არამედ, პირიქით, იმდენად შეამცირებს წარმოებას, რომ ფასების ადეკვატური ზრდა ჰიპერინფლაციურ პროცესებში გადაიზრდება.

მაგალითისათვის, თუ სახელმწიფო, ინფლაციის ჩასაქრობად გაატარებს სახელმწიფო დაწესებულებებიდან არაკვალიფიციური კადრების დროებით (კვალიფიკაციის ამაღლებამდე) დათხოვნის ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც უმუშევრობას 10%-ით გაზრდის, შემცირდება ფულის ემისია და ვალუტაც, გარკვეულწილად, გამყარდება. მაგრამ, თუ უმუშევრობის ზრდას მუდმივად გავაგრძელებთ,

ფილიფსის მრუდი აღარ იმოქმედებს და ინფლაციაც გაიზრდება.

ინფლაციის ნორმალიზება, ვალუტის სიმყარე, დასაქმება და ხელფასების მატება, ჩემი აზრით, საფუძველში და უმთავრესად, რაციონალურ ეკონომიკურ ეფექტიანობას უკავშირდება.

ევროპის ეკონომიკური კომისიის (ეეკ, წარმოადგენს ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს [11; 12]) სამდივნოს ექსპერტების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით, რომელიც სტრუქტურული ძვრების ინტენსივობას (ეფექტიანობას) გამოხატავს და გამოიყენება ანალიზისა და შედარებისათვის აშშ-ში, იაპონიასა და დასავლეთევროპულ ქვეყნებში, არ ხერხდება სტრუქტურული და დარგობრივი ეფექტიანობის ცვლილებების მთლიანი მონაწილეობების გამოყოფა. ხსენებული მეთოდოლოგია შედგება სამი ნაწილისაგან – პირველი გამოხატავს დარგობრივი ეფექტიანობის "წმინდა" გავლენას, მეორე – სტუქტურულ ეფექტს, მესამე – პირველი ორის ერთობლივი მოქმედების შედეგს [5]. ჩემს მიერ სტრუქტურულ თემატიკაზე ჩატარებული კვლევების (სირთულე, სიმწიფე, ვექტორული გადახრები, ეფექტიანობის შეფასება) შედეგად, სადაც გამოყენებულ იქნა ვლ. პაპავას თეორიული მემკვიდრეობა [7], მოხერხდა ეფექტიანობისა და სტრუქტურული ფაქტორების დაზუსტებაც [2 გვ. 17-18.].

ფილიფსის უკუპროპორციული დამოკიდებულების ჰიპერბოლური მრუდი მოკლევადიან სტრატეგიაში შესაძლებელია ევროკავშირის ექსპერტთა მეთოდოლოგიის ჩემი განვითარების გრაფიკულ გამოხატულებას (იხ. წრფივი და პირობითი კუბური პარაბოლის ფუნქციები) დავუკავშიროთ, კერძოდ, მოსალოდნელი სტრუქტურული ძვრების შესაბამისად, განვსაზღვროთ ნაზრდი ეფექტიანობაში (საკუთრივ, პროდუქტიულობაში), შესაბამისად, განვსაზღვროთ ხელფასების, დასაქმებისა და ინფლაციის ოპტიმალური დონეები.






ეფექტიანობის მატებასთან ერთად, უმეტეს შემთხვევებში, მატულობს ცხოვრების ხანგრძლივობაცა და მასთან დაკავშირებული შინაარსობრივი მრავალფეროვნებაც, რაც, საერთო ჯამში, ცხოვრების სრულყოფილ ხარისხს განაპირობებს.

2013 წლისათვის არსებული გარკვეულწილად განსხვავებული და შედარებით სარწმუნო სტატისტიკური ინტერნეტრესურსების განზოგადებით დგინდება, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (ანუ, მნიშვნელოვანწილად, სიცოცხლის ხარისხი) იაპონიაში – 82,7 წელია, აშშ-ში – 78,2 წელი, საქართველოში – 71,0 წელი, ავღანეთში – 43,8 წელი, ზიმბაბვეში – 43,5 წელი, მოზამბიკში – 39,2 წელი, სიცოცხლის ხანგრძლივობის მსოფლიოს საშუალო დონე კი 67,2 წელს შეადგენს [15].

ცხოვრების ორი მთავარი მდგენელი (დონე და ხანგრძლივობა) დამოუკიდებელი (ნაკლებდაკავშირებული) კანონზომიერებებით შეიძლება დავახასიათოთ და საერთო (მსგავსი) ზემოქმედების ფაქტორებითა და გამოვლინების მახასიათებლებითაც შეიძლება აიხსნას.

დამოუკიდებელი მოქმედების ეფექტები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ცხოვრების ეკონომიკური და კლიმატური ჯგუფის მაჩვენებლებით შეფასებისას. თუ ცხოვრების დონეს უცილობლად და უპირველესად ეკონომიკური შემოსავლების დონე განსაზღვრავს (მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე გადაანგარიშებით, საშუალო ხელფასის დონე, საშუალო ხელფასის ფარდობა უმნიშვნელოვანესი პროდუქციისა და მომსახურების ფასებთან და სხვ.), ხანგრძლივობა, მეტწილად, კლიმატურ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

მაგალითისათვის, კავაკასიის რეგიონი, მ.შ. საქართველო, სადაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის კრიზისული პირობების გამო, ცხოვრების დონე უკიდურესად დაეცა და მსოფლიოში ბოლო ადგილზეც კი დავიდა, ჩვენი ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყანა (განსაკუთრებით მისი მთიანი რეგიონები) ისევ მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებდა მსოფლიოში ხანდაზმულთა (90 წელზე მეტი ასაკის ადამიანები) რაოდენობით, მ. შ. 100 და 110 წელზე მეტი ასაკის ადამიანების შედარებითი მოჭარბების შემთხვევებით.

ბუნებრივი ფაქტორების პრიორიტეტული მნიშვნელობა არ ნიშნავს, რომ ცხოვრების დონის მაჩვენებლები არ ზემოქმედებს ცხოვრების ხანგრძლივობაზე. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითად იაპონია გამოდგება, სადაც მიწისძვრებისა და სხვა დაძაბული ბუნებრივი პირობების მიუხედავად, განსაკუთრებით მაღალი შემოსავლებისა და ცხოვრების წესის სახასიათო თავისებურებები განაპირობებს, რომ იაპონია ასევე განსაკუთრებით გამოირჩევა ხანდაზმულთა რაოდენობით.

მრავალფაქტორული დაკვირვების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხოვრების დონესა და ხანგრძლივობაზე მნიშვნელოვანწილად ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების კომპლექსი მოქმედებს და ცხოვრების ამ ორივე მაჩვენებლის განსაკუთრებული პარამეტრებით გამოირჩევა მხოლოდ რაოდენობრივად და ხარისხობრივად თვალსაჩინო ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის ქვეყნების (აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, შვედეთი, ჩეხეთი, რუსეთი, ჩინეთი და სხვ) ცალკეული დარგები და რეგიონები.

ხსენებულის კონტექსტში, ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი ქვეყნები (მ.შ., განსაკუთრებით - აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიაში), რომლებიც გამოირჩევა საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და სასარგებლო წიაღისეული მარაგებით, ჯერ კიდევ დინასტიურად დიქტატორული რეჟიმების მოქმედების გამო, როცა არ არსებობს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული და ეკონომიკური გარემოს ეფექტიანი კონკურენციული საფუძვლები, ხოლო გამოცხადებულია სახალხო კეთილდღეობა (რა თქმა უნდა მოჩვენებითი) და ბაზრების შესახებ ინფორმაციის წვდომისა და დოვლათის განაწილების გამჭვირვალე მექანიზმები (რა თქმა უნდა ასევე მოჩვენებითი და დეფორმირებული), რეალურად, ცხოვრების დონისა და ხანგრძლივობის უმდაბლეს დონეებს ავლენენ, მაშინ, როცა, ამ ქვეყნებიდან ემიგრირებული ნიჭიერი მოსახლეობა, ცივილურ ქვეყნებში საუკეთესო პარამეტრებს აღწევს.

ცხოვრების ხანგრძლივობის სპეციფიკური არაეკონომიკური ფაქტორებიდან საჭიროა აღინიშნოს ეკოლოგიური გარემოებანი (წყალი, ჰაერი, კვების პროდუქტები, ზომიერი ტემპერატურა, ბუნების სხვა რაციონალური ანუ არაექსტრემალური პირობები), მოსახლეობის ორგანიზებულობა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, შრომისა და სრულფასოვანი დასვენების ხანგრძლივობა და სხვა.

საქართველოს სინამდვილისათვის ნიშანდობლივია, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე საუკეთესო მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებია ადამიანის ბედნიერი არსებობისათვის და ჩვენმა მოსახლეობამ, თავისი ღვთისნიერი ბუნებითა და ორგანიზებულობით, ეკონომიკური შესაძლებლობების უკეთ გამოყენების მაგალითებიც უნდა აჩვენოს. აღნიშნულის პოტენციალი არსებობს და, ძალზე კარგია, რომ მის დაკვირვებასა და გაუმჯობესებაში მსოფლიოს ცივილიზებული

საზოგადოებაცაა დაინტერესებული.

იბადება კითხვა, თუ რა შეიძლება იღონოს მთავრობამ ამ მიმართებით მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესებისათვის. უმთავრესად, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დასაბუთებული და მეწარმეების მიმართ არამოჩვენებითი და კეთილგანწყობილი ეკონომიკური პოლიტიკისა და ქვეყნის ეკონომიკის რეკლამირების გზით, ადგილობრივი ინვესტიციების მაქსიმალური მობილიზება ეფექტიან უპირატესობათა დამატებითი სტიმულირებისათვის და მიღებული შემოსავლების გონივრული განაწილება უმუშევართა და ავადმყოფთა დასახმარებლად ისე, რომ ამან არ ავნოს ეფექტიანობის შემდგომ მატებას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, თანამედროვე სოციალურ პროექტებში ცალკეულ პროგრესულ საერთაშორისო გამოცდილებათა (აშშ, ინგლისი, გერმანია, რუსეთი) ინტეგრირებით საქართველოში შემოღებული საყოველთაო დაზღვევის სისტემა აღნიშნულისათვის თვალსაჩინო გონივრული მაგალითია.

გლობალიზების თანამედროვე პირობებში, აუცილებელი ხდება საერთაშორისო აუდიტი ეკონომიკურ პროცესებზე, ვინაიდან, ბუნებრივია, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებსაც კი არ ძალუძთ გაუმკლავდნენ სხვადასხვა არაკეთილსინდისიერ "მეწარმეთა" საერთაშორისო გაერთიანებებს. ასევე, ჩემი აზრით (არაიმიტომ, რომ პირადად ვარ დაინტერესებული, არამედ, ჭეშმარიტად შემტკივა გული და ვხედავ,რომ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიოსათვის), განსაკუთრებული საერთაშორისო აუდიტი ესაჭიროება მეცნიერთა უფლებების დაცვას, ვინაიდან, სწორედ ეს ადამიანები განაპირობებენ მსოფლიო პროგრესს და, სხვადასხვა ეპოქის წარმატებული იშვიათი ქვეყნების გარდა, სადაც მეცნიერების მასტიმულირებელი ხელშეწყობა ჭეშმარიტად სამაგალითოა, მათი უფლებები მნიშვნელოვანწილად შელახულია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ლორთქიფანიძე რევაზ, საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენცია და ეფექტიანი მენეჯმენტის მექანიზმები. - თბილისი, წმიდა ქაშვეთის ტაძარში კურთხევით, 2013.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/25725/1/SaertashorisoEkonomikuriKonkurenciaDa.....pdf

2. ლორთქიფანიძე რევაზ, ევროკავშირის ფორმულირების განვითარება და ეკონომიკური კონკურენციის კანონი. – საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი "ახალი ეკონომისტი", 2012, №1,

3. "Population". Older Americans : Key indicators of Well-Being. http://www.agingstats.gov/agingstatsdotnet/Main_Site/Data/Data_2008.aspx

4. Hooyman, N.R.; Kiyak, H.A. (2011). Social gerontology: A multidisciplinary perspective (9th ed.). Boston: Pearson Education, ISBN 0205763138.

5. Волков Н. В. Структурная перестройка американской экономики: особенности этапов. – «США – ЭПИ», 1985, N9, с. 30. იგივე ავტორის Структурные сдвиги в экономике США в 70-80 г.г., М., Наука, 1989, с.11 .

6. Блауг М. Экономическая мысль в ретроспективе. -Москва, Дело, 1994, 688 с.

7. Папава В. Г. Эффективность общественного производства и межотраслевые модели. Тб, Мецниереба, 1988, с. 218-240.

8. Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р. Экономика. -Москва, Дело ЛТД, 1993, 864 с.

9. Казаков А.П., Карчевский П.А. Реферат-дайджест учебника К. Макконнелла, С. Брю «Экономикс: принципы, проблемы и политика (в 2 т. пер. с английского 11-го изд. - М., Республика, 1992)». -Москва, Менеджер, 1993, 176 с.

10. http://en.wikipedia.org/wiki/William_Phillips_(economist)

11. http://en.wikipedia.org/wiki/Eu

12. http://en.wikipedia.org/wiki/European_Commission

13. http://www.imf.org/external/data.htm

14. http://data.worldbank.org

15.http://fsiqologi.com/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/


### Phillips curve and necessity of global audit for living level's essential growth


Revaz Lordkipanidze

Doctor of Economics and World Economy



The author of work illustrates Phillips issues about inflation and unemployment with own positions for development of modern EU methodology and concludes that the international audit is essential factor for improving living's quality in global era.

# გლობალიზაციის ეთიკური გამოწვევები დასაქმების სფეროში



ვასილ ხიზანიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

*გლობალიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პოსტმოდერნის ბიზნესურთიერთობებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მულტინაციონალურ კორპორაციებში დასაქმებულთა განსხვავებული მდგომარეობა და პირობები არა მხოლოდ რეგიონების, არამედ კონტინენტების მიხედვითაც. ეროვნული კულტურები და მორალური ფასეულობები; აბსოლუტიზმი VS რელატივიზმი; ე.წ. <<race to the bottom>> არის ის ასპექტები, რომელთა გააზრების გარეშეც შეუძლებელია მოცემულ თემატიკაში კარგად გარკვევა. გლობალიზაციის კონტექსტში მულტინაციონალურ კომპანიებს აკისრიათ საკმაოდ დიდი პოტენციური პასუხისმგებლობა. მნკ-ი წარმოადგენენ საერთაშორისო ბიზნესპრაქტიკის მძლავრ აქტიორებს დისლოკაციის ქვეყნებში, რომელთაც განსაკუთრებული საკვანძო როლი აკისრიათ ე.წ. „ინსტიტუციური ფონის“ შექმნაში, და რითაც შესაძლებელია ხდება მშრომელთა უფლებების დაცვა გლობალური ეკონომიკური ურთიერთოებების პირობებში.*

გლობალიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პოსტმოდერნის ბიზნესურთიერთობებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მულტინაციონალურ კორპორაციებში დასაქმებულთა განსხვავებული მდგომარეობა და პირობები არა მხოლოდ რეგიონების, არამედ კონტინენტების (აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, აფრიკა, სამხრეთ ამერიკა) მიხედვითაც. მხედველობაში გვაქვს დასაქმებულთა უფლებების უნივერსალურობა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს საკითხთა იმგვარ წყებას, როგორიცაა: დისკრიმინიაცია, პატიოსანი ურთიერთობები, მისაღები სამუშაო პირობები, სამართლიანი ხელფასი და ვერბალური/არავერბალური გამოხატვის თავისუფლება. ეს საკითხები სხვადასხვა კულტურებში განსხვავებულად ინტერპრეტირდება და ასევე განსხვავებულ დატვირთვას იძენს. მაგალითად, რასიული, სექსუალური თუ რელიგიური დისკრიმინაციის ცნებები სავსებით შესაძლებელია განსხვავებული იყოს ისლანდიაში, იტალიაში, ისრაელსა და ინდონეზიაში. მსგავსად ამისა, გამოხატვის თავისუფლებაც შესაძლებელია განსხვავებულად იქნას აღქმული ბელგიასა და ბირმაში.

ქვემოთ გთავაზობთ იმ ძირითად საკითხებს, რომელთა გააზრების გარეშეც შეუძლებელია მოცემულ თემატიკაში კარგად გარკვევა. ეს არის[1, გვ. 253]:

- ეროვნული კულტურები და მორალური ფასეულობები;
- აბსოლუტიზმი VS რელატივიზმი;
- ე.წ. „race to the bottom“ *

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი

ეროვნული კულტურები და მორალური ფასეულობები. ეროვნულ კულტურებსა და მორალურ ფასეულობებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა მსოფლიო მასშტაბით. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფ. ჰოფსტეიდის[2] ოთხი დიმენსის მქონე მოდელი, დამახასიათებელი სხვადასხვა კულტურული ფასეულობებით: ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი, ძალაუფლების დისტანცია ანუ მასშტაბი, მამაკაცურობა/ქალურობა, გაურკვევლობის თავიდან აცილება. ეს დიმენსები ბუნდოვნად ფოკუსირდება ზოგიერთ საკვანძო ასპექტზე, რაც საფუძვლად უდევს იმ მორალურ ფასეულობებს, რომლებიც განსაზღვრავენ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებულ ურთიერთობებს. მაგ., "ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი" დიმენსის შემთხვევაში, ინდივიდუალური ქცევის კულტურა გამოხატულებას პოულობს იმგვარ ფორმებში, რომ თითოეული დასაქმებულისათვის მისაღებია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღება საკუთარი დამსაქმებლის წინაშე, მაშინ როდესაც კოლექტიური ქცევის კულტურისათვის, როგორც წესი ნიშანდობლივია გაერთიანების საჭიროება

* იხ. ვ. ხიზანიშვილი, „გლობალიზაცია და ბიზნეს ეთიკა",. ჟურნალი „ეკონომიკა", №5-6, თბ. 2013, გვ. 195

და კოლექტიური მონაწილეობა. აგრეთვე, კოლექტივისტების საზოგადოებაში, პიროვნების უნარი იმუშაოს კარგად სხვებთან ერთად და შეძლოს თანამშრომლობის საფუძველზე ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა, შესაძლებელია შეფასებული იქნას სწორედ რომ მაღალი პროფესიონალიზმის კვალიფიკაციით. როგორც ცნობილი მეცნიერები ტრევინო და ნელსონი[3, გვ. 292] გვთავაზობენ, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ კოლექტივისტურ კულტურაში, რამდენადაც შრომის მაძიებელი და მისი ოჯახი არის ნაცნობი, სანდო და მოსაწონი, იმდენად ამ ფაქტორებს აპლიკანტის სამსახურში ასაყვანად დამსაქმებლის თვალში გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია, მაშინ როდესაც ინდივიდუალისტური კულტურის ქვეყნებში მსგავსი „ნეპოტიზმი" შესაძლოა აღქმული იქნეს, როგორც ცუდი გავლენის მომხდენი ფაქტი და დისკრიმინაციული ქმედება.

საქმე იმაშია, რომ განსხვავებულ კულტურებში განსხვავებულად განიხილება დასაქმებულთა უფლებები და მოვალეობები. ეს ნიშნავს იმას, რომ მმართველთა დამოკიდებულების დროს სხვა ქვეყნის (განსაკუთრებით მესამე და მეოთხე სამყაროს ქვეყნების) პერსონალთან, ან სულაც ბიზნესის კრიტიკასა და შეფასებისას, როგორც მეცნიერთა, ისე ექსპერტთა მხრიდან უპირატესად საჭიროა ეთიკის კულტურული ბაზისის წვდომა და გაგება მსგავს ქვეყნებში. რასაკვირველია, ინდუსტრიულად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული შრომის ზოგადუნივერსალური უფლებების დაცვის, მათი რეალიზაციის ხარისხის მკვეთრი და აშკარა შეუსაბამობა, წარმოშობს აბსოლუტიზმის და რელატივიზმის ურთიერთშეპირისპირებულობის პრობლემას.

აბსულუტიზმი VS რელატივიზმი. აბსოლუტიზმი წარმოადგენს იდეას იმის შესახებ, რომ თუ ეთიკური პრინციპი მართებულად იქნა მიჩნეული, მაშინ ის ვარგისია ყველგან. რელატივიზმი პირიქით, – იგი გაიაზრება იმგვარად, რომ ეთიკის არცერთი ხედვა არ მიიჩნევა მართებულად, ვინაიდან ის ყოველთვის უნდა იყოს რელატიური ისტორიულ და კულტურულ კონტექსტთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეთიკური აბსოლუტიზმისა და რელატივიზმის ორივე უკიდურესობა არ იძლევა საკმარის პასუხს იმ აშკარად განსხვავებულ პირობებზე, რომლებსაც დღემდე აქვს ადგილი მთელ მსოფლიოში. რელატივისტისათვის ევროპიდან, რომელიც წარმართავს შიდა საქმიანობით პოლიტიკას უცხო კულტურულ კონტექსტში, სრულად ზედმეტია მორალური განსჯის აუცილებლობა. მაგ., თუ პაკისტანის კულტურაში დასაშვებია თოთხმეტსაათიანი სამუშაო დღე, რატომ ჩაანაცვლებდა ის მას დასავლური სტანდარტებით? მაშასადამე, რელატივიზმი უარყოფს ნებისმიერ ეთიკურ პრობლემას, წამოჭრილს შრომის ცუდი პირობებისა და ექსპლუატაციის ირგვლივ, ვიდრე ისინი შეესაბამებიან მოცემული ქვეყნისა და კულტურის სტანდარტებს. მაშინ როდესაც, სპექტრის მეორე ბოლოს მყოფი აბსოლუტისათვის თუ მართებულია მორალური სტანდარტები, მაშინ ისინი მართებული და მისაღებია ყველგან მთელ მსოფლიოში, და კომპანიებშიც, გამოდინარე აქედან ვალდებულნი არიან დაიცვან მუშაკთა შრომის უფლებები.და მაინც, როგორც ჩანს ეს ორი მხარე ვერასდროს მივა საერთო კონსესუსამდე. ამიტომ, თუ გვსურს ვიპოვნოთ პრაქტიკული გზები წინსვლისა, საჭიროა ამას შევხედოთ ცოტა სხვაგვარად და უფრო დაკვირვებით. სამოქმედო ორიენტირის ძირითად წესს შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის უფლებები, როგორც მართველობითი საქმიანობის საბაზო კომპასი[4, გვ, 129-133]. თუკი გარკვეული პრაქტიკა არღვევს ადამიანის უფლებებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ეთიკურად მცდარი და მიუღებელია. ამგვარი შეხედულების მიღმა არსებობს მოსაზრება, რომ თანამშრომელთა მიმართ განსხვავებული მიდგომები გლობალური მასშტაბით, თავისთავად არ გულისხმობს ეთიკურად არასწორსა და მიუღებელს, არამედ დამოკიდებულია იმ ქვეყნის შედარებით ეკონომიკურ განვითარებაზე, რომელშიც მიმდინარეობს აღნიშნული პრაქტიკა. ამგვარ შემთხვევაში ძირითადი ეკონომიკური საკითხი მდგომარეობს ხელფასსა და სამუშაო პირობების შესაბამისობაში განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან[5, გვ. 101-106]. მაგალითად, ის თოთხმეტსაათიანი სამუშაო დღე, რომელსაც ფრანგული მნკ უწესებს თავის თანამშრომლებს პაკისტანში, იქნებოდა თუ არა მისაღები მაშინ თუკი საფრანგეთის ექნებოდა იგივე ეკონომიკური მდგომარეობა როგორც პაკისტანს?

ე.წ. “race to the bottom”. უცხოეთში დასაქმების სტანდარტების ადაპტაციისა თუ არა ადაპტაციისაგან დამოუკიდებლად, პროფესორები შერერი და სმიდი[6, გვ. 351-371] ამტკიცებენ, რომ მნკ-ი ასევე თამაშობენ გარკვეულ როლს სტანდარტების მხრივ ამ ქვეყნებში. კერძოდ, განვითარებად ქვეყნებს შორის გაჩაღებულია დიდი შეჯიბრი, ეროვნული ინტერესების მკვეთრი შეზღუდვის ხარჯზე მნკ-თვის საუკეთესო საინვესტიციო გარემოს შესათავაზებლად, უცხოური ინვესტიციების

მოზიდვის მიზნით. ხოლო ამ კონტექსტში, გლობალიზაცია, რომელიც ეკონომიკურ სივრცეთა დეტერიტორიზაციასთან ასოცირდება, განვითარებული ქვეყნებისათვის ქმნის უზარმაზარი არჩევანის თავისუფლებას ბიზნესის საწარმოებლად.

გლობალიზაციის მრავალი კრიტიკოსი[1, გვ. 255] ამტკიცებს, რომ ინვესტიციების მოსაზიდად დაწყებულ ამ გამალებულ კონკურენციაში საკვანძო ფაქტორებს წარმოადგენს მნკ-თან არსებული ხარჯები, რაც დაკავშირებულია ეკოლოგიურ რეგულაციებთან, გადასახადებთან და ტარიფებთან,დასაქმებულთა სოციალურ კეთილდღეობასთან, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების უზრუნველყოფასთან. შედეგად, მსხვილი ინვესტორები ირჩევენ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც მათ სთავაზობენ შედარებით უმჯობეს პირობებს, რაც ხშირად ნიშნავს რეგულაციებისა და სოციალური უზრუნველყოფის უდაბლეს დონეს დასაქმებულთათვის. ამიტომ, მსგავსი შეჯიბრებები ქვეყნებს შორის კიდევ უფრო აუარესებს მათ ეკო-სოციალურს მდგომარეობს და მიჰყავს ისინი ე.წ. „race to the bottom„-ის არსებობამდე. მსგავსი უმისამართო სრბოლების უზრუნველყოფის უმთავრეს სუბიექტად კი სწორედ მნკ-ი გვევლინებიან[7, გვ. 557-581]. მიუხედავად შეუზღუდავი თავისუფალი ვაჭრობის მომხრეების საპირისპირო მოსაზრებებისა, რომლებიც არ იზიარებენ აღნიშნულ პოზიციას და მიაჩნიათ, რომ ქვეყნებს შორის არსებული კონკურენციის ნეგატიურ არგუმენტად მოტანა არა მხოლოდ შეცდომა, არამედ წინააღმდეგობაშია თავისუფალ ვაჭრობასთან და ბაზრის დერეგულირებასთან, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მნკ-ის მიერ წარმოებული სამსახოვანი (სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური) ინტერვენციები მესამე და მეოთხე სამყაროს ქვეყნებში დღემდე გრძელდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის კონტექსტში მულტინაციონალურ კომპანიებს აკისრიათ საკმაოდ დიდი პოტენციური პასუხისმგებლობა. მნკ წარმოადგენენ საერთაშორისო ბიზნესპრაქტიკის მძლავრ აქტიორებს დისლოკაციის ქვეყნებში, რომლებიც განსაკუთრებულ საკვანძო როლს თამაშობენ ე.წ. <<ინსტიტუციური ფონის>> შექმნაში, და რომელიც მოიცავს ისეთ ინსტიტუციურ ფორმებს, როგორებიცაა პროფკავშირები, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმები, სხვადასხვაგვარი წესები, რეგულაციები და სტანდარტები, რომლებიც ხელს უწყობენ მშრომელთა უფლებების დაცვას გლობალური ეკონომიკური ურთიერთოებების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. A. Crane, D. Matten; Business Ethics, A European Perspective (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization). Oxford – New York, Oxford University Press, 2004.

2. G. Hofstede; Cuture’s Consequences: International Differences in Work Related Values; Beverly Hills: Sage, 1980.

3. L.K. Trevino, K.A. Nelson; Managing Business Ethics: Straight Talk about How to do it Right, 2nd edn., New York: John Wiley., 1999.

4. P. Frankental, “The UN Universal Declaration of Human Rights as a corporate code of Conduct”. Business Ethics: A European Review, #11/2, 2002.

5. T. Donaldson, The Ethics of International Business., New York: Oxford University Press., 1989.

6. A.G. Scherer, M. Smid., “The Downward spiral and the V.S. model business principles: why MNEs should take responsibility for improvement of worldwide social and environmental conditions”., Management International Review, # 40/4, 2000.

7. D. Spar, D. Yoffie., “Multinational enterprises and the prospects for justice”., Journal of International Affairs, #52/2, 1999.


The ethical challenges of globalization in the sphere of employment


Vasil Khizanishvili
Assistant Professor of
I.Gogebashvili Telavi State University,
PhD in Economics



Globalization has had an important impact on postmodern business relationship. In this regard, it is worth noting the employee’s different situations and conditions in multinational corporations, not only of regions, but according to the continents. National Cultures and Moral Values; Absolutism vs Relativism; so called: <<race to the bottom>> are the aspects, even without understanding these, it is impossible to clear well in the given subject. In the context of globalization the multinational companies have quite large potential liability. MNC are strong actors of international business practice in dislocation countries, which have the particular key role so called in making of <<Institutional Background>>, thus it’s possible worker’s protect of rights, in the condition of Global Economic Relationship.

# CVP (დანახარჯი – მოცულობა – მოგების) ანალიზი

ზაირა ღუდუშაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სრული პროფესორი

*სტატიაში წარმოდგენილია კომპანიაში პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის მოცულობის, მასზე გაწეული დანახარჯების და მიღებული მოგების ურთიერთდამოკიდებულება, კერძოდ რეალიზაციის მოცულობის გავლენა დანახარჯებსა და მოგებაზე. ანალიზი დაფუძნებულია ერთეული პროდუქციის ზღვრულ მოგებას.*

*სტატიაში CVP-ანალიზი გამოყენებულია უზარალობის წერტილის პოვ-ნისთვის და პროდუქციის უზარალო მოცულობის გაანგარიშებისთვის. პირო-ბითი მაგალითის მიხედვით იგი გამოთვლილია განტოლების მეთოდით, ზღვრული მოგების მეთოდით და გრაფიკების მეთოდით.*

*სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ სანამ მეწარმე საქმიანობას დაიწ ყებდეს, მან აუცილებლად უნდა იცოდეს თუ რამდენი პროდუქცია უნდა აწარ მოოს (და გაყიდოს), რომ მისი საქმე მომგებიანი გახდეს.*

კომპანიის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილებების მისაღებად ხშირად სჭირდებათ ცოდნა დანახარჯების ქცევის შესახებ. დანახარჯი – მოცულობა – მოგების (CVP) ანალიზი წარმოადგენს სწორედ იმ მეთოდს, რომელიც დანახარჯთა ქცევის თეორიის საფუძველზე განსაზღვრავს კომპანიაში საქონ ლის წარმოების იმ სიდიდეს, რომლის დროსაც არ არსებობს არც მოგება და არც ზარალი (წარმოებული საქონლის სრული რეალიზაციის პირობებში). ასეთ დროს, საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები და მისი წარმოება-რეალიზაციისთვის გაწეული ხარჯები ერთმანეთის ტოლია. მაშასადამე ამონა გები ფარავს ხარჯებს მთლიანად, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიას არა აქვს მოგება, მაგრამ არც წაგება აქვს. ეს ინფორმაცია მეტად საჭიროა მენეჯე რისთ ვის, რადგან მან უნდა იცოდეს წარმოების ის მინიმალური მოცულობა, რომლის დროსაც კომპანიის ბიზნესი აღარ განიცდის ზარალს. დროის იმ მომენტს, როცა კომპანია მიაღწევს პროდუქციის ამ მოცულობის გამოშვებას, უზარალობის (წაუგებლობის) წერტილი ეწოდება. ზოგიერთ წარმოებაში იგი შეიძლება დადგეს 3-5 წლის შემდეგ (მაგალითად, რაკეტმშენებლობა), ზოგან კი – 2-3 თვეში (ვაჭრობა, ფინანსური შუამავლობა).

CVP-ანალიზით განისაზღვრება თუ პროდუქციის (მომსახურების) გამოშ-ვების მოცულობის ცვლილება როგორ ზეგავლენას ახდენს დანახარჯებსა და მოგებაზე. ამით კომპანიის მენეჯერს შეუძლია მიიღოს პროდუქციის ოპტიმა ლური მოცულობით გამოშვების შესახებ გადაწყვეტილება. მაშასადამე, CVP-ანალიზი, ძირითადად გვიჩვენებს პროდუქციის გამოშვება-რეალიზაციის სხვა დასხვა მოცულობის გავლენას კომპანიის საქმიანობის შედეგებზე (მოგებაზე). რეალიზაციის მოცულობაზე ყურადღების კონცენტრირება იმითაა განპირობე ბული, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში, როგორც წესი, საკმარისი სიზუს ტით არის ცნობილი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი, მასალებისა და შრომის დანახარჯები. ასევე ადვილია მუდმივი დანახარჯების პროგნოზირებაც, ზღვ რუ ლი მოგებისაც (ფასს მინუს ცვალებადი ხარჯები), მაგრამ რეალიზაციის მოცულობა ჩვეულებრივ პროგნოზირებადი სიდიდე არ არის (რადგან იგი მოთ ხოვნაზეა დამოკიდებული). არადა, სწორედ მისი მოცულობა ახდენს გავლენას მოგების სიდიდეზე. თუმცა, მენეჯერს შეუძლია გამოთვალოს თუ რა მოცულობის პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია ესაჭიროება კომპანიას იმისთ ვის, რომ მიიღოს მოგება, ანუ რა მოცულობის პროდუქცია უნდა გაყიდოს წელი წადში კომპანიამ, რომ მიაღწიოს უზარალობას. აი, სწორედ ამით იწყება CVP-ანალიზი.

მაშასადამე, CVP-ანალიზით იწყება კომპანიის უზარალობის წერტილის და მისი შესაბამისი უზარალო პროდუქციის მოცულობის დადგენა. არსებობს უზარა ლობის წერტილის დადგენის სამი მეთოდი [1, გვ. 17]:

1. განტოლების მეთოდი;
2. ზღვრული მოგების მეთოდი;
3. გრაფიკული მეთოდი.

1. განტოლების მეთოდის გამოსაყენებლად მოვიყვანოთ მაგალითი:

ერთეული პროდუქციის ფასი (USP) = 50 ლარი.

ერთეული პროდუქციის ცვალებადი ხარჯები (UVC) = 40 ლარი.

მუდმივი ხარჯების მთლიანი სიდიდე (FC) = 300.000 ლარი.

ზღვრული მოგება (UCM) – 50–40=10 ლარს.

Q = ?

უზარალო პროდუქციის გამოშვება ტოლი იქნება:

თუ მოგებას (P) მივანიჭებთ O-მნიშვნელობას, მაშინ გავიგებთ, თუ რამდენი პროდუქცია უნდა გავყიდოთ, რომ ვიყოთ უზარალობის წერტილ-ზე. ასეთ შემთხვევაში:

$$(USP \cdot Q)-(UVC \cdot Q)-FC = (50\ Q)-(40\ Q)-300.000=0$$

$$10\ Q = 300.000 = 0$$

$$Q=\frac{300.000}{10}=30.000 \text{ ერთეულის}$$

მოცემული განტოლება 20 გვიხსნის, რომ თუ კომპანია გაყიდის 30.000 ერთეულზე ნაკლებ პროდუქციას, ის ზარალიანი იქნება, თუ გაყიდის ზუსტად 30.000 ერთეულს უზარალო იქნება, ხოლო თუ გაყიდის 30.000-ზე მეტს, მაშინ მიიღებს მოგებას.

2. ზღვრული მეთოდის გამოყენებისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ზღვრულ მოგებაზე (UCM). იგი იანგარიშება ერთეული პროდუქციის ფასიდან (USP) ერთეულ პროდუქციაზე მოსული ცვალებადი ხარჯის (UVC) გამოკლებით. მის გამოსაყენებლად განტოლების მეთოდში გამოყენებული ფორმულა უნდა შემდეგნაირად გარდავქმნათ:

$$UCM \cdot Q = FC + P$$

$$Q = FC + \frac{P}{UCM}$$

რადგან $UCM = 10$ -ს, $FC = 300.000$ -ს, ხოლო $P = 0$ -ს, ამიტომ ამ ფორმულის გამოყენებით მივიღებთ, რომ $Q=\frac{300.000}{10}=30.000$ ერთეულს.

მაშასადამე, ამ მეთოდითაც დასტურდება, რომ ასეთი მონაცემების შემთ ხ ვევაში, კომპანიაში უზარალო პროდუქციის მოცულობა იქნება 30.000 ერთეული. კომპანიამ უნდა გაყიდოს 30.000 ერთეული პროდუქტი, რომ გახდეს უზარალო. ამის შემდეგ ყოველი ერთეული პროდუქცია მას მისცემს მოგებას.

3. გრაფიკული მეთოდის გამოყენებით უზარალობის წერტილის პოვნა და შესაბამისად უზარალო პროდუქციის მოცულობის განსაზღვრა გრაფიკებით ხორციელდება. გრაფიკზე შეიძლება ამოკითხული იქნეს რეალიზაციის მოცუ ლობა, მოგების და ზარალის მოცულობა, მუდმივი და ცვალებადი დანახარ ჯების მოცულობები და მთლიანი დანახარჯის და რეალიზაციის წრფეების გადაკვეთის წერტილი, ანუ უზარალობის წერტილი [1, გვ. 285]. გრაფიკები მრავალნაირია: ჩვეულებრივი უზარალობის გრაფიკი, ზღვრული მოგების უზარალობის გრაფიკი, მოგება-მოცულობის გრაფიკი და სხვ. მათგან ყველაზე მარტივია ჩვეულებრივი უზარალობის გრაფიკი. ავაგოთ ეს გრაფიკი ჩვენი მონაცემებით და ვაჩვენოთ უზარალობის წერტილი და უზარალო პროდუქ ციის რაოდენობა.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, Y-ღერძზე ნაჩვენებია შემოსავლების (რეალი ზაცია) და ხარჯების თანხები, ხოლო X-ღერძზე გამოშვებული პროდუქციის ერთეულები. კომპანიაში პროდუქციის გამოშვების გეგმური მოცულობის ზღვარი არის 50.000 ერთეული. გრაფიკზე მოჩანს მუდმივი დანახარჯების, ცვალებადი და მთლიანი დანახარჯების წრფეები, აგრეთვე რეალიზაციიდან ამონაგების წრფე. იქ, სადაც მთლიანი დანახარჯებისა და ამონაგების წრფეები იკვეთება, ის არის უზარალობის წერტილი. უზარალობის წერტილის მომენტში კომპა ნიამ აწარმოვა 30.000 ერთეული პროდუქცია. ეს მომენტი არის წყალგამყოფი კომპა ნიის ზარალიან და მომგებიან მუშაობას შორის. გეგმური რეალიზაციის მოცუ ლობასა (50.000 ერთეული) და უზარალოდ რეალიზებულ პროდუქციას შორის არსებულ სხვაობას ეწოდება უსაფრთხოების შუალედი [2, გვ. 285]. ჩვენ მაგა ლითზე იგი 50.000 – 30.000 = 20.000 ერთეულს შეადგენს. უზარალობის წერტილის პოვნისთვის გრაფიკული მეთოდების გამოყენების უპირატესობა იმასია, რომ პროდუქცია და დროის პერიოდები შეიძლება შევუდაროთ დაგეგმილს და შედეგი თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ.




ნახ. 1. ჩვეულებრივი უზარალობის წერტილი

უზარალობის წერტილის პოვნა არის ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელიც ნებისმიერმა კომპანიამ საქმიანობის დაწყებამდე უნდა შეასრულოს. იგი იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ იძლევა პასუხს კითხვაზე: „რამდენი პრო დუქცია უნდა აწარმოვოს კომპანიამ, რომ უზარალობის დონეზე გავიდეს?“

ჩვენს მაგალითზე იგი 30.000 ერთეულს შეადგენს. კომპანია უნდა შეეცა-დოს, რომ რაც შეიძლება შეამციროს უზარალო პროდუქციის მოცულობა. ეს მიიღწევა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით.

CVP (Cost-Volume-Profit) Analysis

ZairaGudushauri
FullProfessor of Georgian Technical University

The article “CVP (Cost-Volume-Profit) Analysis” presents interconnection of volume of output and sales in a company, its production expenditures and yielded profit, to be more precise fixing, volume of sales towards the expenditure and profit. The Analysis is based on profit margin per product unit.

The article uses CVP Analysis to find out break-even point and to fix break-even volume of product. According to anexample it is calculated withequationmethod, profit margin method and the method of graphs

The article concludes that before starting a business the entrepreneur has to know how much product he/she has to produce (sell) to make the business profitable

# საქართველოს ფირმებს განვითარების სტრატეგიის დახვეწა სჭირდებათ

იზოლდა პირტახია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

*სტატიაში განხილულია საქართველოს ფირმების ტაქტიკასა და სტრატე გიებში არსებული თავისებურებები, რაც მათ განვითარების გზაზე მთელ რიგ პრობლემებს უქმნის. ამ თავისებურებებად მიჩნეულია: მოგების სწრაფად მიღება, პირველობისკენ მისწრაფება და ყველგან და ყველაფერში უნივერსალურობა.*

*სტატიაში დასაბუთებულია, რომ ეს თავისებურებები მოკლე ვადიანი წარმა ტებების შემდეგ ფირმებს კრიზისში აგდებენ. სტატიის ავტორი ფირმებს აძლევს რეკომენდაციებს, რომ მათ ასეთ სიტუაციაში შეცვალონ ბიზნეს-მოდელი, მარკეტინგული და ფინანსური მოდელები. კერძოდ, პირველ შემთხვე ვაში შექმნან განვითარების საბჭო, მეორე შემთხვევაში კლიენტებთან დაამყა რონ მჭიდრო კონტაქტები, ხოლო მესამე შემთხვევაში დაფინანსების წყარო აირჩიონ მოზიდული ფინანსური რესურსის ფასის მინიმუმით (WACC<IRR).*

საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფის" მიერ გამოქვეყნებულ საუკე თესო სტატიათა ერთ-ერთ კრებულში ქართული ფირმების სტრატეგიის სამი თავისებურება სახელდება [1, გვ. 100-103]: 1. ძალიან, ძალიან სწრაფი მოგება; 2. უნივერსალიზაცია ყველგან და ყველაფერში; 3. პირველობისკენ სწრაფვა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში წელიწადში ყოველი მეხუთე მცირე და საშუალო სიდიდის ფირმა კოტრდება, ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ ეს ფაქტი მხოლოდ ამ თავისებურებების მიზეზით ხდება. თუმცა, შექმნილ ვითარებაში, რომელიც არა და არ გამოსწორდა, ამ თავისებურებებსაც მიუძღ ვით ბრალი.

ფირმა მოგებაზე ორიენტირებული საწარმოა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი №1 მიზანი, ანუ მისია, მოგების მიღება იყოს. ფირმას მოგებას მომხმა რებლები (საზოგადოება) აძლევენ, მომხმარებლები კი ფირმისგან ელო დე ბიან მაღალხარისხოვან პროდუქციას (მომსახურებას). აი, ეს უნდა იყოს ფირმისთვის №1 მიზანი და არა მოგება. ამ მიზნის რეალიზაცია ფირმას მოგე ბის მიღების საშუალებას მისცემს დიდი ხნით და მზარდი დინამიკით. საქართველოს ფირმებში გავრცელებული გამოთქმა „ბოსი, ყოველთვის მარ თალია", უნდა შეიცვალოს გამოთქმით „მომხმარებელი (დამკვეთი) ყოველთვის მართალია" [2, გვ. 16].

და მაინც, რა ხდება ისეთი, როცა ფირმა სწრაფ გამდიდრებაზე მუშაობს? ჯერ ერთი, პირველ ხანებიდანვე, როგორც კი მოგება იწყებს ზრდას, ფირმის მენეჯმენტი ივიწყებს მომჭირნეობის პრინციპს და იწყებს ხელფასების გადი დებას (განსაკუთრებით მენეჯერთა გუნდისთვის), რაც ზრდის ხარჯებს და ამცირებს მოგებას. მოგებას ამცირებს აგრეთვე მაღალი ხელფასებით განებივ რებული მენეჯერების მოდუნება სიახლეების ძიებისა და დანერგვის კონ ტექსტ ში. ამას ემატება ბაზარზე ახალ-ახალი კონკურენტების გამოჩენა, რაც ამცირებს ფირმის პროდუქციის გაყიდვების მოცულობას და შედეგად მოგება საც. მენეჯერები მომხდარს თავის თავზე კი არ იღებენ, არამედ გადაბრალებით არიან დაკავებულნი. იძაბება ურთიერთობა რიგით თანამშრომლებსა და მენე ჯერთა გუნდს შორისაც, რადგან თანამშრომლები, რომელთაც უგვიანდებათ და უნახევრდებათ ხელფასები, აღარ ეძლევათ ბონუსები და ა. შ., მენეჯერებს სდებენ ბრალს. ამ ყველაფერს ფირმა მიყავს კრიზისამდე და თუ მისმა მენე ჯერთა გუნდმა დროზე არ იპოვა გამოსავალი, იგი გაკოტრდება. გამოსავალი კი არის ერთადერთი, რომ ფირმის მმართველმა გუნდმა გაითავისოს მისი პრო-დუქციის მომხმარებლის სურვილები, რადგან მისი საქმიანობის მთავარი არბიტრი არის მომხმარებელი.

იგივე ვითარებას იწვევს საქართველოს ფირმების მეორე თავისებურება – უნივერსალიზაცია ყველგან და ყველაფერში. როგორც წესი,

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ქართული ფირმების დიდი ნაწილი უნივერსალიზაციას თავის ძირითად სტრატეგიად მიიჩნევს. მისი შინაარსი იმაშია, რომ აკეთონ ყველაფერი, მოემსახურონ ყველას და საინტერესო იყონ ყველასთვის. რაღაც დროის განმავლობაში ისინი მართლაც ახერხებენ მოიზიდონ კლიენტები, მიიქციონ მათი ყურადღება და დაენახონ ყველას. მიმზიდველია მათი რეკლამის შინაარსიც: „გველოდით, გველოდით და აი, ჩვენც მოვედით...“ მარტო ეს რეკლამა დააინტერესებს მომხარებელს და მართლაც ერთი-ორჯერ იყიდის მათ პროდუქციას დასაგემოვნებლად, მაგრამ თუ იგი მისი გემოვნების არ აღმოჩნდა, ამით დამთავრდება მისი ურთიერთობა მათთან.

ყველა და ყველაფერს გამოდევნებული ფირმა ვერ შეძლებს: შეასრულოს ყველა საქმე მაღალ დონეზე, ისწავლოს და გაიგოს ყველაფერი ყველაზე, მოახდინოს საინტერესო იდეების გენერაცია და განახორციელოს იგი ყველა მიმართულებით თანაბრად და საკმარისად, მომხმარებელთა მოთხოვნების თანაბრად დაკმაყოფილებას და ა. შ. ამის შედეგად იწყება კრიზისი და ხდება მისი ესკალაცია. ამ შემთხვევაში გადარჩენის ერთადერთი გზა არის რომელიმე ერთ პროდუქტზე (მომსახურებაზე), ბაზრის ერთ სეგმენტზე ფოკუსირება. რაც უფრო მკაფიო იქნება ეს ფოკუსი, მით უფრო სწრაფად გაიზრდება ფირმა. უნივერსალიზაციის ბიზნესსტრატეგიამ არ გაამართლა არც უცხოურ კომპანიებში – I -ში, ენერალ ოტორს-ში და სხვებში [3, გვ. 27]. მათ დასჭირდათ საკუთარი სტრატეგიის უფრო მეტად ფოკუსირება ერთ კონკრეტულ იდეაზე და ეს გააკეთეს კიდეც. სტრატეგია „ყველაფერი ყველასთვის“ XXI საუკუნეში არც საზღვარგარეთ ამართლებს.

ქართველი კაცის გენეტიკაში პირველობისკენ სწრაფვაა ჩადებული. ასეა ქართულ ფირმებშიც. როგორც კი ფირმა სწრაფად იწყებს ზრდას, მას პირველობის სურვილი უჩნდება. ის ხდება მისი იდეა-ფიქსი, მიზანი და სტრატეგია. ასეთი მისწრაფება ფირმაში მრავალი უარყოფითი მოვლენის საფუძველი ხდება, კერძოდ, ფირმები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მიღწეული შედეგების გამყარებას, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებულ პროექტებს, საკადრო ბაზის განვითარებას და ა. შ. შედეგად, ამ შემთხვევაშიც იწყება კრიზისი – იზრდება თანამშრომელთა უკმაყოფილება, მატულობს მათში ინერტულობა, მწვავდება ურთიერთობები მენეჯერთა გუნდშიც. ფირმებმა უნდა დაიმახსოვრონ, რომ უფრო მნიშვნელოვანია იყო პირველი მომხმარებელთა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის არჩევანში, ვიდრე მთელი საზოგადოების მიერ წარმოების მასშტაბის მაჩვენებლით აღიარებული ლიდერი. სჯობია დათმო პირველობის ამბიცია და იზრუნო კლიენტთა კონკრეტული ჯგუფის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის, ვიდრე დატოვო ბაზარი. ასეთი ფირმები გაცილებით დიდ წარმატებებს აღწევენ, ვიდრე ისინი, ვისთვისაც დღევანდელი მოგება და ლიდერობა ყველაფერზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია. კლიენტთა კმაყოფილების გასაკონტროლებლად სასურველია ფირმებმა შექმნან ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულება იქნება კლიენტთა განწყობის მუდმივი კვლევა. იგი მუდმივად ჩაატარებს მომხმარებელთა გამოკითხვებს მოცემული ბრენდის და მისი პროდუქციის შესახებ და მიღებულ ინფორმაციას მიაწოდებს ფირმის ხელმძღვანელობის შესაბამის პირებს. სასურველია აგრეთვე, იმ მაღაზიებში, სადაც იყიდება მოცემული ფირმის პროდუქცია, გამოიყოს ცხელი ხაზის ნომერი, რომელზე დარეკვაც ნებისმიერ კლიენტს შეეძლება.

თუ ეს ყველაფერი ფირმამ არ გაითვალისწინა და კრიზისი მაინც დადგა, საჭიროა სტრატეგიის შეცვლა, რაც ძირეულ გარდაქმნებში გამოიხატება. უპირველესად საჭიროა არსებულ თანამშრომელთა საერთო რიცხვიდან ისეთი ადამიანების გუნდი ჩამოაყალიბოს, რომლებიც მზად არიან გადადგან რადიკალურად განსხვავებული ნაბიჯები, ძირეულად შეცვალონ საკუთარი თავი და საკუთარი ფირმა. ამ გუნდმა უნდა შეიმუშაოს ფირმის სტრატეგიის ახალი ბიზნეს-მოდელი, რომელშიც მკაფიოდ და ნათლად იქნება გააზრებული:

1. თუ ვინ იქნებიან ფირმის პროდუქციის მთავარი მომხმარებლები;

2. რომელ პროდუქციაზე ორიენტირებით შეიძლება ყველაზე უკეთესი შედეგების მიღება;

3. რა არხებით გავრცელდება ინფორმაცია;

4. რა გარემოებები მიიყვანს მომხმარებელს უპირველესად სწორედ მოცემული ფირმის პროდუქციასთან და ა. შ.

რადიკალური გარდაქმნები ფირმებში სამი მთავარი ცვლილებით უნდა დაიწყოს. ესენია: მართვის მოდელის ცვლილება, მარკეტინგული მოდელის ცვლილება, ფინანსური მოდელის ცვლილება. მართვის მოდელის ნაწილში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება კოლეგიალური მართვის პრაქტიკის დამკვიდრება უნდა გახდეს. სასურველია ფირმებში შეიქმნას განვითარების საბჭოები, რომლებიც საკვანძო პროფესიონალებით დაკომპლექტდება და რომლებიც მუდმივად

იზრუნებენ ფირმის განვითარების პროცესის დაჩქარების შესა ხებ. მარკეტინგული მოდელის ცვლილების ნაწილში ფირმამ სასურველია განა ვითაროს კლიენტებთან ურთიერთობის ფორმატი, ამით მარკეტინგული აქტივობაც გაიზრდება და მისი შედეგიანობაც. რაც შეეხება ფინანსური მო დე ლის ნაწილს, აქ ჩვენ ვფიქრობთ ფირმებმა იმუშავონ სწორი დაფინანსების წყაროების ამოქმედებაზე. საჭიროა მათ ისწავლონ მოზიდული კაპიტალის საშუალოშეწონილი ფასის (WACC) განსაზღვრა და მისი შედარება კაპიტალი დან მისაღები მოგების შიგა ნორმასთან (IRR). ამა თუ იმ წყაროდან კაპიტა ლის მოზიდვა მხოლოდ მაშინ იქნება მისაღები თუ მისი WACC<IRR-ზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. ქართული სტრატეგიის სამი თავისებურება, საუკეთესო სტატიების კრე-ბული – „მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის“, IV წიგნი, თბ., 2012.
2. ზედგენიზე ი. ბალიაშვილი მ., ხარისხის მართვა, თბ., 2002.
3. ნათელი ფოკუსი, საუკეთესო სტატიების კრებული – „ვინ გაყიდის ხვალ“, თბ., 2012.


## Georgia Firms Need to Improve Development Strategy


IzoldaPirtakhia

PhD inEconomics



The article “Georgia Firms Need to Improve Development Strategy” concerns policy and strategy features of Georgian firms whichgenerates number of problems on their path of development. Yielding quickprofit,pursuit ofleadership and universality in everything are considered as those features.

The article proves that after short successthose features throw firms in crises. In case of falling in such situation, the author recommends the firms to change business-model, as well as marketing and finance models. Therefore to create development union in first case, to make close connections with clients in the second case, and to select the founding with minimum price of attracted resources in the third case.

# ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თანამედროვე პრობლემები საქართველოში





ბორის ჯიჯინაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნიკო ჩიხლაძე
ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

*ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ყოველთვის იყო მიჩნეული ადგილობრივი თვითმმართველობების ფორმირება, მათი სრულყოფა, დამოუკიდებლობის ხარისხის პერმანენტული ზრდა, მათზე უფლებამოსილებების რეალური დელეგირება და რეფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. ეს პროცესები განსაკუთრებით საქართველოს ევროსაბჭოში შესვლის შემდეგ გაძლიერდა, 1990-ანი წლების ბოლოს.*

*საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვამ და ტერიტორიების დანაწევრებამ კიდევ უფრო გაართულა სასურველი მოდელის ფორმირების პროცესი, რაც აისახა კიდეც ქვეყნის კონსტიტუციაში.*

*თვითმმართველობების განვითარების მორიგ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ ხელისუფლების მიერ თვითმმართველობის ახალი კოდექსის შემუშავება, რომელიც ვფიქრობთ, გარკვეულ ნოვაციებთან ერთად, დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან და პრობლემათა ღრმად წვდომას მოითხოვს. წინამდებარე გამოკვლევა სწორედ ამ ხარვეზების გამოვლენას და შესაბამისი წინადადებების ფორმირებას ეძღვნება.*

პოსტსოციალისტურ საქართველოში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად ყოველთვის მიიჩნეოდა ადგილობრივი თვითმმართველობების ფორმირება და გაძლიერება. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარების რამდენიმე მოდელი შეირჩა, იყო პოზიტიური ნაბიჯებიც, თუმცა თვითმმართველობათა რეალური განვითარება მაინც ვერ მივიღეთ.

თვითმმართველობების განვითარების მორიგ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ ხელისუფლების მიერ თვითმმართველობის ახალი კოდექსის შემუშავება, რომელიც ვფიქრობთ, გარკვეულ ნოვაციებთან ერთად, დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან და პრობლემათა ღრმად წვდომას მოითხოვს.

ახალი კოდექსის პროექტით, თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. იგი წარმოადგენს დასახლებას (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობას (თვითმმართველი თემი), რომელსაც გააჩნია საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები, აქვს არჩევითი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომში-მუნიციპალიტეტის ორგანოები), აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობა და არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში - თვითმმართველ ქალაქებსა და თვითმმართველ თემებში. თვითმმართველი ქალაქი არის დასახლება, რომლის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია არანაკლებ 15 000 მოსახლე, გააჩნია ურბანული მიზიდულობისა და განვითარების პოტენციალი და მინიჭებული აქვს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით თვითმმართველი ქალა-

ქის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს აგრეთვე იმ ქალაქს, რომლის რეგისტრირებული მოსახლეობა 15 000 მცხოვრებზე ნაკლებია. თვითმმართველი თემი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ან/და ერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული მახასიათებლების მქონე რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც მინიჭებული აქვს თვითმმართველი თემის სტატუსი.

თვითმმართველი ქალაქებისა და თემების შემოღება ნამდვილად არის ნოვაცია და მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით არ რეგულირდება. თუ პროექტის მიხედვით ქალაქს, სადაც 15 000 მოსახლე ცხოვრობს, შეიძლება მიენიჭოს თვითმმართველობის სტატუსი, ავტომატურად მოხდება საქართველოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიული დანაწევრება და მოქმედი ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვა.

საზღვრების ასეთი დანაწევრება, შესაბამის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ პირებთან კონსულტაციების გარეშე, გაუმართლებლად მიგვაჩნია და კანონის საჯაროობას და გამჭვირვალობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ახალი საკანონმდებლო ცვლილების შემოღებასთან დაკავშირებით კანონის ინიციატორების მიერ მუნიციპალიტეტების მოსახლეობასთან კონსულტაციები არ გამართულა, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი რეგიონის ცენტრებში (ზუგდიდი, ბათუმი, თელავი და სხვა) ფორმალურად გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებს. ასეთი მიდგომები კი აშკარად ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, რაც მთავარია ჩარჩო-კანონს - საქართველოს კონსტიტუციის 1011 მუხლის მესამე ნაწილში აღნიშნულია, რომ „თვითმმართველი ერთეულის შექმნისა და გაუქმების, აგრეთვე მისი ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. თვითმმართველი ერთეულის გაუქმებას ან მისი ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვას უნდა უსწრებდეს თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციები".

კანონის ინიციატორებს არ წარმოუდგენიათ გამოწვლილვითი ანალიზი იმ მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკურ-სამართლებრივი ეფექტის შესახებ, რომელიც შეიძლება მივიღოთ თვითმმართველი ქალაქებისა და თემების შექმნით, ნაჩქარევად და მიუღებლად მიგვაჩნია საქართველოს მუნიციპალიტეტების ასეთი დანაწევრება. მოქმედი კანონმდებლობის ფორსირებული ცვლილება, ჩვენი აზრით, გამოიწვევს მუნიციპალიტეტებში ისედაც მყიფე ინფრასტრუქტურის მოშლას და მუნიციპალიტეტების საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი დავების წარმოშობას.

დასახელებული კანონპროექტის მე-10 მუხლში (მუნიციპალიტეტების შექმნა, გაუქმება და ადმინისტრაციული ცენტრის დადგენა (შეცვლა)) აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან) და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს პარლამენტს მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) შექმნის ან გაუქმების შესახებ წარდგინებით. როგორც განმარტებიდან ჩანს, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია და არა ვალდებული მუნიციპალიტეტის შექმნის ან გაუქმების შესახებ წარდგეს პარლამენტის წინაშე. პროექტის მიხედვით, თვითმმართველი ქალაქებისა და თვითმმართველი თემების უფლებამოსილებები თითქმის ანალოგიურია მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებისა.

ახალი კანონის პროექტში სიახლეს წარმოადგენს „რეგიონალიზაციის ინსტიტუტის" ტრანსფორმირება. პროექტის 166-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტების რეგიონული გაერთიანება იქმნება ამ კოდექსით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით. გაერთიანება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. გაერთიანების მიზანია კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს გაერთიანებაში შემავალი მუნიციპალიტეტების ინტერესების გათვალისწინება შესაბამისი ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და მისი განხორციელების პროცესში.

იქვე, 167-ე მუხლში აღნიშნულია, რომ გაერთიანების კოლეგიური ორგანოა გაერთიანების საბჭო. გაერთიანებას ხელმძღვანელობს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი. გაერთიანების უფლებამოსილებები მეტად ვრცელია და ის ძირითადად სამეურნეო და ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარებასთან არის დაკავშირებული. გაერთიანების საბჭოს ფორმირების წესი განისაზღვრება იმავე კანონის პროექტის 169-ე მუხლით. კერძოდ, იმ მუნიციპალიტეტებიდან, სადაც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა ნაკლებია 40 000-ზე, საბჭოში წარსადგენი წევრების რაოდენობა

განისაზღვრება 3 წევრით, ხოლო იმ მუნიციპალიტეტებში სადაც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა აჭარბებს 90 000-ს, საბჭოში წარსადგენი კანდიდატების რაოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 9 წევრისა.

ამდენად, კანონპროექტის მიხედვით იქმნება ახალი რეგიონული გაერთიანებები, მკაცრად განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით. რეალურ პირობებში, როცა ქვეყანას მოუგვარებელი აქვს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემები, ძალიან ნაადრევად და სახიფათოთ გვეჩვენება არსებული რეგიონული მმართველობის პარალელურად ახალი რეგიონული გაერთიანების შექმნა. ასეთი მიდგომით უხეშად ირღვევა მოქმედი კონსტიტუცია, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ". საკითხს ართულებს ისიც რომ, რეგიონული გაერთიანების საბჭოებს ხელმძღვანელობს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, რაც არაეფექტურს ხდის გაერთიანების საბჭოების საქმიანობას - კანონის პროექტით რეგიონული გაერთიანების საბჭოები კომპლექტდება რეგიონის მუნიციპალიტეტებში შემავალი მოსახლეობიდან არჩეული პირებით, ხოლო ამ რეგიონული გაერთიანების საბჭოების საქმიანობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრის მიერ პირდაპირი წესით დანიშნული რწმუნებული-გუბერნატორი. მოქმედი კანონმდებლობით რწმუნებული-გუბერნატორი ანგარიშვალდებულია პრემიერ-მინისტრის წინაშე. ახალი კანონის პროექტში კი რწმუნებული -გუბერნატორი ფაქტობრივად არ არის ანგარიშვალდებული რეგიონული საბჭოების წინაშე (რწმუნებული-გუბერნატორი არის რეგიონული გაერთიანების ხელმძღვანელი (მუხლი 167). ასეთი მიდგომები გამოიწვევს მართვის არაეფექტურობას, რაც უარყოფითად აისახება რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც რეგიონებში არსებობს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულები-გუბერნატორები, რომლებიც ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში იმყოფებიან, ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია ახალი რეგიონული საბჭოების შემოღება.

მიგვაჩნია,რომ ჯეროვნად არ არის შესწავლილი ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, საფრთხეები და შესაძლებლობები რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ახალი რეგიონული გაერთიანების შექმნამ. წარმოდგენილი სახით რეგიონული საბჭოების შექმნა პოზიტიურ ეფექტს თვითმმართველობის განვითარების კუთხით არ მოგვცემს და ის შეიძლება რეგიონებში დესტაბილიზაციის წარმოშობის წყაროებად იქცნენ. საკითხი მეტად მგრძნობიარეა და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

ბუნდოვანია ასევე რეგიონული გაერთიანებების საზღვრების დადგენაც (კანონის პროექტით ეს საზღვრები ემთხვევა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებამოსილებათა განხორციელების საზღვრებს). საკითხს ართულებს ისიც, რომ კანონპროექტით მთავრობის კომპეტენციაა რეგიონული გაერთიანებების შექმნა, ასევე მათ ხელმძღვანელებად პრეზიდენტის რწმუნებულის-გუბერნატორის დანიშვნა.

რეგიონული გაერთიანების საბჭოების ფუნქციონირების ბუნდოვანებას იწვევს ისიც, რომ ამ პროექტის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციონირების ანალიზს ანხორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელიც ასევე ხელს უწყობს მუნიციპალიტეტების ინტერესების წარმოდგენას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობისას. აქედან გამომდინარე, არსებობს საფრთხე რომ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ თავისი საქმიანობით მნიშვნელოვნად შეზღუდოს თვითმმართველობების ისედაც მყიფე დამოუკიდებლობა და ისინი სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებად გადააქციოს (ამის თქმის უფლებას გვაძლევს განვლილი 4-5 წლის პრაქტიკა, როდესაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აშკარად ერეოდა თვითმმართველობების საქმიანობაში). მოქმედი კანონმდებლობით არსებობს ისეთი უფლებამოსილებანი, რომელთა განხორციელება ევალება როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებს, ანუ ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს პარალელიზმს უფლება-მოვალეობების გადანაწილებაში. სამწუხაროდ, არსებული უფლება-მოვალეობების გამიჯვნის შესახებ ახალი კანონის პროექტში აღნიშნული არ არის.

ბუნდოვანია ასევე დასახლებებში საზოგადოებრივი საბჭოების შემოღება (მუხლი 90-94) და მათი უფლება-მოვალეობები. ფაქტობრივად არ არსებობს საზოგადოებრივი საბჭოების დაფინანსების წყაროები. კანონის პროექტის 99-ე მუხლ-

ში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი საბჭოს შემოსავლებს შეადგენს: ა) შემოწირულობა; ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი; გ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული მიზნობრივი დახმარება; დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავალი.

იქვე აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი საბჭოს შემოსავლები გამოიყენება მხოლოდ საზოგადოებრივი საბჭოს უფლებამოსილებების განსახორციელებლად. მე-100 მუხლის მიხედვით, საზოგადოებრივი საბჭო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის გამგებელს. ფაქტობრივად არ არსებობს საზოგადოებრივი საბჭოების დაფინანსების მყარი წყარო და ყოვლად გაუგებარია როგორ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივმა საბჭოებმა კანონით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

კანონის პროექტის 111-ე მუხლის მიხედვით მუნიციპალიტეტების შემოსავლების ძირითად წყაროებს ისევ ცენტრალური ხელისუფლებიდან მისაღები ტრანსფერები წარმოადგენს. ამასთან შემოღებულია ახალი ტრანსფერი - კაპიტალური ტრანსფერი. სულ მუნიციპალიტეტები შემდეგი სახის ტრანსფერებს მიიღებენ:

ა) გათანაბრებითი ტრანსფერი;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი;

გ) სპეციალური ტრანსფერი;

დ) კაპიტალური ტრანსფერი.

ახალი კანონის პროექტში არაფერია აღნიშნული ზიარი გადასახადების შესახებ,ანუ სახელმწიფო გადასახადებიდან დარჩება თუ არა გარკვეული შემოსავალი ადგილობრივ თვითმმართველობებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი ამ საკითხს „საბიუჯეტო კოდექსში" შესატანი ცვლილებების დროს გაითვალისწინებს. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო გადასახადებიდან, განსაკუთრებით საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან ადგილობრივ თვითმმართველობებში კვლავ არ დარჩა განსაზღვრული ანარიცხები (თუნდაც 20-50%), მაშინ ადგილი ექნება არსებული მმართველობის კიდევ უფრო ცენტრალიზებას,რაც ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობაზე ნეგატიურად აისახება.

კიდევ უფრო რთულად დგას საკითხი მუნიციპალიტეტების ქონების ფორმირებისას. კანონის პროექტით ფაქტობრივად არ არის განსაზღვრული თვითმმართველობებზე გადასაცემი ქონების შესახებ. რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის თვითმმართველობების მუშაობას და აძლიერებს ცენტრალიზებას. კანონის პროექტის 124-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და მათი შემადგენელი ნაწილები, ქუჩები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები,გარე განათების კონსტრუქციები,მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირგასამაგრი ნაგებობები.

ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა:

ბ.ა) კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული მიწისა;

ბ.ბ) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა;

ბ.გ) მიწებისა,რომლებიც ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას;

გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე, მათ შორის ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ობიექტებზე მიმაგრებული მიწა;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსები;

ე) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა:

ე.ა) კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა, მათ შორის საძოვრებისა (აქ ცოტა გაურკვევლობაა, მიწა ან კერძოა ან სახელმწიფო საკუთრებაშია, აქედან აღნიშნული კანონის პროექტით არცერთი არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას, მაშინ საინტერესოა რომელი მიწები ეძლევა ადგილობრივ თვითმმართველობებს);

ე. ბ) პირუტყვის გადასარეკი ტრასებისა;

ე. გ) 500 - მეტრიან სასაზღვრო ზოლში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა;

ე. დ) დაცული ტეროტორიების მიწისა;

ე. ვ) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწისა;

ე. ზ) საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწისა;

ე. თ) წყლის ფონდის მიწისა.

როგორც ჩანს, თვითმმართველობების საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი მეტად მწირია და ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნული კუთხით კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შესატანი, რათა დაცულ იქნეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის მოთხოვნები, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი ქონება და ფინანსები.

ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე რეგიონის და თვითმმართველობების დონეზე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1) თანამედროვე ეტაპზე არ მოხდეს მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტით საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" დამტკიცება;

2) აღნიშნული კანონის მიღებამდე ადგილობრივ თვითმმართველობებში მცხოვრებ პირებთან მოხდეს კანონით გათვალისწინებული სიახლეების განხილვა. მხოლოდ მოქალაქეების თანხმობის შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები;

3) თვითმმართველობების საშემოსავლო ბაზის გაძლიერების მიზნით, კანონით მკაცრად განისაზღვროს სახელმწიფო გადასახადებიდან (ამ ეტაპისათვის მოგების და საშემოსავლო გადასახადებიდან) ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში ჩასარიცხი პროცენტული ანარიცხების ოდენობები;

4) კანონით მკაცრად განისაზღვროს იმ ქონების ჩამონათვალი, რომელიც გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობებს;

5) მკაცრად გაიმიჯნოს გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქციები. ამ ეტაპზე საჭიროა მინიმუმამდე შემცირდეს მუნიციპალიტეტებში საკრებულოს წევრების რაოდენობა. რადგან როგორც დაკვირვებები გვიჩვენებს ამ ეტაპისათვის ხელოვნურად არის გაზრდილი მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრების, საკრებულოს კომისიების, ფრაქციების რაოდენობა, რაც პარალელურად იწვევს შესაბამისი საბიუჯეტო თანხების ხარჯვას. საქართველოში მოქმედი საკრებულოები ხშირად მხოლოდ პოლიტიკური დავალებების შემსრულებელ ორგანოდ წარმოგვიდგება;

6) მინიმუმამდე უნდა შემცირდეს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებები, რადგანაც მათი საქმიანობა არანაირად არ უწყობს ხელს რეგიონების და მათ შორის თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ხშირ შემთხვევაში დანიშნული რწმუნებულ-გუბერნატორები თვითმმართველობებში არჩეული გამგებლების და საკრებულოების უფროსებად გვევლინებიან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ქვეყანაში დანიშნულ პიროვნებებს უფრო მეტი უფლებები აქვთ ვიდრე მოსახლეობის მიერ პირდაპირი წესით არჩეულ პიროვნებებს.

7) ამ ეტაპისათვის მიუღებელია რეგიონული და საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა, რადგან საბჭოების უფლებები და კომპეტენციები მეტად ბუნდოვანია და მათი ფუნქციონირებისათვის არ არსებობს მყარი ფინანსური ბაზა, ასევე გაურკვეველია რეგიონული გაერთიანებების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის პრინციპებიც;

8) ყველა კანონის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადგილობრივი შრომითი, ბუნებრივი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიანად და ყაირათიანად გამოყენების უზრუნველყოფა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებული არიან კომპეტენტური, კეთისლინდისიერი და საქმის ერთგული პიროვნებები. აღნიშნული მიმართულებით ჩვენს ადგილობრივ თვითმმართველობებში მდგომარება არასახარბიელოა და სწრაფ საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს.

9) წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ფაქტობრივად იზრდება წარმომადგენლობით ორგანოებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა. ეს გამოიხატება თვითმმართველ თემებში საზოგადოებრივი საბჭოების და რეგიონულ დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოების (საბჭოების) შექმნაში. აღნიშნული წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა კანონის პროექტის მიხედვით ხორციელდება ანაზღაურების გარეშე. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობაზე წინა წლებში განხორციელებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, ასეთი წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნას აზრი არ აქვს და მათი საქმიანობა შედეგზე ორიენტირებული ვერ იქნება.

10) მუნიციპალიტეტების დონეზე საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა მაშინ, როცა თვითმმართველ თემებს წარმოდგენილი კანონის პროექტის მიხედვით არ ექნებათ საკუთარი ბიუჯეტი აზრს კარგავს და ყოვლად მიუღებელია. ამ შემთხვევაში რა საჭიროა დამატებით ახალი წარმომადგენლობების შექმნა, როცა მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით შესაბამისი თემის დეპუტატს ისედაც აქვს უფლება საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გაიტანოს შესაბამისი თემში მცხოვრებ მოქალაქეებთან განხილვისა და

შეჯერების შემდეგ და სამუშაოს მიმდინარეობაზე განახორციელოს შესაბამისი მონიტორინგი. მეტი უფლებები არც ახალი კანონის პროქტით არ აქვს საზოგადოებრივ საბჭოებს. გამომდინარე აქედან, ამ ეტაპზე ადგილობრივი სათემო ბიუჯეტების არარსებობის პირობებში, საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა შეიძლება ადგილებზე პოლიტიკური დაპირისპირებების წყაროდაც იქცეს.

11) წარმოდგენილი კანონის პროექტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ 2014 წლიდან (როგორც წინა წლებში იყო) ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების ძირითადი შემოსავალი კვლავ ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერებია. გამომდინარე აქედან, ადგილობრივი თვითმმართველობები კვლავ ცენტრზე დამოკიდებული იქნებიან. თვითმმართველობებში ასეთი არასტაბილური ბიუჯეტების დროს ფაქტობრივად აზრს კარგავს რეგიონული და საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა, რადგან ისინი გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ მიიღებენ და გამგებლის (მერის) და გუბერნატორის შემყურენი უნდა იყვნენ.

12) კანონის პროექტით გათვალისწინებული სიახლეების თვითმმართველობებში დანერგვა, მაშინ როცა ადგილებზე არ არის შემუშავებული პიროვნებების თანამდებობებზე (განსაკუთრებით მაღალ თანამდებობებზე) დანიშვნის კრიტერიუმები, აზრს კარგავს და დადებითი ეფექტის მომტანი ვერანაირად ვერ იქნება.

13) ამ ეტაპზე, ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა განხორციელდეს ცვლილება თვითთმმართველობის მოქმედ კანონში, რათა მნიშვნელოვნად გაიმიჯნოს ცენტრისა და თვითმმართველობების კომპეტენციები, ასევე დასახვეწია თვითმმართველობებისათვის გადასარიცხი ტრანსფერის გამოსაანგარიშებელი ფორმულა, რათა თვითმმართველობებმა მიიღონ ტრანსფერის ის ოდენობა, რომელიც მათ ეკუთვნით.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
3. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (პროექტი);
4. ჭიჭინაძე ბ. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტები. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. პროფ. გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის კრებული "ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია". თბ., 2012.
5. Чихладзе Н. К вопросу укрепления финансовой базы регионов и территориальных единиц Грузии. журн. «Региональная экономика: теория и практика», М., №26, 2010. http://www.fin-izdat.ru/upload/uf/257/re26-10.pdf


## Modern Problems of Local Government Development in Georgia


Boris Chichinadze
ATSU – Doctoral candidate
Niko Chikhladze
Doctor of Economics, Full Professor of Kutaisi University



In the post socialistic Georgia the formation and strengthening of local governments as a topical issue always was considered. During the last two decades, several models have been selected for development. There were made positive steps, but we did not receive the actual development of self –authorities.

Another attempt of self-governance development was development of new code of self-Governance by the authorities. In our opinion these changes,, together with certain innovations, are not insured from mistakes and problems require deeper access.

The introduction of self-governing towns and communities really are innovations and are not regulated by the Organic Law. Such partitioning boundaries, without consultation with persons living in the municipalities, we consider as unjustifiably. This calls into question the publicity and transparency of the system. The initiators of the law did not present analysis of the expected socio - economic - legal effects, which may be gained by the creation of self-governing towns and communities. We think that Georgian Municipalities' such partitioning is hastily and unacceptable. The rapid change in the current legislation, in our opinion, could cause disruption in the municipalities' already fragile infrastructure and numerous disputes with determination of borders of the municipalities.

We believe that it is not adequately explored the advantages and disadvantages, risks and opportunities that may lead to the creation of a new regional association. The creation of regional councils will not have positive effects on self-development and it can become a source of instability in the regions. The issue is very sensitive and comprehensive approach is required.

# ევროპული ღირებულებები საქართველოსთვის



შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გამოვიდა პროფესორ შოთა ვეშაპიძის წიგნი, – „კაცობრიული ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები“ (ელექტრონული). ავტორი აგრძელებს მუშაობას ამ მასშტაბურ თემაზე და მკითხველი მალე იხილავს მის ახალ წიგნს - „ევროპული ღირებულებები საქართველოსთვის“. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება გამოცემული წიგნის შეფასებები ცნობილი პროფესორების მიერ და თეზისები, რომელიც ახალი წიგნის საკითხებსაც ეხება.

*ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროპულ ღირებულებებს. უპირველესთა შორის აღსანიშნავია ქვეყნისათვის მსახურება, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევა, ჩვენთვის უცხო პრაგმატულობა და რეალიზმი, განვითარების ეროვნული მოდელის შექმნა, უცხოური დადებითი გამოცდილების უეჭველი გათვალისწინება. ყველაზე უმთავრეს ევროპულ ღირებულებებს მიეკუთვნება ადამიანის უფლებები და მისი ღირსების დაცვა.*

*იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, უპირველეს ყოვლისა, ხალხის უმრავლესობის უკიდურეს გაჭირვებას უნდა დავაღწიოთ თავი; ასევე, საჭიროა დემოკრატიული ინსტიტუტიების განვითარება. უნდა დავამკვიდროთ კანონის უზენაესობა და აღვადგინოთ სამართლიანობა ქვეყანაში. ქვეყანამ უნდა განახორციელოს ფართომასშტაბიანი რეფორმები ყველა სტრატეგიული მიმართულებით და მთავრობის პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს საქართველოს მოსახლეობის მკაფიოდ გამოხატულ ინტერესებს.*

*თუ გვინდა, მოკლე დროში გავიაროთ ის მანძილი, რის გავლასაც დასავლეთის ქვეყნებმა ათწლეულები და საუკუნეები მოანდომეს, უნდა მოხდეს დასავლური ფასეულობების სინთეზირება ჩვენს კულტურასთან, ყოფასთან და ცხოვრების წესთან. მნიშვნელოვანია სხვადასხვა ცივილიზაციებსა და მათ ეკონომიკურ განვითარებათა შორის კავშირის გამოვლენა და გათვალისწინება.*

## თ ე ზ ი ს ე ბ ი

- ყოველი ერის თვითმყოფადობა მის ღირებულებებს ეფუძნება, მისით მიიღწევა და მისით აისახება. თითოეული ადამიანიც იმის მიხედვით შეიცნობა, თუ რა ღირსების, რა ღირებულებების მატარებელია იგი. ღირებულებების ფენომენი ის კი არ არის რაც ხალხს უნდა, არამედ ისაა, რაც ხალხს უნდა უნდოდეს. ღირებულებები ჩვენი ცხოვრების მარადიული გზამკვლევი და მისი გასრულყოფილების სათავეა.

- ღირებულებას ვუწოდებთ საზოგადოებრივ მოვლენათა სიმრავლის იმ საერთო ნიშანს, რომელიც ადამიანებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასურველია. ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის დიდიე ჟიულიას განმარტებით, ღირებულება საყოველთაო, მთლიანობაში წარმოდგენილი სასურველობაა (და არა უბრალოდ „სასურველობა“). ე.ი. ღირებულება არის ის, რაც მოსაწონი, ანუ საყოველთაოდ მისაღებია (ყოველ შემთხვევაში, მისი შედეგებიდან გამომდინარე მისაღები უნდა იყოს). ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ღირებულება იმას გულისხმობდეს, რომ ეს ნიშანი (ეს მოვლენა) ბევრისთვის არის მოსაწონი. ეს ასე არაა. ბევრი და ცოტა აქ არაფერს ნიშნავს. ესა თუ ის რამ იმის გამო კი არ არის ღირებულება, რომ ბევრს (მრავალს) ან ცოტას (თუნდაც ერთს) მოსწონს, არამედ იმიტომ, რომ მიუხედავად მოწონება-არმოწონებისა, მას შეუძლია დადებითი შედეგები მოიტანოს, წინ წასწიოს ერი და კაცობრიობა, ქვეყანა (რეგიონი) და მსოფლიო.

„ღირებულება“ შეიძლება ორი მხრივ წარმოვიდგინოთ. მის ერთ ნაწილს, რაც მისაღებია, რამაც გაიარა გამოცდა თავის განხორციელების პროცესში და ადასტურებს, რომ სწორი გზით მივდივართ თუ არასწორი ორიენტირი აგვირჩევია, ანუ რასაც უკვე მივაღწიეთ და განვახორციელეთ, რაც უკვე გამოცდილია, ძველია და აპრობირებული, ზოგჯერ კონსერვატიულს უწოდებენ. XVI-II საუკუნის ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე ედმუნდ ბურკე იმ ცხოვრებისეულ გამოცდილე-

ბას, რომელიც კაცობრიობამ მრავალი საუკუნის განმავლობაში დააგროვა, „კაცობრიობის „გონს“ უწოდებდა, რაც ის არის, რაც უნდა გვინდოდეს. ამასთან ერთად, ღირებულებას მეორე მხარეც აქვს – ახალი, ცვალებადი, არააპრობირებული, გამოუცდელი, განუხორციელებელი ნაწილი, ანუ ის, რაც აგრეთვე უნდა გვინდოდეს. ღირებულებები ისაა, რომელსაც ადეკვატურად, იდეალურად ჩვენ ვერასოდეს ვერ ვაღწევთ. ღირებულებები ერთ წერტილში გაჩერებული არაა. ასე რომ იყოს, დაიძვრებოდი მისკენ და ოდესღაც მიაღწევდი კიდევაც. მაგრამ დღეს რაც გვინდა, ანუ რისკენაც მივდივართ, ვიდრე მას განვახორციელებდეთ, მისი „კოორდინატები“ უკვე შეცვლილია და ამიტომაც, ჩვენ უკვე ეს შეცვლილი უნდა გვინდოდეს.

- ღირებულების არსში გარკვევა სიტყვა „ღირ“-ით შეიძლება დაიწყოს. „ღირ“-ი ნიშნავს: მნიშვნელობა აქვს, აზრი, გამართლება აქვს. ყველაზე მარტივად თუ ვიტყვით, „ღირებულებაა ის, რაც შეესაბამება ადამიანის ადგილს სამყაროში“. ის ისეთი რამაა, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია (იდეალურია) და ყოველი რეალურის განმსაზღვრელია. ისეთი იდეალურია, რომლისკენაც მუდმივად უნდა ვისწრაფვოდეთ, რომელიც საზოგადოებას რაც უნდა ის კი არაა, არამედ ისაა, რაც საზოგადოებას უნდა უნდოდეს, რომელსაც ვერასოდეს მივაღწევთ, რადგან ღირებულებებისკენ სწრაფვა სრულყოფილებისკენ მუდმივ სწრაფვას ნიშნავს, იმას ნიშნავს, რომ არსებული გარემო არ უნდა გვაკმაყოფილებდეს, მუდამ უნდა გვინდოდეს უკეთესი, უკეთესის მარადიული წადილი უნდა გვამოძრავებდეს, რასაც მუდმივად უნდა განვიცდიდეთ, მუდმივად უნდა ვგრძნობდეთ, რისკენაც მუდმივად უნდა მივილტვოდეთ. შესანიშნავად აქვს უმბერტო ეკოს ნათქვამი: მე ვწერ არა იმას, რაც ხალხს უნდა, ვწერ იმას, რაც მინდა, რომ ხალხს უნდოდესო.

- ბევრი ავტორი ერთმანეთისაგან ასხვავებს ტერმინებს „ფასეულობას“ და „ღირებულებას“. ჩვეულებრივ, ფასეულობის ცნებას ხმარობენ ისეთი მოვლენების აღსანიშნავად, რომელთა რაოდენობრივი შეფასება, „ფასის“ განსაზღვრა შედარებით ადვილია. მკვეთრი ზღვარი ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ღირებულებებს შორის არ არსებობს. ”ღირებულების” და ფასეულობის” ტერმინთა ცნებითი შინაარსის სიახლოვის გამო მათ შორის მკვეთრი წყალგამყოფი ხაზების გატარება საჭიროდ არ მიგვაჩნია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ინგლისურ ენაში ეს ორი ცნება სინონიმებადაა მიჩნეული, უფრო ზუსტად, ერთი სიტყვით აღინიშნება.

- ღირებულების კლასიფიკაციისათვის აუცილებელია მოვძებნოთ ის უმთავრესი ნიშნები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ კლასიფიკაციას. ერთ-ერთ ასეთ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ ის უმთავრესი განსაზღვრულობანი, ის ცნებები და კატეგორიები, რაც ადამიანს აქცევს ღირსეულად. ეთიკური მნიშვნელობის ფასეულობათა სამყაროში ასხვავებენ: 1) მთავარ ადამიანურ ფასეულობებს, რომლებიც მეტნაკლები ხარისხით შედის ყველა სხვა ეთიკურ ფასეულობებში (ესაა ცხოვრების, ცნობიერების, მოღვაწეობის, ტანჯვის, ძალისხმევის, ნების თავისუფლების, განჭვრეტის, მიზანსწრაფვის ფასეულობები); 2) სათნოებები (სამართლიანობა, სიბრძნე, გამბედაობა, თავშეკავებულობა, მოყვასის სიყვარული, სიმართლე და გულწრფელობა, ერთგულება და თავგანწირვა, ნდობა და რწმენა, მოკრძალებულობა და მორჩილება, სხვებთან ურთიერთობის ფასეულობა); 3) უფრო კერძო (პირადი) ეთიკური ფასეულობები (სიყვარული ყველაზე შორეულის მიმართ, უნარი, აჩუქო სხვებს შენი სულიერი მონაპოვარი, პიროვნების ფასეულობა, სიყვარული, რომელიც მიმართულია სხვა პიროვნების იდეალურ ფასეულობაზე) – ყველა ამ ფასეულობის დიფერენცირება კიდევ შეიძლება. ეთიკის ისტორია მოწმობს ეთიკურ სისტემათა დიდ მრავალფეროვნებას.

- ღირებულებანი შეიძლება მოძიებულნი იქნენ ისტორიულ ქრონიკებში, ფილოსოფიურ ტრაქტატებში, ჰიმნებში, ლექსებში და თვით პირად წერილებშიც კი, უძველეს თუ უახლეს კანონებსა თუ კონცეფციებში... პრესის ფურცლებზე, ენციკლოპედიებში, წიგნებსა თუ ინტერნეტში... რომანებში. ყველაფრის სათავე მაინც არის ბიბლია. უმაღლესი ღირებულებები – სიყვარული, მეგობრობა, სათნოება და სხვა – თვით ადამიანშია და ვლინდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში. მაშასადამე, ამ ურთიერთობებშიც, ჩვეულებრივ საუბრებშიც არის შესაძლებელი მათი მოძიება. გამოჩენილ თუ უბრალო ადამიანთა ცხოვრებაზე ხალხი ხშირად სწორედ იმიტომ საუბრობს და ეს იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ მაგალითებზე გაარკვიოს ჩვენი – საზოგადოების, ერის, პიროვნებების – სხვადასხვა ღირებულებები.

ასეთი ღირებულებებით განსაკუთრებით არის მდიდარი ქართული ტრადიციები. ესენია უფროსებისადმი პატივისცემა, მათი გამოცდილების დაფასება, ნათესაური, მეზობლური, მეგობრული თანადგომა და ა.შ. სამწუხაროა, რომ ეს ღირებულებები ბოლო ხანს, თანდათანობით კარგავენ – განსაკუთებით, ქალაქად – საყოველთაო

აღიარებას.

ქართული სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესია ამ ჩვენი გადამრჩენი ღირებულებების მარადიული მცველია. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ტოპონიმებშია დაცული, რომლებიც ისევე ძველია, როგორც სამყარო, ნადირობის ქალღმერთის „დალის" თაყვანისცემით იწყება და მთავრდება ქრისტეთი. ეხებოდა რა ეროვნულ ღირებულებებს, ქართული სულიერების ერთ-ერთი განუმეორებელი გამოვლინება ზვიად გამსახურდია თავის წიგნში „საქართველოს სულიერი მისია" და გროზნოდან გაზეთ „სამანის" შეკითხვებზე გამოგზავნილ პასუხებში (იხ.: გაზ. „ჯორჯიან თაიმსი", №008 (271), გვ. 17) მიიჩნევდა, რომ „ქართული ცნობიერების საფუძველია ქრისტიანულ ღირებულებათა პრიორიტეტი, სულიერების მატერიალურზე მაღლა დაყენება, ღვთისა და ერისათვის თავგანწირვა და მარტვილობა, ქრისტიანული რაინდობა". ზ. გამსახურდია ასაბუთებდა, რომ „მართლმადიდებლობა ქართული ცნობიერების საფუძველთა საფუძველია". მას ასევე ღრმად სწამდა, რომ ქართველი ერი აუცილებლად დაიბრუნებს „კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციას" და „ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მიდგომა იქნება მთავარი მატარებული სულიერებისა, ქრისტიანობისა...".

ებრაელთა ბიბლიური წინამძღოლი მოსე, რომელსაც ღმერთი გამოეცხადება და ეუბნება: „მე ვარ რომელიც ვარ"-ო, შესთხოვს უფალს მის ხალხს ასწავლოს „წმინდა ადამიანებად" გახდომა და სთხოვს, ამისათვის წესები მომეცი, როგორ უნდა იცხოვრონ, რომ ვისწავლოთო. უფალი მოძღვრავს: მაშინ ისე იმოქმედე, როგორც თავისუფალმა ადამიანმა. შენ თავს მიხედე და სხვის ქონებას ნუ მიითვისებო. ღმერთმა ისრაელიანები ეგვიპტელთა მონობისგან იხსნა და მისცა მათ რჯული. ეს რჯული არა მარტო რელიგიას, არამედ ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავდა. მათი ათი მცნება არის უმთავრესი ღირებულება მთელი კაცობრიობისათვის.

- ყველა ადამიანი გარკვეული ღირებულებების მატარებელია. როგორ ყალიბდება მასში დადებითი ღირებულებანი? რა თქმა უნდა, ეს სიბრძნის მეშვეობით ხდება. სიბრძნე – „ფასეულობის გრძნობის გამსჭვალვა (შეღწევა) ცხოვრებაში, საგნების ნებისმიერ გრძნობადობაში, ყოველგვარ მოქმედებასა და რეაგირებაში სპონტანურ „შეფასებამდეც" კი, რომელიც ახლავს ყოველ განცდას; მთელი სინამდვილის ეთიკური ყოფიერების გაგება ამ ყოფიერების თვალსაზრისით; მუდამ საფუძვლად რომ უდევს პრაქტიკული მოქმედების შემეცნებას მის ფასეულობასთან კავშირში.

- ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, სიბრძნე რწმენისა და მეცნიერების გარეშე არ არსებობს. ისინია ადამიანის ამაღლების, ღმერთთან მისი მიახლოების საშუალება, რაც მასში ავითარებს ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა სათნოება, სიყვარული, სიმართლე, ჭეშმარიტება, მადლი, მოწყალება... ილია მიანიშნებდა იმ დიდი ღირებულების შესახებ, რასაც ჰქვია ობიექტური რეალობის შესაცნობად მეცნიერებასა და რელიგიას საუკეთესო, განუყრელ ერთიან საშუალებად მიიჩნევა. მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში მორიგებას ასეთი დიდი მნიშვნელობა იმიტომ აქვს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ვეზიაროთ ჭეშმარიტ სიბრძნეს. გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების დედააზრად, მის მთავარ ღირებულებებად მიაჩნდა „კაცთათვის მსახურება". სიბრძნესთან ერთად ილია გამოკვეთს გაბრიელ ეპისკოპოსის კიდევ ორ ღირსეულ თვისებას – ორ ღირებულებას – საკუთარი ერის ცხოვრებით, მისი ტკივილებითა და სიხარულით ცხოვრებისა და მშობლიური ენით მოციქულობასა და ამ ენის ქომაგობას.

- ღირებულებათა გარეშე ჩვენს ცხოვრებაში არც არაფერი არსებობს, არც იწერება, არც იქმნება. მის შინაარსს სრულყოფილად ვერ გაიგებ, თუ არ გაირკვა რა მთავარ აზრს შეიცავს მისი ცნება. ჩვენი აზროვნების უმთავრესი ფასეულობითი კონტექსტები სწორედ ამ ტერმინით გადმოცემულ შინაარსში აისახება, რომელიც ცალკეული სიტყვის ღირებულებით დატვირთვას გვიხსნის.

- კულტურა – ადამინის ნასწავლი ქცევაა საზოგადოებაში, რაზედაც დამოკიდებულია ამ საზოგადოების მატერიალური და სულიერი განვითარება. კულტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს უნდა მივაკუთვნოთ წარმოების კულტურა. იგი მჭიდრო კავშირშია მთელ ეკონომიკასთან, სამეწარმეო საქმიანობასთან. ახლა ტერმინ „ცივილიზაციას" ხმარობენ როგორც კულტურის სინონიმს, რომლის განვითარების დონე შეიძლება გაიზომოს და შედარდეს. ვ. ვოლსკი ტერმინ „ცივილიზაციას" შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ცივილიზაცია – ესაა წესი ადამიანთა ცხოვრების, ხასიათი, მათი ურთიერთობების ისეთი თავისებურებანი, რომელთა შედეგები ხდება მატერიალური და სულიერი კულტურის მიღწევები, რომლებიც გადიან მათი წარმოშობის კერის ფარგლებს გარეთ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარშემომყოფ ხალხთა ცხოვრებაზე და მათი კულტურების განვითარებაზე." (Социально-экономическая география зарубежного мира/ Под. ред. В. В. Вольского. – 2-е изд., с. 69. испр. – М.: Дрофа,

2003 c. 18). ისტორიულად და გეოგრაფიულად ცივილიზაციების ფარგლები დამოკიდებულია კულტურათა ერთობლიობის მასშტაბებზე, რომელზედაც ისინი ვრცელდება.

კულტურისა და ღირებულების ურთიერთკავშირისა და მიმართებათა შესახებ საერთოდ, განსაკუთრებით კი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის ნიკო ჭავჭავაძის ნააზრევი (იხ.: მაგალითად Чавчавадзе Н. З. Культура и ценности, Тб., 1984), რომელიც უმაღლეს ღირებულებად და კულტურის უმთავრეს კრიტერიუმად თავისუფლებას მიიჩნევდა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| განათლება (ცოდნის შეძენა, ყიდვა) | ⟹ | მეცნიერება (ცოდნის სისტემა) | ⟹ | |
| რწმენა (რელიგიური აღმსარებლობა) | ⟹ | ღირებულება (ქცევის ნორმები, მსოფლიო აღქმის სისტემა, რაც სასურველია) | ⟹ | |
| კულტურა (ეროვნული, ცივილიზაციური. გამსჭვალულია ღირებულებებით) | | | | |

ნახ. 1 კულტურის, როგორც ადამიანის ნასწავლი ქცევის თანმიმდევრული სქემა

- ეკონომიკის როგორც ერთიანი პლანეტარული მთლიანის ჩამოყალიბება სტიმულს აძლევს ერთიანი, საყოველთაო ცივილიზაციური იდეოლოგიის შექმნას. საუბრობენ იმაზე, რომ ის უნდა შეიქმნას ძირითადი ცივილიზაციური რელიგიების შეთანხმების ბაზაზე. რელიგიის ერთიანობისაკენ მოგვიწოდებს დღეს სულ უფრო გავლენიანი მიმდინარეობა „ეკუმენიზმი“. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მოწოდება და ეს ტენდენცია გლობალიზაციური პროცესების დადებით გამოვლინებად ვერ ჩაითვლება. ერთიანობა მხოლოდ რელიგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებით მიიღწევა.

- თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნის წინსვლა ეროვნული ეკონომიკური ღირებულებების გარეშე წარმოუდგენელიც არის და მიზანშეუწონელიც. უმთავრესი ჩვენთვის ის უნდა იყოს, რომლის გარეშეც „ჩვენ“, „ჩვენ“, არ ვიქნებოდით. ასეთებად ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა მამული, ენა და სარწმუნოება, რომლებსაც „სამ ღვთაებრივ საუნჯეს“ უწოდებდა. იგი აღნიშნავდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ.3, გვ. 26-27).

ილია ჭავჭავაძემ, საუკუნეზე მეტი ხნის წინ, 1897 წლის 31 დეკემბერს, ქართველი ხალხის მიერ ორი ათასი წლის მანძილზე განუწყვეტელი ბრძოლების, ომებისა და სისხლის ღვრის შედეგად განვლილი გადარჩენის გზა გააანალიზა. ჰკვირობდა წმინდა ილია მართალი: რამ გაგვაძლებინა, როგორ გადავრჩითო? პასუხსაც ჩასწვდა და ამოიცნო, რომ საქართველო ორმა დიდმა საიდუმლომ გადაარჩინა. ჩვენი გადარჩენის პირველი დიდი საიდუმლო ის არის, რომ ჭეშმარიტ პატრიოტიზმს მუდამ თან ახლდა ნამდვილი პროფესიონალიზმი. საქართველოს გადარჩენის მეორე დიდი საიდუმლო, არის მისი ეკონომიკური წყობა.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მიდგომებიდან ჩვენი ეპოქისთვის უმნიშვნელოვანესია აგრეთვე, რომ მის მიერ ყველაფერი, ყოველგვარი მოვლენა ფარდობითობაში ანუ რელატიურობაში განიხილება. მისი მთავარი დამახასიათე-ბელი კონკრეტული თავისებურება ის არის, რომ ილია ყვე ლაფერს საკუთარი ქვეყნისადმი, მისი ადგილის (გეო სტრა ტეგიული მდგომარეობა), გარემო პირობების და ისტო რიული ვითარების (დროის) ნიშნით, მათზე და მოკიდებუ ლე ბის მი ხედვით განიხილავდა. მისი თეორია ეკონომიკურ ცხოვრებას წარმოგვიდგენს არა როგორც მოვლენათა, არამედ როგორც თანაფარდობის გაგებას (ახსნას).

სწორედ ასეთი თანაფარდობის დადგენის საფუძველზე მიიჩნევს ილია შესაძლებლად მთელი საზოგა დოებისთვის მისაღები ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ეს კი უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს ზოგადკაცობრიული და ეროვნული ღირებულებების ოპტიმალური სინთეზის მი საგნებად, ჩვენი „მე“-ს, „ადგილობრივი წვრილმანების“, ტრადიციების და ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნების გზით სა ერთო წინსვლის მისაღწევად. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში თითოეული ქვეყნისთვის ფასდაუდებელი, გამოყენებითი დანიშნუ ლება აქვს.

ილია ჭავჭავაძე ქვეყნის წინსვლისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სწავლას და განათლებას. ამ ღირებულებებს იგი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა და სწორედ ამას მიიჩნევდა დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის

ხანის საქართველოს წარმატების უმთავრეს საფუძვლად. ილიას მიაჩნდა, რომ საუკუნეთა განმავლობაში თავისუფლე ბისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს „...თუ შიგა-და შიგ, ჭრელად, რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის. დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის მეფობა ამ შემთხვევაში მეტად სანუგეშო მაგალითებს წარმოგვიდგენს...“ (ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. IV, გვ. 321). თავის მნიშვნელობას დღესაც არ კარგავს ის პრინცპიები და უმთავრესი ღირებულებები, რომელთა განხორციელების შედეგადაც შეიძლება მივაღწიოთ წინსვლას. ამ პრინციპებს შორის აღსანიშნავია: ერთიანობა, თავისუფლებისათვის შეუპოვრობა, აღმშენებლობა, რეფორმები და გამარჯვება.

- ცნობილმა ქართველმა პოეტმა ეთერ თათარაიძემ, ვაჟა-ფშაველას ცხოვ რების მეტად საინტერესო მხარეების შესახებ თავის შესანიშნავ გამოკვლევას, მგოსნის სიყრმის შვილის, გულქან რაზიკაშვილის შემდეგი სიტყვები შეურჩია სათაურად: „მამამ ღმერთს ჩამაჰყარა სახელი”. წიგნის სათაური მიგვანიშნებს, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი სულიერებით, გონებითა და გაგებთ სრულ ჭეშმარიტებამდე ამაღლდა.

ვაჟა-ფშაველას მიაჩნდა, რომ კოსმოპოლიტი ვერ გახდები თუ პატრიოტი არ ხარ. „მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოვე ლი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონო მიკური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფე ბულია დედამიწის ზურგზე“ (ვაჟა – ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, იხ. თხზულებანი, თბ. 1986, გვ. 681).

უმთავრესი დედააზრი, რის წარმო ჩენასაც ვაჟა-ფშაველა თავის პოემებში და საერთოდ ყველგან ცდილობს, ის არის, რომ ადამიანში უმთავრესი მისი, როგორც ადამიანის ღირებულებაა. სწორედ ამის მიხედვით უნდა ვაფასებდეთ მას და არა იმის მიხედვით, თუ რომელი ეროვნების წარ მომადგენელია იგი. ვაჟა-ფშაველა ღირსებას უმთავრეს, ადამიანურ ღირებულე ბად თვლიდა. ღირსეული კი ისეთი ადამიანია, რომლის მენტალიტეტი ტოლე-რანტობაზე, შემწყნარებლობაზე, განსხვავებლი აზრის აღიარებაზეა დაფუძნებუ ლი. ღირსეულია ისეთი ადამიანი, რომელსაც პიროვნული და ეროვნული ეგოიზმი დაუძლევია და ჭეშმარიტად მდიდარი სულის ადამიანად ქცეულა. ერთი სიტყვით, ღირსეული ისეთი ადამიანია, რომელიც ისე ექცევა სხვას, როგორც უნდა რომ თვითონ მას ექცეოდნენ. ვაჟა-ფშაველა ზნეობრიობის გვირგვინია. მისი ნაწარმოებების გმირები ზნეობრივი გმირები არიან, რომლებმაც თემზე მაღლა ადამიანური ღირებულებები დააყენეს.

ვაჟა-ფშაველა უნივერსალურ, მარადიულ ღირებულებად თავისუფლებას თვლიდა და მის საპირწონედ მხოლოდ სიცოცხლე მიაჩნდა, თვლიდა, რომ ადამიანმა მედგრად უნდა იბრძოლოს „და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოებლად“ (ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, იხ. თხზულებანი, თბ. 1986, გვ. 760). თავისუფალი ისეთი ადამიანია, რომლის ყოველგვარი საქმიანობა მიმართულია ქვეყნის საბედნიეროდ, ავაზაკი კი, „თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის“-ო. თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ადამიანს „ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა“, სადაც შრომა ღირსეულად ფასდება, სადაც თანასწორადაა განაწილებული ცოდნა, ქონება, სადაც ქონებრივ უზრუნველყოფას თან „ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე“.

ვაჟა-ფშაველამ, თავის მოთხრობაში „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“ სიმბოლურად დაგვიმოძღვრა, რომ მხოლოდ სიყვარული აგვაცილებს თავიდან ყველა იმ „ცოდვას“, „შეცდომას“ და „საცოდაობას“, რაც დატრიალებულა და ტრიალებს დედამიწის ზურგზე.

- ივანე ჯავახიშვილი. 1944 წელს გამოქვეყნებულ წერილში გრიგოლ რობაქიძე ივანე ჯავახიშვილს ილია ჭავჭავაძის უშუალო მემკვიდრედ და მისი საქმის გამგრძელებლად წარმოგვიდგენს. (იხ.: გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. კრებული. თბ., 1996, შპს „ჯეკ-სერვისი“, გვ. 205-208). „საქართველოს კულტურის დაუღალავი მოურავის“ კმაყოფილება, როგორც გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს, იმით იყო განპირობებული, რომ ივანე ჯავახიშვილმა ქართულ საზოგადოებას იდეალურად წარმოუდგინა ერის წიაღში ჩასაიდუმლოებული გენია, მისი ღირებულებები, მისი თვითმყოფადობის ხერხემალი და ეს ისე გააკეთა, სათქმელი ისე თქვა და საკეთებელიც ისე აკეთა, რაც მხოლოდ საღმრთო მადლით მოსილ რჩეულს ხელეწიფება. სწორედ ამიტომ დაასახელა დიდმა ილიამ თავის მემკვიდრედ ივანე ჯავახიშვილი.

დიდია ნაშრომი ივანე ჯავახიშვილისა და ფას-

დაუდებელი მისი დანატოვარი. მის ისტორიულ ნაკვლევში – აქ მეხმარება გენია ქართული სიტყვისა – მონივთულია „ცხოვრებაი ქართლისაი". დიახ – „მონივთული". ეს ქართული სიტყვა, სხვა ენაზე უთარგმნელი, სწორუპოვრად მართავს ნაშრომს ჩვენი ისტორიკოსისა. მომავალი მეისტორიე, რომელიც დაისახავს მიზნად: აღმოაჩინოს ქართველთა ვითარებაში მსოფლიო ქცევის ერთ-ერთი გულისხმიერი სახეობა – ჯავახიშვილის მიერ „მონივთულ" თავგადასავალში საქართველოისა იპოვის ყველაფერს დასახულის მისაღწევად.

- სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნატარესი ილია II მიიჩნევს, რომ მსოფლიოს გადასარჩენად საჭიროა ჩამოყალიბდეს დირებულებათა საერთო სისტემა, რომელიც მისი ზნეობრივი ღერძის ფუნქციას შეასრულებს. გლობალიზაციის ეპოქაში ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებად სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას თვლის. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მამულის მსახურებას ჭეშმარიტი რწმენით, ღირსების, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით. ასევე მნიშვნელოვანია გავემიჯნოთ იდეოლოგიურ უკიდურესობებს და გავიაზროთ „ჩვენის" საჭიროებების უპირატესობა „მეს" და „ჩემის" საჭიროებებზე. სახელმწიფოებრივი აზროვნების მნიშვნელოვანი ორიენტირი უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გონივრული გადაწყვეტა. პატრიარქს უმთავრეს პირობად მიაჩნია, რომ ჩვენს ტრადიციებზე დაყრდნობით შევქმნათ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნე ბული ქართული სახელმწიფო.

შრომის მსოფლიო დანაწილებაში ჩვენ, ჩვენი რესურსებით უნდა ჩავერთოთ. უმნიშვნელოვანესი რესურსი კაცობრიობი სათვის არის წყალი. დღეს კი უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, რომ ხალ ხი დასაქმდეს და გამოვიდეს მძიმე სოციალური პირობებიდან.

ქვეყანამ არ უნ და დაკარგოს ის სამეცნიერო მონაპოვარი, რაც მას გააჩნია. სრულად უნდა გამოვიყენოთ თუნდაც საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო თუ ეკონომიკური მიღწევები, რომლის დიდი ნაწილი ჩვენ თითქმის მთლიანად დავთმეთ და დავკარგეთ.

2009 წლის სააღდგომო ეპისტოლეს მეშვეობით, უწმინდესი და უნეტარესი, სრუ ლიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ყურადღებას ამახვილებს ჩვენი სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვის აუცილებ ლობის შესახებ, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების შესახებ, კულტურათა შორის დიალოგის შესახებ. ამისათვის თითოეული ჩვენგანი უნდა ეცადოს, გააკეთოს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის მაქსიმუმი. ხელისუფალთ, ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველ ყოფასთან ერთად მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება, ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფა, განათლების ხელშეწყობა. ჩვენ აუცილებლად, უნდა გავაღრმაოთ კავშირი მეზობელ სახელმწიფოებთან. მისი წინაპირობა უნდა იყოს კულტურათა შორის დიალოგი. ერთ მანეთის სულიერი, მეცნიერული და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენა ხელს შეუწყობს ჩვენს შორის არსებული სხვა საკითხების გადაწყვეტას.

ეროვნულ ეკონომიკურ ფასეულობებს უნდა ეფუძნეობდეს ჩვენი ეროვ ნული ინტერესები, რომლებსაც ნიადაგ უნდა ვიცავდეთ და ვაძლიერებდეთ. სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმ საზღვ რელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვ ნული ინტერესები.

- ღირებულებები ერთ ადგილზე გაქვავებული ფენომენი არ არის. ისინი ცხოვრებისეულ ცვლილებებს განიცდიან. ზოგჯერ კი თავიანთ ჭეშმარიტ სახეს კარგავენ და უფასურდებიან კიდეც. ასეთია ღირებულებათა გაუფასურების დიალექტიკა. სწორედ მაშინ და იქ, როდესაც და სადაც ადამიანი მორალისა და მოვალეობისაგან დაიცლება, ღირებულებათა გაუფასურებაც იწყება და ადამიანური სამყაროს დასასრულიც ახლოვდება. ღირებულებათა გაუფასურებას, რა თქმა უნდა, ყველგან აქვს ადგილი, მათ შორის ეკონომიკის სფეროშიც.

ღირებულებებთან მიმართებაში ყველაფერი ლოგიკას უნდა ექვემდებარებოდეს. ამა თუ იმ სინამდვილეს მისი ადექვატური სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს. სიმართლის არდანახვა, ღირებულების დეფიციტი კი საზოგადოებისათვის მეტად არასახარბიელო, საეჭვო და სახიფათო რამაა. სიძულვილსა და უნდობლობას ადამიანების მიმართ ნაციონალური შუღლის გაღვივებამდე მივყავართ.

ქვეყანაში, სადაც ფესვგადგმულია ორმაგი სტანდარტები, გულგრილობა, გაუმჭვირვალობა, არაადექვატურობა, რეალობისაგან მოწყვეტა, სიმართლის დამალვა, საყოველთაოდ განცხადე-

ბული ღირებულებები ბუტაფორიაა და მეტი არაფერი.

საზოგადოების თანამედროვე ტრანსფორმაციის პროცესში ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა ის არის, როგორ შევინარჩუნოთ, როგორ ვიხსნათ გაუფასურებისაგან ის ღირებულებები, რომელთა გარეშე ჩვენ ფონს ვერ გავალთ,ან განვსაზღვროთ, ის ფუნდამენტური ღირებულებები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ჰუმანური განვითარება, სიკეთის ზრდა საზოგადოებაში. პროფ. გ. მალაშხიას სამართლიანად მიაჩნია, რომ იმ ქვეყნების განვითარების თანამედროვე ეტაპი, რომლებმაც განიცადა პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია, უნდა გახდეს გადასასვლელი ჰუმანური განვითარების რელსებზე, ქცევის საბაზრო წესების განურჩეველი ბატონობის უარყოფაზე, პოსტსაბაზრო ეპოქისკენ.

- აშშ კონსტიტუციით ყველაზე მთავარ ღირებულებებად გამოცხადებულია სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. არავითარი ღირებულება არ არსებობს „თავისუფლების“ გარეშე. „თავისუფლება“ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება პირობებს არ კარნახობს და თავის ნებას არ ახვევს ხალხს. ხელისუფლება ხალხის მოთხოვნებს და საჭიროებებს უნდა პასუხობდეს. თავისუფლება არის იქ, სადაც ხალხს შეუძლია შეცვალოს ლიდერი, თუ ის არ მოსწონს. თავისუფლება უნივერსალურია, ანუ ის არის საზოგადო, ყოვლისმომცველი, საყოველთაო. თუ ადამიანებს შანსი მიეცემათ, ისინი აუცილებლად აირჩევენ მას. თავისუფლებისათვის უნდა ვიბრძოლოთ. ეს ბრძოლა კი აუცილებლად უნდა იყოს მშვიდობიანი. მხოლოდ ასე შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ ხალხი თვითმმართველობაზე გადავიდეს. თავისუფლება– შესაძლებლობა, მოიქცე ისე, როგორც გსურს.

- ისტორიული მაგალითები გვიდასტურებს, რომ საკუთრების,კერძო საკუთრების უფლების განხორციელება არის ძალზედ მნიშვნელოვანი, ხალხის გაძლიერების, სიკეთისა და ბედნიერების მომტანი ღირებულება.

ანარქიზმის ერთ-ერთი მამამთავრის, პიერ-ჟოზეფ პრუდონის სიტყვებით რომ ვთქვათ: თუ ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია, მაშინ თანაბრად ხელშეუვალია ყველა ინდივიდისთვის.... თუ მას საკუთრება თავისი ობიექტური ქმედებებისათვის, ე.ი სიცოცხლისათვის სჭირდება, მაშინ მატერიალური სიმდიდრის ფლობა ყველასათვის თანაბრად საჭიროა...”

საკუთრება არასოდეს გაუქმებულა და არც არასოდეს გაუქმდება. სადაო მხოლოდ მესაკუთრე შეიძლება იყოს. და ყველაზე სამართლიანი ოდესმე შექმნილ სისტემათაგან უმალ ყველას მესაკუთრედ ცნობს, ვიდრე არავის. (უილსონი).

მაშინ, როცა შესაძლებელია საკუთრების ამა თუ იმ ფორმის არსებობა თავისუფლების გარეშე, თავისუფლების არსებობა საკუთრების გარეშე სრულად წარმოუდგენელია. (პაიპსი).

- ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია გავარკვიოთ თუ რა კავშირი არსებობს სხვადასხვა ცივილიზაციებსა და მათ ეკონომიკურ განვითარებათა შორის. მართლაც არსებობს კი კავშირი ცივილიზაციათა კულტურულ-ღირებულებით სხვაობებსა და მათ ეკონომიკურ განვითარებას შორის? რამდენად ცვალებადია ცივილიზაციათა კულტურულ-ღირებულებითი თავისებურებები და რა ზომით შეიძლება იყოს ისინი განვითარებისთვის დაუძლეველი წინააღმდეგობა? ან, იქნებ პირიქით, ისინი თავად შეიცვლება, თუმცა დაგვიანებით, ეკონომიკასა და სხვა სფეროებში მომხდარ ცვლილებათა გავლენით?

ა. ტოინბი ცივილიზაციებს განსაზღვრავს, როგორც ქვეყნების და ხალხების ერთობას, რომელიც გაერთიანებულია საერთო კულტურით, ღირებულებებით, ინსტიტუტებით. (Тойнби А. Постижение истории. М.: Айрис-Пресс, 2002). ცივილიზაციათა ზრდა არის გამოწვევებზე პასუხების შედეგი: ეს პასუხები ქმნიან დაძაბულობას, რაც განვითარების იმპულსი ხდება. ცივილიზაციათა დაცემა კი განპირობებულია გამოწვევებზე პასუხის გაცემის უუნარობითა და შინაგანი წინააღმდეგობებრიობებით. ახლანდელი ცივილიზაციების უმრავლესობა კავშირს ავლენს ტრადიციულ რელიგიურ კონფესიებთან. რ. ინგლჰარტი წარმოგვიდგენს ღირებულებათა მსოფლიო მიმოხილვას (ჭორლდ Vალუეს შურწაყ), რომელიც უკვე 25 წელია ტარდება და მოიცავს 65 საზოგადოებაზე მეტს. ამ მიმოხილვაში ქვეყნები ლაგდება ჯერ ერთ ღერძზე – „გადარჩენა – თვითგამოხატვა“ და მერე კი – მეორეზე – „ტრადიციული ფასეულობები – სეკულარულ-რაციონალური ღირებულებები“. (Ინგლეჰარტ ღ. ოდერნიზატიონ ანდ ოსტმოდერნიზატიონ: ჩულტურალ, ცონომიც ანდ ოლიტიცალ ჩჰანგე ინ ორტყ-თჰრეე შოციეტიეს. რინცეტონ ნივერსიტყ რესს, 1997.) მეორე მიდგომა გადმოცემულია ს. შვარცის კვლევებში (კითხვარი 57 ღირებულების დასახელებით ვრცელდებოდა მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის 54 ქვეყანაში, აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნის ჩათვლით). ეყრდნობოდა რა ღირებულებებს, რომლებიც სხვადასხვა კულტურის რელიგიური და ფილოსოფიური შრომების ანალიზისას

გამოვლინდა, მან ისინი ბლოკებად დააჯგუფა მოტივაციის ტიპების მიხედვით და წარმოადგინა პოლუსების სახით სამ ღერძზე: 1) კონსერვატიზმი – ავტონომია; 2) იერარქია – თანაბარუფლებიანობა; 3) ოსტატობა – ჰარმონია.

ამ კვლევის დასკვნები ამგვარია: ქვეყნები, სადაც შეფასებები – ავტონომია, თანასწორუფლებიანობა, ოსტატობა – მაღალია, ყველაზე მეტადაა განვითარებული, რაც მოსალოდნელიც იყო. და პირიქით, ქვეყნები, სადაც სჭარბობს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა კონსერვატიზმი, იერარქია და ჰარმონია – უმეტესწილად ღარიბია, მათი განვითარება სიძნელეებს აწყდება. ამგვარად, კავშირი ღირებულებებსა და ეკონომიკის განვითარების შორის, ამ და სხვა კვლევების დასკვნებით, შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, თუმცა ყოველთვის ნათელი როდია, რა არის მიზეზი და რა – შედეგი. ყველაზე უფრო სავარაუდოა როგორც ერთი, ისე მეორე.

- იმისათვის, რომ ქვეყნისთვის მისაღები ეკონომიკური მოდელი გამოვარკვიოთ, უპირველეს ყოვლისა შემდეგ კითხვებს უნდა ვუპასუხოთ: რა მთავარი მიდგომებით უნდა შემოვიფარგლოთ ცხოვრების რეალობათა ამსახველი ეკონომიკური მოდელის შეფასებისას? როგორია ის იდეალური მოდელი, რომლის დანერგვისთვისაც დღეიადაგ უნდა ვისწრაფვოდეთ? რა გვაქვს ამისთვის ჩვენი საკუთარი და ვისგან და რა ღირებულებების გადმოღება იქნება სასურველი?

უფრო ბედნიერი და კმაყოფილი იმ ქვეყნის მცხოვრებია, სადაც ადამიანი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი, გულდაგული. იქ კი, სადაც, ცხოვრება გაუფასურებულია, გაბატონებულია უარყოფითი ღირებულებანი და ადამიანი არის გულჩათუთქული, ილაჯგაწყვეტილი, მფრთხალი, გათელილი, სასოწარკვეთილი, შეშინებული, ადამიანი არის წარუმატებელი. მთავარი რეალურ ცხოვრებაში, მისი განმსაზღვრელი არის ღირებულება, კერძოდ კი საკუთრება.

ისტორიული მაგალითები გვიდასტურებს, რომ საკუთრების, კერძო საკუთრების უფლების განხორციელება არის ძალზედ მნიშვნელოვანი, ხალხის გაძლიერების, სიკეთისა და ბედნიერების მომტანი ღირებულება. ამიტომაცაა, რომ „კერძო საკუთრება ქვაკუთხედად უდევს მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებურ წყობას, მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე".

ღირებულებები, რომლის დანერგვაც უნდა გვინდოდეს, კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული ევროკავშირის ლისაბონის კონვენციაში. საქართველოს და ევროპას საერთო ღირებულებები აერთიანებთ. საქართველოს შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს ევროპისაგან. საქართველო ევროპის ნაწილია. საქართველომ უნდა აიღოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ევროპაში ინტეგრაციისთვისაა საჭირო. ჩვენ ევროპისკენ უნდა გადავდგათ ნაბიჯები.

იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, საჭიროა თითოეული მოქალაქე ჩავაყენოთ ქვეყნის სამსახურში და ვიშრომოთ თავდაუზოგავად. ყველაზე უფრო პრიორიტეტული ის არის, რომ ვემსახუროთ სამყაროს ყველაზე მთავარ, უნიკალურ ღირებულებას – თითოეულ ადამიანს. სულიერი წინსვლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ერი ცალ-ცალკე, ჯგუფებად და წოდებათა დაუყოფლად, ერთიანი მეცადინეობით ცდილობს ცხოვრების გზის გაკვალვას, მისი საწინააღმდეგო გზა კი არის მომაკვდინებელი. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველაზე მთავარი გაკვეთილი. „ყველამ ერთად და თითოეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. არა გონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზე დაამყაროს."(ილია ჭავჭავაძე). იმისათვის, რომ ეკონომიკური პროგრესი შეუქცევადი გავხადოთ, აუცილებელია „ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას", რომ „სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს".

- ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროპულ ღირებულებებს. ევროპა უპირველეს ყოვლისა ესაა სინერგიული ერთობა, ერთიანი ევროპა გამთიშველი საზღვრების გარეშე, სადაც ყველას, ქვეყანას, ისევე, როგორც პიროვნებას, შეუძლია იცხოვროს თავისი თავისუფლებით, ერთობა ერებისა, რომლებიც ინაწილებენ საერთო ბედს; ერთობა, რომელიც სამყაროს გლობალური მოთამაშე ხდება, რომელიც არ კმაყოფილდება იმით, რომ იყოს რეგიონული ძალა ან სუპერმარკეტი; სადაც ყველა გრძნობს თავის მნიშვნელობას სხვებისთვის და თავის თანასწორობას სხვებთან; ერთიანობა ერებისა, რომლებიც ინაწილებენ საერთო სინდისს; ერთობა, სადაც ყველა ინარჩუნებს და ავითარებს თავის თვითმყოფადობას.

ევროპული ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველა ეპოქას, საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს ერთნაირად მიესადაგება,

ისეთ მარადიულ ფასეულობათა უნივერსალურობიდან გამომდინარე, როგორებიცაა: პიროვნების თავისუფლება, ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობა. ნიკო ნიკოლაძე ევროპული ღირებულებებიდან, რომელთა განხორციელებითაც ევროპელები დაწინაურდნენ, უპირველესთა შორის ასახელებდა ქვეყნისათვის მსახურებას, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, ჩვენთვის უცხო პრაგმატულობასა და რეალიზმს, განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას და, ამასთან, უცხოური დადებითი გამოცდილების უეჭველ გათვალისწინებას. ყველაზე უმთავრეს ევროპულ ღირებულებებს მიეკუთვნება ადამიანის უფლებები და მისი ღირსების დაცვა.

- იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, საჭიროა თითოეული მოქალაქე ჩავაყენოთ ქვეყნის სამსახურში და ვიშრომოთ თავდაუზოგავად. ყველაზე უფრო პრიორიტეტული ის არის, რომ ვემსახუროთ სამყაროს ყველაზე მთავარ, უნიკალურ ღირებულებას – თითოეულ ადამიანს. ამ მიზნით საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე თავისი საპროგრამო სიტყვით გამოსვლისას ხალხისა და მთავრობის უპირველეს ამოცანებს შორის განსაზღვრა: 1. ვინაიდან, თითოეული ადამიანი არის განუმეორებელი, უნიკალური უმაღლესი ღირებულება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხალხის უმრავლესობის უკიდურეს გაჭირვებას უნდა დავაღწიოთ თავი; 2. საჭიროა დემოკრატიული ინსტიტუტიების განვითარება. უნდა დავამკვიდროთ კანონის უზენაესობა და აღვადგინოთ სამართლიანობა ქვეყანაში. არც ერთი დანაშაული, თუ ის მტკიცებულებებით იქნება გამყარებული, არ უნდა დარჩეს დაუსჯელი. ყველამ, ვისაც უკანონობაში ექნება მონაწილეობა მიღებული, პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე – მხოლოდ კანონისა და სასამართლოს ძალით. შესწავლილი უნდა იქნეს საკუთრების უფლების ტოტალური დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარება, აგრეთვე, საქართველოში ბოლო წლებში გავრცელებული „ელიტარული კორუფციის“ მასშტაბები და უნდა შემუშავდეს მათი აღმოფხვრის მექანიზმები; 3. ქვეყანამ უნდა განახორციელოს ფართომასშტაბიანი რეფორმები ყველა სტრატეგიული მიმართულებით და მთავრობის პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს საქართველოს მოსახლეობის მკაფიოდ გამოხატულ ინტერესებს. ამისათვის სამთავრობო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში აქტიურად უნდა იქნენ ჩაბმული მოქალაქეები და სწორედ ეს უნდა გახდეს მთავრობის მუშაობის საფუძველი; 4. უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო სტაბილურობა მმართველობის დაბალანსებული და გაწონასწორებული მოდელის დადგენით, მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის არსებობისას. განვითარება ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუტები. გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები ევროკავშირისა და ნატოსთან ინტეგრაციის მიმართულებით. დაიწყება და შეუქცევადი გახდება ქვეყნის გამთლიანების პროცესი; 5. გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება რეალური თვითმართველობის ამოქმედებას; 6. მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები იქნება ხელშეუხებელი; 7. გაცხადებული პრიორიტეტია ევროკავშირში გაერთიანებისკენ სწრაფვა, ევროატლანტიკური ორიენტაცია და ნატოში ინტეგრაცია; რუსეთთან დიალოგის დაწყება; არასამთავრობო სექტორის მნიშვნელოვანი გაფართოება; ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება და წარმართვა დასავლური სტანდარტებისა და მეთოდების შესაბამისად; 8. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის საყოველთაო პრინციპებს და იმ თანამედროვე მიდგომებს, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფოს როლს სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური უსაფრთხოების საქმეში. მოხდება ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზება. განხორციელდება ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის ჩანაცვლება. შეიქმნება თავისუფალი, კონკურენტული საბაზრო გარემო. გამორიცხული იქნება მონოპოლიების არსებობა; 9. მთავრობა ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებად აცხადებს: სოფლის მეურნეობას, მცირე და საშუალო მეწარმეობას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ წარმოებას, აგრეთვე სოციალურ სფეროში-საპენსიო რეფორმას, ჯანმრთელობის დაცვის რეფორმას და უმწეო მდგომარეობაში მყოფთა დახმარების სისტემის მოწესრიგებას. შეიქმნება სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს გარემო; 10. საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის კუთხით პრიორიტეტულია საექსპორტო საბაზრო არეალების მნიშვნელოვანი გაფართოება, ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედება, რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა; 11. მთავრობის მიერ შემუშავებული დასაქმების პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდება საკუთარი კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისი სამუშაო ადგილის მოძიება, ცოდნისა და უნარების

გამოყენება. ჩამოყალიბდება ეფექტიანი და ცივილიზებული შრომის ბაზარი; 12. პრიორიტეტული მიმართებაა განათლება. განათლების სისტემა დაეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ, თანამედროვე სტანდარტებს. შემუშავდება სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის კუთხით. მეცნიერება გახდება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საფუძველი. ხელი შეეწყობა ქართული კულტურის სივრცის მსოფლიოს კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას. გარანტირებული იქნება ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა. („საქართველოს რესპუბლიკა", №206 (7082), პარასკევი, 26 ოქტომბერი, 2012, გვ. 2-3). მხოლოდ ამ გზით შევძლებთ საქართველოში ევროპის და სხვათა მოწინავე გამოცდილების იმგვარად დანერგვას, რომ არ დავკარგოთ ჩვენი ტრადიციები, ადათ-წესები და ჩვეულებები და თან, ამასთან ერთად, სხვისი მოწინავე გამოცდილებაც გავითვალსიწინოთ, ე.ი. მივაღწიოთ მის ოპტიმალურ სინთეზს.

- ჩვენთვის სასარგებლო ღირებულებების მოძიება ხშირად იმაშიც შეიძლება, რაც ჩვენ მთლიანობაში არც კი მოგვწონს. მიტომ, ყოველი ისტორიული პროცესი და დაწესებულება, გამოკვლეული უნდა იყოს პრო I ცონტრა არგუმენტების გათვალისწინებით. და ეს მაშინ, როდესაც უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ისტორიკოსები იმპერიის შესახებ მხოლოდ უარყოფით მხარეებს წევენ წინა პლანზე.

- დიდი განსხვავება არსებობს დასავლურ და ჩვენს ღირებულებათა სისტემასა და აზროვნებაში. განსხვავება ის არის, რომ დასავლეთში ყოველი მოქმედება არის შედეგზე ორიენტირებული, ჩვენთან კი პრინციპზე, ჩვენ ნეგატიურები ვართ, დასავლელები კი პოზიტიურები არიან. ჩვენთან შედარებით დასავლელები უფრო პირდაპირები და გულახდილები არიან; ჩვენში კანონის უპატივცემულობა და უდისციპლინობაა, დასავლეთში კი კანონისადმი ღრმა მოწიწება და მორჩილება. ვინაიდან ამის ძირითადი მიზეზი არის განსხვავება ფასეულობებში, უნდა მოხდეს დასავლური ფასეულობების სინთეზირება ჩვენს კულტურასთან, ყოფასთან, ცხოვრების წესთან. თუ გვინდა, მოკლე დროში გავიაროთ ის მანძილი, რის გავლასაც დასავლეთის ქვეყნებმა ათწლეულები და საუკუნეები მოანდომეს, უნდა მოხდეს დასავლური ფასეულობების სინთეზირება ჩვენს კულტურასთან. ყოფასთან და ცხოვრების წესთან.

მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე თავისი ნაშრომის შესახებ მოხსენება გააკეთა პროფესორმა შოთა ვეშაპიძემ. გთავაზობთ ზოგიერთ გამოხმაურებას:

როზეტა ასათიანი
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

„მოხსენება თეორიულ ასპექტში იყო წარმოდგენილი, იგი, ეკონომიკურთან ერთად, ფილოსოფიურადაც იყო გააზრებული, რაც უდავოდ მისასალმებელია და გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად ფეხმოკიდებული მიდგომაა, ორიგინალურობის კვალს ტოვებს.

ავტორმა მოხსენებაში წინა პლანზე წამოსწია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შეხედულება ღირებულებათა (ფასეულობათა) საერთო სისტემის ჩამოყალიბების შესახებ, რაც მსოფლიოს ზნეობრივი ღერძის ფუნქციას შეასრულებს და ამდენად აუცილებელია მსოფლიოს გადასარჩენად.

მოხსენება პატრიოტული პათოსით იყო წარმოდგენილი. მას წითელ ზოლად გასდევდა აზრი იმის შესახებ, რომ ქვეყნის იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს ეროვნული ინტერესები და არა გეოპოლიტიკური ფაქტორები.

მოხსენების მოსმენამ დამარწმუნა, რომ თუ ავტორი თეზისების სახით წარმოდგენილ მასალას ხორცს შეასხამს და გამოსცემს სტამბური სახით, ეს არ იქნება წიგნი, რომელსაც სწრაფად ჩაიკითხავ და გვერდზე გადადებ, იგი ბევრ საკითხზე ჩააფიქრებს მკითხველს და ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ განსჯის საშუალებას მისცემს."

ამბროსი ბრიშიკაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე

ფრიად ღირებული წიგნი ღირებულებებზე

ორიოდე სიტყვა პროფესორ შოთა ვეშაპიძის ახალ წიგნზე: „საკაცობრიო ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები"

ძველი გამოთქმაა - გემოვნებაზე არ დაობენო; ვერ დავეთანხმები. აბა, მაშ რაზე დაობენ საუკუნეების განმავლობაში ადამიანები - მხატვრები,

მწერლები, კომპოზიტორები, არქიტექტორები, რეჟისორები (სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება), თუ არა გემოვნებაზე. სწორედ ასეთი კამათის (კონკურენციის, ეკონომისტთა ენით, ოღონდ კონკურენციის ხელოვნების, ლიტერატურის, მუსიკის და ა. შ. სარბიელზე) შედეგია რაფაელის სურათები, მიქელანჯელოს ქანდაკებები, შოპენისა და მოცარტის მუსიკა, ფელინის ფილმები, სვეტიცხოვლის ტაძარი და სხვ.

როგორც მონოგრაფიაში თავად ავტორი წერს, მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს არც ერთი ერი და თემიც კი, რომელსაც დღემდე მოუღწევია და თავისი ღირებულებები არ ჰქონია.

ასევე, საუკუნეების განმავლობაში კამათობენ ღირებულებებზეც: რა სჯობს მოყვასს დახმარების ხელი გაუწოდო, თუ წაქცეულს ფეხი დააბიჯო, მაღაზიაში კანფეტი იყიდო და დებს სათითაოდ მიჰყიდო (როგორც ამას ერთ-ერთ ამერიკელ მილიარელზე წერენ), თუ და-ძმას მხარში ამოუდგე და მათი ჭირი და ლხინი გაიზიარო, როგორც ქართველებსა გვაქვს ტრადიციად (თუმცა ასე შეიძლება ვერ გამდიდრდე).

ავტორის სწორი დაკვირვებით, ღირებულებები განუწყვეტლივ ცვლილებას, განახლებას, დახვეწას განიცდიან. ამასთან, ეს პროცესი ყოველთვის აღმავალი ხაზით როდი ხასიათდება. ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ დასამალი და სასირცხვილო იყო, დღეს ამით შეიძლება კაცმა იამაყოს კიდეც (ამის მოწმენი ჩვენ უკვე ვართ), ან პირიქით, რაც ადრე საამაყო იყო, დღეს იქნებ დასაცინიც კია. საუკუნეების წინათ კი არა, ამ ათიოდე წლის წინ განა ვინმე გაბედავდა და იტყოდა, „ცისფერი ვარო", დღეს კი პარადის ჩატარება მოუწადინიათ. ან განა ქართველი კაცისთვის ქურდობა როდისმე მისაღები იყო? დღეს კი ყოფილ საბჭოთა ზონაში „კანონიერი ქურდების" რიცხვით (პროპორციულად) საქართველო ლიდერობს. როდესაც ალექსანდრე დიუმამ (მამამ) კავკასიაში იმოგზაურა, წერდა: ქართველმა ულვაშის ღერი რომ მოგცეს რაიმე პირობის დაურღვევლობის ნიშნად, ენდეო. დღეს ქართველები ამ მხრივ, შეიცვალნენ და სამწუხაროდ, არა უკეთესობისკენ. არადა, ასეთ საიმედოობაზე ხომ ეკონომიკაში, ბიზნესში ბევრი რამაა დამოკიდებული. ამ რამდენიმე წლის წინათ კანადაში კონტრაქტის დაურღვევლობის 200 წლისთავი აღნიშნეს, ვინმეს შეუძლია ქართული სამეურნეო სივრცე კონტრაქტის (მიცემული სიტყვის) დაურღვევლობის გარეშე წარმოიდგინოს?! ეს ყველაფერი კი ის ღირებულებებია, რომელთა გარეშეც ეკონომიკა არ არსებობს.

განსაკუთრებით გასახარია ის, რომ ამ ერთი შეხედვით ფილოსოფიური თემის შესწავლა-განხილვისათვის არა ფილოსოფოსს, არამედ ცნობილ ეკონომისტს მოუკიდია ხელი. თუმცა ეს ყოველივე ეკონომიკური პროცესების, ეკონომიკური მოვლენების კუთხითაა გაშუქებული. პირადად მე ეს არც გამკვირვებია: ბატონ შოთა ვეშაპიძის სადოქტორო დისერტაციაც, რომელიც ილია ჭავჭავაძის ეკონომიკურ შეხედულებებს ეძღვნებოდა, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ფილოსოფიურ ჭრილშიც იყო დანახული და გააზრებული.

დარწმუნებული ვართ, ახალ მონოგრაფიას - „კაცობრიული ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები" - დიდი ინტერესით მიიღებს ქართული საზოგადოება და არა მხოლოდ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

ღუმ ეხპედიტამ ეტ აუტ ომნიასპედ ქუი სუმ იურ აცცუსტ რემ ქუატემ იდ მახიმილ იქუიბუსანდის აუტ აუტ ალიტა სექუე პლაბორრუმ ცონ ეხპერეპ უდანდამე პარციტ, ცორიტ, უტ ოფფიციმერე პრორესტ ეტ აპიდების ეტ დე ნოს ეხ ეტ ოდინისტი ინცტატიო ქუე ეიუნტ უტეცეპე ლესტემპორატ რესტი აუტ ფუგიანდ იტიატი დოლორიტ ატემქუე დოლუპიდ მი, ცონსეცტ იატურე ეტ ეს დოლესტიის ვოლუპიდ ესციპიტ იაეპერე რიონსედ ეხცერნატია ესტ, ვოლორრო რემპორეცაბ იპსუმრე ეა დოლორუმ ეტ იდ ქუუნდანდემ. თემ არუპტატუს ეს ცორემპორრუმ აუტ ვოლუპტატურ?

Iგნისტ ინტ ვოლუპტატურ? მქუე მო იპსაპიც იუსაეცუმ ქუაე ოდ ქუის რე რერრო ეა ქუო ინის აუტ ეუმ აუტ ქუოდიციის ნის ქუუნტიანტ პლამეტ ალიბეატა დოლუპტა სსენდე დოლუპტა ტიორუმ ინციის ცონსექუია ვენისსე ქუიდიტატ დოლორ

# MS Access-ის მონაცემთა ბაზის მრავალმომხმარებლური გამოყენების საშუალებები

ცირა ჯაფიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელბის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

*სტატია ეთმობა მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის ცცესს-ის მონაცემთა ბაზების მრავალმომხმარებლურ გამოყენებას. მონაცემების მრავალმომხმარებლური გამოყენებისათვის გარჩეულია პროგრამა Access-ის კოლექტიური სარგებლობის საშუალებები და მათი გამოყენება. მათ შორის ბაზის დაყოფა სერვერულ და კლიენტურ ნაწილებზე. პირველი ნაწილი წარმოადგენს თვითონ ბაზას, კლიენტური კი შედგება კავშირებისაგან ბაზასთან და იმ ობიექტებისაგან, რომლებიც იყენებენ ცხრილებს, წარმოებული ინფორმაციის მისაღებად. ეს არის ფორმები, ანგარიშგებები, მაკროსები და მოდულები. ასეთი დაყოფისთვის პროგრამული სისტემა გვთავაზობს ორ საშუალებას: პროგრამა-ოსტატს და იმპორტ-ექსპორტის ბრძანებების ხელით ჩატარებას. სერვერული და კლიენტური ბაზების ცალკე ბაზებად დაყოფა ეფექტური გამოყენების და დაცვის საუკეთესო საშუალებაა. უსაფრთხოების გაცვა კი მონაცემთა ბაზების კოლექტიური გამოყენების ძირითადი პრობლემაა . Access გვთავაზობს დაცვის საშუალებებს როგორც სერვერული, ასევე კლიენტური მონაცემთა ბაზისათვის. წარმოდგენილია მონაცემთა ბაზის სტრუქტურის რედაქტირების ბლოკირების საშუალებები და ასევე ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის ბლოკირებს რეჟიმები. მიუხედავად Access-ის დაცვის მრავალი საშუალებისა, მათი ეფექტურობა ნაკლებია უსაფრთხოების დაცვის საშუალებებზე, რომელსაც უზრუნველყოფს სერვერული მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა SQL Server.*

მონაცემთა ბაზის (მბ) ერთობლივი გამოყენება გამართლებულია ორგანიზაციაში, სადაც მრავალი ურთიეთდაკავშირებული ამოცანაა ამოსახსნელი რეგლამენტირებული თანმიმდევრობით და შესრულების ვადებით. როდესაც მონაცემთა ბაზა ხდება ერთობლივი სისტემა სხვადასხვა მომხმარებლისთვის, ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს შეუძლიათ თუ არა მათ ბაზაში მონაცემების რედაქტირება. იოლია გაამრავლოთ თქვენი მონაცემთა ბაზა და ასლები გადასცეთ მომხმარებელს, მაგრამ, თუ თქვენ გინდათ უზრუნველყოთ ერთდროული მუშაობა ერთი და იგივე ფაილთან, მაშინ საქმე რთულდება.

არსებობს ოთხი ძირითადი მიდგომა, რომლითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ იმისათვის, რომ მრავალ მომხმარებლისთვის გახადოთ თქვენი ბაზა მისაწვდომი [1].

- მონაცემების ექსპორტირება. მომხმარებელს შეუძლია გაცვალოს მონაცემები ექსპორტის, იმპორტის და კავშირების საშუალებით, რათა ისარგებლოს სხვადასხვა პროგრამული სისტემის მიერ შექმნილი მონაცენთა ბაზებით, თვითონ Access-ის მონაცემთა ბაზებით, ტექსტური რედაქტორების ფაილებით, ელექტრონული ცხრილებით და ფაილებით ნებისმიერი სისტემის, რომელიც იყენებს ODBC[1] სტანდარტს.
- მონაცემთა ბაზის კოპირება. შეიძლება მომხმარებელს მიაწოდოთ ბაზის ასლი. ამ მეთოდის შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ ცვლილებები, რომლებიც შეიტანება ბაზაში არ აისახება მის ასლებში და ვერ სრულდება მონაცემების რედაქტირების სინქრონიზაცია.
- სერვერულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე გადასვლა. შეიძლება მონაცემები გადატანილი იქნეს სამრეწველო დონის სერვერულ პროგრამულ პროდუქტზე, მაგალითად, SQL Server-ზე ან SharePoint-ზე. ამის შემდეგ მონაცემებით სარგებლობა შეეძლება პრაქტიკულად განუსაზღვრელი რაოდენობის მომხმარებელს. თითოეული მომხმარებელი იყენებს Access-ის საკუთარ ასლს სერვერთან დაკავშირებისთვის, რომელზეც თავსდება მონაცემების ცენტრალური საცავი – მონაცემთა ბაზა. ასეთი მიდგომის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ სირთულე, დაკავშირებული

1. ODBC (Open Database Connectivity) — მონაცემთა ბაზების ღწევის პროგრამული ინტერფეისი. მისი სტანდარტი (ISO) მოწოდებულია მონაცემთა ბაზის მართვის სიტემებს შორის ურთიერთქმედების უნიფიცირებისათვის, დამოუკიდებელს ხდის ბაზის მართვის სიტემებს მათ წარმოებლებისა და პროგრამულ-აპარატულ გარემოსაგან.

პროგრამულ პროდუქტის გამართვასთან .

- პროგრამა Access-ის კოლექტიური სარგებლობის საშუალებების გამოყენება. მონაცემთა ბაზა თავსდება საერთო წვდომის საქაღალდეში, მაგალითად, ქსელურ დისკზე, რათა რამდენიმე მომხმარებელს შეეძლოს მონაცემებით ერთდროულად სარგებლობა. ამ შემთხვევაში მომხმარებლები მუშაობენ ერთი და იგივე შემადგენლობის მონაცემებთან. ამ მიდგომის გამოყენების დროს მომხმარებლის მუშაობა საჭიროებს Access-ის მიერ კოორდინირებას ბაზასთან. ასეთ პირობებში მისი კოლექტიური გამოყენება იფუნქციონირებს შეუფერხებლად. თუ თქვენი ბაზის მომხმარებლის რაოდენობა აღემატება 100, მაშინ უნდა მიმართოთ სერვერულ პროგრამულ პროდუქტს, რომელიც ითვალისწინებს მრავალმომხმარებლურ წვდომას დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზებთან.

## პროგრამა Access-ის კოლექტიური სარგებლობის საშუალებების გამოყენება

ცცესს-ის მონაცემთა ბაზის მრავალმომხმარებლური გამოყენება არ არის რთული: მოათავსეთ ბაზა იქ, საიდანაც ყველა მომხმარებელს შეეძლები სარგებლობა, მაგალითად, საერთო წვდომის საქაღალდეში თქვენს კომპიუტერზე,ან,რაც უკეთესია, თქვენი კომპანიის ქსელის სერვერულ კომპიუტერზე. ამის შემდეგ, ვისაც დასჭირდება ბაზა, შეეძლება მისი გახსნა და სარგებლობა. მაგრამ, სანამ ამას გააკეთებდეთ, გაითვალისწინეთ რამდენიმე აუცილებელი პირობა, რათა დაადგინოთ, გაწყობთ თუ არა Access-ის მონაცემთა ბაზის მრავალმომხმარებლური გამოყენების ეს მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

- ბაზით სარგებლობს ერთდროულად არაუმეტეს 40 მომხმარებლი. რა თქმა უნდა რიცხვი 40 პირობითია: არის შემთხვევები, როდესაც ეს რიცხვი 100 აღწევს.
- 15 მომხმარებელი ერთდროულად ცვლის მონაცემებს ბაზაში. პრობლემა იქმნება, როდესაც რამდენიმე მომხმარებელი ცვლის ერთდროულად ერთი და იგივე ჩანაწერს.
- მონაცემთა ბაზის სტრუქტურა არ იცვლება ხშირად. იგულისხმება ცხრილების სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა. ეს ოპერაციები ევალება, როგორც წესი, ერთ პიროვნებას, რომელიც პასუხს აგებს მონაცემის ბაზის სტრუქტურის შეცვლაზე.
- სხვადასხვა მომხმარებელი სხვადასხვა ცხრილებთან მუშაობს.
- თქვენი ბაზა არ წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან ბაზას. ეს ნიშნავს, რომ 24 საათის განმავლობაში ის არ არის წარმოდგენილი ინტერნეტში და არ აწარმოებთ კომერციულ საქმიანობას. უეცარი ქსელური პრობლემები ან კომპიუტერის რღვევები, როდესაც შეგაქვთ ცვლილებები, ბაზის დაზიანების მიზეზი ხდება.

თუმცა ამ პრობლემებთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელია მონაცემთა ბაზის რეგულარულად შენახვა ასლის სახით, და სხვა Access-ში გათვალისწინებული ინსტრუმენტების გამოყენება.

## მონაცემთა ბაზის მომზადება

როდესაც ორგანიზაციაში მონაცემთა ბაზით კოლექტიურ სარგებლობას იწყებთ, ჩასატარებელი გექნებათ რამდენიმე მოსამზადებელი სამუშაო. ძირითადი მათგანია ბაზის გაყოფა ორ ნაწილად:

- შიგა ან სერვერული მბ, რომელიც შედგება მარტო მონაცემებისაგან, ან, უმჯობესია ვთქვათ, ცხრილებისაგან,
- გარეშე ან კლიენტური მბ, რომელიც შედგება ყველა იმ ობიექტისაგან, რომელიც გამოიყენება ცხრილებთან მუშაობის დროს: მოთხოვნები, ფორმები, ანგარიშგებები, მაკროსები და მოდულები.

მბ გაყოფის შემდეგ, შიგა ბაზა თავსდება საერთო წვდომის ადგილზე, მაგალითად ქსელურ დისკზე. გარეშე ნაწილი კი იტვირთება იმ კომპიუტერებში, რომლებმაც უნდა იმუშაონ მონაცემთა ბაზასთან.

გაყოფილ მონაცემთა ბაზებს ახასიათებს:

- წარმოებლურობა. მომხმარებელს არ სჭირდება ობიექტების ამორჩევა ერთიან მონაცემთა ბაზიდან – მას შეუძლია კლიენტურ ბაზაში შეიტანოს მარტო ის მოთხოვნები, ფორმები, ანგარიშგებები, რომლებიც მას სჭირდება სამუშაოდ, რაც არამარტო მოხერხებულია მისთვის, არამედ არ საჭიროებს დროს ქსელში დამატებითი ტრაფიკისთვის.
- განახლების გაიოლებული შესაძლებლობა. ვინაიდან მონაცემები განცალკევებულია სხვა ობიექტებისაგან, ბაზის დარღვევის პრობლება არ იქმნება. ამასთან, თუ ახალი ობიექტის დამატებაა ან ძველის კორექტირებაა საჭირო, ეს კლიენტურ ნაწილში მომხმარებლის მიერ სრულდება.
- სხვადასხვა მომხმარებელს სხვადასხვა კლიენტური ბაზა აქვს. სისტემაში ერთი და იგივე მონაცემები სხვადასხვა ამოცანების ამოსახსნელად გამოიყენება. მაგალითად, ერთს ეხება

მარკეტინგის ამოცანები, მეორეს – მომარაგების. ამიტომ კლიენტური პროგრამა შეიცავს იმ მოთხოვნებს, ანგარიშგებებს და ფორმებს, რომლებიც კონკრეტულ ამოცანას ემსახურება და არ შეიცავს სხვა ამოცანებისთვის შექმნილ ობიექტებს. ეს აიოლებს მომხმარებლის მუშაობას, და ამცირებს შემთხვევით შეცდომებს. ამ შემთხვევაში კლიენტური ბაზა, შეიძლება დაიცვათ დაუდევარ ან ზედმეტად ცნობისმოყვარე მომხმარებლისაგან.

### ბაზის გაყოფა პროგრამა-ოსტატით

მონაცემტა ბაზის გაყოფა შესაძლებელია პროგრამა-ოსტატით ან პროგრამული სისტემის მართვის ელემენტებით. ოსტატი ქმნის ახალ სერვერულ მბ და გადააქვს გასაყოფ ბაზიდან ყველა ცხრილი. გასაყოფ ბაზაში კი რჩება დანარჩენი ობიექტები, რის შემდეგ ის ხდება კლიენტური მბ.

წინასწარ აუცილებელია შეიქმნას მონაცემთა ბაზის ასლი, ვინაიდან თუ უკან დაბრუნება მოგიხდათ, გარანტირებული ხართ იმაში, რომ ბაზას არ კარგავთ. ბაზის დაყოფის ოსტატის პიქტოგრამა Access-ის ლენტაზეა გამოტანილი (Access Database):




ოსტატი გატყობინებთ მუშაობის პრინციპს, გთხოვთ დასტურს გაყოფაზე, ირჩევთ ადგილმდებარეობას და ფაილის სახელს სერვერული მბ-სთვის. აქ უნდა მიუთითოთ ის ადგილი,რომელიც საერთო იქნება ყველა კლიენტური ბაზისთვის. ეს შეიძლება იყოს ქსელში ჩართული რომელიმე კომპიუტერი ან სერვერის დისკური მოწყობილობა, ერთი სიტყვით, ეს უნდა იყოს საქაღალდე საერთო წვდომით. შეგიძლიათ ისარგებლოთ იგივე ფოლდერით, სადაც გასაყოფი ბაზა არის მოთავსებული, მაგრამ შემდგომ დაგჭირდებათ მისი საერთო წვდომის ადგილზე მოთავსება, რაც დაკავშირებულია დამატებით სამუშაოსთან –კლიენტურ პროგრამებში ცხრილების კავშირების განახლებასთან. მონაცემთა ბაზის სახელს პროგრამა ამატებს სიმბოლოებს „–ბე", რითიც აღნიშნავს სერვერულ მბ-ას.

პროგრამას გადააქვს ახალ სერვერულ ბაზაში ცხრილები. ამ პროცესის დამთავრების შემდეგ, პროგრამა გატყობინებთ, რომ მონაცემთა ბაზა წარმატებით გაიოყო.

მბ, რომლითაც დაიწყეთ გაყოფის პროცესი, გარდაიქმნება კლიენტურ ბაზად და ეკრანზე რჩება. ქვემოთ მისი ნავიგატორის ფრაგმენტია ნაჩვენები:




კლიენტურ ბაზაში დარჩა მარტო მიმთითებლები ცხრილებზე და ყველა დანარჩენი ობიექტი, რომელიც საწყის ბაზაში იყო მოთავსებული. ცხრილებით სარგებლობა შესაძლებელია მარტო კავშირებით იმ ცხრილებზე, რომლებიც განლაგებულია სერვერულ ბაზაში. კლიენტური მბ მომხმარებლების კომპიუტერებზე გადაიტანება. გადატანის მეთოდი მთლიანად დამოკიდებულია ორგანიზაციაზე. შესაძლებელია მბ დაუგზავნოთ მომხმარებლებს ელ. ფოსტით, განალაგოთ სამუშაო ადგილებზე კომპიუტერებში, ჩატვირთოდ სერვერზე საერთო წვდომის ფოლდერში. აქ მთავარია, რომ მომხმარებელმა იცოდეს, რომ კლიენტური ნაწილის გამოყენების წინ, ის უნდა იყოს ჩატვირთული მის სამუშაო კომპიუტერზე.

### კავშირები ცხრილებთან

კლიენტური ნაწილში არსებული ცხრილების დასახელების მარცხენა მხარეს მარჯვნივ მომართული ისარია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თვითონ ცხრილი სხვა ბაზაშია განლაგებული, საიდანაც ხდება ამ ცხრილის წაკითხვა და კლიენტურ ნაწილში მასთან მუშაობა. როდესაც იცვლება ფოლდერი, სადაც განლაგებულია ძირითადი ცხრილი, კლიენტური ბაზა ვერ პოულობს მონაცემებს და გამოსცემს შეტყობინებას, რომ კავშირები დარღვეულია და შესამოწმებელი. ასე ხდება, როდესაც ფაილი სერვერული საქაღალდიდან გადაიტანება სხვა საქაღალდეში ან მას ეცვლება სახელი. ამ შემთხვევაში საჭიროა გზის (კავშირების) შემოწმება. ამისთვის გამოიყენება კონტექსტური მენიუ და ბრძანება Linked Table Manager. იგივე დასახელების ფანჯარაში შეიტანება კავშირების სწორი ადგილმდებარეობა:




## მონაცემთა ბაზის გაყოფა იმპორტირებით

ბაზის გაყოფისთვის არ არის აუცილებელი პროგრამა-ოსტატის გამოყენება. შეიძლება ცხრილების იმპირტით გადატანა ცალკე ფაილში და კავშირის შექმნა მასთან. ეს მეთოდი უკეთესია, თუ თქვენ ბაზის დაყოფა გნებავთ რამდენიმე ნაწილად, მაგალითად, ერთი ნაწილი – კლიენტური, სამი კი – სერვერული ბაზა.

სერვერული ბაზის ასეთ დაყოფას აქვს სერიოზული საფუძველი. ძირითადია შემდეგი:

- დამაჯერებლობის გაძლიერება. თუ ერთი ფაილი დაზიანდა, სხვები იგივე მდგომარეობას ინარჩუნებს.
- უსაფრთხოების დონის ამაღლება. ОС Windows-ის საშუალებებით შესაძლებელია ვმართოთ კონკრეტული ფაილების გახსნის უფლება; გაყოფილ მბ-ის უპირატესობა შეიძლება გამოვიყენოთ მომხმარებლის მათთან წვდომის აკრძალვისთვის.
- მბ ფაილის მოცულობის ზრდის შესაძლებლობა. ვინაიდან Access ზღუდავს მბ-ის ზომას 2 გბ-ით, ფაილის დაყოფით შეიძლება ეს პრობლემა გადაიჭრას.

მაგალითისთვის დავყოთ ბაზა Testireba.accdb სამ ნაწილად: ერთში მოვათავსოთ ფაილები ტესტებით, მეორეში – სტუდენტებით, დანარჩენი ცხრილები კი გავიტანოთ მესამე ბაზაში. ვინაიდან სტუდენტების სია ყოველწლიურად იცვლება და სტუდენტების ჩანაწერები უნდა შეიცავდნენ სტუდენტის რეკვიზიტებს და მათ შორის სურათებსაც, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ბაზის მოცულობას, უპრიანია მათი ცალკე ბაზაში შენახვა. ასევე ტესტების ფაილი – მუდმივად ახლდება და მასშიც ბევრი საილუსტრაციო მასალაა წარმოდგენილი. კლიენტურ ბაზაში კი ხდება კავშირები ბაზების ცხრილებთან და მონაცემების დამუშავების ობიექტები: მოთხოვნები, ფორმები, ანგარიშგებები , მაკროსები და მოდულები.

სერვერული მბ-ები იქმნება როგორც ცარიელი ბაზები: Testebi_be.accdb, StudentebisSia_be.accdb,Testireba_be.accdb. იგივე ფოლდერში იწერება გასაყოფი ბაზა - Testireba.accdb და მისი ასლი (ეს ორი შეიძლება ნებისმიერ სხვა ფოლდერშიც მოთავსდეს). იმპორტირების პროგრამით გადაიტანება ბაზაში Testireba_be.accdb ბაზიდან Testireba.accdb ჩანერგვით ცხრილები, რომლებშიც მოთავსებულია ტესტები, ასევე გადაიტანება ბაზაში studentebissia–be.accdb ბაზიდან Testireba.accdb ცხრილები სტუდენტებით და ბაზაში Testireba_be.accdb ბაზიდან Testireba.accdb – დანარჩენი ცხრილები. ვინაიდან ცხრილები მოთავსებულია სერვერულ ბაზებში, ისინი იშლება ბაზიდან Testireba.accdb და მათ მაგივრად იქმნება კავშირები სერვერულ ცხრილებთან. ამისათვის სერვერულ ბაზებიდან Testebi_be.accdb, StudentebisSia_be.accdb, Testebi_be.accdb Access-ის იმპორტის პროგრამა შექმნის დაკავშირებულ ცხრილების სიას ბაზაში Testireba.accdb. თუ ყველაფერი კარგად ჩატარდა, მიიღება სამი სერვერული ბაზა – Testebi_be.accdb, StudentebisSia_be.accdb, Testireba_be.accdb და ერთი კლიენტური – Testireba.accdb.

## კლიენტური ბაზის დაცვა

კლიენტური ბაზის ერთობლივი გამოყენების შემთხვევაში ხშირია ფორმებისა და ანგარიშგებების დაზიანება. დაუდევარი მომხმარებელი ხშირად მიზანმიმართულად თუ უნებლიეთ აფუჭებს ბაზაში დაპროექტებულ და გამართულ ობიექტებს. ეს რომ არ მოხდეს, მომხმარებელს უნდა ჩამოერთვას კლიენტურ ბაზაში ობიექტების რედაქტირების უფლება. ამისათვის არსებობს

დაცვის რამდენიმე საშუალება. ერთ-ერთი მადგანია ბაზის ბლოკირების საშუალება. ბლოკირებისთვის გამოიყენება ბაზის გაფართოება. კლიენტური ბაზის გაფართოება „.accdb" იცვლება გაფართოებით „.accde", რისთვისაც გამოიყენება ბრძანება File/Save & Publish /Make ACCDE. ეს ოპერაცია ტარდება ჩართული Options/Enable Content/ Ok ბრძანების პირობაში.

შედეგად მომხმარებელი:

1. ვერ შეცვლის ფორმებს, ანგარიშგებებს, მაკროსებს
2. ვერ შექმნის ახალ ფორმებს, ანგარიშგებებს, მაკროსებს
3. ვერ გადაარქმებს მათ სახელს

მაგრამ ამ ოპერაციის ჩატარებისას წინასწარ უნდა შეიქმნას ასლი, ვინაიდან ბლოკირებულ ფაილს უკან ვერ დააბრუნებთ, და ადრე თუ გვიან დაგჭირდებათ მასში ცვლილებების შეტანა.

ბლოკირება შესაძლებელია არამარტო კლიენტური ფაილებისა, არამედ ნებისმიერი ფაილის.

კლიენტური ბაზის დაცვისთვის ხშირად გამოიყენება მომხმარებლის მუშაობა შეკვეცილ გარემოში.

Access-ს აქვს საშუალება ამუშაოს მომხმარებელი პროგრამის შეკვეცილ გარემოში (Access runtime engine). ეს გარემო გამოიყენება მბ-ის ჩასატვირთად, ფორმებისა და ანგარიშგებების გამოსაყენებლად მონაცემების დათვალიერებისა და რედაქტირებისათვის. ამ შემთხვევაში მომხმარებელმა შეიძლება არც იცოდეს თუ Access-ში მუშაობს.

ვინაიდან ფაილის გახსნის შედეგად ეკრანზე არ გამოდის ნავიგატორი, მომხმარებელს სჭირდება სახელმძღვანელოდ საწყისი ფორმა, რომელიც აჩვენებს მისთვის საჭირო ობიექტებს. ეს ფორმა შეიძლება ღილაკურ ფორმას წარმოადგენდეს [2].

საწყისი ფორმის დადგენისთვის გამოიყენება მითითება: File/Access Options-/CurrentDatabase/ Display Form/„საწყისი ფორმის სახელი" წინასწარ ჩართული ბრძანებით: Options/Enable Content/ Ok. ფაილის გაფართოების „accdb" შეცვლა გაფართოებით „.accdr" სრულდება Access-ში მისი შენახვის დროს, ასევე შესაძლებელია Windows Explorer-ის ფანჯრიდან. სისტემის გახსნისთანავე, ეკრანზე ჩნდება საწყისი ფორმა ბრძანებების პანელების და ნავიგატორის გარეშე, არ მუშაობს მაუსის მარჯვენა ღილაკიც:



მომხმარებელს შეუძლია ფორმაზე დატანილი ღილაკებით გამოიძახოს ობიექტები და მათთან იმუშაოს დათვალიერების და რედაქტირების რეჟიმში.

ცვლილებების შეტანა მონაცემებში

ცვლილებების შეტანა ფიქსირდება და ჩნდება ბაზაში გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ. ეს დრო მითითებულია Access-ის რეჟიმების დადგენის პირობებში: File/Access Options/Clients Settings/Open database by using record-level locking/ Refresh interval. სტანდარტულად აქ მითითებულია 60 წამი. ეს პერიოდი შეიძლება შეიცვალოს, თუ ამას მოითხოვს მუშაობის პირობები. განახლების მითითებული პერიოდი თუ გამოიყენება ყველა მომხმარებლის მიერ, აუცილებელია, რომ ყველა მომხმარებელმა განაახლოს Access-ის ეს პარამეტრი.

მრავალმომხმარებლურ რეჟიმში მუშაობისას შესაძლებელია ცვლილებების შეტანის დროს მოხდეს მათი ერთმანეთით გადაფარვა. იქმნება კონფლიქტური სიტუაცია, მაგალითად, იმ დროს, როდესაც ერთმა მომხმარებელმა შეიტანა ცვლილება ჩანაწერში და, სანამ მბ-ამ დააფიქსირა ცვლილება, იგივე ჩანაწერში სხვა მომხმარებელმა მოასწრო ცვლილების შეტანა. Access-ი ამ სიტუაციას აფიქსირებს და გამოაქვს შეტყობინება ჩანაწერის ცვლილების კონფლიქტზე, რომელშიც გატყობინებთ რა მოხდა და როგორ შეიძლება ამ სიტუაციიდან გამოსვლა. პროგრამა გთავაზობთ სამ გზას, რომლითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ და გადაჭრათ კონფლიქტი:

• ჩანაწერის შენახვა (Save Record ) – ყველაზე იოლი, მაგრამ დაუფიქრებელი, ვინაიდან გულისხმობს თქვენს მიერ შეტანილი შესწორე-

ზების შენახვას და იმ შესწორებების იგნორირებას, რომლებიც სხვის მიერ არის უკვე შეტანილი.

• შესწორების უარყოფა ( Drop Changes) – უარყოფს თქვენს მიერ შეტანილ შესწორებას და ტოვებს უახლეს სხვის მიერ შეტანილს. ეს მეთოდი გაძლევთ საშუალებას დაინახოთ, თუ როგორ შესწორდა ჩანაწერი და, თუ მაინც თვლით, რომ უნდა შეასწოროთ, შეიტანეთ შესწორება ახლიდან. ეს ვარიანტი ყურადღებამისაქცევია, მაგრამ თუ თქვენი შესწორება ვრცელ ტექსტს მოიცავს და თქვენ მას საკმარისად დიდი დრო დაუთმეთ, მაშინ პასუხის ეს ვარიანტი არც თუ ისე კარგი არჩევანია.

• ბუფერში კოპირება (Copy to Clipboard) – ისევე, როგორც წინა ვარიანტი, უარყოფს თქვენ რედაქტირებას, მაგრამ მნიშვნელობები, რომელიც თქვენ შეცვალეთ, ბუფერში შეინახება, რაც გაძლევთ საშუალებას გამოიყენოთ ისინი განმეორებით.

ამ გზებიდან, რა თქმა უნდა, საუკეთესოა მესამე ვარიანტი, მაგრამ ძნელია აიძულო მომხმარებელი მოიქცეს სწორად, და არა მისი სუბიექტური სურვილიდან და ქცევიდან გამომდინარე. მისთვის ყველაზე მარტივია პირველი გზა, რომელიც მოითხოვს მარტო ერთ მოქმედებას – ღილაკზე მოქმედებას, და რომელიც აუქმებს სხვის მიერ ჩატარებულ სამუშაოს.

ცვლილებების კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრისთვის Access-ში არსებობს კიდევ ერთი ბლოკირების შესაძლებლობა. მისი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ სანამ ერთი მომხმარებელი არ დაამთავრებს რედაქტირებას და ცვლილება არ აისახება ბაზაში, მეორე ვერ შეიტანს ცვლილებას.

ბლოკირების რეჟიმის დადგენა სრულდება File/ Access Options/Client Settings/Advance ნაწილის პარამეტრის Default record locking (ბლოკირება მიუთითებლად) მნიშვნელობის არჩევით. აქ სამი ვარიანტია შემოთავაზებული: არ გამოიყენო (No locks ), სტანდარტულად ეს რეჟიმია ჩართული; ყველა ჩანაწერის (All records), რომელიც გულისხმობს ცხრილის ყველა ჩანაწერის ბლოკირებას, სანამ რედაქტირება არ დასრულდება; ჩანაწერის, რომელშიც ცვლილებების შეტანა მიმდინარეობს (Edited record).

ბლოკირება, რა თქმა უნდა, არეგულირებს მონაცემების შეტანის პროცესს, მაგრამ ამ დროს სხვა პრობლემები ჩნდება. Access-მა უნდა შეასრულოს დამატებითი სამუშაო და თითოეული ბლოკირების შესრულებას თვალყური ადევნოს. ამისათვის მას სჭირდება ფაილის შექმნა გაფართოებით „.laccdb”, სადაც „l” ნიშნავს „locking” – ბლოკირებას:




ამ ნახატზე მონიშნული ფაილი გახსნილია, მის ქვემოთ კი ბლოკირების ფაილია შექმნილი. როგორც კი ძირითად ფაილს დახურავთ, მაშინათვე წაიშლება ბლოკირების ფაილიც. თუ საერთო წვდომის საქაღალდეში შეიხედავთ და ვერ დაინახავთ ფაილს გაფართოებით „.laccdb”, ეს ნიშნავს, რომ არავინ არ სარგებლობს მბ-ით ან მბ გახსნილია მონოპოლურ რეჟიმში (Exclusive mode).

ბლოკირება ამუხრუჭებს მომხმარებლების მუშაობას, ვინაიდან უნდა დაელოდონ, სანამ შესწორებების შეტანა არ დამთავრდება და არ მოიხსნება ჩანაწერზე ან ცხრილზე ბლოკირება იმის მიხედვით, თუ რომელი რეჟიმია მითითებული.

თუ თქვენ მაინც გადაწყვიტავთ ისარგებლოთ ბლოკირებით, აჯობებს გამოიყენოთ ის ფორმებში და არა რეჟიმების დადგენის გზით. ამისათვის დატოვეთ რეჟიმებში მნიშვნელობა „ბლოკირება მიუთითებლად” (Default record locking), და იხმარეთ ბლოკირება ყველა იმ ფორმაში, რომელიც იყენებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცხრილს. ამისათვის გახსენით ფორმა კონსტრუქტორის რეჟიმში და ფორმის თვისებების ნაწილში (Property Sheet) თვისებაში ჩანაწერების ბლოკირება (Record Locks) მიუთითეთ რომელიმე მნიშვნელობა სიიდან. სიაში ბლოკირების იგივე სამი რეჟიმია ჩამოთვლილი: არ გამოიყენო (No locks ), ყველა ჩანაწერის (All records), რედაქტირების ჩანაწერის (Edited record) [2].

## ცვლილებების შეტანა ბაზის სტრუქტურაში

ცვლილებების შეტანა ბაზის და მისი ცხრილების სტრუქტურაში სრულდება ერთი პიროვნების მიერ მარტო მონოპოლურ რეჟიმში. როდესაც ბაზა გახსნილია მონოპოლურ რეჟიმში, ვერავინ სხვა მას ვერ მიმართავს, განუსხვავებლად იმისა, რომელი კლიენტური მბ იყენებს მას. მონოპოლურ რეჟიმში ბაზის გახსნა მოითხოვს ყველა

კლიენტური ბაზის, რომელიც ამ ბაზას იყენებს, დახურვას და ბაზის გახსნის ფანჯარაში მარჯვნივ ქვემოთ მოთავსებულ Open ღილაკის გვერდით სამკუთხედის სიიდან ბრძანების Open Exclusive არჩევას.

მონაცემთა ბაზის აღდგენა

მონაცემთა ბაზის დაზიანება ბაზის მონაცემების ნაწილის რღვევას ნიშნავს. ხშირად ეს ხდება მაშინ, როდესაც ბაზის განახლების პროცესის მსვლელობაში კვება ითიშება. ამ დროს შესაძლებელია დაირღვეს რამდენიმე ჩანაწერი, მაგრამ ასევე შესაძლებელია დაირღვეს მთელი ბაზა.

ბაზის მკურნალობა უნდა დაიწყოს ბაზის შეკუმშვით და აღდგენით. ამ ოპერაციისთვის გამოიყენება ღილაკები: File/Info/Compact and Repair Databaze. ეს პროცესი დროს მოითხოვს. შედეგად ვიღებთ გასწორებულ ცხრილებს და არა ფორმებს და ანგარიშებს, თუმცა თუ თქვენ გაყოფილი ბაზა გაქვთ, სერვერული მონაცემთა ბაზა მარტო ცხრილებისაგან შედგება.

თუ ბაზის შეკუმშვის მეთოდით ვერ გადაიჭრა პრობლემა, შეეცადეთ ცალცალკე გადაიტანოთ ცხრილების ჩანაწერები ახალ ცარიელ ბაზაში. შეგიძლიათ ისარგებლოთ ცხრილების იმპორტირების ოპერაციით ცარიელ ბაზაში. ეს მოქმედება აიძულებს Access-ს შექმნას ობიექტი ახლიდან და შეცვალოს ინდექსების წყობა. თუ ესეც არ უშველის მთლიანად, ნაწილობრივ მაინც აღადგენთ ცხრილებს.

ბოლო საშულებად გამოდგება – მონაცემთა ბაზის ბოლო ასლით სარგებლობა.

ბაზის დაცვა პაროლით

ბაზის დაცვა პაროლით სრულდება მარტივად. მონოპოლურ რეჟიმში გახსნილ ბაზაში ისარგებლეთ ბრძანებით File/Info/Encrypt with Password და მიუთითეთ პაროლი. კარგ პაროლად ჩაითვლება პაროლი, რომელიც შედგენილია რიცხვების, სპეციალური აღნიშვნების და ბგერების კომბინაციით, მაგალითად, n98SD@+_35. ბაზის შემდეგი გახსნის დროს სისტემა პაროლს მოგთხოვთ. პაროლის მოხსნა სრულდება იგივე გზით, ბრძანებით File/Info/Decrypt Database.

გაყოფილი ბაზების პირობებში პაროლი განსხვავებულად მუშაობს. პაროლი გამოიყენება სერვერული ბაზის დაცვისთვის. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: როდესაც კლიენტური ბაზა იქმნება, რომელიც დაკავშირებულია პაროლით დაცულ სერვერულ ბაზასთან, Access-ი ინახავს პაროლს კლიენტურ ნაწილში. ეს ნიშნავს, რომ თქვენ სარგებლობთ კლიენტური ბაზით და არ გჭირდებათ პაროლის შეტანა. სერვერული ბაზისთვის პაროლით რომ ვისარგებლოთ, პაროლი უნდა დაუდგინოთ ბაზას გაყოფამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამა არ შეინახავს პაროლს კლიენტურ ნაწილში და ცხრილები კავშირებით არ გაიხსნება.

პაროლით დაცვა არ არის მონაცემთა ბაზების დაცვის ერთადერთი ვარიანტი. შეიძლება გამოყენებული იქნეს OC Windows-ის დაცვაც დიფერენცირებული მომხმარებლისთვის.

დასასრულს უნდა აღინიშნოს მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის Access-ის დაცვის წარმატებული საშუალებების არსებობა როგორც კლიენტურისა, ასევე სერვერული ბაზებისათვის, მაგრამ მას არა აქვს უფრო ზუსტი მომართვის საშუალებები, რომლითაც მიიღწევა კონკრეტული ცხრილების გამოყენების და სხვადასხვა მომხმარებლის მიერ ამა თუ იმ მოქმედებების ჩატარების აკრძალვა. Access-ში არსებული დაცვის საშუალებები ვერ უზრუნველყოფს ისეთ სრულყოფილ დაცვის დონეს, რომელსაც უზრუნველყოფს სერვერული მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები და მათ შორის SQL Server.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Matthew McDonald. Access 2010: The Missing Manual. O'Reilly Media. 2013

2. ც.ჯაფიაშვილი. მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა. ცცესს-ის გამოყენების ტექნოლოგია. თსუ, თბილისი, 2008.


## MEANS OF MULTI-USER DATABASE USING MS ACCESS


TSIRA JAPIASHVILI
Asociated professor of the TSU
Faculty of Economics and Business



Create information system using Access to multiplayer requires determining the method by which you can use for a particular database. This is a database of shared tools and their uses. Among these tools is a division of DB on the server and client. The first one is the database, and the client is the connection to database tables and objects that use these tables to obtain the derivative information: the queries, forms, reports, macros, and modules.

To divide the DB system Access offers two methods: by using the wizards and the manual method using the import/export tools. Division of the server and client database for separate DB serves as a great tool for the efficient use and protection of databases. The protection of databases is one of the main problem of collective use of the database. Access offers the protection tools as the server and client databases. This means blocking the edit database structure, and block the entry modes of change records. Despite the availability of such means, their efficiency is inferior to the protection provided by the safety management system of database server, such as SQL Server.

# პოსტკომუნისტური ეპოქის სიძნელეები და მათი დაძლევის აუცილებლობა საქართველოს ეკონომიკისათვის





როლანდ სარჩიმელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

რევაზ ლორთქიფანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

*ნაშრომი ეხება კომუნისტური ეპოქის აგრესიული დამპყრობლური პოლიტიკისაგან რუსეთის მოსახლეობის ღვთისნიერი თვითშეგნებით განთავისუფლების დადებით შესაძლებლობებს. განხილულია ყოფილ საბჭოთა კავშირში და პოსტკომუნისტურ საქართველოში ცივი ომით გამოწვეული მრავალმხრივი სიძნელეები და ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის პეტრე კაპიცას მიერ წამოჭრილი საკითხი მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის საბაზრო ეკონომიკასთან მოდერნიზაციაზე, რომელიც, შეუთავსებლობის მიუხედავად, დღესაც ყურადსაღებია, როგორც ერთპოლუსიანი მსოფლიოსაკენ რუსეთის გლობალიზაციის გზაზე დადგომის მაცნე.*

თანამედროვე პოსტსაბჭოთა საქართველოში ცივი ომით გამოწვეული მრავალმხრივი სიძნელეები და ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის პეტრე კაპიცას მიერ წამოჭრილი საკითხი მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის საბაზრო ეკონომიკასთან მოდერნიზაციაზე, შეუთავსებლობის მიუხედავად, დღესაც ყურადსაღებია, როგორც ერთპოლუსიანი მსოფლიოსაკენ რუსეთის გლობალიზაციის გზაზე დადგომის მაცნე. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ რუსეთი სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევაში შეეშველებოდა, რაც რუსეთის საქართველოსთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაზეც დადებითად აისახებოდა.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის აგრესიული სოციალიზმი მოსახლეობის სიმდიდრის უსამართლო დატაცებას უწყობდა ხელს, რაც, ყოფილი საბჭოთა კავშირის „დემოკრატიის" მაგალითზე, ძირითადად, ძალისმიერი მეთოდებით აღმოჩნდა შესაძლებელი. იგი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნასთან ერთად, მიზანმიმართული იყო პროლეტარიატის ჰეგემონიის დასამკვიდრებლად.

შვედეთის კომუნის წარმატებების მდგრადი განვითარების შემთხვევაში, შეიძლება რეალური ყოფილიყო დასკვნა, რომ კომუნიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი ფორმაა და იოსებ სტალინმა კაპიტალიზმისაგან „კომუნიზმის წართმევა მოინდომა" (კაპიტალიზმისაგან კომუნიზმის წართმევა, ბუნებრივია, ალეგორიული ფორმაა და გადატანითი მნიშვნელობით იხმარება).

ზემოთ მოყვანილი აბსტრაქტული აზროვნების დასაკვალიანებლად, მოგვყავს გიორგი პაპავას მსჯელობა, რომ „რევოლუციური გზა უაღრესად მტკივნეულია, სულერთია იგი ეხება კაპიტალიზმის ჩანაცვლებას პროლეტარიატის დიქტატით, თუ პროლეტარიატის დიქტატის უარყოფას კაპიტალის დიქტატისათვის" [1, გ. 64].

ეკონომიკის რეფორმირებას დემოკრატიზაციისათვის მეტი ჭკუა სჭირდება, ვიდრე მისი რევოლუციებით დეფორმირებისათვის. „უნდა ვიცოდეთ, რომ რევოლუცია ეკონომიკურ სისტემაში პოლიტიკური ჭიდილით იჩენს თავს და ისიც ერთბაშად საყოველთაო ნგრევის სახით" [იქვე, გ. 64]. ამასთან ერთად, ყურადსაღებია შემდეგი დასკვნებიც, რომ "დემოკრატია უნდა გამორიცხავდეს ყოველგვარ მიკერძოებულ დიქტატს. იგი უნდა იყოს ხალხის (დემოსის) ნება-სურვილის მზიდი. მან უნდა გამორიცხოს უკიდურესი გადახრა" [იქვე, გ. 64] და ა.შ. „მთავარია გაგ-

ვაჩნდეს ეკონომიკური აზროვნების მართებული ორიენტაცია. ჩვენ უნდა გავხდეთ ამისათვის სათანადო საზრიანობის, გამჭრიახობის, მიხვედრის უნარ-ჩვევების მზიდნი“ [იქვე, გ. 63].

პოსტსაბჭოთა საქართველოში დემოკრატიის ფორმირებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მრავალხრივი სიძნელეები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას აფერხებდა, გაურკვევლობა და ქაოსი უკონტროლოდ დარჩენილი სახელმწიფო მოხელეების დანაშაულებრივი გზებით გამდიდრებას იწვევდა. შედეგად, საქართველოში ეკონომიკის ქაოსმა მიმდინარე რეფორმებით მეტი პრობლემები შექმნა, ვიდრე გადაწყვიტა. ქვეყანა კვლავ ეკონომიურ ჩიხში მოექცა [2, გ. 40].

ასეთ პირობებში „საქართველომ ვერ შესძლო ექსპორტზე ორიენტირებულიქვეყანა გამხდარიყო. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მან თავი ვერ დააღწია უარყოფით საგადასახადო ბალანსს“ [2, გ. 39]. გამომდინარე, ქვეყანაში დემოკრატია საეჭვო გახდა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ცივი ომით გამოწვეული ფარული მრავალმხრივი სიძნელეები დემოკრატიის დამკვიდრებაზე უარყოფითად ზემოქმედებდა. სამხედრო კომპლექსის განვითარებისაკენ მიზანმიმართული დანახარჯები, შეიძლება ითქვას, რომ მართვის ავტომატიზებული სისტემის შესაქმნელად „უგზოუკვლოდ გაიფლანგა“.

აშშ-ისა და ევროპის სახელმწიფოებმა საბჭოთა კავშირის დაშლა შესაძლებლობის ფარგლებში მშვიდობიანად შესძლეს. მაგრამ დამოუკიდებელ საქართველოში დემოკრატიის დამყარება შეუძლებელი გახდა, რასაც ისიც დაემატა, რომ საქართველოს მცირე ეკონომიკა ჩიხში მოექცა.

მე-20 საუკუნეში ფაშისტურ გერმანიასთან ჩატარებულ ბრძოლებში გამარჯვებებმა, რუსეთს მსოფლიოში დიდი სახელმწიფოს ავტორიტეტი დაუმკვიდრა.

კაცობრიობის განვითარების ისტორია ცხადყოფს მრავალ აგრესიულ სახელმწიფოთა დასუსტებას (ან სრულიად გაქრობას) და მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ძირძველი და დამონებული მოსახლეობის პოლიტიკის გავლენის სფეროში მოხვედრას. ამ მხრივ, მრავალი სახელმწიფოს ხსენება მხოლოდ ისტორიას შემორჩა: ფაშისტური გერმანია, ბარბაროსები ძველი უნგრეთის ტერიტორიაზე, რომის იმპერია, აგრესიული მონღოლეთი, საბჭოთა კავშირი და სხვ.

რუსეთისაგან განსხვავებით, გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ყურადსაღებია ჩინეთის მრავალმხრივი დამოკიდებულება საბაზრო ეკონომიკის სიკეთის მიმართ, რომელიც ევროპის სახელმწიფოებმა შექმნეს და გააძლიერეს. ამ მიმართულებით, ჩინეთის პოლიტიკის შესახებ აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი “მარქსისტული ჩარჩოებით” სოციალიზმის სტადიაზე საბჭოთა კავშირთან ერთად იმყოფებოდა, იგი იძულებული ხდება განვითარების კაპიტალისტურ გზაზე დადგეს და ფაქტობრივად “სოციოკაპიტალისტურისაკენ” იცვლება. 21-ე საუკუნიდან უფრო ნათლად აღმოჩნდა ის, რომ ჩინეთმა გააძლიერა ქვეყნის განვითარების კაპიტალისური გზა და ამასთან არ შეწყვიტა სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვა.

მე-20 საუკუნის მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა აშშ-ში, როგორც მსოფლიოს უძლიერესმა სახელმწიფომ, უდიდეს წარმატებებს მიაღწია, ხოლო მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში საბაზრო ეკონომიკის გამოყენების სათანადოდ შეუფასებლობას, საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა.

ის, რომ რუსეთი ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა ცივილიზაციით დამუხტულიყო, ეს რუსეთის იმპერატორმა პეტრე პირველმა თავისი ქვეყნის მართვის გონივრული პოლიტიკით განახორციელა. ანალოგიურ გადაწყვეტილებებს შემდგომი დაზუსტებით რუსეთის მეცნიერები იკვლევდნენ. ამ მხრივ, ყურადსაღებია, აკადემიკოს პეტრე კაპიცას შემოქმედება, რომელშიაც ნათლად ვლინდებოდა პატრიოტიზმი, რომლითაც იგი კეთილსინდისიერად ემსახურებოდა თავის ქვეყანას და ამასთან მსოფლიოს მაღალი დონის მეცნიერების წარმატებების მონაწილეც იყო [3, გ. 193].

პეტრე კაპიცამ საბჭოთა კავშირის სინამდვილეში დამკვიდრებული მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის მოდერნიზაციის საკითხი დააყენა. მან ჯონ მეინარდ ქეინზის ძირითადი შედეგები გაანალიზა და მას ისეთი კომპაქტური სახე მისცა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო კარლ მარქსის შედეგების განახლება. პეტრე კაპიცამ საკითხი განიხილა ალბერტ აინშტაინის მიერ ფიზიკაში მიღებული შედეგების ანალოგიური კვლევის ჩასატარებლად, საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული მბრძანებლური ეკონომიკის შეცდომების გამოსასწორებლად და ამისათვის საბაზრო ეკონომიკის გამოსაყენებლად, რაც რეალური არ აღმოჩნდა.

ვლადიმერ პაპავას [4] და [5] სტატიებში ჩატარებულია მსჯელობა აგრესიულ სოციალიზმზე, როგორც მოსახლეობის მდიდარი ფენის ქონების უსამართლოდ დასატაცებლად გამოყენებაზე. ამას ახლავს გაფრთხილება, რომ საქართველო ისეთ საფრთხეს უახლოვდება, რაც ფორმალურად „მმართვადი“ და ფორმალურად „სუვერენუ-

ლი დემოკრატიის" რუსული მოდელია, რომელიც რეალურად ავტორიტარიზმს ნიშნავს. აშშ-ის ახალი პროგრესული ძვრების გავლენით მისი სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობის ღვთის-ნიერი პოლიტიკა რუსეთის ნატოსთან მშვიდობიანი თანამშრომლობის დამყარებას გამოიწვევს [6, გ. 17].

ჩვენი პროგნოზითაც, საქართველოსა და რუსეთის თანაბარ უფლებებში კეთილმეზობლური დამოკიდებულება რეალური გახდება, რომლითაც იგი საჭიროებს მსოფლიოს ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. პაპავა. საბაზრო ეკონომიკის ნორმალიზაციის საფუძვლები და დემოკრატია,- ჟ. „ეკონომისტი", 1, 2009, გ. 57-65.

2. რ. ასათიანი. საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო კაპიტალიზმის ჩიხში. - ჟ. „ეკონომისტი", 1, 2009, გ. 27-42.

3. რ. სარჩიმელია. ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ, აკადემიკოს პეტრე კაპიცას შეხედულება მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემაზე. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორ გიორგი პაპავას დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. - თბილისი, 2013, გ. 193-194.

4. ვ. პაპავა, თ. თაფლაძე. „ლიბერალური იმპერიის" რუსული მოდელი და პოსტრევოლუციური საქართველოს გამოცდილება. - ჟ. „ეკონომისტი", 1, 2009, გ. 23-26.

5. ვ. პაპავა. საქართველოს პროდასავლური და ანტირუსული პოლიტიკა ნიშნავს თუ არა დემოკრატიას? - გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 26-27 თებერვალი, 2008.

6. რ. ლორთქიფანიძე. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. - თბილისი, 2013.

## Difficulties of post-communist era and necessity of their overcoming for Georgia's economy

Roland Sarchimelia
Doctor of Economic Sciences,
Revaz Lordkipanidze
Doctor of Economic Sciences

For the release from the communist era's aggressive policy of the conquests, the positive opportunities blessed consciousness of the Russian population touched in the article. Authors consider the multilateral difficulties of Cold War of the former Soviet Union and the post-communist Georgia and work of the Nobel Prize winner in Physics Pyotr Kapitsa about the modernization of the system of directive planning to a market economy, which, despite the incompatibility, is of the most important now, as the messenger to becoming of Russia on the way of globalization of unipolar world.

# СТРАТЕГИЯ РАЗРАБОТКИ И ФОРМИРОВАНИЯ РЫНКА СБЫТА ТОВАРОВ





**Ф. А. ШУЛЕНБАЕВА**- д.э.н., профессор кафедры «Менеджмент» Казахского университета экономики, финансов и международной торговли, г. Астана

**З. Р. КАРБЕТОВА** - к.т.н., профессор кафедры «Менеджмент» Казахского университета экономики, финансов и международной торговли, г. Астана



Ш. Р. КАРБЕТОВА - к.э.н., ассоциированный профессор кафедры «Экономика» Каспийского общественного университета, г. Алматы

*В научной статье рассмотрена стратегия разработки, формирование рынка сбыта товаров и его стимулирование на современном этапе развития рыночных отношений в Казахстане. Эффективная сбытовая политика должна быть направлена на постоянное обновление ассортимента, поддержание качества товара и повышение разнообразия предлагаемых покупателям услуг, так как потребности и запросы покупателей непостоянны и периодически меняются.*

*Сбытовая политика зависит от внутренних и внешних факторов функционирования предприятия. Для ее разработки необходим их тщательный анализ, оценка возможностей организации, выявление недостатков и проблем в сфере планирования и управления сбытом.*

*Для решения этих проблем авторами предложен ряд мероприятий по усовершенствованию рынка сбыта для предприятия по производству кондитерских изделий в Казахстане - ТОО «Баян сулу». Рекомендованы следующие направления повышения качества системы сбыта товара: увеличение объемы продаж, повышение конкурентоспособности компании, завоевание значительной части рынка кондитерской продукции, приобретение постоянных потребителей.*

На современном этапе развития рыночных отношений в Казахстане формирование рынка сбыта товаров и его стимулирование играет важную роль для успешной деятельности любого современного предприятия. Возросшая рыночная конкуренция вынуждает их идти на все большие уступки потребителям и посредникам в сбыте своей продукции с помощью стимулирования спроса. Поэтому формирование рынка сбыта товаров является главной проблемой, которой занимается отдел маркетинга и сбыта торговых предприятий. Очень сложно сегодня наладить каналы сбыта, достигнуть узнаваемости продукта, поддерживать качество товара и обслуживания. Для этого необходимы высококвалифицированные специалисты, которые разработают сбытовую политику организации и найдут новые пути формирования, стимулирования рынка сбыта товаров.

В настоящее время грамотно разработанная сбытовая политика и формирование своего рынка сбыта является отличным преимуществом перед конкурентами. Сбыт продукции для предприятия не просто важен, а от него зависят производство и материально-техническое обеспечение. Следовательно,

в процессе сбыта окончательно определяется результат работы предприятия, направленный на расширение объемов деятельности и получение максимальной прибыли. Поэтому каждая современная организация, которая заинтересована в повышении объемов продаж своей продукции, задумывается о формировании рынка сбыта товаров со стабильной и устойчивой позицией среди конкурентов.

Конкурентоспособность напрямую связана с рынком сбыта товаров. Если компания не уделяет должного внимания сбыту, никогда не добьется успехов и будет занимать меньший сегмент рынка, чем его конкуренты, позаботившиеся о продвижении товара. Формирование рынка сбыта товаров является одной из главных проблем в системах менеджмента и маркетинга предприятий, которые очень связаны между собой. Специалисты по маркетингу занимаются разработкой не только рекламы, но и разрабатывают стратегию продвижения товара, изучают рынок аналогичных товаров, сравнивают преимущества компании и недостатки по сравнению с конкурентами и занимаются формированием рынка сбыта товаров. А основная роль менеджмента при формировании рынка сбыта товаров заключается в том, чтобы грамотно распределить имеющиеся ресурсы, выстроить сбытовую цепочку и наладить бесперебойную поставку товаров в торговые точки.

Система сбыта товаров является ключевым звеном в управлении и организации рынка сбыта, где потребитель либо признаёт, либо не признаёт все усилия фирмы полезными и нужными для себя, приобретает или не приобретает ее продукцию и услуги. Поэтому обеспечение сбыта относится к главной цели фирм, которые осуществляют свою деятельность в условиях жесткой конкуренции (множество производителей с аналогичными товарами).

Основные задачи сбыта в условиях рыночной экономики заключаются в маркетинговом изучении рынка, спроса и предложения на продукцию; наличии информации о рынках, конкурентах, анализе эффективности сбыта. В Казахстане система сбыта находится на переходной стадии развития, что очень осложняет сбыт на отечественном рынке. К негативным сторонам рынка сбыта можно отнести:

- слабое управление каналом сбыта;
- неполное выполнение обязательств в рамках канала;
- решения принимаются по каждой сделке в отдельности в результате постоянных переговоров;
- частое нарушение контрактных обязательств [2, с.132].

Производитель, которого интересует эффективность сбыта его продукции, должен знать реальное положение дел на рынке и на основе этих знаний принимать обоснованные решения по реализации товара. Сбытовая политика строится на основе упорядоченного анализа потребностей и запросов, восприятий и предпочтений, свойственных потребителям продукции организации. Потребности и запросы покупателей непостоянны и периодически меняются. Поэтому эффективная сбытовая политика должна быть направлена на постоянное обновление ассортимента, поддержание качества товара и повышение разнообразия предлагаемых покупателям услуг (гарантийное обслуживание, консультации по эксплуатации, обучение пользователей и т.д.).

Каждое предприятие самостоятельно выбирает тех участников, которые необходимы для осуществления сбыта продукции компании. Помимо этого стратегические задачи играют огромную роль при организации физического перемещения товара к потребителю. К ним относятся задачи маркетинг-логистики, связанные с выбором наилучших каналов и путей сбыта, размещением складов, а также с разработкой и организацией маркетинговых мероприятий по эффективному сопровождению товарных потоков от производителя к потребителю.

Важное место в формировании рынка сбыта товара занимают посредники, способствующие положительному выполнению плана сбыта. Посредниками могут быть физическое лицо или организация, которые способствуют установлению контактов и заключению сделок между производителями и потребителями, продавцами и покупателями товаров и услуг [1,с.54].

Главной целью использования услуг посреднических оптовых предприятий является расширение рынков сбыта товаров и снижение издержек. Производитель и потребитель представляют собой стартовую и финишную точки движения материальных потоков в системе сбытовой логистики. Следовательно, логистической сбытовой цепью является упорядоченное (оптимизированное) множество субъектов, осуществляющих доведение материального потока от источника генерации до места назначения [4, с. 93]. Для повышения экономичности торговых операций будет эффективно привлечение посредников, так как с точки зрения логистики, именно посредники обеспечивают оптимальную систему товаропотоков, используя рыночный механизм саморегулирования.

Следует отметить, что главной задачей оптимизации и контроля является повышение эффективности

работы сбытовых каналов и всей деятельности предприятия в сфере сбыта [3,с.167], где необходимо периодически делать оценку эффективности работы отдельных участников канала сбыта, проводить проверку их квалификации.

Анализ системы сбыта предполагает выявление эффективности каждого элемента этой системы, оценку деятельности сбытового аппарата. Анализ издержек обращения предусматривает сопоставление фактических сбытовых расходов по каждому каналу сбыта и виду расходов с показателями плана с целью обнаружения необоснованных расходов, устранения потерь, возникающих в процессе товародвижения, и повышения рентабельности функционирующей системы сбыта.

Организация сбыта в системе - маркетинга играет весьма важную роль и в том смысле, что осуществляет обратную связь производства с рынком, является источником информации о спросе и потребностях потребителей. Поэтому разработка сбытовой политики является основой программы маркетинга, как по каждому конкретному продукту, так и по производственному отделению в целом. Если на основе расчетов окажется, что расходы по реализации нового товара чрезмерно высоки и не позволяют обеспечить определенный уровень рентабельности, руководство производственным отделением может принять решение о нецелесообразности дальнейшей разработки и внедрения в производство данного товара.

Главной частью работы по управлению распределения и сбыта является планирование и контроль сбыта, цель которого - достижение запланированных показателей реализации продукции, а также прибыли. От правильно поставленной организации сбыта во многом зависит успешность выполнения планов и ассортиментной политики, проводимой на предприятии. Организация, поставляющая нужные потребителям продукты в требуемом количестве в требуемое место и в необходимое время с должным уровнем сервисной поддержки имеет дополнительные аргументы для завоевания конкурентных преимуществ.

Фактически возможно три варианта организации сбыта на предприятии:

- компания сама занимается сбытом своей продукции;
- привлекает для этого сторонние организации;
- сочетает обе эти системы [3, с. 175].

Для анализа практической ситуации в Казахстане, нами использованы экономические показатели предприятия по производству кондитерских изделий ТОО «Баян сулу», где применяется третий вариант, т.е. предприятие имеет и конечного потребителя (розничные магазины), и создает дилерскую сеть в регионах страны, связывая данный вид сбыта с расширением территории, на которой продается производимая продукция. Поэтому одним из важнейших пунктов сбытовой политики предприятия является создание дилерской сети, при этом оно имеет дело с достаточно узким кругом организаций, заинтересованных в реализации продукции.

По мнению специалистов отдела сбыта ТОО «Баян сулу», снижение цен может повлечь за собой цепную реакцию уменьшения прибыли у всех участников цепочки - от розницы до производителя. Потеряв в дилерской надбавке, дилеры могут лишить производителя своей лояльности и тем самым разрушить дилерскую сеть. Помимо этого снижение розничных цен может вызвать у потребителей подозрение, действительно ли качественную продукцию производит ТОО «Баян- сулу».

Важно учесть, что компания не ограничивается одной продажей продукции, но также осуществляет достаточно большую работу по продвижению товара. В условиях рыночной экономики становится ясно, что произвести товар, пусть даже очень высокого качества, мало, чтобы он получил признание среди покупателей. Покупателей нужно заинтересовать в своём товаре, удивить и «заставить» выбрать и купить именно твой товар. Только тогда будет гарантирован успех и товару и всему предприятию.

Для того чтобы получить полную оценку деятельности предприятия и ситуации на рынке, необходимо провести SWOT-анализ. Он представляет собой определение сильных (Strengths) и слабых (Strengths) сторон предприятия, а также возможностей (Opportunities) и угроз (Weaknesses), исходящих из его ближайшего окружения (внешней среды).

К сильным сторонам предприятия относится то, в чем оно преуспело или какая-то особенность, предоставляющая дополнительные возможности. Сила может заключаться в имеющемся у компании опыте, доступе к уникальным ресурсам, наличии передовой технологии и современного оборудования, высокой квалификации персонала, высоком качестве выпускаемой продукции, известности торговой марки и т.п.

Слабыми сторонами предприятия можно назвать отсутствие чего-то важного для функционирования предприятия или то, что компании пока не удается по сравнению с другими и ставит предприятие в

неблагоприятное положение. Примером слабых сторон можно считать слишком узкий ассортимент выпускаемых товаров, плохую репутацию компании на рынке, недостаток финансирования, низкий уровень сервиса и т.п.

Следующий элемент SWOT-анализа это возможности, которые представляют собой благоприятные обстоятельства, которые предприятие может использовать для получения преимущества. В качестве примера рыночных возможностей можно привести ухудшение позиций конкурентов, резкий рост спроса, появление новых технологий производства продукции, рост уровня доходов населения и т.п.

Угрозы последний элемент данного вида анализа. Угрозами называют события, наступление которых может оказать неблагоприятное воздействие на предприятие. Примеры рыночных угроз: выход на рынок новых конкурентов, рост налогов, изменение вкусов покупателей, снижение рождаемости и т.п.

Применение SWOT-анализа помогает систематизировать всю имеющуюся информацию и, видя ясную картину, принимать взвешенные решения, касающиеся развития предприятия. Таблица SWOT-анализа и выявленные альтернативные стратегические задачи необходимы для дальнейшего анализа, выбора стратегии развития предприятия и выбора предпочтительной маркетинговой стратегии. SWOT - анализ подчеркивает, что стратегия должна как можно лучше сочетать внутренние возможности предприятия и внешнюю ситуацию. Данные проведенного SWOT - анализа предприятия ТОО «Баян сулу» сведены в таблице 1.

Таблица 1 - SWOT-анализ ТОО «Баян сулу »

| | |
|---|---|
| Сильные стороны:<br>- охват больше половины торговых точек г.Астана;<br>- гибкая ценовая политика;<br>- развитая логистика;<br>- высокое качество товара;<br>- широкий ассортимент продукции;<br>- налаженная дистрибьюция;<br>- связи с поставщиками. | Возможности:<br>- расширение рынка сбыта и ассортимента;<br>- развитие направления HORECA;<br>- приобретение новых поставщиков;<br>- повышение квалификации сотрудников;<br>- возможность развития рынка сбыта |
| Слабые стороны:<br>- финансовые ограничения;<br>- недостаточный рыночный опыт;<br>- низкая квалификация работников и текучесть кадров. | Угрозы:<br>- возможность появления новых конкурентов;<br>- конкурентное давление;<br>- изменение предпочтений у потребителей;<br>- сезонные колебания продаж. |

На основе полученных данных можно сделать следующие выводы:

– сбытовая политика ТОО «Баян сулу» имеет ряд преимуществ (широкий ассортимент товаров, обеспечивает высокую прибыль, наличие оптимальной сбытовой сети для эффективных продаж, имеет условия не только для продажи продукции, но и для её хранения);

– результаты сбытовой деятельности ТОО «Баян сулу» в анализируемом периоде показывает, что предприятие продолжает постепенно завоевывать высокое положение на рынке кондитерской продукции. Сбытовая деятельность находится в постоянном движении, а сбытовая политика при этом является гибким инструментом управления;

– сбытовая деятельность ТОО «Баян сулу» по распределению товаров, обеспечению их движения, контролю и регулированию с целью удовлетворения потребностей клиентов и получения прибыли направлена на формирование и поддержание эффективной системы перемещения продукции до конечного потребителя с минимальными затратами;

– маркетинговая стратегия ТОО «Баян сулу» – активное продвижение продукции отечественных и зарубежных производителей на рынке. Основной лозунг маркетингового подхода в управлении деятельностью предприятия: «закупать то, что продается, а не продавать то, что закупается».

На основе анализа сбытовой политики предприятия, предлагаем внедрить следующие практические рекомендации:

– в целях улучшения и оптимизации сбыта разработать внутренний регламент сбытовой деятельности, документально закрепить его в «Положении о сбытовой политике» на основе анализа целей и задач предприятия, внутренних и внешних условий функционирования, в том числе и возможностей;

– учитывать особенности сбыта отдельных групп товаров, и в этой связи, исходя из данных по сбыту некоторые товары, в количественном и качественном отношении, исключить из торговой программы;

– заключение сделок с конкурентами завершать на взаимовыгодных условиях;

– больше внимания уделять комплексной оценке эффективности работы организации по сбытовому направлению.

Необходимо отметить, что ключевые показатели эффективности, разрабатываются для предприятия индивидуально, и могут иметь, как количественное, так и качественное измерение. Руководству важно и необходимо своевременно требовать отчетность от торговых работников, для того чтобы делать объективную оценку о состоянии рынка сбыта своей продукции и при первой необходимости принять необходимые меры.

При разработке сбытовой политики проанализированы конкретные методы работы с потребителями и выявлены наиболее эффективные средства, рекомендуемые при реализации сбытовой политики. К ним, в частности, относятся: навыки и предпочтения конечных потребителей в отношении характера распределения: оптовая, розничная, посылочная торговля; известность фирмы, отношение потребителей к товарному знаку фирмы; наличие связей и контактов с потенциальными покупателями.

Немало важную роль в формировании рынка сбыта этой продукции играет стимулирование продаж. Стимулированием продаж принято считать кратковременные побудительные методы к немедленному совершению покупки, а также длительные разработанные программы, которые направлены на стимулирование потребителей для периодических совершений покупок производимого товара.

Для достижения целей стимулирования сбыта на ТОО «Баян сулу» использованы различные средства, которые можно объединить в несколько групп:

- предложение цены (продажа по сниженным ценам, льготные купоны, талоны, дающие право на скидку);

- предложение в натуральной форме (премии, образцы товара);

- активное предложение (конкурсы покупателей, игры, лотереи).

Рынок сбыта товара является основной частью деятельности торгового предприятия. Постоянный контроль, и работа для усовершенствования рынка сбыта товаров приведет компанию к финансовому успеху, и занятие устойчивой позиции на рынке алкогольной продукции. Поэтому к главной составляющей по усовершенствованию рынка сбыта можно отнести проведение мероприятий, которые способствуют узнаваемости продукции, увеличению объемов продаж и повышение охвата рынка. При этом для рынка сбыта имеет важное значение потребитель, от которого зависит объем продаж продукции компании. Для этого необходимо «налаживать контакт» со своими покупателями и проводить для них специальные мероприятия, при помощи которых повышаются продажи. Стимулирование своих работников также повысит объемы продаж. Поэтому это является одним из важных методов стимулирования.

Таким образом, формирование рынка сбыта товаров предполагает осуществление сотрудниками компании достаточно широкого комплекса мероприятий, связанных с планированием, мотива¬цией и контролем торговли и работы торговых представителей, исходя из целей, потребностей, возможностей, способностей и склонностей каждого участника системы сбыта, а также целей, потребностей и возможностей самой организации.

Исследуя труды в сфере сбыта, нами сделан вывод, что сбытовая политика формулируется на основе целей и задач сбыта, она должна соответствовать бизнес - концепции компании, а также принятому курсу действий (ориентирам). Сбытовая политика зависит от внутренних и внешних факторов функционирования предприятия, и для ее разработки необходим их тщательный анализ, а также оценка возможностей организации. Рынок предоставляет конкретному производителю разные возможности для сбыта и в то же время накладывает на его деятельность определенные ограничения. В ходе анализа рынка сбыта товаров в ТОО «Баян сулу», выявлено, что основные недостатки и проблемы в сфере планирования и управления сбытом производимой продукции связаны:

- с малой узнаваемостью продаваемой продукции;

- небольшим спросом на товар;

- не высокими объемами продаж. Для решения этих проблем нами предложено ряд мероприятий по усовершенствованию рынка сбыта товара, которые могут изменить в лучшую сторону качество системы сбыта товара: увеличить объемы продаж, повысить конкурентоспособность компании, завоевать значительную часть рынка кондитерской продукции и приобрести постоянных потребителей.

СПИСОК ЛИТЕРАТУРЫ:

1. Алесинская Т.П. Основы логистики: Учебник для вузов/ Алесинская Татьяна Петровна. - СПб.:Питер, 2006. - 125 с.
2. Есимжанова С.Р. Маркетинг в Казахстане: теория, методология, практика. – Монография. – Алматы: «Аян–Эдет», 2001. – 288 с.
3. Котлер, Ф. Менеджмент 21 века: Пер.с англ. /Котлер Филипп; под науч. ред. Т.Р. Теор. - СПб.: Нева, 2005. - 425 с.
4. Турсумбаев Б.М. Основы организации бизнеса: Учебное пособие/ Алматы. Кайнар, 2009. - 276 с.
5. Поршнева А.Г., Соломатина Н.А. Управление организацией: Учебник / А.Г.Поршнева, Н.А.Соломатина. - М.: ИНФРА-М, 2005. - 364 с.

## STRATEGY DEVELOPMENT AND FORMATION OF MARKET GOODS

Shulenbaeva F.A.
Karbetova Z.R.
Rarbetova Sh.R.

In article working out strategy, formation of a commodity market of the goods and its stimulation at the present stage of market relations development in Kazakhstan is considered. The effective marketing policy should be directed on constant updating of assortment, quality maintenance of the goods and increase of a services variety offered buyers as requirements and inquiries of buyers are changeable and periodically vary.

It is revealed, that the marketing policy depends on internal and external factors of functioning of the enterprise. Their careful analysis, an estimation of possibilities of the organization and revealing of lacks and problems in planning and sales management sphere is necessary for its working out.

For the decision of these problems authors offer a number of actions for commodity market improvement at the enterprise for manufacture of confectionery products in Kazakhstan «Bayan Sulu» LLP. Following directions of quality improvement of the goods sale system are recommended: increase sales volumes, increase of competitiveness of the company, a gain of a considerable part of the market of confectionery production, acquisition of constant consumers.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

# ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული სახელმძღვანელო



კონკურენცია, როგორც პროგრესის აუცილებელი პირობა, საყოველთაოდ აღიარებულია, თუმცა არ არსებობს ერთიანი მიდგომა, თუ როგორ უნდა მოხდეს კონკურენციის უზრუნველყოფა და ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკის წარმართვა. აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ბატონ სლავა ფეტელავას და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ბატონ შალვა გოგიაშვილის სასწავლო-პრაქტიკული ხასიათის ნაშრომი „ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა“. ავტორებს გააჩნიათ ანტიმონოპოლიური რეგულირების საკითხებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილება და ნაშრომში გაანალიზებულია ბევრი კეისი, რომლებთანაც მათ უშუალოდ ქონდათ შეხება პრაქტიკული მუშაობის პერიოდში.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული ანტიმონოპოლიურ რეგულირებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ანტიმონოპოლიური რეგულირების ზოგადი (თეორიული და პრაქტიკული) დებულებები; ეკონომიკური კონკურენციის რეგულირების საზღვარგარეთული პრაქტიკა; ანტიკონკურენციული ქმედებების მაგალითები საქართველოში; კონკურენტული გარემოს შეფასების პრაქტიკა საქართველოში (1997-2004 წწ.) და ა.შ. განხილული საკითხები ღირებული იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის გაიღრმავოს ცოდნა ანტიმონოპოლიური რეგულირების სფეროში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნაშრომი წარმოადგენს 2007 წელს ამავე ავტორების მიერ გამოცემული სალექციო კურსის „კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება“ ლოგიკურ განვითარებას. ახალ ნაშრომში გადმოცემულია საზღვარგარეთის ქვეყნების და საქართველოს რეალობიდან აღებული კეისები და პრაქტიკული მაგალითები, რომელთა გამოყენება სწავლების პროცესში დაეხმარება სტუდენტებს სათანადო კომპეტენციების განვითარებაში.

მურთაზ კვირკვაია
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის,
ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი,
სრული პროფესორი

# ილია ჭავჭავაძე და „ველნესის“ იდეა

გამოხმაურება ბატონ თამაზ მჭედლიძის ერთ მეტად საინტერესო წამოწყებაზე

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“ 2013 წლის მე-3 ნომერში გავეცანით ჟურნალის მთავრი რედაქტორის მეტად საინტერესო ინტერვიუს ჩვენს პეტერბურგელ თანამემამულესთან, ბატონ თამაზ მჭედლიძესთან. ვინც თვალ-ყურს ადევნებს ამ ჟურნალის საქმიანობას, მისი მთავრი რედაქტორი, ბატონი ლოიდ ქარჩავა ყოველ ნომერში გვთავაზობს ეროვნული ეკონომიკის განვითარების უაღრესად აქტუალურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა, დარწმუნებული ვართ, სრულიად ახალ გაქანებას მისცემს საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას. ამჯერად საქმე ეხება „ველნესის ინდუსტრიას“ - მსოფლიო ეკონომიკის და მათთან ერთად, ტურიზმისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას, რომლის განვითარებას უდიდესი პერსპექტივები აქვს საქართელოს უაღრესად ხელსაყრელ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში.

„ილიალოგთა კლუბმა“ განიხილა ეს იდეა, მიესალმება მას და დიდი მხარდაჭერაც გამოუცხადა. ბრძნული თქმაა - „ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია“ და ამ შემთხვევაშიც ჩვენმა წინაპრებმა მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს ამ მხრივაც ხალხური მედიცინის სახით. ილია ჭავჭავაძე უდიდეს პატივს ცემდა ამ მემკვიდრეობას და მოითხოვდა მის გამოყენებს ახალ ისტორიულ პირობებში. „ივერიის“ ცნობილ სარედაქციო წერილში - „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, იგი წერს:

„ჩვენთვის ღმერთს არა დაუშურვებია, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა. . . რაც ღვთის შემძლებელობით არის, ის ყველაფერი გულუხვად მოგემადლა ღმერთმა. . . .

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ თავი და ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. . . იცოდე, დღეს მძლეთა-მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა, საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი? . . . რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

ილიას ეს ემოციურად დამუხტული სტატია თანაბრად ეხება ქართველთა არა მარტო მაშინდელ, არამედ დღევანდელ თაობებსაც. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ, ეფექტურად გამოვიყენოთ ღვთისგან მოცემული ჩვენი მიწა-წყლის სიკეთე, ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ, მაშინ, როგორც ილია წერს გულისტკივილით, „ჩვენს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“. გლობალიზმის დღევანდელი ეპოქა განსაკუთრებული სიმძაფრით აყენებს ამ პრობლემას და ამიტომ ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ბატონ თამაზ მჭედლიძის ამ წამოწყებას. ამასთან, მიგვაჩნია, რომ მას ბარკვეული სახელმწიფო მხარდაჭერაც სჭირდება.

სტატიათა ციკლში - „ცხოვრება და კანონი“, ილია იმ იდეას ანვითარებს, რომ ერი და ქვეყანა ვერ განვითარდება ჯერ მაღალი სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების და შემდეგ კი, ეროვნული ეკონომიკის და მატერიალური წინაპირობების გარეშე. ღვთისაგან მოცემული ეს ჩვენი “სამოთხისებური მიწა-წყალი“ სხვანაირად დაკარგავს ყოველგვარ აზრს და პერსპექტივას. ერის ინტელექტუალური ძალების ვალი ისაა, რომ არ დაუშვას ეს. ამიტომაც სჭირდება ყოველმხრივი მხარდაჭერა ჩვენი პეტერბურგელი თანამემამულის ინიციატივას, როგორც ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას.

მაგრამ საქმის დაწყება ერთია და მისი წარმატება და ბოლომდე მიყვანა - მეორე. ამას მოითხოვს ლოგისტიკის კანონებიც და რაც მთავარია, ჩვენი ეროვნული ეკონომიკის ინტერესებიც. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ წამოწყებას დიდი საზოგადოებრივი და ამასთან, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა სჭირდება. მადლობა ღმერთს, გამოჩნდა კაცი, რომელსაც ესმის ამ საქმის დიდი ეროვნული მნიშვნელობა და ეკონომიკური პერსპექტივა და მას ყველანაირად უნდა ამოვუდგეთ მხარში.

ველნესის ინდუსტრია რომ სინამდვილედ იქცეს, მას კომპლექსურად უნდა მივუდგეთ. ზემოთაღნიშნული ლოგისტიკის პრინციპი სწორედ ამას ითვალისწინებს: საქართელოს მთასა და ბარში უამრავი პერსპექტივაა ამ თვალსაზრისით სამკურნალო წყლებით დაწყებული და სამონადირეო ტურიზმით დამთავრებული. მხოლოდ ასეთი ლოგისტიკური მიდგომით შეიძლება გადავაქციოთ საქართველოში ველნესის ინდუსტრიის შექმნის ეს მართლაც რომ შესანიშნავი იდეა სინამდვილედ, რაც ეჭვი არაა, კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ქვეყანას მსოფლიოსათვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს იდეა საქმედ იქცეს.

ელბერდ ბატიაშვილი
„ილიალოგთა კლუბის“
გამგეობის თავმჯდომარე
პროფესორი

# უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები

## ბრენდებს კვლავ „ეპლი“ ლიდერობს

„ფორბსის“ შეფასებით, „ემპლი“ მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ ბრენდად რჩება, რომელიც $104,3 მილიარდად იქნა შეფასებული. კომპანიის კაპიტალიზაციის შემცირების მიუხედავად, ბრენდის ღირებულება ბოლო 12 თვეში (ნოემბრიდან-ნოემბრამდე) 20%-ით გაიზარდა და თითქმის ორჯერ მეტია მეორე ადგილზე გასული „მაიკროსოფტის“ $56,7 მილიარდზე (+4%). მესამე „კოკა-კოლაა“ ($54,9 მლრდ) – ერთადერთი არატექნოლოგიური ბრენდი რეიტინგის პირველ ხუთეულში.

## საგარეო ვალი მშპ-ის მიმართ

ავსტრია – 86,8; ბელგია – 104,7; კანადა – 85,2; დანია – 58,6; ესტონეთი – 15,5; ფინეთი – 66,2; საფრანგეთი – 113,5; გერმანია – 87,9; საბერძნეთი – 183,7; უნგრეთი – 88,9; ისრაელი – 173; იტალია – 143,6; იაპონია – 228,4; სამხრეთ კორეა – 35; ნიდერლანდები – 84,2; ახალი ზელანდია – 46,3; ნორვეგია – 41,3; პოლონეთი – 64,7; პორტუგალია – 142,8; ესპანეთი – 97,8; შვედეთი – 52,6; დიდი ბრიტანეთი – 109,1; აშშ – 109,1; საქართველო – 84,6.

## რა ღირს მეფე

ნორვეგია - საბიუჯეტო ხარჯები სამეფო კარისათვის – 25,6 მილიონი აშშ დოლარი (ხარჯების წილი მშპ-ში – 0,005%); იაპონია - საბიუჯეტო ხარჯები სამეფო კარისათვის – 59,8 მილიონი აშშ დოლარი (ხარჯების წილი მშპ-ში – 0,001%); დიდი ბრიტანეთი - საბიუჯეტო ხარჯები სამეფო კარისათვის – 52 მილიონი აშშ დოლარი (ხარჯების წილი მშპ-ში – 0,002%); ტაილანდი - საბიუჯეტო ხარჯები სამეფო კარისათვის – 357 მილიონი აშშ დოლარი (ხარჯების წილი მშპ-ში – 0,02%); ესპანეთი - საბიუჯეტო ხარჯები სამეფო კარისათვის – 10,7 მილიონი აშშ დოლარი (ხარჯების წილი მშპ-ში – 0,003%); ჰოლანდია - საბიუჯეტო ხარჯები სამეფო კარისათვის – 52 მილიონი აშშ დოლარი (ხარჯების წილი მშპ-ში – 0,006%).

ზოგადად, დღეს მსოფლიოში 26 საგვარეულო და 2 არჩევითი (ვატიკანი და მალაიზია) მონარქიაა. 26-დან 10-აბსოლუტური მონარქიაა, 1 – შერეული და 15 – საკონსტიტუციო.

## მუსიკას ბრიტანეთისთვის მილიარდები მოაქვს

მუსიკალურ ინდუსტრიას დიდი ბრიტანეთისათვის ყოველწლიურად $5,6 მილიარდი მოაქვს. ყველაზე მეტია მუსიკოსების, კომპოზიტორებისა და სიმღერების ავტორების წვლილი - $2,6 მილიარდი. ხმის ჩაწერით - $1,031 მილიარდი შედის, საკონცერტო მოღვაწეობიდან - $1,0767 მილიარდი, ალბომების გამოცემიდან კი $654 მილიონი. UK Music-ის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მუსიკალური პროდუქციის ექსპორტით მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად $2,2 მილიარდია. საერთო ჯამში, მუსიკალური ინდუსტრიის წვლილი ქვეყნის მშპ-ში 0,25%-ია.

## ბიზნესმოაზროვნეც და გავლენიანიც

ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორი კლეიტინ კრისტენსენი ყველაზე გავლენიან ბიზნეს მოაზროვნედ დასახელდა. მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი 50 ბიზნეს მოაზროვნის რეიტინგი საკონსულტაციო კომპანია Crainer Dear-love-მა გამოაქვეყნა. რეიტინგს ექსპერტები ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ადგენენ. კრისტენსენის წიგნი „ინოვატორის დილემა“ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბიზნესის თეორიაში ერთ-ერთი წამყვანი ნაშრომი გახდა. მეორე პოზიციაზე ბიზნეს სკოლა INSEAD-ის პროფესორების დუეტია – კიმ ჩანი და რენე მობონი.

## ოფისი ერთ მილიარდ დოლარად

„გუგლი“ ლონდონში 2015 წლისთვის ახალ ოფისს ააშენებს. საერთო ფართით 85,5 ათასი კვ.მ. აქ სამუშაოდ ამჟამად ლონდონში მოქმედი ორი ოფისიდან 5 ათასი თანამშრომელი გადავა. პროექტის მიხედვით, ოფისს ექნება ფიტნესს ცენტრი და აუზი, რომლის თავზე სარბენი ბილიკები განთავსდება, აგრეთვე ველოსიპედების სადგომი. გავრცელებული ცნობით, მშენებლობა „გუგლს“ დაახლოებით $1 მილიარდი დაუჯდება. საოფისე კომპლექსის მშენებლობის დასრულება 2015 წლის ბოლოს იგეგმება.

### იყიდება მოქალაქეობა

მალტის პარლამენტმა მოიწონა კანონპროექტი ქვეყნის მოქალაქეობის იმ უცხოელებზე გაყიდვის შესახებ, რომელთა ქვეყნებიც ევროკავშირის წევრები არ არიან. ამიერიდან მალტის მოქალაქეობა 650 ათასი ევრო ეღირება. მყიდველი არა მარტო მალტის არჩევნებში მონაწილეობას შეძლებს, არამედ დაუბრკოლებლად იმოგზაურებს 160 ქვეყანაში, რომელთანაც მალტას უვიზო რეჟიმი აქვს. შეზღუდვა მხოლოდ კრიმინალური წარსულის მქონეებს შეეხება.

### იქმნება უმსხვილესი ავიაკომპანია

„ემერიკენ ეარლაინსმა" და „იუ-ეს ეარვეიზმა" შეთანხმებას მიაღწიეს აშშ-ის იუსტიციის სამინისტროსთან, რომელიც მანამდე კომპანიების შერწყმას ბლოკავდა. ამდენად, მსოფლიოში უმსხვილესი ავიაკომპანიის შექმნა შესაძლოა უკვე დეკემბრის ბოლომდე დასრულდეს. წინასწარი შეთანხმებით, „ემერიკენ ეარლაინსი" კრედიტორებს აქციების 72%-ს მისცემს, შესაბამისად, „იუ-ეს ეარვეიზი" კი ახალი კომპანიის აქციების 28%-ს მიიღებს.

### 400 ამერიკელს „რუსეთის მშპ აქვს"

„ფორბსის" მორიგი რეიტინგის თანახმად, 400 უმდიდრეს ამერიკელის ქონება რუსეთის მშპ-ს უტოლდება. 2013 წლის რეიტინგში მოხსენიებული 400 პირი ერთობლივად ფლობს $2,02 ტრილიონის აქტივებს, რაც რეკორდია „ფორბსის" რეიტინგების 32 წლიან ისტორიაში. მსოფლიო ბანკის მონაცემებით რუსეთის მშპ-მა 2012 წელს $2,015 ტრილიონი შეადგინა.

### 2013 წლის ყველაზე წარმატებული მილიარდელები

ყოველი წლის ბოლოს ჟურნალი „ფორბსი" აფასებს, მილიარდელთა მსოფლიო კლუბის რომელმა წევრმა გაატარა უფრო „დამკვრელურად" გასული 12 თვე და რამდენი მილიარდით გაზარდა თავისი „დანაზოგი". რეიტინგის შესადგენად, მომატებული კაპიტალი აითვლება 2012 წლის 31 დეკემბრიდან 2013 წლის 20 დეკემბრამდე.

მაშ ასე, 2013 წლის მსოფლიოს ყველაზე წარმატებული მილიარდელებია:

1. შელდონ ადელსონი – ქონება $37,2 მლრდ; 2013 წელს მიმატებული კაპიტალი - §15 მლრდ (+68%);
2. მარკ ცუკერბერგი – ქონება $25,8 მლრდ; 2013 წელს მიმატებული კაპიტალი - $13,6 მლრდ (+112%);
3. ჯეფ ბეზოსი – ქონება $36,9 მლრდ; 2013 წელს მიმატებული კაპიტალი - $13,9 მლრდ (+56%);
4. უორენ ბაფეტი – ქონება $60 მლრდ; 2013 წელს მიმატებული კაპიტალი - $12,1 მლრდ (+25%);
5. კრისტი უოლტონი – ქონება $37,5 მლრდ; 2013 წელს მიმატებული კაპიტალი - $10,7 მლრდ (+40%);
6. რობსონ უოლტონი – ქონება $35 მლრდ; 2013 წელს მიმატებული კაპიტალი - $10,1 მლრდ (+41%);
7. ელის უოლტონი – ქონება $35 მლრდ; 2013 წელს მიმატებული კაპიტალი - $10,1 მლრდ (+40%);
8. ჯიმ უოლტონი – ქონება $35,5 მლრდ; 2013 წელს მიმატებული კაპიტალი - $10 მლრდ (+39%);
9. ლარი პეიჯი („გუგლის" თანადამფუძნებელი) – ქონება $30,5 მლრდ; 2013 წელს მიმატებული კაპიტალი - $9,4 მლრდ (+26%);
10. ბილ გეიტსი – ქონება $74,1 მლრდ; 2013 წელს მიმატებული კაპიტალი - $9,3 მლრდ (+14%);

„უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები" სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა თამთა ფეტელავამ

# დიდი მეცნიერი და დიდი პიროვნება



ლეო ჩიქავა
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



მიმდინარე წელს ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ ლეო ჩიქავას დაბადებიდან 85 და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წელი აღნიშნა.

დიდია ბატონი ლეოს წვლილი ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში. იგი გახლავთ მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, შრომის ეკონომიკის, დემოგრაფიის (დემოლოგიის) და სხვა საკითხებზე 30-მდე მონოგრაფიის, 150-მდე სამეცნიერო სტატიისა და პუბლიცისტური წერილების ავტორი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის დამსახურებაზე, სამეცნიერო ნაშრომების ღირსებაზე და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა ქართულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მედიაში, ამიტომაც საჭიროდ არ ვთვლით ამ მიმართულებით ყურადღების გამახვილებას. ჩვენ გვინდა აქცენტები გავკეთოთ მის პიროვნულ თვისებებზე, ორგანიზატორულ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე.

ჩემი შეგნებული ცხოვრების თითქმის 25 წელი არის დაკავშირებული ბატონ ლეოს სახელთან და მეც ბუნებრივია, დამიგროვდა სათქმელი. ბედნიერად ვრაცხ საკუთარ თავს, რომ ბედმა მომცა შესაძლებლობა ამ ბუმბერაზ ადამიანთან ერთად მემუშავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტში.

ბატონი ლეო ყოველთვის გვაძლევდა საშუალებას ახალგაზრდებს, რომ მეცნიერულად გავზრდილიყავით. მისი სამეცნიერო თუ სხვა სახის შენიშვნები ყოველთვის იყო ობიექტური, დამრიგებლური, მამა-შვილური. ის ხშირად აღნიშნავდა, რომ მეცნიერისათვის აუცილებელია სამეცნიერო პროდუქტის, ამ შემთხვევაში დისერტაციის დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ ის არის ასეთი რეგალიების მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, იგი გამოირჩევა საოცარი თავმდაბლობით და ადამიანობით. სწორედ ეს თვისებები განაპირობებენ (გენეტიკასთან ერთად - მისი ძმა 92 წლისაა) ასაკის მიუხედავად მის უაღრესად მეცნიერულ პროდუქტიულობას.

ცალკე თემაა მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება და უაღრესად მორიდებული ურთიერთობა ღვიძლ ძმასთან ბატონ იოსებთან, რომელიც როგორც ავღნიშნე 92 წლისაა და შესანიშნავად გამოიყურება.

მახსენდება ის პერიოდი, როცა იგი ეკონომიკურ-დემოგრაფიულ ლექსიკონზე მუშაობდა და ჰქონდა ძალიან გადატვირთული სამუშაო გრაფიკი. მიუხედავად ამისა, ის ყოველთვის გამოძებნიდა დროს კოლეგების, სტუდენტებისა და მათი მშობლების პრობლემების მოსაგვარებლად. ის მზად იყო, სწავლის ისედაც მიზერული გადასახადის პირობებშიც, კარგი სტუდენტისთვის კანონის ფარგლებში ფინანსური შეღავათები გაეწია, რათა მათ წარმატებით ესწავლათ. მაგრამ, როცა საქმე ესებოდა აკადემიურ საკითხებს, ის იყო უაღრესად პრინციპული და მკაცრი. ამიტომაც უყვარდათ და უყვართ ბატონი ლეო კოლეგებსა და სტუდენტებს.

ბატონი ლეო არის უაღრესად დინჯი, გაწონასწორებული, მტკიცე ხასიათის პიროვნება. იგი აღელვებული არ მახსენდება. როგორც ყველა ადამიანის ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ბატონ ლეოს ცხოვრებაშიც იყვნენ ცალკეული ადამიანები, რომლებმაც ვერ დააფასეს მისი ამაგი, მაგრამ მას არასოდეს უფიქრია სამაგიეროს გადახდაზე. პირიქით, მისი საქციელი ყოველთვის იყო მიმტევებლური. ამიტომაც არის ის დიდი მეცნიერი და დიდი პიროვნება.

ბატონი ლეო არის დამოუკიდებელი საქართველის ისტორიაში პირველი მოწვევის პარლამენტის წევრი და მას დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე აქვს ხელი მოწერილი. ამას ბევრი რატომღაც ვერ იხსენებს, არადა მარტო ეს ფაქტიც საკმარისი იქნებოდა, რომ ის ისტორიაში შესულიყო.

მიუხედავად თავისი ასაკისა, ის ყოველთვის ფორმაშია და ეწევა ჯანსაღი ცხოვრების წესს - ყოველდღე ვაკის პარკის სტუმარია და იკაჟებს ჯანმრთელობას.

ბატონ ლეოს განსაკუთრებით აღაფრთოვანებს და ენერგიას მატებს შვილიშვილების წარმატებები. დიდ ლეო ჩიქავას ეზრდება პატარა ლეო (ლევან) ჩიქავა, რომელმაც ბაბუის პროფესია აირჩია და დარწმუნებული ვართ ისეთივე წარმატებული კარიერა ექნება, როგორც ბაბუას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს ასეც იქნება.

ფასდაუდებელია ბატონი ლეოს ამაგი და ღვაწლი ქართული ეკონომიკური მეცნიერების წინაშე. ასევე, ფასდაუდებელია მისი წვლილი მრავალი ახალგაზრდის, როგორც მეცნიერისა და პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში და ამიტომაც ვეუბნებით მას დიდ მადლობას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დღეგრძელობას.

ჯამლეტ ჯანჯღავა
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

# „აქაც კარგი კაცი იყო იქ ნათელი დაადგესა!“

ქართულმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. რამდენიმე დღის წინ 92 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ალექსანდრე კუჭუხიძე. აკადემიკოსი ალექსანდრე კუჭუხიძე 7 ათეულზე მეტი წელი ემსახურა საყვარელ სამშობლოს.

თითქმის 2 ათეული წელი იმუშავა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არასამრეწველო საწარმოთა ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგისა და საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობებზე. 1991 წელს აფუძნებს საქართველოში პირველ კერძო უმაღლეს სასწავლებელს და 2012 წლის მაისამდე მისი რექტორი იყო. მერე კი სახელწოდება შეუცვალა და დაარქვა საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯი, სადაც მთავრი დამფუძნებელი, მთავარი მესაკუთრე და კანცლერი იყო სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

პროფესორი ალექსანდრე კუჭუხიძე გახლდათ მის მიერვე დაფუძნებული საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდენტი, გაზეთ „საქართველოს დედაქალაქის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. ასევე, დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი იყო საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბისა“, იყო ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის მედლებითა და ღირსების ორდენით.

ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძე ეკონომიკური თეორიისა და დარგობრივი ეკონომიკის დარგში სამასზე მეტი სამეცნიერო შრომის, ამდენივე სტატიის და ასორმოცდაათი მხატვრული ნაწარმოების ავტორი იყო. ის მრავალი სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, მეთოდიკებისა და ლექციათა კურსების ავტორი იყო. ამოუწურავია ბატონი ალექსანდრეს ინტელექტუალური პოტენციალი. ის გახლდათ შესანიშნავი ორგანიზატორი, ჭეშმარიტი ტალანტი, უღალატო მეგობრობაში, სამშობლოს პატრიოტი. . .

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები და თანამშრომლები თანაგრძნობას ვუცხადებთ ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ყოფილი აქტიური წევრის, ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“
სარედაქციო კოლეგია

# ახალი ეკონომისტი

**საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი**
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. **ტექსტი** აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNucx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. **ავტორის** სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო **კორდინატები,** (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს **რეზიუმე** ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს **ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ** ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი **8 ლარი,** რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HG0000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო", ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: economist_n@yahoo.com
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.
შ. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

## International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines- 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.

3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article may be published in **English, Russian, German and France** languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and Egnlish languages too.

The price of article's publication is- one page of journal 8GEL(lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5GEL(lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. "loi's" account: identification code – 204439296, the account number- GE61HG0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: economist_n@yahoo.com
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.
**PS**. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

# Smarty

შპს „Smarty" გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა

ფართოფორმატიანი ბეჭდვა

სტამბური ბეჭდვა









- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწებადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი: ჯიბის/სამაგიდე/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

**ადგილზე მიტანის სერვისი უფასოდ!!!**

მის.: ქ. თბილისი, აბლაძის ქ.83
598 30 33 20; 551 30 33 20
ntsiramua@gmail.com

info@smarty.ge
www.smarty.ge

მისამართი: თბილისი, 0105, ჯორჯაძის №5,
ტელ: 570 500 449